

თეზურ ცხიტიშვილი

საკუთრების წინააღმდეგ  
მიმართული  
გოგირითი დანაშაული

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2023

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ყაჩაღობის, თაღლითობის და მოტყუებით ქონებრივი დაზიანების ნორმების (სსკ-ის 179-ე, 180-ე და 185-ე მუხლების) განმარტებას. შესაბამისად, აქვს არა მხოლოდ თეორიული, არამედ ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა. იგი დიდ დახმარებას გაუწევს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს და პრაქტიკოს იურისტებს.

გამომცემლობა „მერიდიანი“, 2023

© თ. ცქიტიშვილი, 2023

ISBN 978-9941-34-214-1

წიგნი ეძღვნება  
პროფ. ლამარა სურგულაძის  
ნათელ ხსოვნას



## წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე, 180-ე და 185-ე მუხლების განმარტებას, რომლებითაც გათვალისწინებულია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაულები, როგორცაა ყაჩაღობა, თაღლითობა და ქონებრივი დაზიანება მოტყუებით. აღნიშნული დანაშაულები, განსაკუთრებით კი თაღლითობა, მეტად გავრცელებულია თანამედროვე ეპოქაში, რაც ერთი მხრივ, განაპირობა საბაზრო ეკონომიკის და მეწარმეობის განვითარებამ, ხოლო მეორე მხრივ, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების საფუძველზე განსახილველმა დანაშაულმა ახალი გამოვლენის ფორმები შეიძინა.

წინამდებარე წიგნში ქართული და გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და ლიტერატურის მიხედვით განხილულია ყაჩაღობის, თაღლითობის და მოტყუებით ქონებრივი დაზიანების შემადგენლობები და გაანალიზებულია სასამართლო პრაქტიკა. განსახილველი ნორმების ინტერპრეტაციის დროს ავტორი დაეყრდნო დანაშაულის სამნიშნოვან სტრუქტურას. გარდა ამისა, ნაშრომში განხილულია ყაჩაღობაში, თაღლითობაში და მოტყუებით ქონებრივ დაზიანებაში ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის საკითხები. ნაშრომში ასევე საუბარია ყაჩაღობის და მომიჯნავე დელიქტების, ისევე როგორც თაღლითობის და სამოქალაქო სამართლებრივი დარღვევის გამიჯვნის პრობლემაზე და აღნიშნული თვალსაზრისით შემოთავაზებულია განსაზღვრული კრიტერიუმები.

წინამდებარე ნაშრომს საფუძვლად დაედო როგორც საქართველოში, ისე ტიუბინგენის ებერჰარდ კარლსის და იენის ფრიდრიხ შილერის (გერმანია) უნივერსიტეტებში (2021 და 2022 წ.წ.) განხორციელებული კვლევა, რის გამოც მსურს მად-

ლიერება გამოვხატო პროფესორების, ბ-ნ ბერნდ ჰაინრიხის და ბ-ნ ედვარდ შრამის მიმართ.

ნაშრომის წერის პროცესში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისთვის მადლობას ვუხდით თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის პროფესორებს, ქ-ნ ნონა თოდუას და ბ-ნ ირაკლი დვალიძეს, აგრეთვე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ედიშერ ფუტკარაძეს. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი კრიტიკული თვალთ იქნა წაკითხული, იგი არ არის დაზღვეული ხარვეზებისგან. ავტორი მკითხველთა კონსტრუქციულ შენიშვნებს მადლიერებით მიიღებს.

**თემურ ცქიტიშვილი**  
თბილისი, 2023 წელი

## სარჩევნი

წინასიტყვაობა .....	4
შემოკლებანი .....	11
<b>ყარალობა (სსკ-ის 179-ე მუხლი) .....</b>	<b>13</b>
I. ზოგადი დებულებანი.....	14
II. ქმედების ძირითადი შემადგენლობა .....	14
1. ობიექტური შემადგენლობა .....	14
1.1. სუბიექტი .....	15
1.2. სამართლებრივი სიკეთე .....	16
1.3. საგანი.....	17
1.4. ქმედება .....	19
1.5. ხერხი.....	23
2. სუბიექტური შემადგენლობა.....	43
2.1. განზრახვა .....	43
2.2. მიზანი.....	46
III. მართლწინააღმდეგობა და ბრალი .....	49
IV. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი .....	51
1. იგივე ქმედება, ჩადენილი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით (მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი).....	54
2. ჯგუფურად (მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) .....	58
3. იგივე ქმედება, ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ (მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი) .....	63
4. იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის (მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) .....	68
5. იგივე ქმედება, ჩადენილი ბინაში უკანონო შეღწევით (მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) .....	69
6. იგივე ქმედება, ჩადენილი დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით (მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი) .....	69

7. იგივე ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ (მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) .....	72
8. იგივე ქმედება, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვეი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის (მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) .....	72
V. დაუმთავრებელი დანაშაული. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება .....	73
VI. თანამონაწილეობა, თანაამსრულებლობა და შუალობითი ამსრულებლობა .....	80
VII. დანაშაულთა ერთობლიობა და ნორმათა კონკურენცია .....	106
VIII. საპროცესოსამართლებრივი რეგულაცია .....	109
<b>თაღლითობა (სსკ-ის 180-ე მუხლი) .....</b>	<b>111</b>
I. ზოგადი დებულებანი .....	112
II. თაღლითობის კრიმინოლოგიური ასპექტი .....	121
III. ქმედების ძირითადი შემადგენლობა .....	122
1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა .....	122
1.1. სუბიექტი .....	122
1.2. სამართლებრივი სიკეთე .....	122
1.3. დანაშაულის საგანი .....	128
1.4. ქმედება .....	129
1.5. შედეგი .....	134
1.6. ხერხი .....	137
ა) საკითხავია, არის თუ არა მოტყუება და შეცდენა განხორციელებული, როცა არსებობს ეჭვი სინამდვილესთან დაკავშირებით .....	182
ბ) შესამჩნევი შეცდომა .....	183
გ) განკარგვა .....	186
დ) ქონების განკარგვის უშუალობა .....	188
დ <sup>ა</sup> ) შეგნებული განკარგვა .....	188

დ <sup>ბ</sup> ) ნებაყოფლობითი განკარგვა .....	190
ე) სამმხრივი თაღლითობა .....	191
ვ) შეწირულობასთან დაკავშირებული თაღლითობა.....	197
1.7. ქონებრივი ზიანი .....	199
1.8. ქონების ცნება .....	200
1.8.1. ქონების წმინდა ეკონომიკური განსაზღვრება.....	201
1.8.2. ქონების წმინდა იურიდიული ცნება .....	202
1.8.3. ქონების იურიდიულ-ეკონომიკური ცნება.....	202
1.8.4. ქონების სხვა ცნებები .....	203
1.8.5. მოქმედება კანონით გასაკიცხი მიზნით .....	204
1.8.6. ამორალური და კანონსაწინააღმდეგო სამუშაოს შესრულების ადრესატის მიმართ არსებობს თუ არა მოვალეობის შესრულების ვალდებულება? .....	210
1.8.7. არასამართლებრივი ქონება.....	211
1.8.8. ქონების ცნების მოცულობა.....	212
1.8.9. უფლებები.....	213
1.8.10. სამუშაო ძალა .....	213
1.8.11. სისხლისსამართლებრივი სანქციები .....	214
1.8.12. ზიანის დაანგარიშება .....	216
1.8.13. ინდივიდუალური (პერსონალური) დანაკარგი.....	219
1.8.14. ობიექტურად უსარგებლო წარმადობა .....	219
1.8.15. ქონებისთვის საფრთხის შექმნა .....	220
1.8.16. თაღლითობის სხვა შემთხვევები.....	223
1.8.16.1. შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებული თაღლითობა .....	223
1.8.16.2. გასესხების და გაყიდვის შემთხვევა .....	226
1.8.16.3. თაღლითობა სამსახურში მიღების დროს .....	227
1.8.16.4. თაღლითობა სუბსიდიასთან, ფინანსურ დახმარებასთან დაკავშირებით .....	232



1.9. ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნებს შორის კავშირი.....	233
2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.....	234
1.1. განზრახვა .....	234
1.2. მიზანი .....	242
1.3. ანგარების მოტივი, როგორც თაღლითობის სუბიექტური შემადგენლობის ნიშანი? .....	244
1.4. გამიზნული მისაკუთრების მართლწინააღმდეგობა .....	245
1.5. მართლწინააღმდეგობის შეგნება.....	248
IV. მართლწინააღმდეგობა და ბრალი .....	250
V. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი .....	251
1. იგივე ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ (მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) .....	251
2. იგივე ქმედება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) .....	251
3. იგივე ქმედება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) .....	252
4. იგივე ქმედება, ჩადენილი დიდი ოდენობით (მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) .....	255
5. იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის (მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი) .....	263
6. იგივე ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ (მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) .....	264
7. იგივე ქმედება, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვეი სხვისი ნივთის მართლწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის (მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) .....	264
VI. დაუმთავრებელი დანაშაული. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება.....	264
VII. თანამონაწილეობა, თანაამსრულებლობა და შუალობითი ამსრულებლობა.....	274

VIII. ნორმათა კონკურენცია და დანაშაულთა ერთობლიობა.....	291
ა) სისხლისსამართლებრივი სფერო.....	291
ბ) თაღლითობის გამიჯვნა სამოქალაქოსამართლებრივი დარღვევისგან.....	306
გ) ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზი ცალკეული ქმედების დასჯადობაზე და მისი დაძლევისთვის საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების პერსპექტივა (გერმანული სისხლის სამართლის გათვალისწინებით).....	318
IX. საპროცესოსამართლებრივი რეგულაცია .....	320
<b>ქონებრივი დაზიანება მოძყუებით (სსკ-ის 185-ე მუხ.) .....</b>	<b>321</b>
I. ქმედების ძირითადი შემადგენლობა .....	322
1. ობიექტური შემადგენლობა .....	322
1.1. სუბიექტი .....	322
1.2. სამართლებრივი სიკეთე .....	322
1.3. საგანი .....	324
1.4. ქმედება .....	326
1.5. შედეგი .....	332
1.6. ხერხი .....	332
2. სუბიექტური შემადგენლობა .....	333
II. მართლწინააღმდეგობა და ბრალი .....	334
III. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი.....	334
IV. დაუმთავრებელი დანაშაული. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება .....	335
V. თანამონაწილეობა, თანაამსრულებლობა და შუალობითი ამსრულებლობა .....	336
VI. დანაშაულთა ერთობლიობა და ნორმათა კონკურენცია .....	336
VII. საპროცესოსამართლებრივი რეგულაცია .....	343

## შემოკლებანი

ა. შ. – ასე შემდეგ;

გვ. – გვერდი;

დასახ. ნაშრ., – დასახელებული ნაშრომი;

ე. ი. – ესე იგი;

ე. წ. – ეგრეთ წოდებული;

თბ., – თბილისი;

იხ. – იხილეთ;

მუხ. – მუხლი;

სსკ – სისხლის სამართლის კოდექსი;

სუსგ – საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადანყვეტი-  
ლებანი სისხლის სამართლის საქმეებზე;

სხვ. – სხვა;

С. – Страница;

AT – Allgemeiner Teil;

Aufl. – Auflage;

BGHSt – Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen;

BT – Besonderer Teil;

GA – Goldammer's Archiv für Strafrecht;

Hrsg. – Herausgeber;

JA – Juristische Arbeitsblätter;

Jus – Juristische Schulung;

LK – Leipziger Kommentar;  
MüKo – Münchener Kommentar;  
NK – NomosKommentar;  
NJW – Neue Juristische Wochenschrift;  
NStZ – Neue Zeitschrift für Strafrecht;  
Rn. – Randnummer;  
S. – Seite;  
SK – Systematischer Kommentar zum Strafgesetzbuch;  
ZStW – Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft.

## ყარალობა (სსკ-ის 179-ე მუხლი)

### **მუხლი 179. ყარალობა**

1. ყარალობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, –

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე.**

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით;

ბ) ჯგუფურად;

გ) სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, –

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.**

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) ბინაში უკანონო შეღწევით;

გ) დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, –

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე.**

4. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვეი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, –

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე.**

## I. ზოგადი დებულებანი

ყაჩაღობის აღმნიშვნელ ტერმინად ძველ ქართულ სამართალში გამოიყენებოდა „მეკობრეობა“<sup>1</sup> და „ავაზაკობა“, ხოლო აღნიშნული ქმედების ჩამდენს „მეკობრე“ და „ავაზაკი“ ეწოდებოდა. მეკობრეობა ყოველთვის არ ითვლებოდა დანაშაულად. საგვარეულო წესწყობილების დროს მეკობრეობა საძრახისად ითვლებოდა ერთსა და იმავე გვარიშვილობაში. ხოლო სხვა გვარის დარბევა-გაძარცვა საქებად საქმედ და გმირობად მიაჩნდათ. შემდგომ, როცა საგვარეულო წესწყობილება დაირღვა, ესეც გასაკიცხ საქმედ იქცა. როცა საზოგადოებრივი ცხოვრება დაწინაურდა, ავაზაკობა იშვიათობად იქცა. სამართალი მეკობრეს მკაცრად ეპყრობოდა. როცა თამარის დროს დანაშაულებისთვის სასჯელები შემცირდა მეკობრეობა კვლავინდებურად მკაცრად ისჯებოდა. ავაზაკობა მიუტევებელ ცოდვად ითვლებოდა<sup>2</sup>.

## II. ქმედების ძირითადი შემადგენლობა

### 1. ობიექტური შემადგენლობა

ყაჩაღობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი თავისი საშიშროებით გამორჩეული დანაშაულია, რომელიც გულისხმობს სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით თავდასხმას, ჩადენილს სიცოცხლისა და ჯანრთელობისთვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით. ყაჩაღობა, ისევე როგორც ძარცვა,

<sup>1</sup> აღნიშნული ტერმინი თანამედროვე სისხლის სამართალში გამოიყენება ხომალდზე ან სხვა მცურავ საშუალებაზე თავდასხმის აღსანიშნავად, როცა იგი განხორციელებულია სხვისი ნივთის დაუფლების, მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ძალადობით ან ძალადობის მუქარით (სსკ-ის 228-ე მუხლი).

<sup>2</sup> ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბ., 1984, გვ. 225-227.

ქურდობისგან განსხვავებით, ატარებს აშკარა ხასიათს, ვინაიდან ყაჩაღობის განხორციელება თავდასხმის გარეშე შეუძლებელია, ხოლო თავდასხმა გულისხმობს აშკარა ხასიათის მოქმედებას. თუმცა, ყაჩაღობა შეიძლება წარმოადგენდეს ქურდობის ან ძარცვის გაგრძელებას ანუ ქურდობა ან ძარცვა შეიძლება ყაჩაღობაში გადაიზარდოს<sup>3</sup>.

ყაჩაღობა არის ფორმალური დანაშაული, რომელიც ფორმალურად (იურიდიულად) დამთავრებულია თავდასხმის მომენტში<sup>4</sup>, მაგრამ ყაჩაღობა შეიძლება გაგრძელდეს თავდასხმის შემდეგ. ყაჩაღობა არ მოითხოვს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას. ის რომ ყაჩაღობას ახასიათებს დანაშაულის იურიდიულად განხორციელების და ფაქტობრივად, მატერიალურად დამთავრების ეტაპები, მნიშვნელოვანია თანაამსრულებლობის და თანამონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით.

### 1.1. სუბიექტი

ყაჩაღობის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი. ყაჩაღობა არ მიეკუთვნება სპეციალური ამსრულებლობით ჩასადენ დელიქტებს. ყაჩაღობის ზოგიერთი მაკვალიფიცირებელი გარემოების ამსრულებელი სპეციალურია. კერძოდ, ეს ეხება ყაჩაღობას არაერთგზის (179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტი) და ყაჩაღობას იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევნი (179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ პუნქტი).

---

<sup>3</sup> ქურდობის ყაჩაღობაში გადაზრდის მაგალითი იხ. წულაია ზ., სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, მეორე ტომი, თბ., 2001, გვ. 64.

<sup>4</sup> ყაჩაღობა თავდასხმის მომენტში ითვლება დამთავრებულად რუსული სსკ-ის 162-ე მუხლითაც. იხ. Комментарий к уголовному кодексу Российской Федерации, Под ред. Радченко В.И., Михлина А.С., Санкт-Петербург, 2008, с. 288-289.

## 1.2. სამართლებრივი სიკეთე

179-ე მუხლით დაცული სიკეთეა საკუთრება. ამაზე ნათლად მიუთითებს ის გარემოება, რომ დასახელებული მუხლი მოქცეულია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში. 179-ე მუხლით დაცულ სიკეთეს ასევე წარმოადგენს სიცოცხლე და ჯანმრთელობა. შესაბამისად, ყაჩაღობა მიეკუთვნება ე. წ. ორობიექტიან დანაშაულთა რიცხვს. ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ყაჩაღობა ხორციელდება მსხვერპლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ყაჩაღობის დროს საკუთრება და ჯანმრთელობა – ორივე ძირითადი დაცვის ობიექტია<sup>5</sup>, თუმცა, ეს საკითხი საკმაოდ შეიძლება იყოს. უდავო კი არის ის, რომ პირველადი სიკეთე საკუთრებაა. ეს აიხსნება არა იმით, რომ საკუთრება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიცოცხლე ან ჯანმრთელობა, არამედ იმით, რომ დამნაშავის მიზანი სხვისი მოძრავი ნივთის მისაკუთრებაა, რაც განაპირობებს ყაჩაღობის მიკუთვნებას საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით ყაჩაღობისგან დაცულ სიკეთეს ასევე წარმოადგენს თავისუფლება. აღნიშნულთან დაკავშირებით სვამენ კითხვას, ყაჩაღობა უპირველესად საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია თუ საკუთრება და თავისუფლება თანაბარი რანგის სიკეთეებია. აღნიშნულთან დაკავშირებით მართებულად უნდა ჩაითვალოს მოსაზრება, რომ ყაჩაღობისგან დაცული პირველადი სიკეთე საკუთრებაა, რაზეც მიუთითებს აღნიშნული შემადგენლობის ადგილი სისხლის სა-

---

<sup>5</sup> *ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ.*, პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი), თბ., 1999, გვ. 30.



მართლის კოდექსის სისტემაში<sup>6</sup>. ყაჩაღობა იმიტომ შეიძლება ჩაითვალოს თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად, რომ ყაჩაღობის დროს ბოროტმოქმედი იყენებს სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიშ ძალადობას ან ასეთი ძალადობის მუქარას, რაც მსხვერპლის თავისუფლებას ხელყოფს, მიუხედავად იმისა, რომ ყაჩაღობის შემადგენლობის განხორციელებისთვის აუცილებელი არ არის ბოროტმოქმედმა თავის მიზანს მიაღწიოს.

საყურადღებოა, რომ ყაჩაღობას ასევე მიიჩნევენ საერთო უსაფრთხოების გრძნობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად, როცა ის ხორციელდება ქუჩაში, მაღაზიაში<sup>7</sup> თუ საჯარო თავშეყრის ადგილას. უნდა ითქვას, რომ ყაჩაღობის შემთხვევებიდან არც ისე იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს ყაჩაღობა ქუჩაში ან საჯარო თავშეყრის ადგილებში.

### 1.3. საგანი

ყაჩაღობის შემთხვევაში დანაშაულის საგანი არის სხვისი მოძრავი ნივთი, რის შესახებაც მკაფიო მითითებაა მოცემული 179-ე მუხლის დისპოზიციაში. მოძრავი არის ისეთი ნივთი, რომლის სივრცეში გადაადგილებაა შესაძლებელი ისე, რომ მან არ დაკარგოს თავისი ფუნქცია. ასეთია მაგალითად, სამკაული, საოჯახო ტექნიკა (ტელევიზორი), კომპიუტერი, ა/მანქანა და ა. შ.

ყაჩაღობის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ის, რაც არის ქურდობის და ძარცვის საგანი. ყაჩაღობის საგანს არ შეიძლება წარმოადგენდეს ისეთი ნივთი, რომელზეც არ ვრცელდება საკუთრების რეჟიმი. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული და-

<sup>6</sup> Schramm E., Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 101, §4 Rn. 4.

<sup>7</sup> Heinrich B., in: Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, S. 455, §17 Rn. 2.

ნაშაულებების ნორმებით არ არის დაცული ისეთი საგნები, რომელიც არ არის თავისუფალ ბრუნვაში და რომლის მიმოქცევაზეც ვრცელდება განსაკუთრებული კონტროლი. თუ თავდასხმა განხორციელდა ნარკოტიკული საშუალების დაუფლების მიზნით ქმედება 264-ე მუხლით დაკვალიფიცირდება, ხოლო ცეცხლსასროლი იარაღის დაუფლების მიზნით მოქმედებისას 237-ე მუხლით.

ვინაიდან ყაჩაღობის საგანი მხოლოდ მოძრავი ნივთია, ყაჩაღობად ვერ დაკვალიფიცირდება ქმედება, თუ სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით თავდასხმა განხორციელდა პირზე იმ მოთხოვნით, რომ გადაუფორმონ უძრავი ქონება, რომელიც მას არ ეკუთვნის. ასეთ შემთხვევაში ქმედები კვალიფიკაციაზე ჩნდება კითხვა, უნდა დაკვალიფიცირდეს იძულებად (150-ე მუხ.) თუ გამოძალვად (181-ე მუხ.)? საყურადღებოა ის, რომ გამოძალვის შემადგენლობაში კანონმდებელი მოძრავ ნივთზე არ მიუთითებს.

თუ თავდასხმა ადამიანზე ხორციელდება გამოსყიდვის მიღების მიზნით და არა იმ მიზნით, რომ ბოროტმოქმედი დაეუფლოს იმას, რაც მსხვერპლს მასზე თავდასხმის დროს თან აქვს (ფული, ტანსაცმელი, სამკაული, ავტომანქანა), ქმედება კვალიფიცირდება არა როგორც ყაჩაღობა, არამედ როგორც მძევლად ხელში ჩაგდება.

მართებულად არის აღნიშნული ლიტერატურაში, რომ ყაჩაღობა, როგორც წესი, პრაქტიკულად ღირებულებების დაუფლების მიზნით ხორციელდება<sup>8</sup>. თუმცა, აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ყაჩაღობის საგნად ლიტერატურაში ასევე მიიჩნევა ეკონომიკური ღირებულებების არმქონე საგნებიც<sup>9</sup>.

<sup>8</sup> *Heinrich B.*, in: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf*, *Strafrecht*, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, S. 455, §17 Rn. 1.

<sup>9</sup> *Sinn A.*, in: *SK.*, Band V, 9. Auflage, 2019, S. 127, §249 Rn. 24.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი უშვებს ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესაძლებლობას, მაგრამ ქურდობისგან განსხვავებით, ყაჩაღობა სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი ქმედებით ხორციელდება, რის გამოც ქმედების მცირე მნიშვნელობის საკითხი ვერ გადაწყდება საგნის მხოლოდ ეკონომიკური ღირებულების გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ ყაჩაღობა ქურდობის და ძარცვის გარკვეულ ელემენტებს შეიცავს, ყაჩაღობის შემადგენლობა წარმოადგენს დამოუკიდებელ შემადგენლობას და არა ქურდობის ან ძარცვის კვალიფიცირებულ შემადგენლობას<sup>10</sup>.

#### **1.4. ქმედება**

ყაჩაღობის დროს დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატება თავდასხმაში. თავდასხმა არის მსხვერპლისთვის მოულოდნელი, აგრესიული ქმედება, რომელიც შეიძლება სხვადასხვა სახით გამოიხატოს. ეს შეიძლება იყოს ადამიანისთვის ხელების გადაგრეხვა, თავზე ტომრის ჩამოცმა, ადამიანის გათოკვა და ისეთ პირობებში ჩაყენება, რომ გადაადგილება არ შეეძლოს და სხვა.

როდესაც ვსაუბრობთ თავდასხმაზე, როგორც ყაჩაღობის შემადგენლობით გათვალისწინებულ ნიშანზე, ჩნდება კითხვა, თუ როგორი ურთიერთმიმართებაა თავდასხმას, ძალადობას და მუქარას შორის, ხორციელდება თუ არა თავდასხმა ძალადობის და მუქარის გარეშე. აღსანიშნავია, რომ კანონმდებელი ყაჩაღობის შემადგენლობაში ერთმანეთისგან მიჯნავს თავდასხმას, სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიშ

---

<sup>10</sup> *Heinrich B.*, in: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, BT, Lehrbuch*, 4. Aufl., 2021, S. 457, §17 Rn. 5.

ძალადობას და ასეთი ძალადობის მუქარას. შესაბამისად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ თავდასხმის განხორციელება შესაძლებელი იყოს ძალადობის ან მუქარის გარეშე. თუმცა, ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხზე გამოთქმულია სხვა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, თავდასხმას აგრესიულ მოქმედებად აქცევს სწორედ ის, რომ მას თან სდევს ძალადობა ან ძალადობის მუქარა. ამავე შეხედულებით, თავდასხმა არის ქმედება, რომელიც ძალადობით ან ძალადობის მუქარით ხორციელდება<sup>11</sup>. ერთი მხრივ, თავდასხმა არ შეიძლება გავაიგივოთ ძალადობასთან ან მუქარასთან, მაგრამ მეორე მხრივ, მას ყაჩაღობის დროს ყოველთვის ახლავს ძალადობა ან ძალადობის მუქარა. თავდასხმას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ძარცვის დროსაც, მაგრამ თუ ყაჩაღობის ჩასადენად აუცილებელია თავდასხმის განხორციელება, ძარცვისთვის ეს აუცილებლობას არ წარმოადგენს და ამიტომ კანონმდებელი ძარცვის ძირითად შემადგენლობაში თავდასხმაზე არ მიუთითებს. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ თავდასხმას ძარცვის დროსაც ჰქონდეს ადგილი. განსხვავება ძარცვის და ყაჩაღობის დროს განხორციელებულ თავდასხმას შორის არის იმაში, რომ ყაჩაღობისას თავდასხმა სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით ხორციელდება. ყაჩაღობის შემადგენლობაში კანონმდებელი თავდასხმას, სიცოცხლისთვის საშიშ ძალადობას და ასეთი ძალადობის მუქარას იმიტომ გამოყოფს ერთმანეთისგან, რომ თავდასხმა შეიძლება განხორციელდეს ძალადობით ან ძალადობის მუქარით. გარდა ამისა, ყველა ძალადობა და მუქარა არ არის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის სა-

---

<sup>11</sup> *ლეკვეიძევილი მ., მამულაშვილი გ.*, პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი), თბ., 1999, გვ. 31; *კვარაცხელია რ.*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიკაცია, თბ., 2015, გვ. 114-116.

შიში, ამიტომ კანონმდებელი აკონკრეტებს ყაჩაღობის დროს თუ როგორი ძალადობა ან მუქარა უნდა იყოს სახეზე.

ყაჩაღობასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, მისი ჩადენა მხოლოდ აქტიური ქმედებით ხდება, თუ უმოქმედობითაც არის შესაძლებელი? თავდასხმა, როგორც წესი, ტიპურად, აქტიურ ქმედებას გულისხმობს. აქტიურ ქმედებას გულისხმობს ასევე სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში როგორც ძალადობა, ისე ასეთი ძალადობის მუქარა. თუმცა, სისხლის სამართლის ლიტერატურაში არ გამოირიცხავენ ყაჩაღობას უმოქმედობით<sup>12</sup>, რაც ნაკლებად გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს. ამის მაგალითად სახელდება შემთხვევა, როცა ზედამხედველი გარანტი მესამე პირის მიმართ ძალადობის განხორციელებას ხელს არ უშლის და აღნიშნულ სიტუაციას სხვისი ნივთის დასაუფლებლად იყენებს. მაგალითად, მამა ხელს არ უშლის თავის ცამეტი წლის შვილს პენსიონერზე თავდასხმაში. პირიქით, ამ დროს იხელთებს და პენსიონერს ჩანთას წაართმევს. მოცემულ შემთხვევაში, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ყაჩაღობა უმოქმედობითი ძალადობითაა განხორციელებული<sup>13</sup>. გარდა ამისა, ასევე სახელდება შემთხვევა, როდესაც გაუცნობიერებლად, ყაჩაღობის განზრახვის გარეშე ხდება მსხვერპლის ჩაკეტვა და შემდგომ, მოგვიანებით როდესაც წარმოიშობა ყაჩაღობის განზრახვა, აღნიშნული შემთხვევის გამოყენებას ექნება ადგილი. წინარე ქმედებიდან გამომდინარე არსებობდა გარანტორული ვალდებულება მოქმედებასთან დაკავშირებით, რომლის შეუსრულებლობას სხვისი ნივთის მისაკუთრების მიზნით, უმოქმედობით ყაჩაღობად განიხილავენ<sup>14</sup>.

<sup>12</sup> *Lackner/Kühl*, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Aufl., 2018, §249 Rn. 1.

<sup>13</sup> *Eisele J.*, Strafrecht, BT II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Aufl., Stuttgart 2019, S. 107, Rn. 313.

<sup>14</sup> *Schramm E.*, Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 105, §4 Rn. 20, 22.

თავდასხმა, როგორც ყაჩაღობის შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედება, შეიძლება განხორციელდეს როგორც დაზარალებულისთვის შესამჩნევი ფორმით, ისე მისთვის შეუმჩნეველად, მიპარვით (ბურგში დანის ჩარტყმა) ან გამაბრუებელი საშუალების გამოყენებით, რის შედეგადაც დაზარალებული ისე ვარდება უმწეო მდგომარეობაში, რომ ამას ვერ აღიქვამს. თუმცა, ეს მაინც არ გამოორიცხავს ყაჩაღობის შემადგენლობას. ყაჩაღობის შემადგენლობა შეიძლება გამოირიცხოს მაშინ, როცა ადგილი აქვს დაზარალებულის მიერ ნებაყოფლობით ალკოჰოლური სასმელის მიღებას<sup>15</sup>.

როდესაც სხვისი ნივთის დასაუფლებლად ადგილი აქვს მძინარე ან მთვრალი ადამიანის მდგომარეობის გამოყენებას, ძალადობა გამოირიცხება. სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ყაჩაღობის შემადგენლობით გათვალისწინებული ძალადობა მხოლოდ მაშინ არის სახეზე, როდესაც ფიზიკური იძულება და ბემოქმედება გამოწვეულია უშუალოდ სხეულზე კონტაქტის შედეგად<sup>16</sup>.

ვინაიდან ყაჩაღობა თავდასხმას გულისხმობს, ეს ნიშნავს იმას, რომ ყაჩაღობის დროს დამნაშავეს ყოველთვის უწევს შეხება დაზარალებულთან, განსხვავებით ქურდობისგან. სხვაგვარად ყაჩაღობის განხორციელება შეუძლებელია. დაზარალებულთან კონტაქტის გარეშე შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ყაჩაღობის მომზადება ან უვარგისი მცდელობა.

---

<sup>15</sup> *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, წიგნში: *ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, I ნაწილი, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 488-489; *ებრალიძე თ.*, წიგნში: *გამყრელიძე თ. (რედ.)*, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 73-74.

<sup>16</sup> *Schramm E.*, Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 104, §4 Rn. 16.

## 1.5. ხერხი

ყაჩაღობის ხერხია სიცოცხლისთვის ან ჯანრთელობისთვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის მუქარა. სწორედ აღნიშნული ხერხით განსხვავდება ყაჩაღობა ძარცვისგან, რომელიც ყაჩაღობის მსგავსად აშკარა ხასიათისაა და თავდასხმას არ გამოირიცხავს.

ყაჩაღობა მისთვის დამახასიათებელი დანაშაულებრივი ხერხიდან გამომდინარე მიეკუთვნება ძალადობით დანაშაულთა რიცხვს, ისევე როგორც მკვლელობა და გაუპატიურება<sup>17</sup>.

ძალადობა არის ფიზიკური ძალით განპირობებული პიროვნების სხეულებრივი იძულება, რომელიც გულისხმობს მიმდინარე ან მოსალოდნელი წინააღმდეგობის დაძლევას. იგი მოიცავს *vis absoluta*-ს და *vis compulsiva*-ს. ასეთი ძალადობის ტიპურ შემთხვევებად განიხილება მსხვერპლის შებორკვა, თავისუფლების შეზღუდვა, ნარკოტიკული საშუალების გამოყენება<sup>18</sup>.

ძალადობა გულისხმობს ისეთ აგრესიულ ქმედებას, რომელიც ახდენს მსხვერპლის ნების პარალიზებას. ძალადობის ხასიათიდან გამომდინარე, მსხვერპლს შეიძლება შელახული ჰქონდეს ისეთი უფლება, რომელიც სსკ-ის სხვა მუხლით არის დაცული. მაგალითად, თავისუფლება. ძალადობა აუცილებლად უნდა იყოს საშიში სიცოცხლისთვის ან ჯანრთელობისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოირიცხება ქმედების კვალიფიკაცია 179-ე მუხლით. სიცოცხლისა და ჯანრთელობისთვის საშიშ ძალადობად სასამართლო პრაქტიკაში ასევე განიმართება ისეთი ქმედება, როგორცაა დაზარალებულისთვის სახე-

---

<sup>17</sup> *Heinrich B.*, in: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, BT, Lehrbuch*, 4. Aufl., 2021, S. 455, §17 Rn. 2.

<sup>18</sup> *Eisele J.*, *Strafrecht, BT II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte*, 5. Aufl., Stuttgart 2019, S. 105, Rn. 306.

ზე ძალიან მძიმე სუნიანი ქსოვილის ნაჭრის აფარება<sup>19</sup>.

როგორც უკვე ითქვა, ყაჩაღობის ერთ-ერთი ხერხი, გარდა ძალადობისა, არის მუქარა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ჟესტით, სიტყვიერად ან კონკლიუდენტური ფორმით. მაგალითად, იარაღის დემონსტრირებით<sup>20</sup>. ასეთ დროს, მუქარის განსახორციელებლად საკმარისია დაზარალებულის მიერ იმის აღქმა, რომ ბოროტმოქმედი შეიარაღებულია. აუცილებელი არ არის მუქარა სიტყვიერად იყოს გამოხატული.

ყაჩაღობის დროს სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მუქარა უნდა იყოს იმნუთიერი და რეალური<sup>21</sup>. შეიძლება მუქარის რეალიზება არ მოხდეს, მაგრამ დაზარალებულს უნდა შეექმნას იმის რწმენა, რომ მუქარის დაუყოვნებლივ რეალიზება შესაძლებელია მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში.

სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისთვის იმნუთიერი მუქარა მაშინ არის სახეზე, თუ დამნაშავის მხრიდან იქმნება იმის საშიშროება, რომ სხეულის არსებითი ხელყოფა იქნება გამონვეული. მუქარა ეხება სამომავლო ტკივილს, მაშინ, როცა იმნუთიერი ტკივილის განცდას ძალადობის ნიშანი მოიცავს. დანის მომარჯვება (აღმართვა) არის მუქარა და არა ძალადობა<sup>22</sup>. მართალია, არსებობს ძალადობის სხვადასხვა ფორმა, რომელთაგან ერთ-ერთია ფსიქიკური ძალადობა, რომლის გამოხატულებასაც მუქარა წარმოადგენს, მაგრამ ყაჩაღობის

---

<sup>19</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე, 2020, #4-6, გვ. 63-64.

<sup>20</sup> *ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ.*, პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი), თბ., 1999, გვ. 33.

<sup>21</sup> *ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 33; *Eisele J.*, Strafrecht, BT II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Aufl., Stuttgart 2019, S. 108, Rn. 316.

<sup>22</sup> *Eisele J.*, Strafrecht, BT II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Aufl., Stuttgart 2019, S. 107, Rn. 315.



შემადგენლობით ძალადობა და მუქარა, როგორც ფსიქიკური ძალადობის გამოვლინება ერთმანეთისგანაა გამიჯნული.

სამართლის ლიტერატურაში საკამათოდ მიიჩნევა საკითხი იმის შესახებ, თუ ვისი პერსპექტივიდან უნდა მოხდეს მუქარის განსაზღვრა: დამნაშავეს თუ მსხვერპლის. გაბატონებული მოსაზრება თვლის, რომ მსხვერპლის პერსპექტივიდან შეფასებაა მნიშვნელოვანი. აღნიშნული შეხედულების მიხედვით, უმნიშვნელოა ის, დამნაშავეს მართლა შეუძლია მუქარის განხორციელება ან სურს თუ არა ის. ობიექტურად სერიოზულად უნდა აღიქმებოდეს, რაც განსახილველი მოსაზრების მიხედვით ნიშნავს, რომ იმას, ვისაც ემუქრებიან, ეჭვი მაინც უნდა აღუძრას, რომ მისი განხორციელება რეალურად შესაძლებელია<sup>23</sup>.

განსახილველ საკითხზე საყურადღებოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც თავდასხმის დროს ბოროტმოქმედის მიერ განხორციელებული სიტყვიერი მუქარის შედეგად ქმედება ძარცვიდან ყაჩაღობად გადაკვალიფიცირდა, სადაც მითითებულია, რომ მსჯავრდებულის მიერ განხორციელებული სიტყვიერი მუქარა დაზარალებულის მიმართ („ხმას თუ ამოიღებ გესვრი!“, „წყნარად იყავი, გესვრი!“, „მობილურს არ უპასუხო, გესვრი!“) და შექმნილი ვითარება მსჯავრდებულის მიერ თავდასხმისას ხელის ქურთუკისკენ მოძრაობით ქმნიდა შეიარაღებული თავდასხმის შთაბეჭდილებას, რაც ცალსახად მიუთითებს დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის შექმნილ რეალურ საფრთხეზე. საკასაციო პალატამ გასათვალისწინებლად მიიჩნია ის, რომ დაზარალებულმა ნამდვილად აღიქვა, რომ თავდამსხმელი იყო შეიარაღებული და მისგან მომდინარე საფრთხე იყო რეალურად საშიში, რისი გათვალისწინებითაც ქმედება, რომელშიც გამოკვეთილია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარა, ცალსახად სცდება ძარც-

<sup>23</sup> Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Aufl., 2018, §240 Rn. 12.

ვის ფარგლებს და შეიცავს ყაჩაღობის ობიექტური შემადგენლობისთვის სავალდებულო ნიშნებს. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული პრაქტიკა დაადგინა ჯერ კიდევ 2019 წლის 6 ივნისის (#789აპ-18) განაჩენით<sup>24</sup>.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიციით, ქმედების ყაჩაღობად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ დაზარალებულმა როგორ აღიქვა და შეაფასა მის მიმართ გამოთქმული მუქარის შინაარსი. უზენაესმა სასამართლომ ქმედება ძარცვიდან ყაჩაღობად გადააკვალიფიცირა იმის გამო, რომ თავდამსხმელმა მუქარის დროს გამოიყენა პრიალა ზედაპირის მქონე, წვეტიანი საგანი, რომელიც დაზარალებულმა დანად აღიქვა, რის გამოც დაზარალებულს ძლიერ შეეშინდა<sup>25</sup>.

თუ მუქარის რეალიზების შესაძლებლობას არ უშვებს ის, ვისაც ემუქრებიან და მუქარა არ ახდენს მისი ნების პარალიზებას, არ არსებობს ქმედების ყაჩაღობის მუხლით კვალიფიკაციის საფუძველი. მუქარა დამაჯერებლობას და რეალურ საფუძველს შეიძლება მოკლებული იყოს იმ პირის მდგომარეობის და ფიზიკური ძალის გათვალისწინებით, ვინც იმუქრება. კერძოდ, როდესაც თითქოს მუქარის შემცველ სიტყვას წარმოთქვამს მთვრალი ადამიანი, რომელიც ფეხზე ძლივს დგას, რაც სერიოზულად არც აღიქმება „მუქარის“ ადრესატის მიერ<sup>26</sup>.

თუ მუქარა ეხება არა სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფას, არამედ ქონების განადგურებას, სახეზეა არა ყაჩაღო-

<sup>24</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება #337აპ-20, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე, 2020, #7-9, გვ. 100-101.

<sup>25</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 სექტემბრის განაჩენი, #191აპ-17, სუსგ, 2017, #7-9, გვ. 85.

<sup>26</sup> *ებრალიძე თ.*, ნიგნში: გამყრელიძე ო. (რედ.), სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 82-84.

ბა, არამედ გამოძალვა (181-ე მუხ.). შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის დადგენას, თუ რომელი სიკეთის ხელყოფისკენ იყო მიმართული მუქარა. გამოძალვას ექნება ასევე ადგილი და არა ყაჩაღობას, თუ მუქარა მომავლისკენაა მიმართული, ვინაიდან ყაჩაღობის დროს განხორციელებული ძალადობა და მუქარა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უნდა იყოს საშიში და ვსაუბრობთ, დაზარალებულის ნების პარალიზებით განხორციელებულ ქმედებაზე, რომელიც მსხვერპლად ყოველთვის გულისხმობს ცოცხალ ადამიანს, რომელსაც მისი აღქმა შეუძლია. ჩნდება კითხვა, შეიძლება ყაჩაღობისთვის დამახასიათებელი ძალადობა განხორციელდეს უგონო, მძინარე და მთვრალი ადამიანის მიმართ? გამოთქმული მოსაზრებით, დასახელებული პირები შეიძლება განვიხილოთ ყაჩაღობის მსხვერპლად და ადგილი ჰქონდეს ძალადობას მათ მიმართ<sup>27</sup>. მაგრამ, თუ ადგილი აქვს მთვრალი, მძინარე ადამიანის ჯიბიდან ან ბინიდან ძალადობის გარეშე ნივთის დაუფლებას, ყაჩაღობის შემადგენლობა გამოირიცხება. ყაჩაღობა მაშინ იქნება განხორციელებული, თუ ბოროტმოქმედს ნივთის დასაუფლებლად დასჭირდება ძალადობის გამოყენება. მაგალითად, როცა სხვის ბინაში ბოროტმოქმედი რომ შეიჭრება და მძინარე მსხვერპლს გამოეღვიძება, რა დროსაც იგი მსხვერპლის მიმართ ძალადობას განახორციელებს. ვერ იქნება გაზიარებული მოსაზრება, რომ თავად ბინაში შეჭრა არის ძალადობა<sup>28</sup>. მართალია, ბინაში ბინის მფლობელის გარეშე შეჭრა შეიძლება განხილულ იქნას ძალადობის ერთგვარ ფორმად, მაგრამ მხოლოდ ბინაში შეჭრა ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, ვერ ჩაითვლება ყაჩაღობისთვის საკმარის ძალადობად, ვინაიდან ბინაში უკანონო შეღწევას ქურდობის და ძარცვის დრო-

<sup>27</sup> Eisele J., Strafrecht, BT II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Aufl., Stuttgart 2019, S. 106-107, Rn. 311.

<sup>28</sup> Eisele J., ebenda, S. 106-107, Rn. 311.

საც შეიძლება ჰქონდეს ადგილი. გარდა ამისა, მხოლოდ ბინაში შეჭრა ყოველთვის არ გულისხმობს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ ძალადობას. გასათვალისწინებელია ბინაში შესვლაც რა სახით მოხდება (მაგალითად, შეიარაღებულ პირთა შეჭრა თუ შეუიარაღებელ პირთა შესვლა), ასევე ბინაში შესვლამდე იმის ცოდნა იმყოფებოდა თუ არა ბინაში ვინმე. როდესაც სხვის ბინაში ბოროტმოქმედი მფლობელის ნების გარეშე შედის, ნივთს ეუფლება და ისე ტოვებს ბინას, რომ ამის შესახებ ბინაში მყოფი ვერც იგებს, ქართული სსკ-ით ქმედება ყაჩაღობად ვერ დაკვალიფიცირდება.

ყაჩაღობის ჩასადენად არ არის საკმარისი ძალადობა ნივთების მიმართ, ვინაიდან ყაჩაღობის დროს ძალადობა ადამიანის მიმართ უნდა განხორციელდეს. მაგალითად, როდესაც ხდება ბინაში შესასვლელად მხოლოდ კარის შემტვრევა. მაგრამ ყაჩაღობის შემადგენლობით გათვალისწინებული ძალადობა იქნება განხორციელებული თუ ბოროტმოქმედი მსხვერპლს კარის დაკეტვით ჩაკეტავს ოთახში, ვინაიდან საგანზე განხორციელებული ძალადობის საშუალებით პიროვნების მიმართ იქნება იძულება განხორციელებული<sup>29</sup>. ქმედების ყაჩაღობის მუხლით კვალიფიკაციისთვის აუცილებელია ასეთი ძალადობა უკავშირდებოდეს ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნას ან ასეთი ძალადობის მუქარას.

ვინაიდან მუქარას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ძარცვის დროსაც, ძარცვის და ყაჩაღობის გასამიჯნად დიდი მნიშვნელობა აქვს მუქარის როგორც შინაარსს, ისე ფორმას. როგორც წესი, ყაჩაღობის დროს მუქარა არ ატარებს გაურკვეველ და ბუნდოვან ხასიათს. მაგრამ, თუ მუქარა გარკვევით არ არის ნათქვამი, ქმედების ზუსტი სამართლებრივი შეფასებისთვის მხედველობაში მიიღება ცალკეული გარემოებები, რო-

<sup>29</sup> Eisele J., ebenda, S. 105-106, Rn. 307-308.

გორიცაა: ქმედების განხორციელების ადგილი, დრო, პირთა რაოდენობა და ა. შ<sup>30</sup>. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით შეიძლება ისიც განისაზღვროს, თუ რამდენად საშიშია განხორციელებული მუქარა სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის.

ყაჩაღობის მუხლით ქმედების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ კონკრეტულად ვის მიმართ იქნება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის მუქარა განხორციელებული. ეს შეიძლება იყოს არა მხოლოდ მესაკუთრე ან ქონების მფლობელი, არამედ მესამე პირიც, ვინც ხელს უშლის ბოროტმოქმედს სხვისი ნივთის დაუფლებაში, ვინც იცავს ქონების მფლობელს ან მზად არის რომ დაიცვას იგი<sup>31</sup>.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში საკამათოდ მიიჩნევა საკითხი იმასთან დაკავშირებით, უნდა დაკვალიფიცირდეს თუ არა ქმედება ყაჩაღობის მუხლით, როცა სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის მუქარა ხორციელდება არა ქონების მესაკუთრის ან მფლობელის მიმართ, არამედ მესამე პირის მიმართ. ერთი მოსაზრებით, ასეთ დროს გასათვალისწინებელია მესამე პირის მიმართება ქონების მფლობელთან. კერძოდ, უნდა არსებობდეს ახლო პიროვნული ურთიერთობა ქონების მფლობელსა და იმ მესამე პირს შორის, რომლის მიმართაც ჰქონდა ადგილი ძალადობას ან მუქარას. თუმცა, ავტორთა მეორე ნაწილი აღნიშნულ მომენტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ

---

<sup>30</sup> *ებრალიძე თ.*, წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 82; წულაია ზ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, მეორე ტომი, თბ., 2001, გვ. 65-66; კვარაცხელია რ., საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიკაცია, თბ., 2015, გვ. 130-131.

<sup>31</sup> *Schramm E.*, Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 104-106, §4 Rn. 18, 24.

ანიჭებს, ვინაიდან ყაჩაღობის შემადგენლობაში მითითებაა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის ან ასეთი ძალადობის მუქარის გამოყენებაზე და არ არის დაკონკრეტებული თუ ვის მიმართ უნდა იყოს იგი განხორციელებული. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, რატომ არ შეიძლება აღნიშნული ქმედების მსხვერპლი ასევე იყოს მესამე პირიც, რომელიც არ არის ქონების მფლობელი. როდესაც ხორციელდება სხვისი ქონების დაუფლება ყაჩაღობის დისპოზიციაში დასახელებული ხერხის გამოყენებით, გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, დაუფლება მიზეზობრივად უნდა იყოს დაკავშირებული აღნიშნული ხერხის გამოყენებასთან<sup>32</sup>. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ქართული სსკ-ის მიხედვით ყაჩაღობის შემადგენლობა დასრულებულია დაუფლებამდე. ასეთი მიზეზობრივი კავშირი დაუფლებასა და ყაჩაღობის შემადგენლობით გათვალისწინებული ხერხის გამოყენებას შორის შეიძლება არსებობდეს მაშინაც, როცა ძალადობა ან ძალადობის მუქარა განხორციელებულია მესამე პირის მიმართ.

ქმედების ყაჩაღობის მუხლით კვალიფიკაციისას გასათვალისწინებელია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა თუ როდის იქნა განხორციელებული. თუ ძალადობას ადგილი ჰქონდა სხვისი ნივთის ფარული ან აშკარა დაუფლების შემდეგ, იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილოს შეპყრობა განხორციელებული ქმედების გამო, ქმედება ყაჩაღობის მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება<sup>33</sup>.

<sup>32</sup> Heinrich B., in: Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, S. 460, §17 Rn. 9.

<sup>33</sup> ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., პასუხისმგებლობა ეკონომიკური და-ნაშაულისათვის (კომენტარი), თბ., 1999, გვ. 34. ნულაია გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, მეორე ტომი, თბ., 2001, გვ. 64. თუმცა, ავტორი საპირისპირო მსჯელობას ანვითარებს ნაშრომის მომდევნო გვერდზე. იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 65.

თუ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის მუქარა განხორციელდა სხვისი ნივთის ფარული ან აშკარა დაუფლების შემდეგ, დაუფლებული ნივთის შენარჩუნების მიზნით, ქმედების ყაჩაღობის მუხლით კვალიფიკაციას გამორიცხავენ გერმანულ სისხლის სამართალშიც, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ქართულისგან განსხვავებით გერმანულ სისხლის სამართალში აღნიშნული შემთხვევისთვის არსებობს სპეციალური შემადგენლობა (Räuberischer Diebstahl, §252). გერმანულ სისხლის სამართალში გამოთქმული მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში ქმედება იმიტომ არ უნდა დაკვალიფიცირდეს ყაჩაღობის მუხლით, რომ ბოროტმოქმედი ნივთს უკვე იყო დაუფლებული როცა ძალადობა ან ძალადობის მუქარა გამოიყენა, ხოლო ყაჩაღობის დროს დამნაშავის მიზანია დაუფლება და დაუფლების გზით მისაკუთრება<sup>34</sup>. ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ასეთი სპეციალური შემადგენლობა არ არსებობს და ბოროტმოქმედს უწევს ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენება, მართალია, ქურდობის ან ძარცვის შემადგენლობის განხორციელების შემდეგ, მაგრამ ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული მიზნის (მისაკუთრების) მიღწევამდე, ჩნდება კითხვა რამდენად მართებული იქნება ყაჩაღობის მუხლით ქმედების კვალიფიკაციის გამორიცხვა და ქმედება ხომ არ უნდა დავაკვალიფიციროთ იმ შემთხვევის მსგავსად, როცა სახეზეა ქურდობის ან ძარცვის გადაზრდა ყაჩაღობაში? საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს სსკ-ის მიხედვით, ყაჩაღობის შემადგენლობით გათვალისწინებული მიზანი ეხება არა მხოლოდ სხვისი ნივთის დაუფლებას, არამედ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას. მართალია, მისაკუთრებას წინ

---

<sup>34</sup> *Heinrich B.*, in: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf*, *Strafrecht*, BT, *Lehrbuch*, 4. Aufl., 2021, S. 460-461, §17 Rn. 10; *Schramm E.*, *Strafrecht*, BT II, *Eigentums- und Vermögensdelikte*, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 107, §4 Rn. 28.

უძღვის დაუფლება და, როგორც წესი, მისაკუთრების მიზანი დაუფლების შედეგად მიიღწევა, მაგრამ მისაკუთრების მიზნის მისაღწევად საკმარისი არ არის დაუფლება და ეს ჩანს იქიდანაც, რომ ბოროტმოქმედს მისაკუთრების მიზნის მისაღწევად ზოგჯერ ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენება უწევს დაუფლების განხორციელების შემდეგ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განხილულ შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით, როგორც ქურდობის ან ძარცვის, ისე ყაჩაღობის შემადგენლობით, გაუმართლებელია.

ყაჩაღობის მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება, როდესაც სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის მუქარა განხორციელდება ნივთის დაუფლების მცდელობის სტადიაზე, როდესაც ბოროტმოქმედი მესაკუთრეს ან მფლობელს გასტაცებს ხელჩანთას და როცა ის, ვისაც ხელჩანთა გასტაცეს ან მისი თანმხლები პირი დაედევენება ბოროტმოქმედს წართმეული ხელჩანთის დასაბრუნებლად, თუ ბოროტმოქმედი ჯერ კიდევ არ არის დაუფლებული ხელჩანთას, არ აქვს მოპოვებული მისი განკარგვის შესაძლებლობა და თავიდან მოსაშორებლად, განზრახვის განსახორციელებლად მდევარს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით დაემუქრება სიცოცხლის მოსპობით. მოცემულ შემთხვევაში, უზენაესი სასამართლოს პოზიციით, სახეზეა ძარცვის მცდელობა გადაზრდილი ყაჩაღობაში<sup>35</sup>.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში მუქარა შეიძლება განხორციელდეს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ან სხვა ფორმით. რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ყაჩაღობის მუხლით დაკვალიფიცირდეს ქმედება, როცა მუქარა განხორციელებულია იარაღის მაკეტით, სისხლის სამართლის ლიტერატურაში საკამათოდ ითვლება. ერთი

---

<sup>35</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის #1117-აპ-08 განაჩენი, სუსგ, 2009, #8, გვ. 58-61.



შეხედულებით, იარაღის მაკეტიტ მუქარის განხორციელებისას ქმედება ყაჩაღობის მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს<sup>36</sup>, ვინაიდან ყაჩაღობის შემადგენლობის ნიშანია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში როგორც ძალადობა, ისე ასეთი ძალადობის მუქარა. აღნიშნული შეხედულების წარმომადგენელთა მოსაზრებით, არ არის აუცილებელი, რომ მუქარა იყოს რეალური თავდამსხმელის მიერ გამოყენებული იარაღის ვარგისიანობის თვალსაზრისით, რადგან სსკ-ის 151-ე მუხლში მოცემული მუქარის ზოგადი შემადგენლობის მიხედვით, პირის დასჯისთვის სრულიად საკმარისად მიიჩნევა მოკვლის ან სხეულის დაზიანების მუქარა, რომელიც დაზარალებულს უჩენს საფუძვლიან შიშს, მიუხედავად მუქარის რეალურობისა და იმისა, აპირებდა თუ არა დამმუქრებელი მუქარის რეალიზაციას. თუ დასჯადია ასეთი მუქარა ზოგადად, მიზანშეუწონელია მუქარას მივანიჭოთ უფრო მეტი შინაარსობრივი დატვირთვა ყაჩაღობისას, როცა დაზარალებული იმყოფება ექსტრემალურ ვითარებაში და მოკლებულია შესაძლებლობას, არკვიოს, თავდამსხმელის მიერ გამოყენებული იარაღი ნამდვილია თუ არანამდვილი<sup>37</sup>. აღნიშნული მოსაზრების ავტორი

<sup>36</sup> *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 492; *ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ.*, პასუხისმგებობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი), თბ., 1999, გვ. 33; *სულაქველიძე დ.*, არანამდვილი (უვარგისი) იარაღით განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ძალადობის საკითხის გარკვევისათვის სისხლის სამართალში, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი, 2016, #2, გვ. 16, [www.dgstz.de](http://www.dgstz.de).

<sup>37</sup> *სულაქველიძე დ.*, არანამდვილი (უვარგისი) იარაღით განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ძალადობის საკითხის გარკვევისათვის სისხლის სამართალში, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი, 2016, #2, გვ. 16, [www.dgstz.de](http://www.dgstz.de); *სულაქველიძე დ.*, იარაღის გამოყენებით განხორციელებული ძალადობრივი ქმედების კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი, 2016, #3, გვ. 7, 10-11, [www.dgstz.de](http://www.dgstz.de).

საკითხის განხილვისას მიმართავს როგორც სისტემური, ისე შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდს, ქართული სსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობას ადარებს ქართული და გერმანული სსკ-ებით გათვალისწინებულ შემადგენლობებს, რომელთა განხორციელებისას ადგილი შეიძლება ჰქონდეს ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის გამოყენებას. შედარებით-სამართლებრივი ანალიზის ქრილში განიხილავს გერმანული სსკ-ის 249-ე და 250-ე პარაგრაფებს და ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ამ უკანასკნელ პარაგრაფში ყაჩაღობა იარაღის ან სხვა საშიში საშუალების გამოყენებით, ყაჩაღობის დამამძიმებელ გარემოებადაა გათვალისწინებული<sup>38</sup>, რაც იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ თუ ყაჩაღობის დროს იარაღის გამოყენება დამამძიმებელი გარემოებაა, იარაღის გამოყენების გარეშე თავდასხმა ყაჩაღობის ტიპურ შემთხვევას წარმოადგენს.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მოჩვენებითი იარაღით თავდასხმას მართლაც აკვალიფიცირებენ ყაჩაღობის მუხლით მაშინ, თუ აღნიშნულ ქმედებას საშიშად აღიქვამს დაზარალებული. თუ დაზარალებულმა აღნიშნული ქმედება სერიოზულად არ მიიღო ან საერთოდ არ შეამჩნია მუქარა, გამოირიცხება ქმედების კვალიფიკაცია ყაჩაღობის მუხლით<sup>39</sup>.

გასათვალისწინებელია ის, რომ გერმანული სსკ-ის 249-ე პარაგრაფში ყაჩაღობის შემდგენლობაში მითითებულია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის იმნუთიერი საფრთხის არსებო-

<sup>38</sup> *სულაქველიძე დ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 18. იგივე შეხედულება ასევე იხ. *Eisele J.*, *Strafrecht*, BT II, *Eigentumsdelikte und Vermögensdelikte*, 5. Aufl., Stuttgart 2019, S. 108, Rn. 315. თუმცა, აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მსხვერპლის მცდარი მოლოდინი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებით არ მიიჩნევა საკმარისად ყაჩაღობის განსახორციელებლად. *Eisele J.*, *ebenda*, S. 113, Rn. 328.

<sup>39</sup> *Heinrich B.*, in: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf*, *Strafrecht*, BT, *Lehrbuch*, 4. Aufl., 2021, S. 459, §17 Rn. 8; *Schramm E.*, *Strafrecht*, BT II, *Eigentums- und Vermögensdelikte*, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 106, §4 Rn. 25.

ბის აუცილებლობაზე. თუმცა, აღნიშნული საკითხის განხილვისას, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს ის საკითხი, რომ ქართულისგან განსხვავებით, გერმანული სსკ-ი ძარცვის დამოუკიდებელ შემადგენლობას არ ითვალისწინებს, ვინაიდან ქურდობა არა მხოლოდ ფარულ, არამედ აშკარა ქმედებასაც გულისხმობს და ის, რაც ქართულ სსკ-ში ცალკე შემადგენლობად არსებობს, ქურდობის შემადგენლობაშია შერწყმული. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველი საკითხის გასარკვევად არ გამოგვადგება ქართული სსკ-ის შედარება გერმანულთან, რამეთუ ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ძარცვის და ყაჩაღობის შემადგენლობებს შორის არსებობს სრულიად განსხვავებული ურთიერთმიმართება, რაც უწინარეს ყოვლისა, განპირობებულია იმით, რომ ქართული სსკ ძარცვის დამოუკიდებელ შემადგენლობას ითვალისწინებს, რომლის კვალიფიცირებული შემადგენლობა ყაჩაღობის შემადგენლობისგან განსხვავებით, არ მოითხოვს ისეთი ძალადობის და მუქარის გამოყენებას, რომელიც სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისთვისაა საშიში (178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტი).

მეორე მოსაზრებით უვარგისი იარაღის გამოყენებით თავდასხმისას ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ძარცვის მუხლით<sup>40</sup>. წინამდებარე ტექსტის ავტორიც სწორედ ამ მოსაზრებას უჭერს მხარს, მაგრამ იმ დათქმით, რომ თავდასხმის დროს გამოყენებული იარაღის უვარგისობა უნდა უკავშირდებოდეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის რეალური საშიშროების გამორიცხვას. თუ უვარგისი იარაღის გამოყენების მიუხედავად სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ან

<sup>40</sup> *გამყრელიძე თ.*, უვარგისი იარაღით თავდასხმა სხვისი ქონების დაუფლებისათვის, წიგნში: ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, თბ., 1998, გვ. 209-212; *ებრაღიძე თ.*, წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 86; *კვარაცხელია რ.*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიკაცია, თბ., 2015, გვ. 135.

ასეთი ძალადობის მუქარა მაინც განხორციელდა, ბუნებრივია, ქმედება დაკვალიფიცირდება ყაჩაღობის და არა ძარცვის მუხლით, ვინაიდან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის ან ასეთი ძალადობის მუქარის განხორციელება იარაღის გარეშეც არის შესაძლებელი. იარაღის ვარგისიანობის საკითხი მხოლოდ მაშინ იქნება გასათვლისწინებელი, როცა თავდამსხმელი თავდასხმისას დაზარალებულს გარკვეულ მოთხოვნას უყენებს (ფულს ან მაგალითად, ძვირფასეულობას სთხოვს) და იმის საჩვენებლად, რომ თითქოს შეიარაღებულია და მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობისას რეალური საფრთხე ემუქრება მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ახდენს იარაღის მაკეტის დემონსტრირებას, რომელიც დაზარალებულს ნამდვილი ჰგონია. აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება მოვიხმოთ შემდეგი შემთხვევა: „თ“ დაუკავშირდა თავის თანაკლასელ „ლ“-ს, რომლებმაც იცოდნენ პენსიონერ „ა“-ზე პენსიის და დახმარების გაცემის შესახებ და განიზრახეს მასზე თავდასხმა ქონებრივი სარგებლობის მიღების მიზნით. „თ“ და „ლ“ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად შეიარაღდნენ ცეცხლსასროლი იარაღის იმიტაციის მიზნით სანადირო თოფის ლულის მსგავსი ლითონის მილით და ნილაბაფარებულები თავს დაესხნენ „ა“-ს, შეიჭრნენ ამ უკანასკნელის საძინებელ ოთახში, ლოგინზე მწოლიარეს თავს გადააფარეს საბანი, მთელი ძალით დაანჯნენ მუცლისა და კისრის არეში და მოსთხოვეს ფულის შესანახი ადგილის დასახელება. „ა“-მ ბოროტმოქმედებს დაუსახელა თუ სად ინახავდა ფულს. მას შემდეგ, რაც „თ“ და „ლ“ დაეუფლნენ ფულად თანხას, „ა“-ს თავში მუშტი ჩაართყეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. მოცემულ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდა ყაჩაღობად, მიუხედავად იმისა, რომ თავდასხმის დროს გამოყენებულ იქნა არა ნამდვილი იარაღი, არამედ სანადირო თოფის ლულის მსგავსი ლითონის მილი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პრაქტიკაში ზოგჯერ უჭირთ

ძარცვის და ყაჩაღობის გამიჯვნა და ქმედებას, რომელიც ყაჩაღობას წარმოადგენს, ძარცვის მუხლით აკვალიფიცირებენ<sup>41</sup>, რაც იმით არის განპირობებული, რომ ძარცვის და ყაჩაღობის შემადგენლობები ერთმანეთთან ახლოს დგას. ზოგიერთი ტიპის აგრესიულ ქმედებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც ძარცვის, ისე ყაჩაღობის დროს. ასეთია ცემა, დარტყმა, რაც ფიზიკურ ტკივილს იწვევს. თუ აღნიშნულ ქმედებას არ მოჰყვა ჯანმრთელობის დაზიანება და ქმედება თუ არ ქმნიდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხეს, ქმედება მხოლოდ ძარცვის მუხლით დაკვალიფიცირდება, მაგრამ თუ ქმედებამ ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია და საფრთხეს ქმნიდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, ქმედება უნდა შეფასდეს როგორც ყაჩაღობა<sup>42</sup>.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა თუ გადაიზარდა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფაში ქმედება დანაშაულთა ერთობლიობის წესით უნდა დაკვალიფიცირდეს. კერძოდ, სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევაში როგორც 179-ე, ისე 109-ე (მკვლელობა ანგარებით) მუხლით, ვინაიდან ისევე როგორც ყაჩაღობა არ მოიცავს სხვისი სიცოცხლის ხელყოფას, არც მკვლელობის შემადგენლობა მოიცავს ყაჩაღობის შემადგენლობას<sup>43</sup>. დაზარალებულის მკვლელობა შეიძლება მოჰყვეს დაზარალებულის მიერ ბოროტმოქმედისთვის ნივთის დაუფლების დროს განეულ წინააღმდეგობას. მკვლელობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სწორედ აღნიშნული წინააღმდეგობის დაძლევის შედეგად. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკიდან შეიძლება მოვიხმოთ

<sup>41</sup> *ებრალიძე თ.*, წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 75-78.

<sup>42</sup> *ებრალიძე თ.*, ყაჩაღობა თუ ძარცვა ძალადობით?, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2005, #1, გვ. 80.

<sup>43</sup> *ნაჭყებია გ.*, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ., 2010, გვ. 71.

შემდეგი შემთხვევა: „ჯ“-მ და „გ“-მ გადანყვიტეს 81 წლის „ჟ“-ს ბინის დაყაჩაღება. ამ მიზნით იმავე დღეს „ჯ“-მ და „გ“-მ დააზიანეს საერთო საცხოვრებლის ერთ-ერთი მიტოვებული ბინის ფანჯრის გისოსი და ამ ბინის გავლით შევიდნენ სადარბაზოში, შემდეგ ძალის გამოყენებით გააღეს „ჟ“-ს საცხოვრებელი ბინის კარი და ფულადი თანხის მოთხოვნით თავს დაესხნენ 81 წლის მოხუცს, რომელმაც თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია. „ჯ“-მ და „გ“-მ მრავლობითი, სიცოცხლისათვის საშიშვლო დაზიანებები მიაყენეს „ჟ“-ს თავისა და ტანის არეში, კერძოდ, სისხლნაჟღენთები – შუბლის, საფეთქლისა და ორივე თვალბუდის მიდამოში, მარჯვენამხრივი ნეკნების მრავლობითი მოტეხილობები, დაზიანებები პლევრისა და მარჯვენა ფილტვის არეში, მრავლობითი სისხლჩაქცევები თავში, ქალატკინის მიდამოებში. მიღებული დაზიანებებით „ჟ“-ი ადგილზე გარდაიცვალა. „ჯ“ და „გ“ დაეუფლნენ 600 ლარს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. სასამართლოს შეფასებით „ჯ“-მ და „გ“-მ ჩაიდინეს განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში – ანგარებით, ჯგუფურად; ასევე – ყაჩაღობა, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით<sup>44</sup>.

ყაჩაღობის და მკვლელობის მუხლებით, დანაშაულთა ერთობლიობით ქმედების კვალიფიკაციისას გასათვალისწინებელია ის, თუ როდის განხორციელდება მკვლელობა და რა მიზნით. თუ მკვლელობა მოხდა თავდასხმის მიმდინარეობისას, სახეზე იქნება ყაჩაღობა და ანგარებით მკვლელობა, მაგრამ თუ მკვლელობა განხორციელდა ყაჩაღობის დასრულების შემდეგ იმ მიზნით, რომ ბოროტმოქმედმა დაფაროს მის მიერ ჩადენილი დანაშაული, მკვლელობა ჩადენილი იქნება არა ან-

<sup>44</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება #299აპ-18.

გარებით, არამედ დანაშაულის დაფარვის მიზნით. ყაჩაღობა და დანაშაულის დაფარვის მიზნით მკვლელობა იქნება განხორციელებული მაშინაც, როცა მკვლელობა განხორციელდება თავდასხმის მიმდინარეობისას იმის გამო, რომ დაზარალებულმა ბოროტმოქმედს ნილაბი ჩამოხსნა და იცნო. ყაჩაღობის დროს შეიძლება აგრეთვე ადგილი ჰქონდეს მკვლელობას ყაჩაღობის გაადვილების მიზნით, რაც ასევე მოითხოვს ქმედების კვალიფიკაციას 179-ე და 109-ე მუხლებით. თუკი ანგარებით შეიძლება მოკლულ იქნას უშუალოდ ყაჩაღობის მსხვერპლი, ყაჩაღობის გაადვილების მიზნით მკვლელობის მსხვერპლი შეიძლება იყოს არა ის, ვისზეც უნდა განხორციელდეს ყაჩაღობა, ვინაიდან ყაჩაღობის ჩადენა მსხვერპლად ცოცხალ ადამიანს მოითხოვს, არამედ სხვა პირი, ვინც შეიძლება ხელი შეუშალოს ყაჩაღობის განხორციელებას. მკვლელობის მსხვერპლს არა ყაჩაღობის უშუალო მსხვერპლი, არამედ სხვა პირი შეიძლება წარმოადგენდეს მაშინაც, როცა მკვლელობა განხორციელებულია ყაჩაღობის დაფარვის მიზნით, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ უკვე განხორციელებული ყაჩაღობის დაფარვის მიზნით მკვლელობის მსხვერპლი იყოს აგრეთვე ყაჩაღობის უშუალო მსხვერპლი, ვისზეც ყაჩაღური თავდასხმა განხორციელდა.

რაც შეეხება ქმედების კვალიფიკაციას ჯანმრთელობის მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანების დროს, ლიტერატურაში არაერთგვაროვან შეხედულებებს წარმოშობს. ერთი მოსაზრებით ჯანმრთელობის როგორც მსუბუქი, ისე ნაკლებად მძიმე და მძიმე დაზიანების შემადგენლობებს მოიცავს ყაჩაღობის შემადგენლობა და არ ქმნის ერთობლიობის წესით ქმედების კვალიფიკაციის საჭიროებას<sup>45</sup>. თუმცა, მეორე მოსაზრებით, ყაჩაღობის დროს სხეულის მძიმე დაზიანებისას ქმედ-

<sup>45</sup> *ებრალიძე თ.*, წიგნი: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 79.

ბა დანაშაულთა ერთობლიობით უნდა დაკვალიფიცირდეს<sup>46</sup>, როგორც 179-ე, ისე 117-ე მუხლითაც<sup>47</sup>. აღნიშნული მოსაზრება ეფუძნება იმ არგუმენტს, რომ სსკ-მა ყაჩაღობის მუხლიდან ამოიღო ისეთი მაკვალიფიცირებელი გარემოება, როგორიცაა ყაჩაღობით გამონწვეული დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება<sup>48</sup>. თუმცა, საკითხის ასეთი გადანყვეტა საკამათოდ მიიჩნევა იმ მოსაზრებით, რომ საკუთვრივ ყაჩაღობის შემდგენლობა მოიცავს სიცოცხლისთვის საშიშ ძალადობას<sup>49</sup>, რასაც ადგილი შეიძლება ჰქონდეს ყაჩაღობის დროს, რომელსაც მოსდევს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. 117-ე მუხლის მიხედვით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ისეთ დაზიანებასაც მოიცავს, რომელიც სიცოცხლისთვის საშიშია.

მესამე მოსაზრებით, დანაშაულთა ერთობლიობით უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება არა მხოლოდ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისას, არამედ ასევე ნაკლებად მძიმე და მსუბუქი დაზიანების შემთხვევაშიც<sup>50</sup>, რაც მით უფრო საკამათოა, ვინაიდან თუ ყაჩაღობა მოიცავს სიცოცხლისათვის საშიშ დაზიანებას, მოიცავს ისეთ დაზიანებასაც, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისთვის.

---

<sup>46</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, I ნაწილი, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 491.

<sup>47</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 146, 491.

<sup>48</sup> ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი), თბ., 1999, გვ. 32; კვარაცხელია რ., საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიკაცია, თბ., 2015, გვ. 159-160.

<sup>49</sup> *ებრალიძე თ.*, ყაჩაღობა თუ ძარცვა ძალადობით?, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2005, #1, გვ. 81.

<sup>50</sup> სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2007, გვ. 87; კვარაცხელია რ., საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიკაცია, თბ., 2015, გვ. 160-161.



სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა დანაშაულთა ერთობილით კვალიფიცირდება ქმედება, როდესაც ყაჩაღობის ამსრულებელი დაზარალებულს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებას აყენებს (179-ე და 118-ე მუხლებით). ამ თვალსაზრისით საყურადღებოა შემდეგი შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სასამართლო პრაქტიკაში: მსჯავრდებულმა (ი.ბ-ე) თანამზრახველთან ერთად გააჩერა და ჩაჯდა ა/მანქანაში, რომლის მძღოლს მოსთხოვა წაეყვანა ისინი. ი.ბ-ე-მ ა/მანქანაში მძღოლზე მოახდინა შეიარაღებული თავდასხმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, ყელის არეში მიაბჯინა დანა, ხოლო გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ მანქანის უკანა სავარძელზე მჯდომმა თანამზრახველმა თავის არეში ჩაართყა საგანი და აიძულებდა მანქანიდან გადასულიყო. განუული წინააღმდეგობის გამო მძღოლს მიაყენა ნაკვეთი ჭრილობები – მარცხენა მტევნის არეში, პირველი თითის გამშლელი მყესების და ნება ფალანგის სახსრის სასახსრე ჩანთის დაზიანება, ნაკვეთი ჭრილობები – მარცხენა ლოყის და მარჯვენა მტევნის მეორე თითის არეში, ნაჩხვლეტი ჭრილობა – მუცლის მარცხენა გვერდით ზედაპირზე, ექსკორიაციები თხემის არეში, რაც მიეკუთვნება დაზიანებათა ნაკლებად მძიმე ხარისხს, რასაც შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა. მძღოლმა მოახერხა, ჩაერთო მანქანაში დამცავი მექანიზმი, რის შემდეგ გადმოვიდა ა/მანქანიდან და გაიქცა, მაგრამ ისინი დაედევნენ და დანის მუქარით აიძულებდნენ გადაეცა მათთვის ა/მანქანის გასაღები, მაგრამ ვერ შეძლეს, რადგან პოლიციის მუშაკების დანახვაზე ისინი მიიმალნენ<sup>51</sup>. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ყაჩაღობის ორი მაკვალიფიცირებელი გარემოება: ყაჩაღობა ჯგუფურად და ყაჩაღობა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ. მართალია, ბოროტმოქმე-

<sup>51</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე #818აპ-18.

დებმა ვერ შეძლეს ა/მანქანის დაუფლება, მაგრამ აღნიშნულის მიუხედავად, მაინც სახეზეა დასახელებული მაკვალიფიცირებელი გარემოება, ვინაიდან ყაჩაღობა უშედეგო, ფორმალური დანაშაულია და ყაჩაღობის შემადგენლობის სრულად განსახორციელებლად საკმარისია თავდასხმის განხორციელება და დაზარალებულისთვის მოთხოვნის წაყენება ნივთის გადაცემასთან დაკავშირებით. ყაჩაღობის დროს ჯანმრთელობის დაზიანებისას ქმედების დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციაზე სასამართლო პრაქტიკა არ გამოირჩევა ერთგვაროვანი მიდგომით და არის შემთხვევები, როცა ქმედება ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად არ კვალიფიცირდება, მიუხედავად იმისა, რომ ყაჩაღობას აღნიშნული შედეგი მოჰყვა<sup>52</sup>.

ყაჩაღობა მიეკუთვნება შეკვეცილ აბსტრაქტულ საფრთხის შემქმნელ დელიქტებს<sup>53</sup>, ვინაიდან ყაჩაღობის დროს საფრთხე ექმნება საკუთრებას და მსხვერპლის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. ყაჩაღობის ფაქტობრივად დამთავრებისთვის არ არის საჭირო როგორც საკუთრების, ისე სიცოცხლის და ჯანმრთელობის ხელყოფა, როცა ყაჩაღობა ხორციელდება მხოლოდ სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის მუქარის გამოყენებით. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ადგილი ჰქონდეს ჯანმრთელობის მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქ დაზიანებას, ისევე როგორც ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, საჭირო იქნება ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობის წესით. მიუხედავად იმისა, გამოიწვევს თუ არა ყაჩაღობა დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანებას, ყაჩაღობა მაინც რჩება საფრთხის შემქმნელ დელიქტად.

---

<sup>52</sup> ამ საკითხზე ცოტა გვემოთ გვექნება მსჯელობა.

<sup>53</sup> *უგრეხელიძე მ.*, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 19; *ცქიტიშვილი თ.*, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 74-76.

ყაჩაღობა იმიტომ მიეკუთვნება არა კონკრეტულ, არამედ აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებს, რომ მოსამართლეს არ უნევს სამართლებრივი სიკეთისთვის კონკრეტული, რეალური საფრთხის შექმნის დადგენა. მართალია, მოსამართლემ უნდა დაადგინოს ის, რომ ადგილი ჰქონდა სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის ან ასეთი ძალადობის გამოყენებას, მაგრამ აქ საქმე ეხება არა სამართლებრივი სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნის დადგენას, არამედ დანაშაულის ხერხის დადგენას. თუმცა, ყაჩაღობის განხორციელება არ გამოირიცხავს დაზარალებულის მიმართ კონკრეტული საფრთხის შექმნას. ყაჩაღობა კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტი მაშინ იქნებოდა, თუ მოსამართლეს ქმედების ყაჩაღობად კვალიფიკაციითვის მოუწევდა მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და ქმედებით სამართლებრივი სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნას შორის, მაგრამ ასეთი ვალდებულება მოსამართლეს არ ეკისრება, რაც ყაჩაღობის შემადგენლობის საკანონმდებლო აღწერილობიდან გამომდინარეობს.

## 2. სუბიექტური შემადგენლობა

### 2.1. განზრახვა

ყაჩაღობა განზრახი დანაშაულია. ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრებით, იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით<sup>54</sup>. მოქმედ პირს გაცნობიერებული აქვს, რომ ახორციელებს თავდასხმას და, როგორც წესი, სურს კიდევაც აღნიშნული ქმედების განხორციელება. თუმცა, გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზ-

<sup>54</sup> ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი), თბ., 1999, გვ. 34.

რებით ყაჩაღობა შეიძლება განხორციელდეს არაპირდაპირი განზრახვითაც<sup>55</sup>, რაც მეტად საკამათოა.

განზრახვით მოცული უნდა იყოს ყაჩაღობის ობიექტური შემადგენლობის ნიშნები. ეს შეეხება ქმედებას და იმ დანაშაულებრივ ხერხს, რომელსაც ბოროტმოქმედი იყენებს ყაჩაღობის განსახორციელებლად. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ მისი ქმედება საშიშია სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის. შეიძლება დამნაშავეს არასწორი წარმოდგენა ჰქონდეს დანაშაულის ხერხთან დაკავშირებით, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს შეცდომას დანაშაულის იარაღზე. მაგალითად, ფიქრობდეს, რომ იარაღი, რომელსაც თავდასხმის დროს იყენებს, ვარგისია, თუმცა იყოს უვარგისი. ასეთ დროს ქმედება ობიექტური გარემოებების მიხედვით უნდა შეფასდეს. თუ ქმედება ობიექტურად არ ქმნიდა საფრთხეს ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის, საშიშად ვერ იქნება მიჩნეული მხოლოდ მოქმედი პირის წარმოდგენის საფუძველზე.

სწორი არ არის ის, რომ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ყაჩაღობის განზრახვის შინაარსის გარკვევისას ავტორები ისეთი ობიექტური ნიშნებისადმი დამოკიდებულებაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომელიც არ წარმოადგენს ყაჩაღობის შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს ან საერთოდ სცდება შემადგენლობის ფარგლებს. ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, რომ „განუსაზღვრელი განზრახვის შემთხვევაში, დანაშაულებრივი შედეგი დამნაშავეს შეგნებაში არ არის აღქმული. მაგალითად, ყაჩაღობის დროს პირს არა აქვს წარმოდგენილი, თუ რა ღირებულების ან რა ხარისხით დააზიანებს დაზარალებულს მძიმედ, ნაკლებად მძიმედ, მსუბუქად თუ დაზიანება გამოიწვევს სიკვდილს“<sup>56</sup>. ჩნდება კითხვა, თუ დამნაშავეს შეგნე-

<sup>55</sup> Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Aufl., 2018, §249 Rn. 5.

<sup>56</sup> კვარაცხელია რ., საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიკაცია, თბ., 2015, გვ. 153.

ბაში არ არის აღქმული შედეგი თუნდაც როგორც ერთ-ერთი შესაძლო რეზულტატი, რომელიც შეიძლება მოჰყვეს განხორციელებულ ქმედებას, როგორ შეიძლება ვისაუბროთ განზრახვაზე აღნიშნული შედეგის მიმართ? გარდა ამისა, ავტორი ისე მსჯელობს, თითქოს ჩამოთვლილი შედეგები ყაჩაღობის შემადგენლობის აუცილებელ ნიშნებს წარმოადგენდნენ. მართალია, თუ ყაჩაღობას მოჰყვა დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანება, როგორც უკვე აღინიშნა, ქმედება ერთ-ერთი მოსაზრებით მაინც მხოლოდ ყაჩაღობის მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს, ვინაიდან ყაჩაღობისთვის დამახასიათებელი სიცოცხლისთვის საშიში ძალადობა ჯანმრთელობის დაზიანებას მოიცავს, მაგრამ ამის მიუხედავად ყაჩაღობის განზრახვასთან დაკავშირებული ასეთი მსჯელობა მაინც არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ყაჩაღობა შეიძლება ჯანმრთელობის დაზიანების გარეშეც განხორციელდეს, როცა დამნაშავე ყაჩაღობის ჩასადენად მხოლოდ მუქარას იყენებს. ამასთან ერთად არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ მკვლელობა ვერანაირად ვერ ჩაითვლება ყაჩაღობის შემადგენლობით მოცულ შედეგად და რაც შეტად მნიშვნელოვანია, ყაჩაღობა ფორმალურ, შედეგგარეშე დანაშაულებს მიეკუთვნება. ამდენად, გაუგებარია, ყაჩაღობის განზრახვის განხილვა ყაჩაღობის შემადგენლობის მიღმა მდგომი შედეგისადმი დამოკიდებულების მიხედვით.

ვინაიდან ყაჩაღობის განხორციელება შესაძლებელია წინასწარ შეუთანხმებელი ჯგუფის მიერ, ეს იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ მისი ჩადენა შესაძლებელია არა მხოლოდ წინასწარ ჩამოყალიბებული (მოფიქრებული), არამედ უცრად აღმოცენებული განზრახვითაც. აქედან გამომდინარე არ არის გასაზიარებელი ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ თითქოს ყაჩაღობის ჩამდენი ჯერ უნდა მოემზადოს მის ჩასადენად და შემდეგ უნდა გაუკეთოს რეალიზაცია

განზრახვას<sup>57</sup>. აღნიშნული მოსაზრება მაშინ იქნებოდა გასაზიარებელი, თუ ყაჩაღობის ჩადენა შეუძლებელი იქნებოდა წინასწარშეუთანხმებელი ჯგუფის მიერ. ყაჩაღობა რომ წინასწარშეუთანხმებელი ჯგუფის მიერ შეიძლება განხორციელდეს, ნიშნავს, იმას, რომ ყაჩაღობა ყოველთვის არ გადის მომზადების სტადიას და შეიძლება განხორციელდეს უეცრად აღმოცენებული განზრახვითაც.

## 2.2. მიზანი

ყაჩაღობა არის გამიზვნიითი ანუ მიზნით დაფუძნებული დელიქტი, სადაც ქმედების შემადგენლობის ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებს შორის დისპროპორცია არსებობს სუბიექტური ნიშნების სასარგებლოდ. სუბიექტური ნიშნები სჭარბობს ობიექტურს<sup>58</sup>. ყაჩაღობა გულისხმობს სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით განხორციელებულ ქმედებას. გამიზნული მისაკუთრება ობიექტურად მართლსაწინააღმდეგო უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოროტმოქმედს არ უნდა ჰქონდეს ნივთთან დაკავშირებით შეწინააღმდეგების (შედავების) უფლება. მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებით სუბიექტური თვალსაზრისით, გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, სულ მცირე, ევენტუალური განზრახვა უნდა იყოს სახეზე. საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როცა ნივთის გამთხოვებელი (დროებით გამცემი) თვითნებურად აიღებს მას<sup>59</sup>. მაგალითად, „ო“-მ უნდა გადასცეს „ტ“-ს ველოსიპედი, მაგრამ „ო“ ამას არ ასრულებს. შემდეგ „ტ“ მიდის „ო“-თან, დაარტყამს ისე, რომ ჯანმრთელობას დაუზიანებს

<sup>57</sup> კვარაცხელია რ., დასახ. ნაშრ., გვ. 152.

<sup>58</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 19.

<sup>59</sup> Eisele J., Strafrecht, BT II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Aufl., Stuttgart 2019, S. 115, Rn. 336.

და წაართმევს ველოსიპედს. ყაჩაღობის ობიექტური შემადგენლობა განხორციელებულია, მაგრამ სახეზე არ არის გამიზნული მისაკუთრების ობიექტური მართლწინააღმდეგობა, ვინაიდან მას ჰქონდა აღნიშნული ნივთის უკან გამოთხოვის უფლება. განხორციელებული ქმედება დასჯადია, მაგრამ არა ყაჩაღობის მუხლით<sup>60</sup>. ანალოგიურად გადანყდება საკითხი ქურდობის შემთხვევაშიც. თუ პირი ფარულად საკუთარ ნივთს გამოიტანს მემობლის სახლიდან, ქურდობის შემადგენლობის არარსებობის გამო<sup>61</sup> გამოირიცხება 177-ე შემადგენლობა და ქმედება თვითნებობით დაკვალიფიცირდება (360-ე მუხ.). ყაჩაღობის დროს, ისევე როგორც ქურდობისას, მისაკუთრების მიზანი უნდა არსებობდეს ქმედების განხორციელებისას.

ყაჩაღობის უმართლობას მიზანი აფუძნებს<sup>62</sup>. აღნიშნული მიზნის გარეშე ყაჩაღობის შემადგენლობა გამოირიცხება. სხვისი მოძრავი ნივთის მისაკუთრება არ არის ყაჩაღობის ობიექტური შემადგენლობის ნიშანი, არამედ გამიზნულია შედეგი, რომელიც ობიექტური შემადგენლობის მიღმაა და მხედველობაში არ მიიღება ყაჩაღობის შემადგენლობის იურიდიულად განსახორციელებლად. თუ ქმედება განხორციელდა არა სხვისი მოძრავი ნივთის მართლწინააღმდეგო მისაკუთრების, არამედ დროებითი გამოყენების მიზნით, ყაჩაღობის შემადგენლობა უნდა გამოირიცხოს. მაგალითად, როდესაც

---

<sup>60</sup> დასახელებული ქმედება გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით ისჯება როგორც იძულება და ჯანმრთელობის დაზიანება (240, 223-ე პარაგრაფები).

<sup>61</sup> აღნიშნულ შემთხვევაში სახეზე არ არის როგორც ობიექტური შემადგენლობის (ვინაიდან საქმე საკუთარ ნივთს ეხება), ისე სუბიექტური შემადგენლობის ნიშნები.

<sup>62</sup> მიზნით დაფუძნებული დელიქტებზე ასევე იხ. *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2013, გვ. 28-30, 378 და შემდგომი; *დვალაძე ი.*, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, გვ. 73 და შემდგომი.

ხდება მობილური ტელეფონის დროებით წართმევა გადაღებული ფოტოსურათების წაშლის მიზნით<sup>63</sup>.

ყაჩაღობის შემადგენლობით გათვალისწინებული მიზნის განხილვისას ზოგიერთი ავტორი აქცენტს აკეთებს მხოლოდ დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზანზე<sup>64</sup>, რომელიც 179-ე მუხლით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებადაა გათვალისწინებული და ავინყდება ქმედების ძირითადი შემადგენლობით (1-ლი ნაწილი) გათვალისწინებული სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი. აქვე უნდა ითქვას, რომ სხვისი ნივთის დაუფლების და მისაკუთრების მიზანი არ არის თანხვედრაში, იმ გაგებით, რომ დაუფლება და მისაკუთრება არ არის იდენტური ცნებები, რამეთუ მისაკუთრება დაუფლების შემდგომი ეტაპია. აქედან გამომდინარე, კანონმდებელს მაკვალიფიცირებელ გარემოებად უნდა გაეთვალისწინებინა დიდი ოდენობით არა დაუფლების, არამედ მისაკუთრების მიზანი, რაც ქმედების ძირითად შემადგენლობასთანაც იქნებოდა შესაბამისობაში.

ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, თუ ქონების დაუფლება მოხდა შურისძიების მიზნით, უნდა გამოირიცხოს ქმედების კვალიფიკაცია ყაჩაღობის მუხლით<sup>65</sup>. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ არ არის გამორიცხული ყაჩაღობის განხორციელება შურისძიების მოტივით. შურისძიების მოტივი არ გამორიცხავს მისაკუთრების მიზანს. ანგარების მოტივი ტიპურია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ

---

<sup>63</sup> Eisele J., Strafrecht, BT II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Aufl., Stuttgart 2019, S. 115, Rn. 335.

<sup>64</sup> კვარაცხელია რ., დასახ. ნაშრ., გვ. 155.

<sup>65</sup> ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., პასუხისმგებლობა ეკონომიკური და-ნაშაულისათვის (კომენტარი), თბ., 1999, გვ. 33-34. ასევე ზ. წულაია მიუთითებდა, რომ ყაჩაღობა ანგარების მოტივით ხასიათდება. იხ. წულაია ზ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, მეორე ტომი, თბ., 2001, გვ. 67.



დანაშაულებში, მათ შორის ყაჩაღობისთვისაც, მაგრამ აღნიშნული დანაშაული შეიძლება არა ანგარების, არამედ სხვა მოტივითაც განხორციელდეს. მისაკუთრების მიზანი და ანგარების მოტივი არ უნდა გავაიგივოთ ერთმანეთთან<sup>66</sup>. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის გარემოება, რომ ანგარების მოტივი არ არის გათვალისწინებული ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობით.

### III. მართლწინააღმდეგობა და ბრალი

რამდენადაც ყაჩაღობის დროს განხორციელებული ძალადობა და მუქარა სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის იმნუთიერ საფრთხეს ქმნის, ბოროტმოქმედის მიერ განხორციელებული ქმედება დაზარალებულისთვის აუცილებელი მოგერიების უფლებას წარმოშობს, განსხვავებით გამოძალვისგან, როდესაც დაზარალებულს შეიძლება არ წარმოეშვას ასეთი უფლება<sup>67</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ყაჩაღობა თავდასხმის დროს არის განხორციელებული, აუცილებელი მოგერიების უფლება შეიძლება არსებობდეს ყაჩაღობის იურიდიულად დამთავრების შემდეგაც, ფაქტიურ დამთავრებამდე<sup>68</sup>. შეიძლება ძალადობა და მუქარა გარკვეული დროის განმავლობაში გაგრძელდეს, მას შემდეგაც, როცა ყაჩაღობა ფორმალურად დასრულებულია. გარდა ამისა, საკუთრებას საფრთხე შეიძლება ექმნებოდეს ყაჩაღობის შემადგენლობის ფორმალურად განხორციელების შემდეგაც.

რაც შეეხება ყაჩაღობის შემადგენლობის ამსრულებლის ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემო-

<sup>66</sup> *გამყრელიძე თ.*, ანგარება თუ მითვისება, მისივე წიგნში: ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსთვის, თბ., 1998, გვ. 234-235.

<sup>67</sup> თუმცა, ეს არ ეხება გამოძალვის ყველა შემთხვევას.

<sup>68</sup> *მჭედლიშვილი-ჭედრიძი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 14.

ებებს, ასეთად შეიძლება განხილულ იქნას უკიდურესი აუცილებლობა, როცა საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად ხორციელდება თავდასხმა სხვისი ნივთის მისაკუთრების მიზნით, ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით. ეს არის შემთხვევა, როცა საკუთარი თავის ან ავადმყოფი ახლობლის თუ სხვა პირის გადასარჩენად მოქმედი პირი თავს ესხმის აფთიაქარს და მედიკამენტს<sup>69</sup> ძალით გამოართმევს ჯანმრთელობისთვის საშიში მუქარის შედეგად. აღნიშნულ შემთხვევაში უკიდურესი აუცილებლობის საფუძველზე ქმედების მართლწინააღმდეგობის გამოსარიცხად უნდა იქნას გათვალისწინებული კონკრეტული გარემოებები. მაგალითად, ჰქონდა თუ არა მედიკამენტის სხვაგვარად მიღების შესაძლებლობა. რამდენად აუცილებელი იყო აღნიშნული ქმედების განხორციელება სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად. იყო თუ არა რეალურ და იმნუთიერ საფრთხეში ის პირი, რომლის გადასარჩენადაც განხორციელდა ქმედება და ა. შ.

განსახილველ საკითხზე საინტერესოა დამნაშავის განიარაღების შემთხვევა, რომელიც თითქოს ჰგავს ყაჩაღობის შემადგენლობის განხორციელებას. დამნაშავის განიარაღების დროს მოქმედი პირის მართლწინააღმდეგობა უნდა გამოირიცხოს, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ბეკანონური გარემოების საფუძველზე<sup>70</sup>. აღნიშნულ შემთხვევაში საქმე ეხება სხვისი ნივთის დაუფლებას, მაგრამ იარაღი არ განიხილება ყაჩაღობის საგნად, ვინაიდან საქმე ეხება ნივთს, რომელიც არ არის თავისუფალ ბრუნვაში, რის გამოც იარაღ-

<sup>69</sup> ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებით საკითხი განიხილება 264-ე მუხლის ფარგლებში, ვინაიდან საქმე ეხება ნივთიერებას, რომელიც არ არის თავისუფალ ბრუნვაში და რომელზეც ვრცელდება სპეციალური რეგულაცია.

<sup>70</sup> *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 319.

თან დაკავშირებით სსკ-ში არსებობს სპეციალური შემადგენლობები (237-ე მუხ.). გარდა ამისა, არ არის მოცემული ისეთი ნიშანი, როგორცაა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, რომლის გარეშეც ყაჩაღობის შემადგენლობა ვერ განხორციელდება. მოქმედი პირი ბოროტმოქმედის იარაღს იმიტომ ეუფლება და განაიარაღებს, რომ აღნიშნული იარაღი გადასცეს შესაბამის ორგანოებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიარაღებული პირის განიარაღება ვერ ჩაითვლება მართლზომიერ აქტად და იქცევა მართლსაწინააღმდეგო ქმედებად. ის, რომ განიარაღება ხდება იარაღის შესაბამისი ორგანოებისთვის გადაცემის მიზნით, ნიშნავს იმას, რომ სახეზე არ არის მისაკუთრების მიზანი.

მიუხედავად იმისა, რომ ყაჩაღობის დროს ძალადობა უმოქმედობითაც შეიძლება განხორციელდეს, ყაჩაღობის დროს ქმედების ამსრულებლის მართლწინააღმდეგობის გამოსარიცხად რეღევანტურად ვერ ჩაითვლება ისეთი გარემოება, როგორცაა მოვალეობათა კოლიზია, რომელიც უმოქმედობით განხორციელებულ დელიქტებთან მიმართებით გამორიცხავს მართლწინააღმდეგობას. არც დამნაშავეს შეპყრობა არის ყაჩაღობისთვის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება, ყაჩაღობის შემადგენლობით დაცული სიკეთის გათვალისწინებით.

ბრალის გამომრიცხველი გარემოებები სპეციფიურობით არ ხასიათდება ყაჩაღობასთან მიმართებით.

#### **IV. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი**

სსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები შეიძლება დაიყოს ობიექტური და სუბიექტური ხასიათის დამამძიმებელ გარემო-

ებებად. სუბიექტური ხასიათისაა არაერთგზისობა, რეციდივი (ყაჩაღობა იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლავი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის) და ყაჩაღობა დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, ხოლო ობიექტური ხასიათის გარემოებებს მიეკუთვნება: ყაჩაღობა სადგომში ან საცავში უკანონო შეღწევით, ჯგუფურად, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, ბინაში უკანონო შეღწევით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ. ობიექტური ხასიათის მაკვალიფიცირებელი გარემოებები ამძიმებენ უმართლობის ხარისხს და დაკავშირებული არიან მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან. დასახელებული გარემოებები თანაამსრულებლებს და თანამონაწილეებს თანაბრად შეერაცხებათ ცოდნის და გაცნობიერების საფუძველზე. ხოლო სუბიექტური ხასიათის მაკვალიფიცირებელი გარემოებები არ განიხილება უმართლობის დამამძიმებელ გარემოებად და მათი შეერაცხვა ხდება პერსონალურად, იმის მიხედვით, ვის მხარესაც არის იგი.

როცა სახეზეა ყაჩაღობისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ერთზე მეტი გარემოება, ჩნდება კითხვა, თუ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება? კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობის წესით, თუ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს იმ პუნქტით, რომელიც ყველაზე უფრო მძიმე მაკვალიფიცირებელ გარემოებას ითვალისწინებს? გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, ასეთ დროს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს და სასჯელი განისაზღვროს 179-ე მუხლის ყველაზე მძიმე ნაწილით. მაგალითად, თუ სახეზეა ისეთი დამამძიმებელი გარემოებები, როგორიცაა ყაჩაღობა, ჩადენილი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით, ყაჩაღობა, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით და ყაჩაღობა ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ქმედება უნდა დაკვალიფიცირ-

დეს სწორედ ამ უკანასკნელი გარემოების მიხედვით<sup>71</sup>. აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი, ვინაიდან თითოეული პუნქტი ითვალისწინებს დამოუკიდებელ შემადგენლობას და ქმედების კვალიფიკაციის დროს მოითხოვს გათვალისწინებას. ის რომ ერთზე მეტი მაკვალიფიცირებელი გარემოების არსებობისას ქმედება დანაშაულთა ერთობლიობის წესით კვალიფიცირდება, გამომდინარეობს სსკ-ის მე-16 მუხლის შინაარსიდან, რომლის თანახმადაც, „დანაშაულთა ერთობლიობად ითვლება აგრეთვე ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც შეიცავს ამ კოდექსის ორი ან მეტი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ნიშნებს“.

თუმცა, არსებობს ისეთი შემთხვევაც, როცა ფორმალურად სახეზეა ერთზე მეტი მაკვალიფიცირებელი გარემოების ნიშნები, მაგრამ კვალიფიკაციის დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ ერთი გარემოება, ვინაიდან ის შინაარსობრივად მოიცავს სხვა გარემოების ნიშნებსაც. მაგალითად, ცალცალკე არის გათვალისწინებული ყაჩაღობა ჯგუფურად და ყაჩაღობა ორგანიზებული ჯგუფის მიერ. ორივე შემთხვევაში საქმე ეხება ჯგუფურად, თანამსრულებლობით განხორციელებულ ყაჩაღობას. ჯგუფური ყაჩაღობა შეიძლება გულისხმობდეს როგორც წინასწარი შეთანხმების გარეშე, ისე წინასწარი შეთანხმებით მოქმედ ჯგუფს. 27-ე მუხლი თავის მხრივ, ერთმანეთისგან მიჯნავს წინასწარი შეთანხმებით მოქმედ და ორგანიზებულ ჯგუფსაც, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზებული ჯგუფის წევრები წინასწარი შეთანხმებით მოქმედებენ. თუმცა, ორგანიზებული ჯგუფის მოქმედებისას ჯგუფს ჰყავს ორგანიზატორი, ხელმძღვანელი, ხოლო წინასწარი შეთანხმებით მოქ-

<sup>71</sup> სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2007, გვ. 87; *ნაჭყებია გ.*, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ., 2010, გვ. 254.

მედ არაორგანიზებულ ჯგუფს ასეთი სტრუქტურული იერარქია არ ახასიათებს. გარდა ამისა, ორგანიზებული ჯგუფი შეიძლება ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად შეიქმნას და მეტი სიმყარითაც გამოირჩევა. შესაბამისად, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ყაჩაღობის დროს, კვალიფიკაცია უნდა მოხდეს მხოლოდ იმ პუნქტით, რომელიც დასახელებულ გარემოებას ითვალისწინებს.

**1. იგივე ქმედება, ჩადენილი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით (მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი)**

ყაჩაღობა სადგომში ან საცავში უკანონო შეღწევით განხორციელებულად ჩაითვლება თუ თავდასხმა განხორციელდა საცავში ან სადგომში უკანონო, უნებართვო შეჭრის დროს. ყაჩაღობა სადგომში ან საცავში უკანონო შეღწევით განხორციელებულად ვერ ჩაითვლება თუ სადგომში ან საცავში შესვლა კანონიერად მოხდა და შემდგომ განხორციელდა თავდასხმა. სადგომად ითვლება ის, რაც საცხოვრებლად არ არის განკუთვნილი, მაგრამ გამოიყენება სხვა დანიშნულებით. მაგალითად, ბანკი, მუზეუმი, რესტორანი, სუპერმარკეტი და ა. შ. საცავი გამოიყენება შესანახად. საცავად შეიძლება ჩაითვალოს ავტოფარეხი, ბელელი და სხვა. აღნიშნული გარემოება იმიტომ იწვევს პასუხისმგებლობის დამძიმებას, რომ ერთი მხრივ, ადგილი აქვს დანაშაულის ჩადენის დროს გარკვეული წინააღმდეგობის გადალახვას უნებართვო შეღწევის თვალსაზრისით და მეორე მხრივ, თავდასხმის ადგილის გათვალისწინებით, შეიძლება საფრთხე შეექმნას ერთზე მეტ ადამიანს.

ვინაიდან ყაჩაღობა გულისხმობს თავდასხმას და დანაშაული იურიდიულად თავდასხმისას დამთავრებულია, სადგომში, საცავში თუ ბინაში შეღწევით ყაჩაღობა განხორციელებუ-

ლად არ ითვლება, თუ თავდასხმა გარეთ განხორციელდა და ბოროტმოქმედი ნივთის დასაუფლებლად შემდგომ შევიდა სადგომში, საცავში თუ ბინაში. ქმედება სადგომში, საცავში ან ბინაში უკანონო შეღწევით ყაჩაღობით რომ დაკვალიფიცირდეს, ერთი მხრივ, შეღწევა უნდა მოხდეს არა მართლზომიერი გზით, არამედ მართლსაწინააღმდეგოდ და მეორე მხრივ, თავდასხმა უნდა განხორციელდეს სადგომში, საცავში ან ბინაში და არა მის გარეთ<sup>72</sup>. თუ თავდასხმა გარეთ განხორციელდა და ბოროტმოქმედი სხვის მფლობელობაში შემდგომ შევიდა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ნივთის დასაუფლებლად, განსახილველი მაკვალიფიცირებელი გარემოების შერაცხვა გამოირიცხება, ვინაიდან ნივთის დაუფლება ყაჩაღობის შემადგენლობის მიღმაა. სადგომში, საცავში ან ბინაში სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მაშინ იძლევა ყაჩაღობის მუხლით ქმედების კვალიფიკაციის საფუძველს, როცა თავდასხმაც სხვის მფლობელობაშია განხორციელებული უკანონო შეღწევის შედეგად.

როგორც სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიუთითებენ, ბინაში უკანონო შეღწევით განხორციელებულად ჩაითვლება ყაჩაღობა ასევე მაშინ, თუ ერთი მხრივ, თავდასხმა გარეთ განხორციელდა, მაგრამ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ბინაში შესვლის შემდეგ. მართებულად არის აღნიშნული, რომ მართალია, თავდასხმა ყაჩაღობის შემადგენლობის ნიშანია, მაგრამ თავდასხმა ყაჩაღობის შემადგენლობას ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ ძალადობასთან ან ასეთი ძალადობის მუქარასთან ერთად<sup>73</sup>. მოცემულ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას,

---

<sup>72</sup> *ებრალიძე თ.*, წიგნი: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 108-109.

<sup>73</sup> *ებრალიძე თ.*, წიგნი: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 109-110.

რომ ფაქტობრივად, თავდასხმა ბინაში შეღწევის შემდეგაც გრძელდება. მანამ, სანამ ადგილი აქვს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ ძალადობას ან ასეთი ძალადობის მუქარას, თავდასხმა დასრულებულად ვერ ჩაითვლება. როგორც ჩანს, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თავდასხმის დაწყების, არამედ ასევე დასრულების ეტაპიც. თავდასხმის დაწყებიდან დასრულებამდე შესაძლებელია მაკვალიფიცირებული გარემოებით გათვალისწინებული ნიშნის განხორციელებაც.

ბინაში უკანონო შეღწევა შეიძლება მოხდეს როგორც ფარულად, შეპარვით, ისე აშკარა მოქმედებით (კარის შემტვრევა და სხვა), რასაც ქმედების კვალიფიკაციისთვის არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება. მაგრამ, ჩნდება კითხვა, აქვს თუ არა მნიშვნელობა იმას, მოხდება თუ არა ბინაში შესვლა ბინის მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ და როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება, როცა ბინაში შესვლა მფლობელის მოტყუებით ხდება, ხოლო თავდასხმა ბინაში შესვლის შემდეგ? ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბინაში შეღწევად ითვლება ბინაში მოტყუებით შესვლაც<sup>74</sup> და შესაბამისად, ქმედება ბინაში უკანონო შეღწევით ყაჩაღობად უნდა დაკვალიფიცირდეს მოცემულ შემთხვევაშიც<sup>75</sup>, რაც შეიძლება საკამათო იყოს. ბინაში უკანონო შეღწევით ყაჩაღობა მხოლოდ მაშინ არის სახეზე, როცა ბინაში შესვლა მისი მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ ხდება, მაგრამ ეს გამოირიცხება მაშინ, როცა ბინაში შესასვლელად ბოროტმოქმედი დაზარალებულს ატყუებს, მიუხედავად იმისა, რომ ბინის მფლობელი არ იყო ინფორმირებული ბოროტმოქმედის მიზანთან დაკავშირებით და

---

<sup>74</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 481; ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი), თბ., 1999, გვ. 23.

<sup>75</sup> ებრალიძე თ., დასახ. ნაშრ., გვ. 111.



ეს რომ სცოდნოდა, ბოროტმოქმედს ბინაში არც შეუშვებდა. ამ შემთხვევაში ვერც ის მოახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე გავლენას, რომ ბოროტმოქმედს ყაჩაღობის განზრახვა ბინაში შესვლამდე წარმოეშვა. ბინაში უკანონო შეღწევით ყაჩაღობისას ყაჩაღობის განზრახვა დამნაშავეს ბინაში შესვლამდე უნდა წარმოეშვას და არა მას შემდეგ, მაგრამ მხოლოდ განზრახვის წარმოშობის მომენტი არ არის გადამწყვეტი. მასთან ერთად ისიც არის გასათვალისწინებელი, ბინაში შესვლა ხდება თუ არა ბინის მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ.

გარკვეული თავისებურებით ხასიათდება საცავში, სადგომში ან ბინაში უკანონო შეღწევით ყაჩაღობის დამთავრების საკითხიც. თუ ქურდობის და ძარცვის შემთხვევაში ბინაში შეღწევით ქურდობას და ძარცვას (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა) მაშინ მიიჩნევენ დამთავრებულად, როდესაც ბოროტმოქმედი გამოვა სხვისი ბინიდან (მფლობელობიდან), ყაჩაღობის შემთხვევაში დანაშაულის დამთავრებისთვის აუცილებელი არ არის ის, რომ ბოროტმოქმედმა დატოვოს ბინა. დანაშაული ბინიდან გამოსვლამდეც არის დამთავრებული. იგივე ითქმის სადგომში და საცავში შეღწევით ყაჩაღობაზეც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაუგებრობას იწვევს იმ ავტორთა პოზიცია, რომლებიც ბინაში შეღწევით ყაჩაღობის დამთავრების ეტაპს ისე განსაზღვრავენ, როგორც ქურდობის და ძარცვის შემთხვევებში<sup>76</sup> და არ ითვალისწინებენ იმ მომენტს, რომ ყაჩაღობის შემთხვევაში განსახილველი საკითხი განსხვავებულად წყდება, ვიდრე ქურდობის და ძარცვის დროს, რაც ქურდობისგან და ძარცვისგან განსხვავებით, **ფორმალურად (იურიდიულად)** ყაჩაღობის უფრო ადრეულ სტადიაზე დამთავრებითაა პირობადებული.

სადგომში/ საცავში უკანონო შეღწევით ყაჩაღობა მაშინაც

---

<sup>76</sup> კვარაცხელია რ., საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიკაცია, თბ., 2015, გვ. 192.

ითვლება განხორციელებულად, როდესაც იგი ჩადენილია მაღაზიაში, მაგრამ აღნიშნულ მაკვალიფიცირებელ გარემოებასთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს შეფასებით, გასათვალისწინებელია ქმედების განხორციელების დრო, ის, თუ როდის მოხდა თავდასხმა და დასჭირდა თუ არა თავდამსხმელს მაღაზიაში შესასვლელად უკანონო ხერხის გამოყენება. უზენაესი სასამართლო მაღაზიაში განხორციელებულ თავდასხმას არ განიხილავს სადგომში/საცავში უკანონო შეღწევით განხორციელებულ ყაჩაღობად იმის გამო, რომ ყაჩაღობა მოხდა დაახლოებით 19.20 საათზე, მაშინ, როცა მაღაზია ღია იყო და სამუშაო საათები არ იყო დამთავრებული. შესაბამისად, თავდამსხმელს არ მიუმართავს არანაირი უკანონო ხერხისთვის მაღაზიაში შესასვლელად და არც ჰქონია ამის საჭიროება, ვინაიდან მას, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა პირს, იქ შესვლის სრულიად კანონიერი უფლება ჰქონდა<sup>77</sup>.

## 2. ჯგუფურად (მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეკუნძი)

ყაჩაღობა ჯგუფის მიერ განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მის განხორციელებაში მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი. ყაჩაღობის თანაამსრულებლობით განხორციელება შესაძლებელია როგორც წინასწარი შეთანხმებით, ისე წინასწარი შეთანხმების გარეშე, სუქცესიური თანაამსრულებლობის სახით. კანონმდებელმა დამამძიმებელ გარემოებად გაითვალისწინა ჯგუფურობა, მაგრამ არ დააკონკრეტა, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელი ჯგუფურობაში მოიაზრებს ჯგუფურობის ორივე სახეს.

წინასწარი შეთანხმების გარეშე მოქმედი ჯგუფის მიერ იქ-

---

<sup>77</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 8 მაისის განაჩენი, #419აპ-14, სუსგ, 2015, #5-8, გვ. 51.

ნება ყაჩაღობა განხორციელებული, თუ „ა“ ქუჩაში თავს დაესხა „ბ“-ს იმ მიზნით, რომ გახადოს ქურთუკი მისაკუთრების მიზნით და ამ დროს მას მიუხსნრებს „ა“-ს მეგობარი „გ“, რომელიც შეუერთდება მიმდინარე თავდასხმას და დაეხმარება თავდასხმელს სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით დაზარალებულის წინააღმდეგობის დაძლევაში<sup>78</sup>.

თავდასხმა შეიძლება გრძელდებოდეს გარკვეული დროის განმავლობაში და სწორედ აღნიშნულ მონაკვეთში, თავდასხმის დასრულებამდე არის შესაძლებელი თანაამსრულებლის შემოერთება წინასწარი შეთანხმების გარეშე.

რაც შეეხება წინასწარი შეთანხმებით მოქმედ ჯგუფს, მისთვის აუცილებელია არა მხოლოდ ორი ამსრულებლის მოქმედება წინასწარი შეთანხმებით, არამედ ისიც, რომ ჯგუფის წევრებს გაცნობიერებული ჰქონდეთ მათი მოქმედების სამართლებრივი მნიშვნელობა, რაც შერაცხადობას, შესაბამის ასაკს და ფსიქიკურ მდგომარეობას გულისხმობს<sup>79</sup>.

ჯგუფურად, თანაამსრულებლობით ყაჩაღობა შეიძლება განხორციელდეს ბინაში უკანონო შეღწევითაც, რაც, როგორც ითქვა, ცალკე მაკვალიფიცირებელ გარემოებადაა გათვალისწინებული 179-ე მუხლით. არ არის გამორიცხული, რომ ბინაში უკანონო შეღწევით ჯგუფურ ყაჩაღობას ადგილი ჰქონდეს წინასწარი შეთანხმების გარეშეც. მაგრამ აღნიშნულთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, ვინც დაწყებულ და ჯერ კიდევ მიმდინარე თავდასხმას უერთდება, მასაც უნდა შეერაცხოს ბინაში უკანონო შეღწევის მაკვალიფიცირებელი გარემოება, თუ

---

<sup>78</sup> *ებრალიძე თ.*, ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხისათვის, წიგნში: სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები, თინათინ წერეთლის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2006, გვ. 131.

<sup>79</sup> *თოდუა ნ.*, ქმედების ჯგუფურ დანაშაულად კვალიფიკაციის ერთი სადავო საკითხი, წიგნში: ირინა აქუბარდია – 60, საიუბილეო კრებული, თბ., 2020, გვ. 34 და შემდეგი.

დასახელებული დამამძიმებელი გარემოებისთვის მხოლოდ ის ამსრულებელი აგებს პასუხს, ვინც თავიდან შეიჭრა დაზარალებულის ბინაში და დაიწყო თავდასხმა? ვინაიდან სუქცესიურ თანამსრულებელს გაცნობიერებული ჰქონდა აღნიშნული მაკვალიფიცირებელი გარემოება და ის, რომ სხვის ბინაში იჭრებოდა არამართლზომიერი მიზნით, მასაც ისევე უნდა შეერაცხოს ყაჩაღობა სხვის ბინაში უკანონო შეღწევით, როგორც იმ ამსრულებელს, რომელსაც მოგვიანებით შეუერთდნენ.

ჯგუფურ ყაჩაღობასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ საკამათო საკითხს წარმოადგენს ის, არის თუ არა ჯგუფურობა სახეზე, როცა ჯგუფის ერთი წევრი დაკავებული არ არის, მიმალვაშია ან საერთოდ დაუდგენელია ყაჩაღობაში მონაწილე მეორე პირის ვინაობა. ერთ-ერთი შეხედულებით ასეთ დროს ჯგუფური ყაჩაღობა არ გამოირიცხება, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერაც არის გაზიარებული<sup>80</sup>, ხოლო მეორე თვალსაზრისით, მოცემულ შემთხვევაში ქმედება ჯგუფურ ყაჩაღობად ვერ დაკვალიფიცირდება<sup>81</sup>. ჯგუფურობა, აღნიშნული შეხედულებით, ასევე უნდა გამოირიცხოს მაშინაც, როცა დანაშაულში მონაწილე ერთი პირი პასუხისმგებლობის ასაკსაა მიუღწეველი ან ფსიქიკურად შეურაცხია<sup>82</sup>. მაშასადამე, ჯგუფის მიერ დანაშაული მაშინ არის ჩადენილი, როცა სახეზეა სულ

---

<sup>80</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება, #518აპ-14, სუსგ, 2015, #5-8, გვ. 62-66.

<sup>81</sup> *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 292; *ებრაელიძე თ.*, წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 102; *კვარაცხელია რ.*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიკაცია, თბ., 2015, გვ. 195; *თოდუა ნ.*, ქმედების ჯგუფურ დანაშაულად კვალიფიკაციის ერთი სადავო საკითხი, წიგნში: ირინა აქუბარდია – 60, საიუბილეო კრებული, თბ., 2020, გვ. 50-52.

<sup>82</sup> *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 293; *კვარაცხელია რ.*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიკაცია, თბ., 2015, გვ. 195-196, 198.

მცირე ორი ისეთი პირი, რომელსაც ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. როგორც ავტორი აღნიშნავს, ჯგუფურობისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ რაოდენობრივი ნიშანი<sup>83</sup>. თუმცა, ლიტერატურაში საწინააღმდეგო მოსაზრებაც არის გამოთქმული, რომლის თანახმადაც, ჯგუფური დანაშაული მაშინაც არის განხორციელებული, როდესაც დასჯად ქმედებას ახორციელებს ორი პირი და აქედან ერთ-ერთი პირი შეურაცხია<sup>84</sup>. ეს უკანასკნელი შეხედულება საკამათოდ უნდა ჩაითვალოს. ჩნდება კითხვა, თუ დანაშაულის ჩადენა ჯგუფურად, ობიექტური ხასიათის მაკვალიფიცირებელი გარემოებაა, რომელიც უმართლობას ამძიმებს, რატომ უნდა მოახდინოს მასზე გავლენა სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელებაში მონაწილე პირთა იმ ნიშანმა, რომელიც ბრალის ნიშანია და უმართლობის ბრალად შერაცხვის წინაპირობაა? აღნიშნული კითხვა კიდევ უფრო ლეგიტიმური იქნება იმ შეხედულების გათვალისწინებით, რომელიც მოქმედი პირის შერაცხადობას (ასაკს, ფსიქიკურ მდგომარეობას) დანაშაულის სუბიექტის ნიშნად არ განიხილავს და თვლის, რომ დანაშაულის სუბიექტი ზოგადად ადამიანია, მიუხედავად მისი ასაკისა თუ ფსიქიკური მდგომარეობისა. დასმულ კითხვაზე შეიძლება შემდეგნაირად ვუპასუხოთ: მოქმედი პირის

---

<sup>83</sup> *ებრალიძე თ.*, ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხისათვის, წიგნში: სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები, თინათინ წერეთლის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2006, გვ. 137; *თოდუა ნ.*, წიგნში: ნაჭყებია გ., თოდუა ნ., (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2019, გვ. 466; *თოდუა ნ.*, ქმედების ჯგუფურ დანაშაულად კვალიფიკაციის ერთი სადავო საკითხი, წიგნში: ირინა აქუბარდია - 60, საიუბილეო კრებული, თბ., 2020, გვ. 33.

<sup>84</sup> *ხარანაული ლ.*, წიგნში: დვალიძე ი., ხარანაული ლ., თუმანიშვილი გ., წიქარიშვილი კ., ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, თბ., 2019, გვ. 113.

შერაცხადობის გათვალისწინება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმის დასადგენად, დაეკისრება თუ არა მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, არამედ ასევე შუალობითი ამსრულებლობის და თანაამსრულებლობის, შუალობითი ამსრულებლობის და თანამონაწილეობის გასამიჯნად. ამსრულებელია ის, ვინც ქმედებაზე ბატონობს, ხოლო თანაამსრულებელია ის, ვინც ქმედებაზე თანაბატონობას ახორციელებს, მაგრამ ასეთ პირად რამდენად შეიძლება ჩაითვალოს შეურაცხი? როდესაც ყაჩაღობის განხორციელებისას ადგილი აქვს ასაკის თუ ფსიქიკური მდგომარეობის გამო შეურაცხის გამოყენებას, შეუძლებელია ვისაუბროთ ჯგუფურ ყაჩაღობაზე, თუ სახეზე არ არის ორი ამსრულებელი, რომელსაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება და რომლებიც ქმედებაზე თანაბატონობას ახორციელებდნენ, რაც გამოირიცხება მცირეწლოვნობის თუ ფსიქიკურად შეურაცხის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, ვცნობთ თუ არა შერაცხადობას დანაშაულის სუბიექტის ნიშნად, რთულია ანგარიში არ გავუწიოთ მის მნიშვნელობას დანაშაულში თანაამსრულებლობისთვის (ჯგუფურობისთვის). დანაშაულებრივი ქმედების თანაბატონობისთვის რომ მნიშვნელოვანია ქმედების მნიშვნელობის და პროცესების მიმდინარეობის გაცნობიერება, ამიტომაც გამოირიცხება თანაამსრულებლობა და საქმე გვაქვს შუალობით ამსრულებლობასთან მაშინ, როცა ხდება შეურაცხის ან მოტყუებული (შეცდენილი) პირის გამოყენება დანაშაულის ჩასადენად.

ჯგუფური დანაშაული რომ სულ მცირე ორ ისეთ ამსრულებელს მოითხოვს, ვისაც ჩადენილი უმართლობა შეურაცხება, გამომდინარეობს სსკ-ის 27-ე მუხლის შინაარსიდანაც, სადაც მითითებულია, რომ ჯგუფურობა გულისხმობს დანაშაულში ერთიან მონაწილეობას. **ერთიანი მონაწილეობა კი გულისხმობს** არა მხოლოდ ორი ან მეტი პირის ფაქტობრივ მონაწილეობას დანაშაულში, არამედ **ამსრულებელთა მიერ მათი**

**მოქმედების მნიშვნელობის გაცნობიერებასაც, რის უნარ-საც მოკლებულია შეურაცხი.** ზემოაღნიშნულის სისწორეს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ პარალელური ამსრულებლობა, რომელიც ორ ან მეტ ფაქტობრივ ამსრულებელს გულისხმობს, არ უდრის თანაამსრულებლობას. გარდა ამისა, საყურადღებოა შედეგიან დანაშაულში ალტერნატიული და კუმულაციური მიზეზობრიობის საკითხი<sup>85</sup>, როდესაც სახეზეა ორი ან მეტი ამსრულებელი, მაგრამ იმის გამო, რომ მოქმედებენ არა ერთიანად, შეთანხმებულად, არამედ დამოუკიდებლად, მათ შეერაცხებათ მხოლოდ საკუთარი ქმედება და არ მოხდება ურთიერთშერაცხვის პრინციპის გამოყენება, რომელიც მოქმედებს თანაამსრულებლობის შემთხვევაში.

### 3. იგივე ქმედება, ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ (მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი)

აღნიშნული მაკვალიფიცირებელი გარემოება გათვალისწინებულია ქურდობის და ძარცვის მუხლებითაც, მაგრამ მათგან ყაჩაღობის შემთხვევა გამოირჩევა დანაშაულის დასრულების მომენტით. თუ სატრანსპორტო საშუალების დაუფლების მიზნით ქურდობა და ძარცვა დამთავრებულია სატრანსპორტო საშუალების ან მისი ნაწილის დაუფლებისას, ყაჩაღობის დროს დანაშაულის ფორმალურად დამთავრება უკავშირდება სატრანსპორტო საშუალების დაუფლების მიზნით თავდასხმას, განხორციელებულს სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით. აღნიშნულიდან გამომდინარე მართებულად ვერ ჩაითვლება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში გამოთქმული მოსაზრება,

<sup>85</sup> თოდუა ნ., ქმედების ჯგუფურ დანაშაულად კვალიფიკაციის ერთი სადავო საკითხი, წიგნში: ირინა აქუბარდია – 60, საიუბილეო კრებული, თბ., 2020, გვ. 24-50.

რომლითაც ყაჩაღობა ერთი მხრივ, მიჩნეულია ფორმალურ დანაშაულად, ხოლო მეორე მხრივ, სატრანსპორტო საშუალების დაუფლების მიზნით ყაჩაღობა დამთავრებულად მიჩნევა იმ მომენტიდან, როდესაც მოხდება სატრანსპორტო საშუალების დაუფლება და მისი გამოყენება შეხედულებისამებრ<sup>86</sup>. თავდასხმა წინ უსწრებს ავტომანქანის დაუფლებას და მის გამოყენებას. თუ თავდასხმა არ განხორციელდა, ისე დაუფლებაც ვერ მოხდება. როგორც კი ბოროტმოქმედი ავტომანქანის დაუფლების მიზნით სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ ძალადობას ან შექარას განახორციელებს, თავდასხმა განხორციელებულია და შესაბამისად, ყაჩაღობის ობიექტური შემადგენლობის ნიშნები სახეზეა. აუცილებელი არ არის, რომ მას მოჰყვეს ავტომანქანის დაუფლება.

ყაჩაღობა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ განხორციელებულია როგორც სატრანსპორტო საშუალების, ისე მისი ნაწილის დაუფლების მიზნით თავდასხმისას. ხოლო თუ თავდასხმა განხორციელდა ავტომანქანიდან რაიმე ნივთის (მაგალითად, მობილური ტელეფონის) დაუფლების მიზნით, რომელიც არ არის მანქანის ნაწილი, აქსესუარი, გამოირიცხება ყაჩაღობა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ. აღნიშნულ შემთხვევაში, სარეკომენდაციო წინადადებების მიხედვით, ყაჩაღობა არ ჩაითვლება განხორციელებულად სადგომში ან საცავში შეღწევით<sup>87</sup>. საკითხის ასეთი გადაწყვეტა შეიძლება საკამათოდ ჩაითვალოს მაშინ, როცა მანქანაში შენახული მობილური ტელეფონის დაუფლებას ცდილობს ბოროტმოქმედი, რა დროსაც მას მიუსწრებს მანქანის მფლობელი და ქურდობა გადაიბრდება ყაჩაღობაში. ქმედების კვალიფიკაციის დროს

<sup>86</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 24 ივნისის განაჩენი, #518აპ-14, სუსგ, 2015, #5-8, გვ. 65-66.

<sup>87</sup> სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2007, გვ. 88.



რატომ არ უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ ბოროტმოქმედმა ნივთის დაუფლების მიზნით გატეხა მანქანის კარის საკეტი და ამ სახით გადალახა გარკვეული წინააღმდეგობა, რაც როგორც ქმედების, ისე მოქმედი პირის მეტ საშიშროებაზეც მიუთითებს. მოცემულ შემთხვევაში მანქანა ერთგვარი საცავის ფუნქციას ასრულებს, მიუხედავად იმისა, რომ მანქანა, ზოგადად, არ არის საცავი ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით.

სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ყაჩაღობასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ კითხვას წარმოადგენს ის, ჩაითვლება თუ არა ქმედება ასეთად, როდესაც მოქმედი პირი მოქმედებს სატრანსპორტო საშუალების არა მისაკუთრების, არამედ დროებითი სარგებლობის მიზნით. 2007 წლის 23 მაისამდე აღნიშნული ქმედება ისჯებოდა 184-ე მუხლით, მაგრამ მას შემდეგ, რაც საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად სსკ-დან აღნიშნული მუხლი ამოიღეს, გაჩნდა კითხვა, ხომ არ მოხდა ქმედების დეკრიმინალიზაცია. საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ კოდექსიდან 184-ე მუხლის ამოღებით არ მომხდარა ქმედების დეკრიმინალიზაცია და ის ისევ დასჯად ქმედებად რჩება ქმედების განხორციელების ხერხის გათვალისწინებით საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესაბამისი მუხლებით<sup>88</sup>. საკითხის ასეთმა გადაწყვეტამ კანონიერების პრინციპთან მისი შეუსაბამობის გამო იურიდიულ ლიტერატურაში კრიტიკა გამოიწვია<sup>89</sup>. ყაჩაღობის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, რომელიც არ არის დროებითი სარგებლობის მიზნის იდენტური. შესაბამისად, თუ პირი სხვისი ნივთის დროებითი

<sup>88</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2009, #1, გვ. 21. 2008 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება #407-აპ.

<sup>89</sup> *გამყრელიძე თ.*, გაუქმებული მუხლით დასჯა?, „ცხოვრება და კანონი“, 2010, #2 (10), გვ. 4-6.

სარგებლობის მიზნით მოქმედებს, არ არსებობს საფუძველი იმისთვის, რომ ქმედება ყაჩაღობის მუხლით დაკვალიფიცირდეს, მიუხედავად ქმედების განხორციელების ხერხისა.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული კრიტიკული მოსაზრების თანახმად, არ არსებობს დროებითი მისაკუთრება. მაშასადამე, არსებობს დროებითი არა მისაკუთრება, არამედ დაუფლება. გამოითქვა შეხედულება, რომ აღდგეს გაუქმებული 184-ე მუხლი ან სსკ-ში შემოღებულ იქნას სპეციალური ნორმა, რომლითაც დაისჯება ავტომანქანის დაუფლების ყველა შემთხვევა, მიუხედავად მიზნისა<sup>90</sup>.

ერთ-ერთი კითხვა, რაც სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ყაჩაღობასთან დაკავშირებით წარმოიშობა არის ის, არსებობს თუ არა ქმედების დანაშაულთა ერთობლიობის წესით დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით ყაჩაღობასთან ერთად კვალიფიკაციის მიზანშეწონილობა, როცა ავტომანქანის ღირებულება 10000 ლარს აღემატება, ვინაიდან თუ ყაჩაღობა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით ისჯება, დიდი ოდენობა ცალკე გარემოებად ამავე მუხლის მე-3 ნაწილითაა გათვალისწინებული. უზენაესმა სასამართლომ დანაშაულთა ერთობლიობის წესით, როგორც 179-ე მუხლის მე-2, ისე მე-3 ნაწილით დააკვალიფიცირა ქმედება ერთ-ერთ საქმეზე, სადაც საქმე ეხებოდა ყაჩაღობას და 25109 ლარად ღირებული ავტომანქანის დაუფლებას<sup>91</sup>. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი 179-ე

<sup>90</sup> ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 131-132; მალაყელიძე ლ., მისაკუთრების მიზნის დადგენის პრობლემა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი), გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი, 2022, #2, ივნისი, ეძღვნება პროფ. ბ. ჰაინრიხის 60 წლის იუბილეს, გვ. 32. [www.dgstz.de](http://www.dgstz.de)

<sup>91</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება, #518აპ-14, სუსგ, 2015, #5-8, გვ. 62-66.

მუხლში ცალკე მაკვალიფიცირებელ გარემოებად გამოყოფს ავტოსატრანსპორტო საშუალებას, როგორც დანაშაულის საგანს, აღნიშნულ შემთხვევაში დანაშაულთა ერთობლიობის წესით ქმედების კვალიფიკაციაზე შეიძლება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსიის განვითარება: პირველი ვერსიის მიხედვით ასეთი კვალიფიკაცია საკამათოდ შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან საკითხისადმი ასეთი მიდგომა წმინდა ფორმალურ ხასიათს შეიძლება ატარებდეს, რაც შინაარსობრივი თვალსაზრისით, შეიძლება მიზანშეუწონლად ჩაითვალოს. როცა ყაჩაღობა ხორციელდება 10000 ლარზე მეტი ანუ დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, არ უნდა მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, ეს ავტომანქანაა, ძვირფასეულობა თუ სხვა რამ. ქმედების კვალიფიკაციის დროს ავტომანქანაზე, როგორც ყაჩაღობის საგანზე დამატებით, ცალკე, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება მაშინ იქნება აუცილებელი, თუ მისი ღირებულება დიდ ოდენობას არ აღწევს. მაგრამ, როცა საქმე პირიქით არის და სახეზეა დიდი ოდენობა, ქმედება სწორედ დიდი ოდენობით შეიძლება დაკვალიფიცირდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავტომანქანის წინააღმდეგ ყაჩაღობის და დიდი ოდენობით ყაჩაღობის ერთობლიობით ქმედების კვალიფიკაციისას, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ ერთი მაკვალიფიცირებელი გარემოების შერცხვა მოხდა ავტომანქანის მისაკუთრების მიზნით მოქმედების გამო, ხოლო მეორე მაკვალიფიცირებელი გარემოება ავტომანქანის ღირებულების გამო, რაც ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპის დარღვევას შეიძლება გაუტოლდეს. განსახილველი შემთხვევა იმ შემთხვევათა ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოს, როცა ერთმა მაკვალიფიცირებელმა გარემოებამ შეიძლება შთანთქოს მეორე. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დიდი ოდენობით ყაჩაღობა უფრო მძიმედ ისჯება (მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტი), ვიდრე ყაჩაღობა

სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ (მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტი).

განსახილველ შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაციის საკითხი იმ შემთხვევის ანალოგიურად შეიძლება გადაწყდეს, როცა საქმე ეხება ბინაში შეღწევით ქურდობას და ქმედება კვალიფიცირდება მხოლოდ ქურდობის მუხლით (მაკვალიფიცირებელი გარემოების გათვალისწინებით), გამოირიცხება ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობის წესით 160-ე მუხლთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ სხვისი მფლობელობა დარღვეულია.

ქმედების კვალიფიკაციის მეორე ვარიანტი კი გულისხმობს დამნაშავისთვის ორივე მაკვალიფიცირებელი გარემოების შერაცხვას.

#### 4. იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის (მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი)

ყაჩაღობა არაერთგზის განხორციელებულად ჩაითვლება თუ ყაჩაღობისთვის წინათ ნასამართლვეი პირი ნასამართლობის მოხსნამდე ან გაქარწყლებამდე ისევ ჩაიდენს ყაჩაღობას. თუმცა, 177-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით არაერთგზისობა ყაჩაღობასთან დაკავშირებით შეიძლება დადგინდეს ზოგადი წესისგან განსხვავებულად, რაც იმას გულისხმობს, რომ არაერთგზისობა ასევე სახეზე იქნება მაშინ, თუ ბოროტმოქმედი იყო ნასამართლვეი ქურდობისთვის, ძარცვისთვის ან იმ დანაშაულებისთვის, რომელიც ჩამოთვლილია 177-ე მუხლის შენიშვნაში, რომელიც არაერთგზისობის საგამონაკლისო წესს ადგენს.

## 5. იგივე ქმედება, ჩადენილი ბინაში უკანონო შეღწევით (მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი)

ბინაში უკანონო შეღწევით ყაჩაღობის მეტი საშიშროება გამოიხატება არა მხოლოდ იმაში, რომ ადგილი აქვს დამნაშავეის მხრიდან წინააღმდეგობის გადალახვას, არამედ იმაშიც, რომ სახეზეა ორი სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული ქმედება. ერთი, ეს არის საკუთრება, ხოლო მეორე – ბინის ხელშეუხებლობა.

ყაჩაღობა უკანონო შეღწევით არ იქნება განხორციელებული, თუ ბოროტმოქმედი წვეულებაზე იმყოფებოდა და აღნიშნული მომენტი გამოიყენა თავდასხმისთვის.

როდესაც საუბარია ბინაში უკანონო შეღწევით ყაჩაღობაზე, უნდა გაირკვეს თუ რა იგულისხმება ბინაში. ბინაში იგულისხმება ნებისმიერი სივრცე, რაც საცხოვრებლად არის განკუთვნილი. ეს შეიძლება იყოს არა მხოლოდ სახლი, არამედ ვაგონი, ავტოფარეხი, კარავი და ა. შ. ავტოფარეხი სადგომად ითვლება, მაგრამ თუ ადამიანი ცხოვრობს და საცხოვრებლად გამოიყენება, საცხოვრებელი სახლის დანიშნულებას იძენს.

განსახილველი მაკვალიფიცირებელი გარემოება ნაწილობრივ განხილულ იქნა ზემოთ სადგომში ან საცავში უკანონო შეღწევით ყაჩაღობასთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნულ გარემოებებს შორის არსებობს საერთო კვეთის წერტილები.

## 6. იგივე ქმედება, ჩადენილი დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით (მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი).

ყაჩაღობა დიდი ოდენობით, ქურდობისა და ძარცვისგან განსხვავებით, გულისხმობს არა დიდი ოდენობით სხვისი ნივთის დაუფლებას, არამედ დაუფლებისკენ მიმართულ განზრახვას. ვინაიდან ყაჩაღობის ძირითადი შემადგენლობა არ მოით-

ხოვს დაუფლებას, არც მაკვალიფიცირებელ გარემოებასთან მიმართებით არსებობს ამის აუცილებელობა<sup>92</sup>. ქმედების კვალიიკაციისთვის მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ რა ოდენობით, რა ღირებულების ნივთის დაუფლებისკენ იყო მიმართული დამნაშავეს განზრახვა. ვინაიდან დაუფლება ყაჩაღობის შემადგენლობის მიღმაა, სასჯელის დანიშვნის დროს შეიძლება იმის გათვალისწინება, დამნაშავემ შეძლო თუ არა თავისი განზრახვის რეალიზაცია დაუფლებასთან და მისაკუთრებასთან დაკავშირებით.

ვინაიდან დიდი ოდენობით ყაჩაღობისთვის აუცილებელი წინაპირობა არ არის დაუფლება და საკმარისია მხოლოდ თავდასხმის განხორციელება დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების გამიზნით, განსახილველი გარემოება ვერ ჩაითვლება ობიექტური ხასიათის მაკვალიფიცირებელ გარემოებად. ფაქტობრივად, დამამძიმებელი გარემოებაა გამიზვნა. მიზანი კი სუბიექტური ხასიათის ნიშანია. თუ ყაჩაღობაში მონაწილე პირებს გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ მონაწილეობდნენ დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით ყაჩაღობაში, პასუხს აგებენ დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით ყაჩაღობისთვის, მიუხედავად იმისა, რეალურად მიაღწიეს თუ არა დასახულ მიზანს. შეიძლება ყაჩაღობაში მონაწილე პირებმა ან საერთოდ ვერ შეძლონ სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება ან დაუფლონ სხვის ნივთს არა დიდი ოდენობით, არამედ მხოლოდ ნაწილს იმ ოდენობის, რომლის დაუფლებაც ჰქონდათ განზრახული. ორივე შემთხვევაში დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით ყაჩაღობის შემადგენლობა იქნება განხორციელებული.

---

<sup>92</sup> *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, წიგნში: *ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, I ნაწილი, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 497-498; *ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ.*, პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი), თბ., 1999, გვ. 36; *ებრაღიძე თ.*, წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 112.

დიდი ოდენობა მაშინ შეიძლება განვიხილოთ ობიექტური ხასიათის დამამძიმებელ გარემოებად, როცა აღნიშნული გარემოების შესარაცხად საჭიროა არა მხოლოდ გამიზვნა, არამედ ფაქტობრივი დაუფლება სხვისი ნივთისა. როგორც ამას ადგილი აქვს ქურდობის და ძარცვის შემთხვევაში.

დიდ ოდენობასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია 177-ე მუხლის შენიშვნაში მოცემული განმარტება, რომლის მიხედვითაც, იგი გულისხმობს ნივთის ღირებულებას 10 000 (ათი ათას) ლარს ზემოთ. მაგრამ ჩნდება კითხვა, აქ იგულისხმება დანამაულის ერთჯერადად ჩადენის დროს დამნაშავეს მიერ დასაუფლებლად გამიზნული ნივთის ღირებულება, თუ იმ ნივთთა საერთო ღირებულების ჯამი, რომელსაც ბოროტმოქმედი დაუფლა ან სურდა რომ დაუფლებოდა არაერთგზის ყაჩაღობის შედეგად? როგორც ჩანს, აღნიშნულმა საკითხმა მოსაზრებათა არაერთგვაროვნება წარმოშვა. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, თუ ყაჩაღობის არაერთგზის ჩადენისას, თითოეული ქმედების დროს ნივთის ღირებულება არის 10 000 ლარზე ნაკლები, მაგრამ ერთიანობაში აღემატება 10 000 ლარს, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ყაჩაღობა დიდი ოდენობით<sup>93</sup>, რაც არ არის გასაზიარებელი, ვინაიდან ასეთი კვალიფიკაცია არ გამომდინარეობს ქართული სსკ-იდან. მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის ისეთი მდგომარეობა, როგორც მაგალითად, განგრძობითი ფორმით განხორციელებული დიდი ოდენობით თაღლითობისას.

როდესაც ჯგუფურად ხორციელდება დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით ყაჩაღობა, დიდი ოდენობა გამიზნული უნდა ჰქონდეს ჯგუფის ყველა წევრს. ის არ შეიძლება შეერაცხოს იმას, ვისი განზრახვაც მას არ მოიცავდა. თუ ჯგუფის

---

<sup>93</sup> სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2007, გვ. 88.

მხოლოდ ერთ ნევრს ჰქონდა აღნიშნული განზრახვა, საქმე გვექნება ამსრულებლის ექსცესთან. ექსცესს ადგილი შეიძლება ჰქონდეს როგორც თანამონაწილეობის, ისე თანაამსრულებლობის დროსაც.

#### **7. იგივე ემელება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ (მე-4 ნაწილის „ა“ ქვეკუნძი)**

იმის დასადგენად, არის თუ არა ყაჩაღობა ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი, გასათვალისწინებელია 27-ე მუხლში მოცემული ცნება ორგანიზებული ჯგუფის შესახებ, რომელიც გულისხმობს მყარ, სტრუქტურირებულ ჯგუფს, რომელსაც ყავს ხელმძღვანელი ორგანიზატორის სახით. ჯგუფის ორგანიზებულობა იმაში გამოიხატება, რომ ჯგუფი არ არის შექმნილი მხოლოდ ერთი ქმედების განსახორციელებლად. ამით განსხვავდება ორგანიზებული ჯგუფი სხვა სახის ჯგუფისგან. ორგანიზებული ჯგუფის მიერ ქურდობისთვის კანონმდებელმა უფრო მკაცრი სანქცია განსაზღვრა, ვინაიდან იგი თავისი საშიშროებით გამოირჩევა არა მხოლოდ სხვა ჯგუფისგან, არამედ სხვა მაკვალიფიცირებელი გარემოებებისგანაც.

#### **8. იგივე ემელება, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლავი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან ბამოძალვისათვის (მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეკუნძი).**

აღნიშნული გარემოება, განსხვავებით არაერთგზისობისგან, არ მოითხოვს, რომ ნასამართლობა წინათ განხორციელებული ქმედებისთვის არ იყოს მოხსნილი ან გაქარწყლებული. ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ნასამართლობაზე წარსულ დროშია მითითებული („იყო ნასამართლავი“). კანონმდებელი მხედველობაში იღებს წარსულ ნასამართლობას



გამოძალვისთვის ან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისთვის, მაგრამ არ აკონკრეტებს იმას, აქვს თუ არა მნიშვნელობა მისაკუთრების ხერხს. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა დანაშაულებრივი ხერხის გამოყენებით. წარსულში განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების დროს რა სახის დანაშაულებრივი ხერხი იქნა გამოყენებული ბოროტმოქმედის მიერ, მხედველობაში შეიძლება მიღებულ იქნას სასჯელის დანიშვნის დროს.

სსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციის და სისხლისსამართლებრივი ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას, მაგრამ მოცემული მაკვალიფიცი-რებელი გარემოება უნდა მივიჩნიოთ 79-ე მუხლის მე-6 ნაწი-ლით გათვალისწინებული წესიდან გამონაკლისად.

## V. დაუმთავრებელი დანაშაული. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება.

ყაჩაღობის განხორციელებამდე დანაშაულებრივმა ქმედებამ შეიძლება გაიაროს მომზადების სტადია. ყაჩაღობის მომზადება შეიძლება გამოიხატოს იარაღის შეძენაში, ჩასაფრებაში, ჯგუფის შექმნაში და ა. შ. ყაჩაღობის მომზადებაზე შეიძლება შემდეგი მაგალითი მოვიყვანოთ: ზ. გ-ის, გ. გ-ის, დ. მ-ას, ვ. კ-სა და გ. ა-სათვის ცნობილი გახდა, რომ თ-ოს რაიონის სოფელ ნ-ში მცხოვრებ ტ. ჩ-ს გააჩნდა მნიშვნელოვანი ოდენობის ფულადი დანაზოგი, რასაც იგი ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინაში. მათ განიზრახეს, სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით თავს დასხმოდნენ ტ. ჩო-ის ოჯახს

და ამ გზით მართლსაწინააღმდეგოდ მიესაკუთრებინათ მისი კუთვნილი თანხა. ამ მიზნით მათ დაიწყეს დანაშაულის ჩასადენად პირობების განზრახ შექმნა, მოიძიეს ყაჩაღობის ჩასადენად განკუთვნილი სხვადასხვა ნივთი, რომელთა შორის აღსანიშნავია მცირე ზომისა და ფორმის დანები, წებოვანი ლენტი, დამატებით სხვა ტანსაცმელი, ხელთათმანები და კუსტარულად დამზადებული ნიღბები, რათა მაქსიმალურად შეემცირებინათ მომავალში თავიანთი მხილების რისკი. ამავდროულად, თანამზრახველებმა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, მოიპოვეს ხორცი და ქიმიური ნივთიერება, რომლის გამოყენებითაც აპირებდნენ ტ. ჩ-ის ეზოში ძაღლის მონამვლასა და გაუვნებელყოფას. აღნიშნული ნივთები გემოხსენებულმა თანაამსრულებლებმა მოათავსეს „მიცუბიშის“ მარკის „პაჯეროს“ მოდელის ავტომანქანაში და ერთობლივად გაემართნენ თ-ოს რაიონის სოფელ ნ-ის მიმართულებით, თუმცა მათი დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელება მომზადების ეტაპზე თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა აღკვეთეს<sup>94</sup>.

რაც შეეხება მცდელობას, სისხლის სამართლის ლიტერატურაში საკამათოდ ითვლება. ერთი შეხედულებით ყაჩაღობას შეიძლება ჰქონდეს (დაუმთავრებელი) მცდელობის სტადია<sup>95</sup>. ხოლო გაბატონებული თვალსაზრისით, ყაჩაღობას არ აქვს მცდელობის სტადია<sup>96</sup>, ვინაიდან მცდელობის სტადიაზე ანუ თავ-

<sup>94</sup> აღნიშნული კაზუსი არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული ერთ-ერთი საქმიდან, სადაც სასამართლომ ჩათვალა, რომ სახეზე არ იყო პირთა ბრალეულობის გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დამადასტურებელი მტკიცებულება. იხ. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

<sup>95</sup> დვალიძე ი., წიგნში: ნაჭყებია გ., დვალიძე ი., (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 179.

<sup>96</sup> წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 503; ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., პასუხისმგებობა ეკონომი-

დასხმისას ყაჩაღობა იურიდიულად უკვე განხორციელებულია.

ყაჩაღობის მცდელობას არ გამორიცხავენ გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაშიც, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ქართულისგან განსხვავებით, გერმანული სსკ-ის მიხედვით ყაჩაღობის დამთავრების მომენტი დაუფლებას უკავშირდება<sup>97</sup>.

ყაჩაღობის მომზადებასთან დაკავშირებით შეიძლება შემდეგი მაგალითი მოვიშველიოთ: „ფ“-მ და „ხ“-მ სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ვინმე „მ“-თან და „ნ“-თან ერთად დაიწყეს „ქ“-ს საცხოვრებელ სახლზე თავდასხმის მიზნით პირობების შექმნა, რისთვისაც „ნ“-ს დახმარებით, რომლისთვისაც ცნობილი იყო „ქ“-ს საცხოვრებელი სახლის შესასვლელი კარის საკეტის ტიპი, მათ ერთ-ერთ ბაზრობაზე შეიძინეს და შეისწავლეს იდენტური ტიპის საკეტი. ამის შემდეგ „ფ“-მ რკინის სახაზავისგან დაამზადა ამ ტიპის საკეტის გაღებისთვის ვარგისი ე. წ. „ატმეჩკა“. „ხ“-მ „ფ“-ს საცხოვრებელ სახლში თანამზრახველთა შეიარაღების მიზნით, მიიტანა ორი იარაღი, საიდანაც „ბერეტას“ სისტემის პისტოლეტი ერთი ვაზნით დაიტოვა თვითონ, ხოლო გერმანული წარმოების გაზის პისტოლეტი სამი ვაზნით გადასცა „მ“-ს. მათ ღამის საათებში დაზვერეს და შეისწავლეს „ქ“-ს საცხოვრებელი სახლი, ეზო და მიმდებარე ტერიტორია, რის შემდეგაც „ხ“-მ „ფ“-ს ბინაში თანამზრახველებს გააცნო „ქ“-ს სახლზე თავდასხმის საბოლოო გეგმა, რომლის თანახმად,

---

კური დანაშაულისათვის (კომენტარი), თბ., 1999, გვ. 34; *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, წიგნი: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2019, გვ. 493; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 12; *კვარაცხელია რ.*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიკაცია, თბ., 2015, გვ.183, 188.

<sup>97</sup> *Heinrich B.*, in: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, BT, Lehrbuch*, 4. Aufl., 2021, S. 463, §17 Rn. 13.

მან თანამზრახველებს აუკრძალა მობილური ტელეფონით სარგებლობა და მათ გაუნაწილა როლები, კერძოდ: „ფ“-ს დაევალა ე. წ. „ატმეჩკის“ გამოყენებით „ქ“-ს საცხოვრებელი სახლის კარის გახსნა, რის შემდეგაც, შეთანხმების თანახმად, იარაღმომარჯვებული „ხ“ და „მ“ შეაღწევდნენ სახლში და განახორციელებდნენ თავდასხმას. „ნ“-ს კი დაევალა ტაქსის გამოძახება, რისთვისაც მოილაპარაკეს, რომ მას დატოვებდნენ სამანქანო გზაზე, 40-50 მეტრის მოშორებით, საიდანაც კარგად ჩანდა „ქ“-ს საცხოვრებელი სახლი. საგანგებო მინიშნების-შუქის რამდენჯერმე ჩაქრობა-ანთების შემდეგ, რასაც იგი ფანჯარაში დაინახავდა, მობილური ტელეფონით გამოიძახებდა ტაქსის და დაელოდებოდა მათ იქ მისვლას, სახლს კი ისინი დატოვებდნენ მაშინ, როცა შენიშნავდნენ „მ“-თან გაჩერებული ტაქსის მაშუქებს. ამის შემდეგ თანამზრახველები ავიდნენ „ქ“-ს საცხოვრებელ სახლთან და შეუდგნენ წინასწარ შემუშავებული გეგმის განხორციელებას, მაგრამ „ქ“-ს სახლში მყოფებმა გაიგეს ხმაური, მიანათეს მათ ფანარი და შესძახეს, თუ ვინ იყვნენ და რას აკეთებდნენ, რის გამოც აღნიშნული პირები შემთხვევის ადგილიდან მიიმაღნენ.

თუ უარყოფთ ყაჩაღობის მცდელობის შესაძლებლობას, გემოთ მოყვანილ შემთხვევაში, ქმედება ყაჩაღობის მომზადებად უნდა დავაკვალიფიციროთ, მაგრამ თუ გავიზიარებთ ყაჩაღობის მცდელობის იდეას, განსახილველ შემთხვევაში შეიძლება შესაძლებელი გახდეს ქმედების კვალიფიკაცია ყაჩაღობის მცდელობად. განსახილველი შემთხვევა ყაჩაღობის სტადიებთან დაკავშირებით გადის მომზადების და მცდელობის მიჯნაზე. თუ დავუშვებთ ყაჩაღობის მცდელობის შესაძლებლობას, უნდა დადგინდეს თუ როდის არის სახეზე თავდასხმის დაწყება, ვინაიდან როცა თავდასხმის განხორციელებისას ყაჩაღობა ფორმალურად განხორციელებულია, მცდელობის სტადიისთვის საჭირო იქნება თავდასხმის დაწყება.

ყაჩაღობასთან დაკავშირებით შეიძლება ადგილი ჰქონდეს ე. წ. უვარგის მცდელობას. კერძოდ, როდესაც ბოროტმოქმედი სხვის ბინაში შედის თავდასხმის მიზნით, ჰგონია, რომ ბინაში ადამიანი დახვდება, მაგრამ აღნიშნული პირი გარდაცვლილი აღმოჩნდება და დადგინდება, რომ ბოროტმოქმედის სხვის ბინაში შესვლამდე იმას, ვისაც თავს უნდა დასხმოდნენ, გული გაუსკდა ან სხვა მიზეზით გარდაიცვალა<sup>98</sup>. ეს შემთხვევა იმიტომ არის უვარგისი მცდელობის შემთხვევა, რომ ყაჩაღობის განსახორციელებლად საჭიროა ადამიანი, რომელზეც თავდასხმა განხორციელდება, რომლის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე შეიძლება შეექმნას. თუ ასეთი ადამიანი არ არის სახეზე, გამოირიცხება ყაჩაღობა და ასევე მისი მცდელობის შესაძლებლობაც, რომც ვალიაროთ ყაჩაღობის მცდელობის იდეა. მაშინ როცა სადავოა ყაჩაღობის მცდელობის შესაძლებლობა, საკამათო არ არის უვარგისი მცდელობის შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ყაჩაღობა, ქართული სსკ-ის მიხედვით, შეკვეცილი დელიქტია.

ყაჩაღობის უვარგისი მცდელობის დროს ქმედების კვალიფიკაციაზე არ არსებობს ერთიანი მოსაზრება. ერთი მოსაზრებით უვარგისი მცდელობის დროს ქმედება დანაშაულის მომზადებად უნდა დაკვალიფიცირდეს<sup>99</sup>, ხოლო მეორე მოსაზრებით დანაშაულის მცდელობად<sup>100</sup>, მაგრამ ამ უკანასკნელი მოსაზრების გაზიარება იმაზეც იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად შესაძლებლად ვცნობთ ყაჩაღობის მცდელობას.

შეიძლება საკამათო იყოს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ

---

<sup>98</sup> უვარგის მცდელობაზე იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 43-58.

<sup>99</sup> *წერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 471.

<sup>100</sup> *დვალაძე ი.*, ნიგნში: ნაჭყებია გ., დვალაძე ი., (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 166.

დაკვალიფიცირდეს ქმედება, როცა ბოროტმოქმედები ყაჩაღობის განხორციელების მიზნით შედიან სხვის ბინაში, სადაც არავინ დახვდებათ და დაუფლებიან ბინაში არსებულ ნივთებს. სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ყაჩაღობის მომზადება და ქურდობა<sup>101</sup>. თუმცა, ჩნდება კითხვა, ხომ არ არის ეს ყაჩაღობის უვარგისი მცდელობა (მცდელობა ადგილზე არმყოფ ობიექტზე)? რაც შეეხება ნივთის დაუფლებას, ის ყაჩაღობასთან დაკავშირებით ვერ იქნება დანაშაულის სტადიის განსაზღვრელი, ვინაიდან ნივთის დაუფლება არ არის ყაჩაღობის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი.

ყაჩაღობის დროს თუ რა ეტაპზეა ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელი, დამოკიდებულია იმაზე, დაუმთავრებელი დანაშაულის თუ რა სტადიებს შეიძლება ჰქონდეს ადგილი ყაჩაღობასთან მიმართებით. თუ გამოვრიცხავთ ყაჩაღობის მცდელობის შესაძლებლობას, ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მომზადების სტადიაზე, ხოლო მცდელობის შესაძლებლობის აღიარებისას, აღნიშნულ ეტაპზე ნებაყოფლობით ხელის აღება დასაშვებად შეიძლება იქნას მიჩნეული.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება საფრთხის შემქმნელ დელიქტებში შესაძლებელია ქმედების შემადგენლობის ფორმალურად განხორციელების შემდეგაც მატერიალურად, ფაქტობრივად დანაშაულის დამთავრებამდე<sup>102</sup>.

<sup>101</sup> *კვარაცხელია რ.*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიკაცია, თბ., 2015, გვ. 182.

<sup>102</sup> *Мокринский С.П.*, Покушение и приготовление в советском праве, «Советское право», 1927, №1, с. 67; *Слуцкий ИИ.*, Обстоятельства, исключающие уголовную ответственность, 1956, с. 29-30; *ხარანაული ლ.*, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი, კრებულში: ტურავა მ., (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბ., 2013, გვ. 395-396.

თუ აღნიშნულ მოსაზრებას გავიზიარებდით, მოგვინევდა დასკვნის გაკეთება, რომ ყაჩაღობაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია თავდასხმის განხორციელების შემდგომაც, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებამდე. აღნიშნული მოსაზრება მართებულიად იქნა გაკრიტიკებული თ. წერეთლის მიერ, რომელიც აღნიშნავდა, რომ მოსამართლეს სხვა კრიტერიუმი არ შეიძლება ჰქონდეს დანაშაულის დამთავრების საკითხის გადასაწყვეტად, გარდა საკანონმდებლო მითითებისა, ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო აღწერილობისა. თუ ქმედების შემადგენლობის ფორმალურად განხორციელების მიუხედავად მოსამართლე დანაშაულს არ ჩათვლიდა დამთავრებულიად, ეს იქნებოდა მოსამართლის თავისუფალი მიხედულების მეტისმეტი გაფართოება<sup>103</sup>.

თუ დანაშაულს დამთავრებულიად არ ვცნობდით ფაქტობრივად დამთავრებამდე, მიუხედავად საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელებისა, ყველა დანაშაულს ვაქცევდით შედეგიან დანაშაულად, რაც შეუძლებელს გახდიდა დანაშაულთა დაყოფას შედეგიან და შედეგგარეშე დანაშაულებად. ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელების შემდეგ შეიძლება ადგილი ჰქონდეს არა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას, არამედ ქმედით მონანიებას<sup>104</sup>.

ყაჩაღობაზე ნებაყოფლობით ხელის აღება, სსკ-ის 21-ე მუხლის თანახმად, გამოიწვევს პასუხისმგებლობისგან სრულად გათავისუფლებას თუ განხორციელებულ ქმედებაში არ არსებობს სხვა დამთავრებული დანაშაულის ნიშნები. ეს შეიძლება იყოს იარაღის უკანონოდ შეძენა, შენახვა, თუ ადგილი ჰქონდა დასახელებულ ქმედებას ყაჩაღობის ჩასადენად. თუ

---

<sup>103</sup> წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 553.

<sup>104</sup> ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 289-290.

ყაჩაღობის ჩასადენად იარაღის უკანონოდ შექმნის შემდგომ ბოროტმოქმედმა ხელი აიღო ყაჩაღობაზე, მართალია, პირი არ დაისჯება ყაჩაღობის მომზადებისთვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოხდება მისი სრულად გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.

ნებაყოფლობით ხელის აღების გამო ყაჩაღობის მომზადებასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი არის პერსონალური. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება არ ეფუძნება ქმედების საშიშროების, მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამორიცხვას. განხორციელებული ქმედება რჩება ბრალეულ, საშიშ და მართლსაწინააღმდეგო ქმედებად, მაგრამ ამის მიუხედავად, პირი პერსონალურად მაინც თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.

## VI. თანამონაწილეობა, თანაამსრულებლობა და შუალობითი ამსრულებლობა.

ყაჩაღობა შეიძლება განხორციელდეს როგორც ერთპიროვნული ამსრულებლობით, ისე თანაამსრულებლობით, შუალობითი ამსრულებლობით და თანამონაწილეობით. თანაამსრულებელი იქნება ის, ვინც ყაჩაღობის შემადგენლობის რომელიმე ნიშანს ახორციელებს. თანაამსრულებელი შეიძლება სხვა ამსრულებელთან ერთად თავდასხმაში მონაწილეობდეს. მაგალითად, ერთი ამსრულებელი მუქარას ახორციელებს, ხოლო მეორე სხვის ნივთს ეუფლება. ვინაიდან ნივთის დაუფლება ყაჩაღობის შემადგენლობის მიღმა დგას, ჩნდება კითხვა, არის თუ არა თანაამსრულებლობისთვის საკმარისი სხვისი ნივთის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით? მიუხედავად იმისა, რომ ნივთის დაუფლება არ არის ყაჩაღობის შემადგენლობის ნიშანი, მაინც თანაამსრულებლად უნდა ვცნოთ ის, ვინც ერთ-ერთი ამსრულებლის მიერ მუქარის



ან ძალადობის განხორციელებისას ეუფლება მსხვერპლის ნივთს. გასათვალისწინებელია ის, რომ ნივთის დაუფლება მართალია, არ არის ყაჩაღობის შემადგენლობის ნიშანი, მაგრამ წარმოადგენს თავდასხმის შემდგომ ეტაპს და ყაჩაღობის ფაქტობრივად დასრულების შემადგენელ რგოლს.

ყაჩაღობა წარმოადგენს შენადგენ დანაშაულს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შემადგენლობა რამდენიმე ნაწილისგან შედგება, რომლებიც ცალკე აღებული, დამოუკიდებელ შემადგენლობას აფუძნებენ. ყაჩაღობა გულისხმობს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ ძალადობას ან ასეთი ძალადობის მუქარას და თავდასხმას სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. მუქარა სსკ-ში ცალკე შემადგენლობის სახით არის გათვალისწინებული (151-ე მუხ.). სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით თავდასხმა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის და მუქარის გარეშე, ცალკე აღებული, ძარცვის შემადგენლობას აფუძნებს (178-ე მუხ.), ხოლო ორივე ქმედება ერთობლიობაში გვაძლევს ყაჩაღობის შემადგენლობას. ამგვარად, ყაჩაღობის დროს ერთ-ერთი თანაამსრულებელი შეიძლება ახორციელებდეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ ძალადობას ან ასეთი ძალადობის მუქარას, მაგალითად, როცა მოქმედი პირი დაზარალებულს დანას ჩასცემს, ხოლო მეორე საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას, კერძოდ, დაზარალებულისთვის საათის მოხსნა მაჭიდან<sup>105</sup>.

როცა სულ მცირე ორი ამსრულებელი მონაწილეობს ყაჩაღობაში, სახეზეა ჯგუფური ყაჩაღობა. რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, არის თუ არა ჯგუფისთვის აუცილებელი პირობა, რომ სულ მცირე სახეზე იყოს ორი ამსრულებელი, რომელსაც

<sup>105</sup> *წერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 142.

პასუხისმგებლობა დაეკისრება, სისხლის სამართლის ლიტერატურაში საკამათოა. ერთი მოსაზრებით, ჯგუფურობისთვის აუცილებელია ორი ამსრულებელი მაინც, მაგრამ საკმარისია აქედან თუნდაც ერთი იყოს ისეთი, ვისაც პასუხისმგებლობა დაეკისრება. ავტორთა ერთი ნაწილი ჯგუფურობისთვის ერთ ამსრულებელს და ერთ თანამონაწილეს მიიჩნევს საკმარისად<sup>106</sup>. ხოლო მეორე შეხედულებით, ჯგუფურობის აუცილებელი პირობაა სახეზე იყოს სულ მცირე ორი ბრალუნარიანი ამსრულებელი<sup>107</sup>. ჯგუფური ყაჩაღობის დროს არ არის აუცილებელი ჯგუფის ყველა წევრი აქტიური ფორმით ახორციელდებდეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ ძალადობას ან ასეთი ძალადობის მუქარას. საკმარისია თუნდაც ერთი ამსრულებლის ასეთი აქტიური ფორმით ქმედება, მაგრამ მეორე ამსრულებელი უნდა ასრულებდეს ისეთ ქმედებას, რაც ქმედების შემადგენლობის ნაწილობრივ განხორციელებას გაუტოლდება. ეს შეიძლება იყოს მუქარა კონკლუდენტური ფორმით, ამსრულებლის გვერდით დგომით<sup>108</sup>. თუ თანამსრულებლობა ნივთის დაუფლებით განხორციელდა, გასათვალისწინებელია, როდის მოხდება დაუფლება, ვინაიდან, თუ ძალადობა ან ძალადობის მუქარა დასრულებული იყო და ამის შემდგომ შემოუერთდა მეორე სუბიექტი თავიდან მოქმედ

---

<sup>106</sup> *გამყრელიძე თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 289; *ნაჭყებია გ.*, წიგნში: *ნაჭყებია გ.*, თოდუა ნ., (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2016, გვ. 328; *ებრაღიძე თ.*, ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხისათვის, წიგნში: სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები, თინათინ წერეთლის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2006, გვ. 132.

<sup>107</sup> *თოდუა ნ.*, წიგნში: *ნაჭყებია გ.*, თოდუა ნ., (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2019, გვ. 466.

<sup>108</sup> *ლუკვეიშვილი მ.*, *თოდუა ნ.*, წიგნში: *ლუკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2019, გვ. 494, 496.

ამსრულებელს, მისი ქმედება ყაჩაღობად ვერ დაკვალიფიცირდება.

სუბიექტური თეორიის მიხედვით ყაჩაღობის თანაამსრულებელი შეიძლება ისიც იყოს, ვინც არ ახორციელებს ძალადობით ქმედებას და მუქარის ან ძალადობის განხორციელებისას შემთხვევის ადგილზე არ იმყოფება.

ამსრულებლის გვერდით დგომა ყოველთვის არ არის საკმარისი თანაამსრულებლობისთვის. ამსრულებლის გვერდით დგომა თანაამსრულებლობას მაშინ აფუძნებს, თუ კონკლუდენტურად მაინც ახორციელებს მუქარას.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ შეიძლება ჯგუფის წევრი არ ახორციელებდეს ძალადობას, მაგრამ თუ ძალადობით ნივთის დაუფლება მოცული იყო მისი განზრახვით, მასაც პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ძალადობით ყაჩაღობისთვის<sup>109</sup>, რაც არ არის გასაზიარებელი. თუმცა, ავტორის მოსაზრება ეფუძნება იმ შეხედულებას, რომლითაც ჯგუფური დანაშაულისთვის აუცილებელ წინაპირობად არ მიიჩნევა სულ მცირე ორი ამსრულებლის მოქმედება. შეიძლება ჯგუფის წევრი ძალადობას არ ახორციელებდეს, მაგრამ ასეთ დროს აუცილებელია მისი ქმედება ქმედების შემადგენლობის სხვა ნიშანს მოიცავდეს. მაგალითად, ახორციელებდეს მუქარას, რაც ფსიქიკური ძალადობის გამოხატულებას წარმოადგენს. თუ დანაშაულის ადგილზე მყოფი პირი ქმედების შემადგენლობის არცერთ ნიშანს არ ახორციელებს, ის შეიძლება ვცნოთ არა ჯგუფის წევრად, თანაამსრულებლად, არამედ თანამონაწილედ (მაგალითად, დამხმარე), ხოლო თუ მის გარდა სახეზეა ორი ამსრულებელი, მას როგორც თანამონაწილეს, პა-

---

<sup>109</sup> *ებრალიძე თ.*, ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხისათვის, წიგნში: სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები, თინათინ წერეთლის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2006, გვ. 132.

სუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს ჯგუფურ ყაჩაღობაში თანამონაწილეობისთვის. მოცემულ შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაციისას არ გამოირიცხება მითითება იმ ნორმაზე, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯგუფური ყაჩაღობისთვის, მაგრამ ამავედროულად უნდა მოხდეს მითითება თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის ნორმაზე (სსკ-ის 25-ე მუხ.), რაც იმის დასტური იქნება, რომ აღნიშნული პირი ისჯება ჯგუფური ყაჩაღობისთვის არა როგორც ჯგუფის წევრი, თანაამსრულებელი, არამედ როგორც ჯგუფურ დანაშაულში თანამონაწილე.

ყაჩაღობაში თანაამსრულებლობა შესაძლებელია დანაშაულის ფორმალურად განხორციელებამდე. ყაჩაღობის შემადგენლობის ფორმალურად განხორციელების შემდეგ თანაამსრულებლობა, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, გამოირიცხება და მოგვიანებით შემოერთებულმა პირმა პასუხი უნდა აგოს არა ყაჩაღობაში თანაამსრულებლობისთვის, არამედ ძარცვისთვის (178-ე მუხ.)<sup>110</sup>. ყაჩაღობის ფორმალურად განხორციელების შემდეგ თანაამსრულებლობა იმიტომ გამოირიცხება, რომ ყაჩაღობის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის ან ასეთი ძალადობის მუქარის განხორციელება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ პირმა მონაწილეობა არ მიიღო აღნიშნული (ქმედების შემადგენლობის) ნიშნის განხორციელებაში, ვერ იქნება მიჩნეული თანაამსრულებლად<sup>111</sup>. ყაჩაღობის შემადგენლობის ფორმალურად განხორციელების შემდეგ სუქცესი-

<sup>110</sup> *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 169, 171; *წერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 143-144.

<sup>111</sup> დანაშაულის ფორმალურად განხორციელების შემდეგ სუქცესიური თანაამსრულებლობა შესაძლებელია დენად დანაშაულებში. იხ. *ცქიტიშვილი თ.*, რეცენზია: ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2019, #1, გვ. 69-70.

ური თანაამსრულებლობა შეიძლება დავეუშვათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თავდასხმა გრძელდება და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ან მუქარა არ არის დასრულებული თანაამსრულებლის შემოერთების დროს.

ჯგუფური ყაჩაღობა უნდა გაიმიჯნოს ბანდიტიზმისგან, რომელიც ასევე ჯგუფის მოქმედებას გულისხმობს. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ბანდა მყარი შეიარაღებული ჯგუფია, განსხვავებით ყაჩაღობის დროს არსებული ჯგუფისგან. ჯგუფის სიმყარე იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფი შექმნილია არაერთ-ჯერადი ქმედების განსახორციელებლად, არამედ რამოდენიმე ქმედების ჩასადენად. გარდა ამისა, ბანდა არის შეიარაღებული ჯგუფი, მაგრამ მხედველობაში მიიღება ისიც, თუ როგორი იარაღითაა ჯგუფი შეიარაღებული<sup>112</sup>. რამოდენიმე (ერთზე მეტი) დანაშაულის ჩასადენად შეიძლება შექმნილი იყოს ორგანიზებული ჯგუფიც, თუმცა, ორგანიზებული ჯგუფისთვის ის არ წარმოადგენს აუცილებელ ნიშანს. ორგანიზებული ჯგუფი მაშინაც არ გამოირიცხება, როცა ჯგუფს მხოლოდ ერთი დანაშაულის ჩადენა აქვს გადაწყვეტილი (27-ე მუხ. მე-3 ნაწილი).

ყაჩაღობაში შუალობითი ამსრულებელი იქნება ის, ვინც ყაჩაღობის განსახორციელებლად იყენებს ისეთ პირს, ვისაც არ დაეკისრება პასუხისმგებლობა.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ყაჩაღობაში თანამონაწილეობა შესაძლებელია დანაშაულის იურიდიულად დამთავრების შემდეგაც, მაგრამ მოგვიანებით შემოერთებული თანამონაწილე პასუხს აგებს მხოლოდ იმ ნაწილში, რომლის განხორციელებაშიც მიიღო მონაწილეობა<sup>113</sup>. დამხმარეს მხოლოდ ის ქმედება შეეარაცხე-

<sup>112</sup> *ლექვენიშვილი მ., მამულაშვილი გ.*, პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი), თბ., 1999, გვ. 35.

<sup>113</sup> *მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 14.

ბა, რომლის განხორციელებაშიც მიიღო მონაწილეობა. მას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ ქმედებისთვის, რომლის განხორციელებაშიც მონაწილეობა არ მიუღია. თუ თავდასხმის განხორციელების შემდეგ შემთხვევით გამოვლილი პირი ყაჩაღს დაემხარება ნივთის დაუფლებაში, იგი პასუხს აგებს მხოლოდ ძარცვისთვის და არა ყაჩაღობისთვის<sup>114</sup>. გამოთქმული მოსაზრების თანახმად, თავდასხმის განხორციელების მხოლოდ მოწონება განზრახვას ყაჩაღური თავდასხმის მიმართ ვერ დააფუძნებს<sup>115</sup>. თუმცა, რამდენად მართებულია თავდასხმის მხოლოდ მოწონებაზე ვისაუბროთ და თანამონაწილეობის განზრახვა გამოვრიცხოთ, როცა სუქცესიური თანამონაწილე დანაშაულს უერთდება ქმედების შემადგენლობის ფორმალურად განხორციელების შემდგომ, მაგრამ თავდასხმის ჯერ კიდევ მიმდინარეობის ეტაპზე?

თუ ქართული სსკ-ი (27-ე მუხ. და 179-ე მუხ. მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი) უშვებს ყაჩაღობაში სუქცესიური თანაამსრულებლობის შესაძლებლობას (თავდასხმის დასრულებამდე), არ იქნებოდა მართებული გამოგვერიცხა სუქცესიური თანამონაწილეობა (დახმარება). იქ სადაც სუქცესიური თანაამსრულებლობაა შესაძლებელი, მით უფრო შესაძლებელი უნდა იყოს სუქცესიური თანამონაწილეობა (ვინრო გაგებით).

თ. წერეთელი აღნიშნავდა, რომ ყაჩაღობის ამსრულებლისთვის ქონების დაუფლებასა და დაუფლებული ქონების დამალვაში დახმარება მხოლოდ მაშინ უნდა ჩაითვალოს ყაჩაღობაში თანამონაწილეობად, დახმარებად, თუ ასეთი დახმარება ამსრულებლისთვის წინასწარ იყო შეპირებული, ხოლო თუ წინასწარ შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია და მეორე პირი შემთხვევის ადგილზე შემთხვევით აღმოჩნდა, როდესაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადო-

<sup>114</sup> *მჭედლიშვილი-პედრიხი ქ.*, იქვე, გვ. 242.

<sup>115</sup> *მჭედლიშვილი-პედრიხი ქ.*, იქვე, გვ. 246.

ბა ან ასეთი ძალადობის მუქარა განხორციელებული (დამთავრებული) იყო, ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება როგორც სხვის მიერ ჩადენილ დანაშაულში (ყაჩაღობაში) თანამონაწილეობა და დაისჯება იმ დანაშაულისთვის, რომლის შესრულებასაც ხელი შეუწყო: აშკარა დაუფლებისას – ძარცვისთვის, ფარული დაუფლებისას – ქურდობისთვის, წინასწარი შეთანხმების გარეშე დამნაშავის, დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით ნაპოვნი საგნების დამალვისას – დანაშაულის დაფარვისთვის<sup>116</sup>.

დახმარების წინასწარი შეპირების გარეშე, შემთხვევით დანაშაულის ადგილზე აღმოჩენილი პირის ქმედების ყაჩაღობის მუხლით კვალიფიკაციის ყოველთვის გამორიცხვა საკამათოდ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან საკითხის ასეთ გადაწყვეტას ფაქტობრივად ყაჩაღობაში სუქცესიური დახმარების უარყოფამდე მივყავართ. მიუხედავად იმისა, რომ ყაჩაღობა დამთავრებულია თავდასხმისას, მაინც არსებობს აღნიშნულ დანაშაულში სუქცესიური თანამონაწილეობის (დახმარების) შესაძლებლობა. ეს ეხება იმ შემთხვევას, როცა სუქცესიური დამხმარის შემთხვევის ადგილზე აღმოჩენის დროს თავდასხმა, მსხვერპლზე სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა, ჯერ კიდევ არ არის შეწყვეტილი და გრძელდება, თუმცა, ქმედების შემადგენლობა ფორმალურად განხორციელებულად შეიძლება ჩაითვალოს. ეს იმას ნიშნავს, რომ წინასწარი შეპირების გარეშე მოგვიანებით შემოერთებულ პირსაც ეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ იმოქმედოს ყაჩაღობაში თანამონაწილეობის განზრახვით.

ყაჩაღობაში თანამონაწილეობა შესაძლებელია როგორც აქტიური მოქმედებით, ისე უმოქმედობით. უმოქმედობით თანამონაწილეობას, დახმარებას ადგილი შეიძლება ჰქონდეს

---

<sup>116</sup> *წერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 198.

გარანტიის მხრიდან<sup>117</sup>. მაგალითად, როცა ქმარმა იცის, რომ ცოლი უნდა დააყაჩაღონ და ამის შესახებ არ ატყობინებს არც ცოლს და არც სამართალდამცავ ორგანოებს, რითაც ხელს უწყობს ყაჩაღობის ამსრულებლებს<sup>118</sup>. ყაჩაღობის ამსრულებელმა შეიძლება ამის შესახებ არც იცოდეს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის თანამონაწილეობას, ვინაიდან თანამონაწილეობა არ მოითხოვს ურთიერთცოდნას<sup>119</sup>. ზოგადად დანაშაულის შეუტყობინებლობა ვერ ჩაითვლება დახმარებად, თუ არ არსებობს სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა მოქმედებასთან დაკავშირებით<sup>120</sup>. უმოქმედობით დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობის არსებობა. აღნიშნული წინაპირობა უნდა არსებობდეს არა მხოლოდ უმოქმედობით დანაშაულის ამსრულებლობისას, არამედ ასევე დახმარების დროსაც.

მაშინ, როცა გარანტორის მიერ დაგეგმილი ყაჩაღობის შესახებ მსხვერპლისთვის ან სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეუტყობინებლობა ყაჩაღობაში დახმარებად კვალიფიცირდება, არაგარანტორის უმოქმედობა დაკვალიფიცირდება არა როგორც ყაჩაღობაში თანამონაწილეობა, არამედ 376-ე მუხლით (დანაშაულის შეუტყობინებლობა).

ყაჩაღობის დასჯადობასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ყაჩაღობაში თანაამსრულებლობის და დახმარების ერთმანეთისგან გამიჯვნა. როგორც ცნობილია, დამხმარეა ის, ვინც ქმნის პირობებს დანაშაულის

<sup>117</sup> ვესელსი ი., ბოილკე ვ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, ქართულად თარგმნა ზ. არსენიშვილმა, რედაქტორი ი. დვალიძე, 2010, გვ. 334, ველის ნომერი 582.

<sup>118</sup> ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 338.

<sup>119</sup> წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 63-64; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 335.

<sup>120</sup> წერეთელი თ., დასახ. ნაშრ., გვ. 180-182.



ჩასადენად. ეს შეიძლება გამოიხატოს ყაჩაღობის ამსრულებლისთვის იარაღის გადაცემაში, ავტომანქანის თხოვებაში, რომლითაც ამსრულებელი შემთხვევის ადგილამდე უნდა მივიდეს, წინასწარ შეპირებაში, რომ გაასაღებს ყაჩაღობის შედეგად მოპოვებულ საქონელს.

საკამათო საკითხად მიიჩნევა იმ პირის ქმედების კვალიფიკაცია, ვინც ყაჩაღობის დროს კარებთან დგას და ბინაში შესულ ამსრულებელს გარეთ ელოდება. თუ გარეთ მდგომი პირი მუქარას გარედან ახორციელებს და წვლილი შეაქვს დაზარალებულის ნების პარალიზებაში, გარეთ მდგომი პირი თანაამსრულებლად უნდა ვცნოთ, მაგრამ მაშინ, როცა გარეთ მდგომი ასეთ მოქმედებას არ ასრულებს და მხოლოდ დარაჯის ფუნქციას ითავსებს, ჩნდება კითხვა, საქმე გვაქვს თანაამსრულებელთან თუ დამხმარესთან? ერთ-ერთი შეხედულებით, რომელსაც მ. ტურავა გამოთქვამს, აღნიშნულ შემთხვევაში სახეზეა თანაამსრულებელი. ავტორი საკითხის ამგვარად გადანწყვეტის საფუძვლად ფუნქციონალურ თეორიას მიიჩნევს. დარაჯად მდგომი პირი მ. ტურავას შეხედულებით ფუნქციონალური თანაამსრულებელია. დარაჯად მდგომი პირის დამხმარედ მიჩნევა, ავტორის თვალსაზრისით, მხოლოდ ფორმალურ-ობიექტური თეორიის მიხედვით არის შესაძლებელი, რომელიც მისივე თქმით, მოძველებულია. სსკ-ის 22-ე მუხლის მიხედვით, ამსრულებელი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული, არამედ ასევე ისიც, ვინც სხვასთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში. დანაშაულის ჩადენაში უშუალოდ მონაწილეობს ის პირიც, ვინც დანაშაულის ჩადენის უშუალო პროცესში ხელს უწყობს ამსრულებელს და უადვილებს მას ქმედების შემადგენლობის განხორციელებას<sup>121</sup>.

<sup>121</sup> ტურავა მ., სისლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 336-337.

ყაჩაღობის დროს დარაჯად მდგომი პირის თანაამსრულებლად მიჩნევას მხარს უჭერს ასევე ა. *ობანაშვილიც*, რომელიც იზიარებს გორის რაიონული სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას, სადაც ყაჩაღობის თანაამსრულებლად ცნეს პირები, რომლებიც ოქროულობის მაღაზიაში შესულ თავდამსხმელს, წინასწარ შემუშავებული ერთობლივი გეგმის შესაბამისად, მაღაზიის მიმდებარე ტერიტორიაზე ელოდებოდნენ, რათა არავინ შეეშვათ მაღაზიაში და, საჭიროების შემთხვევაში, მაღაზიაში შესული თავდამსხმელისთვის შეეტყობინებინათ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ<sup>122</sup>. თუმცა, ა. *ობანაშვილი* იმასაც აღნიშნავს, რომ მეთვალყურედ მდგომი პირის ქმედების კვალიფიკაციის საკითხი ყოველთვის ერთნაირად კი არ უნდა გადაწყდეს, არამედ დიფერენცირებულად, კონკრეტულ შემთხვევათა გათვალისწინებით<sup>123</sup>. დასახელებული ავტორი თანაამსრულებლობის საკითხის გადაწყვეტას მხარს უჭერს არა თითოეული პირის წვლილის განცალკევებულად შეფასებით, არამედ მათ მხოლოდ ერთმანეთთან კავშირში, განხორციელებული ქმედების ფუნქციური მნიშვნელობის გათვალისწინებით<sup>124</sup>.

ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, რომ ბინაში უკანონო შეღწევით ჯგუფური ყაჩაღობის დროს არ არის აუცილებელი ყველა თანაამსრულებელი შევიდეს ბინაში<sup>125</sup>, მაგრამ არ აკონკრეტებს, რას ეფუძნება საკითხის ასეთი გადაწყვეტა ან საკითხი ყოველთვის უნდა გადაწყდეს თუ არა ერთნაირად.

მეორე მოსაზრებით, დარაჯად დგომის დროს დამხმარე-

---

<sup>122</sup> *ობანაშვილი ა.*, თანაამსრულებლობის დასაბუთება მოქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობით, წიგნში: გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, თბ., 2016, გვ. 279, 260, 280.

<sup>123</sup> *ობანაშვილი ა.*, დასახ. ნაშრ., გვ. 276.

<sup>124</sup> *ობანაშვილი ა.*, დასახ. ნაშრ., გვ. 274, 280.

<sup>125</sup> *კვარაცხელია რ.*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დაწესებულების კვალიფიკაცია, თბ., 2015, გვ. 205.

თანამონაწილეობასთან გვაქვს საქმე და თანაამსრულებლობა გამოირიცხება<sup>126</sup>. აღნიშნული მოსაზრება გაზიარებულია არა მხოლოდ ქართულ, არამედ აგრეთვე გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაშიც<sup>127</sup>. თუ საკითხი გადაწყდა პირველი შეხედულების მიხედვით, მოხდება თანაამსრულებლის ცნების გაფართოება. საქართველოს სსკ-ის მიხედვით, თანაამსრულებელია ის, ვინც სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში. დანაშაულის ჩადენაში უშუალო მონაწილეობა, მეორე შეხედულების მიხედვით, განიშორება, როგორც ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში უშუალო მონაწილეობა. ყაჩაღობის დროს გარეთ, ბინის კართან მდგომი პირი ასეთ ფუნქციას ყოველთვის არ ითავსებს.

როდესაც ვმსჯელობთ იმაზე, თანაამსრულებელია თუ დამხმარე ბინაში უკანონო შეღწევით ყაჩაღობის დროს გარეთ

---

<sup>126</sup> *წერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 135-137; *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 280; *თოდუა ნ.*, წიგნში: ნაჭყებია გ., თოდუა ნ., (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2019, გვ. 452; *სულაქველიძე დ.*, ქმედებაზე ბატონობა და დანაშაულში თანამონაწილეობა, წიგნში: ტურავა მ., (რედ.) სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბ., 2013, გვ. 207; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 153. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხის დასახელებული ნაშრომი კარგად მიუთითებს იმაზე, რომ ავტორი თანაამსრულებლობის და დამხმარების გამიჯვნასთან დაკავშირებით იზიარებს ქმედებაზე ბატონობის თეორიას, ხოლო დარაჯად მდგომ პირს მიიჩნევს არა თანაამსრულებლად, არამედ დამხმარედ. შესაბამისად, არ არის გასაზიარებელი ის მოსაზრება, რომ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი თითქოს ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის თეორიას მხარს უჭერდეს. იხ. *ოხანაშვილი ა.*, თანაამსრულებლობის დასაბუთება მოქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობით, წიგნში: გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, თბ., 2016, გვ. 259, მე-15 სქოლიო.

<sup>127</sup> *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 5. Aufl., Stuttgart, 2019, S. 586, Rn. 1320.

ბინის კართან მდგომი პირი, უნდა გავითვალისწინოთ, ვინ არის დამხმარე და რა ფუნქციას ასრულებს ის დანაშაულის განხორციელების დროს. თუ გვექნება პასუხი აღნიშნულ კითხვაზე, არ გავგიჭირდება სწორი სამართლებრივი შეფასება იმ პირის ქმედებისა, რომელიც ბინაში შეღწევით ყაჩაღობის დროს კართან დგება დარაჯად.

დახმარება, როგორც აღნიშნული სიტყვაც მიუთითებს, გულისხმობს დანაშაულის ჩადენაში წვლილის შეტანას. იმას, ვინც ეხმარება ამსრულებელს, წვლილი შეაქვს დანაშაულის ჩადენაში. გერმანულ სისხლის სამართალში მოცემული დეფინიციის თანახმად, დანაშაულში ასეთ წვლილის შეტანასთან გვაქვს საქმე, როცა ხორციელდება ქმედება, რომელიც ამსრულებლის ძირითად ქმედებას შესაძლოს ხდის, ამარტივებს ან ამსრულებლის მიერ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას აძლიერებს. საკამათოდ მიიჩნევა საკითხი იმის შესახებ, დამხმარე არის თუ არა ის პირი, რომლის ქმედების გარეშეც ამსრულებელი დანაშაულის ჩადენას მაინც შეძლებდა<sup>128</sup>. აქვე უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ ავტორი, როგორც თვითონ აღნიშნავს, თანაამსრულებლობის და დამხმარის გამიჯვნასთან დაკავშირებით ეყრდნობა ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის თეორიას<sup>129</sup>. ანალოგიური მიდგომა იკვეთება ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ავტორთა ერთი ნაწილის მხრიდან, როცა თანაამსრულებლად მიიჩნევენ იმას, ვინც დანაშაულის განხორციელება-არგანხორციელების

---

<sup>128</sup> *Heinrich B.*, ebenda. არ შეიძლება უარვყოთ იმ პირის დამხმარის სახით დანაშაულში მონაწილეობა, ვინც ასრულებს ისეთ ქმედებას, რომლის გარეშეც ამსრულებელი დანაშაულის ჩადენას მაინც შეძლებდა. მაგალითად, კიბის თხოვება სხვის ბინაში შესასვლელად. თუ აღნიშნულ ქმედებას დახმარებად არ მივიჩნევდით, მეტად შევზღუდავდით დამხმარის ცნებას.

<sup>129</sup> *Heinrich B.*, ebenda, S. 528, Rn. 1222.

საკითხს წყვეტს, ქმედებაზე ფუნქციურად ბატონობს<sup>130</sup>, მაგრამ დარაჯს არ მიაკუთვნებენ ასეთ ფიგურას და თვლიან არა თანაამსრულებლად, არამედ დამხმარედ<sup>131</sup>. ავტორის მოსაზრებით, იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული თანაამსრულებლობის და დახმარების ერთმანეთში აღრევა, თანაამსრულებლობის და დახმარების გასამიჯნად უნდა იქნას გამოყენებული ქმედებაზე ბატონობის მკაცრი თეორია, უნდა მოხდეს ქმედებაზე ბატონობის შებლუდულად განმარტება და მისი მკაცრ ჩარჩოებში მოქცევა<sup>132</sup>.

საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლში (მე-3 ნაწილი) მოცემულია დამხმარის მოკლე განმარტება, რომლის თანახმადაც, დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას. ასეთი ხელშეწყობა სხვადასხვა ქმედებით შეიძლება განხორციელდეს, მაგრამ 24-ე მუხლში არ არის მოცემული იმ ქმედებათა თუნდაც სანიმუშო ჩამონათვალი, რომელიც მიიჩნევა დანაშაულის ჩადენაში ხელშეწყობად.

ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, დამხმარეა ის, ვინც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას იარაღის ან საშუალების მიწოდებით, **დაბრკოლების აცილებით**, რჩევა-დარიგებით, განზრახვის განმტკიცებით, დაპირებით, რომ აღმოუჩენს დახმარებას დანაშაულის ჩადენის შემდეგ ან სხვა საშუალებით<sup>133</sup>.

ყაჩაღობის დროს გარეთ ბინის კართან მდგომი პირი, თუ მან ამსრულებელს ტელეფონით უნდა შეატყობინოს საეჭვო პირის გამოჩენის შესახებ, დამხმარედ უნდა ვცნოთ სწორედ

---

<sup>130</sup> *სულაქველიძე დ.*, ქმედებაზე ბატონობა და დანაშაულში თანამონაწილეობა, წიგნში: ტურავა მ., (რედ.) სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბ., 2013, გვ. 203.

<sup>131</sup> *სულაქველიძე დ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 207.

<sup>132</sup> *სულაქველიძე დ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 210.

<sup>133</sup> *წერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 176.

დამხმარის ზემოთ მოცემული დეფინიციის გათვალისწინებით, ვინაიდან ბინის კართან მდგომი პირი, მოცემულ შემთხვევაში ამსრულებელს აძლევს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების შესაძლებლობას, დაბრკოლებას აცილებს თავიდან (დაბრკოლების აცილების ერთ-ერთი სახე)<sup>134</sup>, რითაც ქმნის ამსრულებლის ქმედების განხორციელების პირობას და წვლილი შეაქვს დანაშაულის განხორციელებაში. მართალია, მისი ქმედება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მაგალითად, კიბის თხოვება სხვის ბინაში (სახლში) მართლსაწინააღმდეგოდ შესაღწევად, რაც ასევე დანაშაულში დახმარებას წარმოადგენს, მაგრამ მიუხედავად გარკვეული სხვაობისა, დანაშაულში წვლილის შეტანის ხარისხობრივი მაჩვენებლის გათვალისწინებით, ის მაინც არ უტოლდება თანაამსრულებლობას. მაშასადამე, დარაჯად მდგომი პირის მიჩნევა დამხმარედ, შეიძლება დასაბუთდეს როგორც ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის, ისე ქმედებაზე ბატონობის თეორიის მიხედვით.

ბინის კართან მდგომი პირი მაშინ შეითავსებს თანაამსრულებლის ფუნქციას, თუ მან ბინაში შიგნით შესვლის გარეშე შეძლო ქმედების შემადგენლობის ნიშნის განხორციელება. როგორცაა, მაგალითად, მუქარა, რაც ახდენს ბინაში მყოფი დაზარალებულის ნების პარალიზებას.

მაშინ, როცა ბინაში შეღწევით ყაჩაღობის დროს კართან მდგომი დარაჯის ქმედების კვალიფიკაციის საკითხი განვიხილეთ, ჩნდება კითხვა, თუ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს იმ პირის ქმედება, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს ამსრულებელთან სივრცობრივად უფრო ახლოს იმყოფება, არის ამსრულებლის ძირითადი ქმედების მიმდინარეობის ადგილას,

---

<sup>134</sup> *წერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 179; *მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 153.

ამსრულებლის გვერდით. მაშასადამე, დგას არა ბინის კართან დარაჯად, არამედ იმყოფება ბინაში ამსრულებლის გვერდით. დანაშაულის ადგილზე უბრალოდ ყოფნის სწორი სამართლებრივი შეფასებისთვის, როგორც *კ. როქსინი* მიუთითებს, აუცილებელია იმის გათვალისწინება, თუ რა გავლენა მოახდინა მან დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაზე და უშუალოდ ქმედების შემადგენლობის განხორციელებაზე. გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ყაჩაღობის შემთხვევაში დანაშაულის ადგილზე უბრალოდ ყოფნა მიიჩნია ფსიქიკურ მზრუნველობად და დანაშაულის ადგილზე მყოფი პირი დასაჯა როგორც დამხმარე, **მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული მსხვერპლის სასარგებლოდ მოქმედებდა.** მოგვიანებით მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, ეს იმას გულისხმობს, რომ მოქმედების გარეშე შემთხვევის ადგილზე უბრალოდ ყოფნა შეიძლება დახმარებად დაკვალიფიცირდეს, თუ ეს ამსრულებელს უსაფრთხოების განცდას განუმტკიცებს<sup>135</sup>, რაც ფსიქიკურ დახმარებას წარმოადგენს. როქსინი განმარტავს, რომ აქ საჭიროა ერთი მითითება, რომ ამას მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როცა „თანყოფნა“ (Dabeistehen) განიმარტება კონტექსტუალურად, რომ მანამდე უმოქმედოდ დანაშაულის ადგილზე მყოფს საჭიროების შემთხვევაში ამსრულებლის სასარგებლოდ შეეძლო ზომების მიღება. რაც მეტად მნიშვნელოვანია, აღნიშნული

<sup>135</sup> გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღნიშნულთან დაკავშირებით კრიტიკული მოსაზრებაც არის გამოთქმული, რომ ვინაიდან ასეთი შინაგანი ზეგავლენის მიზნობრიობა არ არის დადგენადი მტკიცების თვალსაზრისით, ამგვარად მისი დასჯადობა in dubio pro reo პრინციპის უგულებელყოფით, დახმარების მცდელობებსაც მოიცავდა. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. *Roxin C., Strafrecht, AT, Band II, Besondere Erscheinungsformen der Straftat, München 2003, S. 202, §26 Rn. 208.* როქსინი მიუთითებს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ამსრულებლის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა ძალიან კარგად შეიძლება დადგინდეს. იხ. იქვე.

ქმედება მიიჩნევა პოტენციურ თანაამსრულებლობად ანუ ისეთ შემთხვევადად, როცა ქმედებას აქვს თანაამსრულებლობაში გადამზრდის პოტენცია და ამცირებს მსხვერპლის მიერ თავდაცვის შესაძლებლობას<sup>136</sup>. დანაშაულის ადგილზე უმოქმედოდ ყოფნა მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დასჯად დახმარებად, თუ ის ამსრულებელს დანაშაულებრივი ქმედების გაგრძელების მოტივაციას უქმნის<sup>137</sup>. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასეთ დროს ქმედების დასჯადობისთვის მნიშვნელოვან პირობად განიხილავენ გარანტორულ მოვალეობას, ვინაიდან მიიჩნევენ, რომ დანაშაულის განხორციელების დროს ამსრულებელთან ერთად დანაშაულის ადგილზე უბრალოდ ყოფნა, არის უმოქმედობა, ხოლო უმოქმედობის დასჯადობა გარანტორულ მოვალეობას მოითხოვს<sup>138</sup>.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ დამნაშავის გვერდით ყოფნა შემთხვევის ადგილზე ყოველთვის არ წარმოადგენს უბრალო უმოქმედობას, რომლის დასჯადობისთვის აუცილებელ პირობად მიჩნეული იქნებოდა გარანტორული მოვალეობის არსებობა. მაგალითად, როცა ყაჩაღობის დროს ყაჩაღობის ამსრულებლის გვერდით თანამზრახველი იმყოფება, როცა ამსრულებელი ძალადობას ან მუქარას ახორციელებს, შეიძლება საკითხი განხილულ იქნას თანაამსრულებლობის თვალსაზრისით. მით უფრო დასაშვები შეიძლება იყოს საკითხის ასეთი გადაწყვეტა, როცა ამსრულებლის გვერდით მყოფი პირი არის შეიარაღებული და ეს აღქმადია დაზარალებულისთვის. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება მუქარას კონკლუდენტური ფორმით. დარაჯად მდგომი არ უნდა მივიჩნიოთ სრულიად უმოქმედოდ მყოფ პირად, მაგრამ ამის

---

<sup>136</sup> *Roxin C., Strafrecht, AT, Band II, Besondere Erscheinungsformen der Straftat, München 2003, S. 200, §26 Rn. 204.*

<sup>137</sup> *Roxin C., ebenda, S. 201, §26 Rn. 205.*

<sup>138</sup> *Roxin C., ebenda, S. 201, §26 Rn. 205.*



მიუხედავად, კარებთან მხოლოდ დარაჯად დგომა მაინც ვერ იქნება საკმარისი ყაჩაღობის თანაამსრულებლობისთვის, თუ ის დარაჯად, გარეთ კარებთან დგომის დროს არ ასრულებს ყაჩაღობის შემადგენლობის ერთ-ერთ ნიშანს (მუქარას). თუ დარაჯად დგომა არ არის უბრალო უმოქმედობა, ამსრულებლის გვერდით დგომა, როცა ის ამსრულებელს დანაშაულის გაგრძელების მოტივს უქმნის, საკამათოა, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს უბრალო უმოქმედობად.

როქსინი, ერთი მხრივ, დანაშაულის განხორციელების ადგილზე ყოფნას მიიჩნევს თანაამსრულებლობის აუცილებელ პირობად, ვინაიდან ქმედებაზე ბატონობა თუ თანაბატონობა შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმას, ვინც დანაშაულის ადგილზე იმყოფება<sup>139</sup>, მაგრამ, მეორე მხრივ, დანაშაულის ადგილზე ყოფნის ყველა შემთხვევას არ მიიჩნევს თანაამსრულებლობად და ქმედებას აკვალიფიცირებს როგორც დახმარებას (თანამონაწილეობა ვინრო გაგებით), იმის გათვალისწინებით, თუ რა ფუნქციას ასრულებდა დანაშაულის ადგილზე მყოფი პირი. უფრო მეტიც, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, დანაშაულის ადგილზე ყოფნა ცალკეულ შემთხვევებში, როქსინის თვალსაზრისით, საკმარისი არ არის არა მხოლოდ თანაამსრულებლობისთვის, არამედ დახმარებისთვისაც, თუ დანაშაულის ადგილზე მყოფს არ შეუძლია ამსრულებელს შეუქმნას დაწყებული დანაშაულის გაგრძელების მოტივი.

როქსინის მოძღვრების მიხედვით, თუ დანაშაულის ამსრულებელი მოკრივე ბ-ს წაიყვანს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩასადენად იმისთვის, რომ მესაკუთრისგან დაიცვას, რომც არ მოუხდეს ბ-ს ასეთი საქმის განხორციელება, მაინც თანაამსრულებლად უნდა იქნას ცნობილი, ვინაიდან დანაშაულებრივი გეგმისთვის და მისი განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი იყო მისი პოზიცია. თუმცა, ისიც

<sup>139</sup> Roxin C., ebenda, S. 81-82, §25 Rn. 198.

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ საკითხს იგი ქურდობასთან მიმართებით განიხილავს<sup>140</sup>.

როქსინის თანახმად, ის ვინც დგას დარაჯად, თუ ეს მნიშვნელოვანია საქმის ვითარებისთვის, თანაამსრულებლობა არ გამოირიცხება, მაშინაც, როცა დარაჯად მდგომს არ მოუწევს დაცვა მესაკუთრისგან. როქსინის მიხედვით, დარაჯად დგომა დახმარებად მიიჩნევა მხოლოდ მაშინ, როცა ეს დანაშაულის დაგეგმვისას პრაქტიკულად უმნიშვნელოდ გამოიყურება<sup>141</sup>.

როგორც მოცემული მსჯელობიდან ირკვევა, როქსინის თეორიით, გადამწყვეტია არა უბრალოდ დარაჯად დგომა, არამედ იმის გათვალისწინება, თუ რა ფუნქციას ასრულებს იგი. იმისთვის, რომ დარაჯად მდგომი თანაამსრულებლად იქნას მიჩნეული, მისი ქმედება უნდა შეფასდეს როგორც მნიშვნელოვანი წვლილი დანაშაულის განხორციელებაში. დანაშაულის განხორციელებაში შეტანილი წვლილის მნიშვნელობა კი ფასდება *ex ante* და არა *ex post*. ქმედების მნიშვნელოვანი ფუნქცია მაშინ არ არის სახეზე, როდესაც დანაშაულში მონაწილეობა არ მიიჩნევა აუცილებლად<sup>142</sup>. გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ჰყავს მომხრეები მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც დარაჯად დგომა შეიძლება მიჩნეულ იქნას დანაშაულის თანაამსრულებლობად მაშინ, როცა დარაჯად მდგომი ამსრულებელს ეხმარება იმაში, რომ თავისი დანაშაულებრივი ქმედების განხორციელება შეძლოს ხელის შეშლის გარეშე, რაც მიუთითებს დანაშაულის განხორციელებაში მის მნიშვნელოვან ფუნქციაზე, რომელიც დანაშაულებრივი გეგმითაც იყო გათვალისწინებული. თუმცა, სასამართლო პრაქტიკას დარაჯად დგომის შემთხვევაზე არ გააჩნია ერთიანი მოსაზრება და უბრალოდ დარაჯად მდგომი დამხმარედ მიიჩნევა

---

<sup>140</sup> *Roxin C.*, ebenda, S. 87-88, §25 Rn. 212.

<sup>141</sup> *Roxin C.*, ebenda, S. 87-88, §25 Rn. 212.

<sup>142</sup> *Roxin C.*, ebenda, S. 87, §25 Rn. 212.

მაშინ, როცა საქმე ეხება სუპერმარკეტში განხორციელებულ ქმედებას, როცა სხვა პირები სუპერმარკეტში შეიჭრებიან, ამტკრევენ სიგნალიზაციის მოწყობილებას, რომელსაც დამცავი ფუნქცია აქვს და ხსნიან სეიფს<sup>143</sup>. როგორც ჩანს, დანაშაულის განხორციელებაში შეტანილი წვლილის და განხორციელებული ქმედების ფუნქციის შეფასებისას გასათვალისწინებელია თვითონ დანაშაულის ბუნება, ქმედების შემადგენლობის ნიშნები, რომლის გათვალისწინებლად შეუძლებელია დარაჯად დგომის სწორი შეფასება.

ქმედებაზე ბატონობის მკაცრი თეორიის მიხედვით ყაჩაღობაში თანაამსრულებლობისთვის საჭიროა ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება, რაც როქსინის თქმით ქმედებაზე ბატონობის პრინციპიდან გამომდინარეობს. თანაბატონობა შეუძლია მას, ვინც ქმედების განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, ვინც დანაშაულის მომზადებაში შეიტანს მნიშვნელოვან წვლილს, მაგრამ შემდგომ დანაშაულის განხორციელებას სხვას მიანდობს ხელიდან უშვებს ქმედებაზე ბატონობას<sup>144</sup>. როქსინი თანაამსრულებლობის შესაძლებლობას უშვებს მაშინაც, როცა ბოროტმოქმედი დანაშაულის ადგილზე არ იმყოფება. თანაამსრულებლობისთვის აუცილებელ კრიტერიუმად არ მიაჩნია დანაშაულის ადგილზე ყოფნა<sup>145</sup>. დანაშაულის ჩადენაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიძლება შეტანილ იქნას დისტანციურადაც. ასეთ ფიგურად როქსინს მიაჩნია ის, ვინც დანაშაულის მსვლელობის დროს ტელეფონით იძლევა მითითებებს. თუ ბოროტმოქმედი დანაშაულის განხორციელების დროს არ მონაწილეობს მოვლენების განვი-

<sup>143</sup> Schramm E., Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 62, §2 Rn. 75.

<sup>144</sup> Roxin C., ebenda, S. 81, §25 Rn. 198.

<sup>145</sup> ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს შუნემანიც. Schünemann B., in: LK, 12. Aufl., 2007, §25 Rn. 184.

თარებაში, როქსინს ასეთი პირის თანაამსრულებლად მიჩნევა შეუძლებლად მიაჩნია. თუმცა, ასეთი პირის დასჯა მას დასაშვებად მიაჩნია შუალობითი ამსრულებლის სახით<sup>146</sup>. როქსინის თვალსაზრისით ბანდის ხელმძღვანელი, რომელიც დანაშაულის მომზადებაში იღებს მონაწილეობას და არა უშუალოდ ქმედების განხორციელებაში, შეიძლება დაისაჯოს შუალობითი ამსრულებლის სახით ორგანიზაციული ბატონობის თვალსაზრისით. თუ შეფი დანაშაულის განხორციელებას „დირიჟორობს“ საქმე ეხება თანაამსრულებლობას, მაშინაც, როცა ის დანაშაულის ადგილზე არ იმყოფება<sup>147</sup>.

ბ. შუნემანის მიხედვით, ვინაიდან ამსრულებლობა ქმედების შემადგენლობის განხორციელებას გულისხმობს, შეიძლება თანაამსრულებელი ის იყოს, ვინც ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებაზე თანაბატონობას ახორციელებს. ის, ვინც მხოლოდ დანაშაულის მომზადებაში მონაწილეობს, შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს მოვლენების განვითარებაზე, მაგრამ არ შეუძლია ბატონობის განხორციელება<sup>148</sup>. ჰერცბერგის მიხედვით „თანაამსრულებელია ის, ვისაც დანაშაულის განხორციელებაში წვლილი შეაქვს დანაშაულის განხორციელების დაწყების სტადიაზე ანუ მცდელობის ეტაპზე ან დანაშაულის დასრულებაში. ამასთან ერთად თანაამსრულებლობისთვის აუცილებელია აღნიშნული ქმედების განხორციელება პარტნიორულად (სხვა ამსრულებელთან ერთად)<sup>149</sup>.

---

<sup>146</sup> *Roxin C.*, ebenda, S. 82, §25 Rn. 200.

<sup>147</sup> *Roxin C.*, ebenda, S. 86-87, §25 Rn. 210.

<sup>148</sup> *Schünemann B.*, in: LK, 12. Aufl., 2007, §25 Rn. 182. დანაშაულის მომზადების სტადიაზე მონაწილეობით დანაშაულში თანაამსრულებლობას გამოირიცხავენ ასევე სხვა ავტორებიც. *Bottke W.*, *Mittäterschaft bei gemeinsam fahrlässiger oder leichtfertiger Erfolgserwirkung*, GA 2001, S. 472.

<sup>149</sup> *Herzberg R.D.*, *Täterschaft, Mittäterschaft und Akzessorietät der Teilnahme*, ZStW 1987, S. 58.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ როქსინის შეხედულება თანაამსრულებელზე სრულად ვერ იქნება გამოყენებული მოქმედი ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ვინაიდან, ქართული სისხლის სამართლის თანახმად, ის ვინც დანაშაულებრივი დაჯგუფების ხელმძღვანელია და ქმნის პირობებს დანაშაულის ჩასადენად დანაშაულის მომზადების სტადიაზე ან დანაშაულის მსვლელობის დროს ტელეფონით გასცემს მითითებებს, ისჯება არა როგორც ამსრულებელი, არამედ როგორც ორგანიზატორი – თანამონაწილე (სსკ-ის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), რომელსაც გერმანული სისხლის სამართალი არ იცნობს.

სუბიექტური თეორიის მიხედვით, თანაამსრულებელი შეიძლება იყოს დანაშაულის ის მონაწილეც, რომელიც შემთხვევის ადგილზე ძალადობით ქმედებას არ ახორციელებდა და მის განხორციელებას არც ესწრებოდა. აღნიშნული შეხედულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სუბიექტურ მომენტს, იმას, რომ არსებობს საერთო ნება დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. აღნიშნული თეორია თანაამსრულებლობის და თანამონაწილეობისთვის (დახმარება) მნიშვნელოვან კრიტერიუმად მიიჩნევს იმას, მოქმედ პირს ქმედების განხორციელება სურდა თავისთვის, თუ სხვისთვის<sup>150</sup>. თანაამსრულებლობისთვის სუბიექტური მომენტი მნიშვნელოვანია, ვინაიდან თანაამსრულებლობა, როგორც წესი, ერთიანი განზრახვით მოქმედებას გულისხმობს, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ობიექტურ მომენტს. კერძოდ, რამდენად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დანაშაულის განხორციელებაში, რა სახის მოქმედებით, დანაშაულის რომელ ეტაპზე. მხოლოდ სუბიექტურ მომენტზე დაყრდნობით ყაჩაღობის თანაამსრულებელი და თანამონაწილე ერთმანეთისგან ვერ გაიმიჯნება, ვინაიდან შეკვეთით დანაშაულის ამსრულებელს შეიძლება და-

---

<sup>150</sup> BGHSt 28, S. 348.

ნაშაული თავისად არ მიაჩნდეს, იმის გამო, რომ იგი მხოლოდ შეკვეთის ამსრულებელია. მაგრამ ამის საფუძველზე შეუძლებელია ყაჩაღობაში თანაამსრულებლობა გამოვრიცხოთ, როცა მოქმედი პირი დანაშაულის ჩადენის ადგილზე იმყოფებოდა და თვითონ უშუალოდ მონაწილეობდა ძალადობითი ქმედების განხორციელებაში.

ერთ-ერთი შეხედულებით, თანაამსრულებლობისთვის საკმარისი შეიძლება იყოს დანაშაულის მომზადების სტადიაში მონაწილეობა<sup>151</sup>, თუ ის ქმედების განმახორციელებელი თანაამსრულებლის გადაწყვეტილებას განამტკიცებს. აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, ბანდის შეფიც თანაამსრულებლად შეიძლება ჩაითვალოს. გამოთქმული მოსაზრების თანახმად, გაუმართლებელია მისი მიჩნევა ნამქმებლად<sup>152</sup>. ბანდის შეფიც მიჩნევა ნამქმებლად მართლაც გაუმართლებელია, მაგრამ ასევე საკამათო შეიძლება იყოს თანაამსრულებლად იმ პირის მიჩნევა, რომელსაც დანაშაულის ჩადენაში წვლილი შეაქვს არა ქმედების შემადგენლობის განხორციელების, არამედ დანაშაულის მომზადების სტადიაზე. მოცემულ შემთხვევაში ისევ დანაშაულის ორგანიზატორზე (თანამონაწილეზე) შეიძლება ვინაობით საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლის თანახმად.

ზოგიერთი ავტორი დანაშაულის მომზადების და დაგეგმვის ორგანიზაციულ წვლილს და დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების დროს ფიზიკური მონაწილეობით წვლილის შეტანას თანაბარი რანგის მქონე ქმედებებად განიხილავს და ორივე შემთხვევაში თანაამსრულებლობაზე მიუთითებს. დანაშაულის მომზადების დროს განხორციელებულ ქმედებას თანაამსრულებლობისთვის არასაკმარისად მხოლოდ მაშინ

<sup>151</sup> *Heinrich B.*, in: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf*, *Strafrecht*, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, S. 463, §17 Rn. 14.

<sup>152</sup> *Wessels/Beulke/Satzger*, *Strafrecht*, AT, 49. Aufl., 2019, Rn. 823; *Heinrich B.*, *Strafrecht*, AT, 6. Aufl., 2019, S. 531, Rn. 1228; *Kühl K.*, *Strafrecht*, AT, 8. Aufl., 2017, S. 806, §20 Rn. 110.

მიიჩნევს, როდესაც განხორციელებული ქმედება უმნიშვნელო წვლილს წარმოადგენს<sup>153</sup>. თუმცა, ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით მოცემული მოსაზრება ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან დასახელებულ ქმედებათა მიჩნევა თანაბარი რანგის ქმედებებად, ნაშლიდა ზღვარს ორგანიზატორობასა და თანაამსრულებლობას შორის.

თუ ყაჩაღობის დროს ბინის კართან დარაჯად მდგომი გარედან დანაშაულის განხორციელებას ხელმძღვანელობს, ის მხოლოდ დარაჯის ფუნქციას არ ასრულებს და ითავსებს დანაშაულის ორგანიზატორის ფუნქციას, შესაბამისად, ქართული მოქმედი სსკ-ის 24-ე მუხლის მიხედვით უნდა დაისაჯოს, როგორც ორგანიზატორი<sup>154</sup>. მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს იმას, ბინაში შიგნით მოქმედი ამსრულებელი ქურდობის შემადგენლობას ახორციელებს, თუ ყაჩაღობას. ორივე შემთხვევაში გარედან ამსრულებლისთვის მითითებების მიცემა, ქართული სსკ-ის შესაბამისად, ორგანიზატორი იქნება და არა დამხმარე ან თანაამსრულებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის გასაზიარებელი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, თანაამსრულებლად მიიჩნევა პირი, რომელიც დანაშაულის ჩადენის ადგილზე არ იმყოფება და ხელმძღვანელობს ქმედების შემადგენლობის განხორციელებას. აღნიშნული მოსაზრების ავტორის თქმით, საკითხის ასეთ გადამწყვეტას ამყარებს საქართველოს სსკ-ის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილი<sup>155</sup>.

ა. ოხანაშვილის თვალსაზრისით, დანაშაულის ხელმძღვანელი როგორც დანაშაულის თანაავტორი თანამედროვე

<sup>153</sup> *Kühl K., Strafrecht, AT, 8. Aufl., 2017, S. 806, §20 Rn. 110.*

<sup>154</sup> *მჭედლიძევილი-ჰედრისი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 154-155.

<sup>155</sup> *ოხანაშვილი ა.*, თანაამსრულებლობის დასაბუთება მოქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობით, წიგნში: გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, თბ., 2016, გვ. 277-278.

სისხლის სამართალში თანაამსრულებლობად მიიჩნევა, რაც ფუნქციონალური თანაამსრულებლობის მოძღვრებიდან გამომდინარეობს და რომლის შესაბამისად შესაძლებელია განიმარტოს თანაამსრულებლობაზე ქართულ სისხლის სამართლის კანონდებლობაში მოცემული რეგულირება. ავტორი დანაშაულში დისტანციური მონაწილეობის ორ შემთხვევას გამოყოფს: ერთი, როცა ხელმძღვანელობა ხდება შორი მანძილიდან, დისტანციურად და მეორე, როცა ხელმძღვანელობა ხდება დანაშაულის მიმდინარეობის ადგილზე<sup>156</sup>.

როგორც ჩანს, ავტორი ანგარიშს არ უწევს ორგანიზატორის საკანონმდებლო დეფინიციას, რომელიც მოცემულია 24-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, რომლის თანახმადაც, ის, ვინც ხელმძღვანელობს დანაშაულის განხორციელებას, არის ორგანიზატორი და არა ამსრულებელი. ორგანიზატორი შეიძლება ამსრულებლის ფუნქციასაც ითავსებდეს, ისევე როგორც წამქეზებლის ან დამხმარის, მაგრამ ამისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ დანაშაულის ხელმძღვანელობა, მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისი საშიშროებით შეიძლება არ ჩამოუვარდებოდეს დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა ქმედებებს. 25-ე მუხლის მე-3 ნაწილში მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ თუ ორგანიზატორი, წამქეზებელი ან დამხმარე დანაშაულის თანაამსრულებლის ფუნქციას ითავსებდნენ, 25-ე მუხლზე მითითება არ არის საჭირო ქმედების კვალიფიკაციის დროს, რაც იმით არის განპირობებული, რომ ამსრულებელი დანაშაულის ცენტრალური ფიგურაა, გარდა ამისა, სსკ-ის კერძო ნაწილის ნორმები ამსრულებელზეა გაანგარიშებული და ქმედების კვალიფიკაციის დროს საჭირო არ არის თანამონაწილეობის ნორმაზე მითითება, იგი რომც ითავსებდეს თანამონაწილის

---

<sup>156</sup> Okhanashvili A., Die Strafbarkeit des Organisationstäters und des Organisators in Deutschland und Georgien, Baden-Baden, 2021, S. 410. ასევე იხილეთ ამავე გვერდზე 2309-ე სქოლიო.



ფუნქციასაც. დანაშაულის ხელმძღვანელის, მაშასადამე, დანაშაულის ორგანიზატორის მიჩნევა თანაამსრულებლად შესაძლებელია გერმანული და არა ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით. საკითხი იმის შესახებ, ხომ არ არის საჭირო ორგანიზატორის ქმედების დასჯადობასთან დაკავშირებით ცვლილებები ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, მოითხოვს დამატებით სამეცნიერო დისკუსიას და დაფიქრებას. აქვე უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ ორგანიზატორს ყოველთვის დანაშაულში თანამონაწილედ არც ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა მიიჩნევს და ითვალისწინებს ისეთ შემადგენლობებს, სადაც ფაქტობრივად ორგანიზატორი სამართლებრივად ამსრულებლადაა წარმოდგენილი (სსკ-ის 223-ე მუხ. 1-ლი ნაწილი, 224-ე მუხ. 1-ლი ნაწილი, 225-ე მუხ. 1-ლი ნაწილი).

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ამსრულებლის და დამხმარის გასამიჯნად უნდა იქნას გათვალისწინებული დროის ფაქტორი. კერძოდ, ის, ვინც მოქმედებს დანაშაულის (ქმედების შემადგენლობის) განხორციელების დროს, არის თანაამსრულებელი და არა დამხმარე. აღნიშნული მოსაზრების გაზიარებისას დარაჯად მდგომი პირი უნდა გვეცნო თანაამსრულებლად, მაგრამ ეს შეხედულება სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში<sup>157</sup>. დამხმარე შეიძლება მოქმედებდეს როგორც დანაშაულის ჩადენამდე, ისე დანაშაულის ჩადენის დროსაც<sup>158</sup>. ყაჩაღობაში, და ზოგადად დანაშაულში, თანაამსრულებლის და დამხმარის გამიჯვნისთვის საკმარის კრიტერიუმად არ შეიძლება ვცნოთ მხოლოდ დროის ფაქტორი.

<sup>157</sup> *წერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 135-136.

<sup>158</sup> *წერეთელი თ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 177.

## VII. დანაშაულთა ერთობლიობა და ნორმათა კონკურენცია

ყაჩაღობის დროს ადგილი აქვს ისეთ მოქმედებებს, რომლებიც დამოუკიდებელ შემადგენლობებს ქმნიან, მაგრამ ყაჩაღობის შემადგენლობა მათ მოიცავს და საჭირო არ არის ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობის წესით. ესენია თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მუქარა, ძალადობა. ყაჩაღობის დროს მსხვერპლს გადაადგილების თავისუფლება აქვს უკანონოდ შეზღუდული, მაგრამ ამის მიუხედავად, ქმედება მაინც არ კვალიფიცირდება სსკ-ის 143-ე მუხლით. თუმცა, გასათვალისწინებელია, თავისუფლების აღკვეთა, მსხვერპლის გადაადგილების შესაძლებლობის შეზღუდვა რამდენ ხანს გრძელდებოდა. როდესაც მსხვერპლის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა დროის თვალსაზრისით არ სცდება ყაჩაღობის შემადგენლობის ფორმალურად განხორციელების და მიმდინარეობის ეტაპს, საჭირო არ არის ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობის წესით, მაგრამ თუ ყაჩაღობის განხორციელების შემდეგაც გაგრძელდა მსხვერპლის თავისუფლების აღკვეთის მდგომარეობაში ყოფნა იმ მიზნით, რომ მსხვერპლმა სამართალდამცავებს არ შეატყობინოს განხორციელებული დანაშაულის შესახებ, ქმედება მოითხოვს კვალიფიკაციას როგორც ყაჩაღობის, ისე თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის მუხლით. აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება შემდეგი შემთხვევა მოვიშველიოთ:

„დ“-მ განიზრახა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ „ვ“-ს ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით იგი დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ ოთხ პირს, რომლებმაც დაგეგმეს „ვ“-ს ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა. „დ“ და ძიებით დაუდგენელი ოთხი პირი მივიდნენ „ვ“ და „კ“-ს საცხოვრებელ სახლთან. ერთ-ერთმა წევრმა

ხმაურზე გამოსულ „კ“-ს თავში ჩაართყა მძიმე საგანი, რის შემდეგაც იგი ეზოდან საცხოვრებელ სახლში შეათრის, სადაც განაგრძეს „კ“-სა და მისი მეუღლის – „ვ“-ს ცემა. „დ“-მ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით „ვ“-ს მოსთხოვა ფული, ოქროს ნივთები. მათ „ვ“-ს ცხელი უთოთი მიაყენეს სხეულის დამწვრობა, რის შემდგომ „დ“ და მასთან ერთად მყოფი ბოროტმოქმედები „ვ“-ს ოჯახში დაეუფლნენ 5480 ლარად ღირებულ ოქროს და საყოფაცხოვრებო ნივთებს, ასევე თანხას – 300 აშშ დოლარსა და 270 ლარს. „დ“-ს დანაშაულებრივი ქმედებით დაზარალებულებს მიადგათ 5950 ლარისა და 300 აშშ დოლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. „ვ“-ს ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის დროს ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულმა „დ“-მ ოთხ თანამზრახველთან ერთად, ყაჩაღური თავდასხმის გაადვილების მიზნით, სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით „ვ“ და „კ“-ს წებოვანი ლენტით, ე.წ. „სკოჩით“ შეუკრა ხელ-ფეხი და პირი, უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება, რათა მათ წინააღმდეგობა არ გაეწიათ და ხელი არ შეეშალათ განზრახვის განხორციელებაში. ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 179-ე (ყაჩაღობა ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით) და 143-ე (თავისუფლების უკანონო აღკვეთა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, ჯგუფურად, ორი ან მეტი პირის მიმართ, სიცოცხლისთვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით) მუხლებით<sup>159</sup>.

ქმედების ზემოაღნიშნულ კვალიფიკაციაში საგულისხმოა არა მხოლოდ ქმედების დანაშაულთა ერთობლიობის წესით (179-ე და 143-ე მუხლებით) კვალიფიკაცია, არამედ ისიც, რომ ქმედება არ დაკვალიფიცირდა ჯანმრთელობის წინააღ-

<sup>159</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება.

მდეგ მიმართულ დანაშაულად, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულთა ჯანმრთელობა დაზიანდა განხორციელებული დანაშაულის შედეგად. განსახილველი გადაწყვეტილება შეიცავს საკამათო მომენტებსაც, რაც იმას უკავშირდება, რომ სასამართლომ დანაშაული ორივე ეპიზოდში ჯგუფურად განხორციელებულად სცნო, მაშინ როცა ერთი ამსრულებლის გარდა არ იყო დადგენილი სხვა ბოროტმოქმედები. გადაწყვეტილებაში ასევე ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ ჯგუფურობა ორივე ეპიზოდში იქნა მაკვალიფიცირებელ გარემოებად დადგენილი, რაც წინააღმდეგობაში მოდის ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპთან, რომც ყოფილიყო დადგენილი სხვა ბოროტმოქმედთა ვინაობა. როცა საქმე ეხება დანაშაულთა ერთობლიობას, არ შეიძლება ერთი და იგივე მაკვალიფიცირებელი გარემოება ორივე დანაშაულებრივი ქმედების მიმართ იქნას ცნობილი დამამძიმებელ გარემოებად.

ყაჩაღობასთან ერთად ქმედების სსკ-ის 143-ე მუხლით კვალიფიკაციის საჭიროება მაშინაც წარმოიშობა, როცა ავტომანქანის დაუფლების მიზნით ყაჩაღობის განხორციელებისას ადგილი აქვს მსხვერპლის მოთავსება საბარგულში, სადაც მას უწევს ყოფნა პოლიციელთა მიერ გათავისუფლებამდე, რასაც ადგილი ჰქონდა სასამართლო პრაქტიკაში<sup>160</sup>. მოცემულ შემთხვევაშიც მხედველობაში მიიღება მსხვერპლისთვის თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა.

როგორც უკვე ითქვა, ყაჩაღობის დროს დამნაშავე ახორციელებს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ ძალადობას ან ასეთი ძალადობის მუქარას. შესაბამისად, ყაჩაღობა აღნიშნული ხერხის გამოყენებით ხორციელდება, რის გამოც ქმედების სსკ-ის 151-ე და 150-ე მუხლებით კვალიფიკაცია არ არის საჭირო. ყაჩაღობის დროს მსხვერპლმა შეიძლება განი-

---

<sup>160</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება, #518აპ-14, სუსგ, 2015, #5-8, გვ. 62-66.

ცადოს მისი ნების საწინააღმდეგო ზეგავლენა იმ თვალსაზრისით, რომ ბოროტმოქმედთა ქმედებით მსხვერპლი იძულებული ხდება გადასცეს მოძრავი ნივთი დამნაშავეს. ის, რომ ნივთი მესაკუთრემ სხვას გადასცეს, მესაკუთრის უფლებას წარმოადგენს. მაშინ, როცა ნივთის გადაცემა ხდება ბოროტმოქმედისთვის, განხორციელებული ქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს მსხვერპლის ნების გამოხატულებად.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ როცა ყაჩაღობას მოსდევს ჯანმრთელობის დაზიანება, მიუხედავად მისი სიმძიმისა, ქმედება მხოლოდ 179-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს.

როდესაც ყაჩაღობა განხორციელებულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ისეთი პირის მიერ, ვისაც იარაღის ტარების უფლება არ ჰქონდა, ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლთან ერთად სსკ-ის 236-ე მუხლითაც უნდა დაკვალიფიცირდეს<sup>161</sup>, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებისთვის. აღნიშნული ნორმა არ გამოყოფს ცალკე შემადგენლობად ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო გამოყენებას, მაგრამ იარაღის გამოყენებას წინ უძღვის ტარება. თუ დანაშაულის ჩამდენს ჰქონდა იარაღის ტარების უფლება, ქმედება მხოლოდ 179-ე მუხლით დაკვალიფიცირდება.

## VIII. საპროცესოსამართლებრივი რეზულაცია.

თუ გამოძიება დაწყებულია ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება 179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის გამო, შესაძლებელია პროკურორმა იშუამდგომლოს სასამართლოში ფარული-საგამოძიებო მოქმედებების

<sup>161</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 9 იანვრის #1565-აპ განაჩენი, სუსგ, 2009, #8, გვ. 43-45; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის #1538-აპ განაჩენი, სუსგ, 2009, #8, გვ. 46-48.

განხორციელების თაობაზე, ვინაიდან აღნიშნული დანაშაული მისთვის გათვალისწინებული სასჯელის სიმკაცრის გათვალისწინებით, მიეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. მაშასადამე, განსახილველი დანაშაული მიეკუთვნება იმ დანაშაულთა რიცხვს, რომელთა შემთხვევაშიც დაშვებულია ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება (სსსკ-ის 143<sup>3</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

## თაღლითობა (სსკ-ის 180-ე მუხლი)

### **მუხლი 180. თაღლითობა**

1. თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, –

**ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას სამოცდაათიდან ორას საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.**

2. იგივე ქმედება:

ა) ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;  
ბ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –

**ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.**

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;  
ბ) დიდი ოდენობით;  
გ) არაერთგზის, –

**ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.**

4. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;  
ბ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევნი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალავისათვის, –

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.**

## 1. ზოგადი დებულებანი

თაღლითობას, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულს ნაკლები ხნის ისტორია გააჩნია, ქურდობასთან და ყაჩაღობასთან შედარებით. თაღლითობას გერმანულ სისხლის სამართალში მიიჩნევენ მე-19 საუკუნის კანონშემოქმედებითი საქმიანობის პროდუქტად<sup>162</sup>, რომელსაც ეკონომიკის ლიბერალიზაციასაც უკავშირებენ<sup>163</sup>.

თაღლითობის დასჯადობა რომ შედარებით გვიანდელი კანონშემოქმედებითი საქმიანობის შედეგია, ეს შეიძლება დავინახოთ ქართული ჩვეულებითი სამართლიდან<sup>164</sup> და სამართლის ძეგლებიდანაც, სადაც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულებისგან განსხვავებით თაღლითობის შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

თაღლითობას სხვაგვარად სიყალბის დანაშაულსაც უწოდებენ, ვინაიდან იგი სიყალბის ქმნასთან დაკავშირებული დანაშაულებიდან განვითარდა. სისხლის სამართლის კანონმდებლობა სხვა დანაშაულებსაც იცნობს, რომელიც სიყალბესთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ყალბი ფულის დამზადება და ა. შ. თაღლითობას სამეწარმეო დანაშაულადაც

<sup>162</sup> *Heinrich B.*, in: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf*, *Strafrecht*, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, S. 522, §20 Rn. 1.

<sup>163</sup> *Kindhäuser U.*, in: *Kindhäuser/Neumann/Paefgen* (Hrsg.), *Strafgesetzbuch*, Band 3, 4. Aufl., NK, 2013, §263 Rn. 1.

<sup>164</sup> ქართულ ჩვეულებით სამართალში საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ძირითადად ქურდობა მოიაზრება. იხ. *დავითაშვილი გ.*, დანაშაულის სახეები ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2017, გვ. 462. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ძველი ქართული სამართლის მიხედვით დანაშაულთა სახეების განხილვისას საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან ქურდობის შემთხვევებზე აკეთებს აქცენტს ივ. ჯავახიშვილიც. იხ. *ჯავახიშვილი ივ.*, თბულებანი თორმეტ ტომად, თბ., 1984, გვ. 227-233. მართალია, დასახელებული ავტორები ძარცვის და ყაჩაღობის შესახებაც მიუთითებენ, მაგრამ მეთი აქცენტი ქურდობაზეა გადატანილი, როგორც იმ დროისთვის გავრცელებულ დანაშაულზე.



მოიხსენიებენ, ვინაიდან მის განხორციელებას ადგილი შეიძლება ჰქონდეს სამეწარმეო სფეროში<sup>165</sup>, მას შეუძლია დააბარალოს სამეწარმეო სისტემა ცალკეულ პირებზე ზიანის მოტანის შედეგად<sup>166</sup>. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ თაღლითობით შეიძლება მოხდეს არა მხოლოდ ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, არამედ ასევე ჰქონდეს ზეინდივიდუალური უმართლობის შინაარსი, როცა თაღლითობა წარმოადგენს სამეწარმეო მართლწესრიგზე თავდასხმას<sup>167</sup>. აღნიშნული კი მიუთითებს თაღლითობის საშიშროებაზე.

თაღლითობას სხვაგვარად თეთრსაყელოიანთა დანაშაულს უწოდებენ<sup>168</sup>, ვინაიდან კრიმინოლოგების დაკვირვებით, იგი მოიცავს დამნაშავეთა განსაზღვრულ კატეგორიას. „თეთრსაყელოიანთა დანაშაულის“ ცნება უკავშირდება ამერიკელ კრიმინოლოგს ე. ჰ. სუტერლანდს, რომელიც აღნიშნული ცნების ქვეშ გულისხმობს სამეწარმეო დანაშაულს, რომელიც განხორციელებულია მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა მიერ პროფესიული საქმიანობის დროს. თაღლითობას ასევე მიაკუთვნებენ ორგანიზებულ დანაშაულთა რიცხვს. აღნიშნული ცნების ქვეშ მოიაზრება ადამიანთა გარკვეული წრე, როგორიცაა: ბანკირი, მენეჯერი, კრედიტორი და ა. შ<sup>169</sup>.

თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა არის არა მხოლოდ ეროვნული სისხლის სამართლის პოლიტიკის, არამედ ასევე ევროპული სისხლის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, ვინაიდან თაღლითობამ მიიღო ტრანსნაციონალური ხასიათი, რომელიც ხელყოფს როგორც ცალკეულ პირთა და სახელმწიფოთა ეროვნულ ეკონომიკურ ინტერესებს, ისე ევროკავში-

<sup>165</sup> Heinrich B., ebenda, §20 Rn. 1.

<sup>166</sup> Heinrich B., ebenda, §19 Rn. 2.

<sup>167</sup> Heinrich B., ebenda, §19 Rn. 3.

<sup>168</sup> თეთრსაყელოიანთა დანაშაულზე ასევე იხ. შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მესამე გამოცემა, თბ., 2017, გვ. 126.

<sup>169</sup> Heinrich B., ebenda, §19 Rn. 8-9.

რის ფინანსურ ინტერესებს, როდესაც თაღლითობა ჩადენილია ევროკავშირის ბიუჯეტის და საფინანსო სისტემის წინააღმდეგ<sup>170</sup>.

ევროკავშირის სამართლის შესაბამისი განმარტებიდან გამომდინარე, ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული თაღლითობის შემადგენლობას გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ევროპის კავშირის ფინანსური ინტერესების დაცვის მნიშვნელოვან მექანიზმად განიხილავენ, რომელიც თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ევროპულ სამართალს. ევროპული ხელშეკრულების მე-3 აბზაცის თანახმად, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სასჯელი უნდა იყოს ქმედითი, პროპორციული და დამაშინებელი. გარდა ამისა, აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს ვალდებულება, რომ ევროპული სამართლის დარღვევა იმავე სახით და სიმძიმით უნდა შეფასდეს, როგორც ეროვნული სამართლის დარღვევა (ასიმილირების ვალდებულება). ევროპის კავშირის ფინანსური ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით მოთხოვნები დაკონკრეტდა ევროპის კავშირის ხელშეკრულების 325-ე მუხლში. როცა სახელმწიფო ქონება დაცულია ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობის თაღლითობის შემადგენლობით, ანალოგიურად უნდა იქნას დაცული ევროპის კავშირის ქონება და შესაბამისი შედეგები უნდა დადგეს დამნაშავეს მიმართ ევროპის კავშირის ქონებაზე თავდასხმასა და თაღლითობის დასჯადობასთან დაკავშირებით<sup>171</sup>.

<sup>170</sup> ტურავა მ., ევროპული სისხლის სამართალი, თბ., 2010, გვ. 70; ოხანაშვილი ა., ევროკავშირის ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ თაღლითობასთან ბრძოლის რეგულაციები ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით. საქართველოს თანამშრომლობა ევროკავშირის ინსტიტუტებთან, კერძოდ, თაღლითობასთან ბრძოლის ევროპულ სამსახურთან (OLAF), წიგნში: თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე., (რედ.), ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, თბ., 2019, გვ. 668-682.

<sup>171</sup> Satzger H., in: Satzger/Schluckebier/Widmaier, Strafgesetzbuch, Kommentar,

ევროპის კავშირმა ევროპის კავშირის ფინანსური ინტერესების დასაცავად მიიღო თაღლითობასთან და ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებთან ბრძოლის შესახებ დირექტივა, რომლის მიხედვით არსებობს ვალდებულება რომ თაღლითობის და ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულთა შემადგენლობების ჰარმონიზება მოხდეს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემადგენლობებსა და სასჯელებთან<sup>172</sup>.

თაღლითობის პრევენციის ხელშემწყობი მექანიზმებიდან აღსანიშნავია თაღლითობისა და არაფულადი საშუალებების გაყალბებისგან დაცვის შესახებ ჩარჩო-გადანწყვეტილება, რომელიც 2001 წლის ივნისში შევიდა ძალაში, რომლითაც დასჯადია თაღლითური გამოყენების მიზნით გადახდის ინსტრუმენტების გაყალბება, გაყალბებული, მოპარული ან სხვაგვარად მართლსაწინააღმდეგოდ მითვისებული გადახდის ინსტრუმენტების ტრანსპორტირება, გაყიდვა ან გადაცემა სხვა პირისთვის თაღლითური გამოყენების მიზნით, მოპარული ან სხვაგვარად მართლსაწინააღმდეგოდ მითვისებული ან გამოყენებული გადახდის ინსტრუმენტის თაღლითური გამოყენება. ჩარჩო-გადანწყვეტილებით დასჯადია თაღლითობის როგორც დასრულებული ფორმით განხორციელება, ისე მომზადება, მცდელობა, თაღლითობის ამსრულებლობა და თანამონაწილეობა<sup>173</sup>.

ევროპის კავშირის ფინანსური ინტერესების დასაცავად

---

5. Aufl., 2021, §263 Rn. 5. ასევე იხ. *შრამი ე.*, ევროკავშირის ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები: სამართლებრივი ჩარჩოები და ინსტიტუციები, წიგნში: თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე., (რედ.), ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, თბ., 2019, გვ. 620.

<sup>172</sup> *Satzger H.*, in: *Satzger/Schluckebier/Widmaier, Strafgesetzbuch, Kommentar*, 5. Aufl., 2021, §263 Rn. 6.

<sup>173</sup> *ჯიშკარიანი ბ.*, ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში, თბ., 2013, გვ. 198-199.

ინტერნაციონალური სამეცნიერო ჯგუფის მიერ შეიქმნა *corpus juris* პროექტი, რომელიც დიდი ხანია არსებობს და ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ რეგულირებას ევროპის კავშირის ფინანსური ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით<sup>174</sup>.

ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ პროცესუალური თვალსაზრისით თანამშრომლობის გასაძლიერებლად შეიქმნა ევროპული პროკურატურა, რომლის კომპეტენციაც ვრცელდება ევროპის კავშირის ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ ევროპული დირექტივით ჰარმონიზებულ დელიქტებზე<sup>175</sup>.

თაღლითობა თანამედროვე პერიოდში, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც (მათ შორის გერმანიაში), საკმაოდ გავრცელებული დანაშაულია, ხოლო თაღლითობის ფორმები მეტად მრავალფეროვანია. თაღლითობა გერმანიაში მეორე ადგილს იკავებს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან ქურდობის შემდეგ<sup>176</sup>.

თაღლითებად გვევლინებიან ადამიანები, რომლებიც მეტი ინტელიგენტობით, თავიანთი ტალანტით გამოირჩევიან, მსხვერპლის მოთხოვნილებებსა და მისწრაფებებს (თანაგრძნობა, დახმარების მზაობა, ანგარება) ადგენენ და იყენებენ თავიანთი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად<sup>177</sup>.

თაღლითობის დროს ადგილი აქვს ნდობის ბოროტად გამოყენებას, მსხვერპლი ენდობა დანაშავეს, რომელსაც დანაშავე ბოროტად იყენებს. ნდობის ბოროტად გამოყენებაზე,

---

<sup>174</sup> *Satzger H.*, in: *Satzger/Schluckebier/Widmaier*, *Strafgesetzbuch, Kommentar*, 5. Aufl., 2021, §263 Rn. 8.

<sup>175</sup> *Satzger H.*, in: *Satzger/Schluckebier/Widmaier*, *Strafgesetzbuch, Kommentar*, 5. Aufl., 2021, §263 Rn. 9.

<sup>176</sup> *Schramm E.*, *Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung*, 2. Aufl., 2021, S. 160, §7 Rn 4.

<sup>177</sup> *Schramm E.*, *Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung*, 2. Aufl., 2021, S. 160, §7 Rn. 4.

როგორც თაღლითობის ხერხზე ქართული სსკ-ის 180-ე მუხლი არ მიუთითებს, მაგრამ მოტყუების ქვეშ იგულისხმება. ქართულისგან განსხვავებით, რუსული სსკ-ის 159-ე მუხლი ნდობის ბოროტად გამოყენებაზე, როგორც თაღლითობის ხერხზე პირდაპირ მიუთითებს<sup>178</sup>.

თაღლითობის მსხვერპლი, როგორც წესი, ხდება ის, ვინც ენდობა პირს, რომელიც შემდგომ დამნაშავედ გვევლინება. თუმცა, არ არის გამორიცხული, თაღლითობის მსხვერპლი გახდეს ისეთი პირიც, რომელიც ბოროტმოქმედს ადრე არც იცნობდა. არსებობს შემთხვევები, როცა თაღლითობის მსხვერპლი ხდება ადამიანი, რომელსაც ბოროტმოქმედთან ადრე არანაირი ურთიერთობა არ აკავშირებდა, უფრო მეტიც, შეიძლება არც იცნობდა. ასეთ შემთხვევაში ბოროტმოქმედმა შეიძლება მიმართოს ისეთ მეთოდებს, რომელიც მას პოტენციური მსხვერპლის ნდობის მოპოვებაში დაეხმარება.

მსხვერპლის ნდობის ბოროტად გამოყენებით თაღლითობას წარმოადგენს შემდეგი შემთხვევა სასამართლო პრაქტიკიდან:

თევდორაძემ გაიცნო გულედანი, რომელიც იყო მანქანის ხელოსანი. ვინაიდან მას შესაკეთებელი ჰყავდა ავტომანქანა „ფიატი“, სთხოვა გულედანს შეეკეთებინა იგი. გულედანმა მართლაც შეაკეთა აღნიშნული დაზიანებული ავტომანქანა, რისთვისაც, შეთანხმებისამებრ, გადაუხადა საფასური. გულედანმა ავტომანქანის ხარისხიანად შეკეთებით თევდორაძის ნდობა მოიპოვა, რის შემდეგაც შეუთანხმდა მას შეეკეთებინა მისი მეორე ავტომანქანა „დაევი ლეგანზაც“, რაზეც იგი დათანხმდა. რამდენიმე დღის შემდეგ გულედანმა მას გამოართვა 50 ლარი და უთხრა, რომ ეს თანხა ესაჭიროებოდა მანქანის სახელოსნოში ევაკუატორით გადასატანად. გულედანმა ავტო-

---

<sup>178</sup> Комментарий к уголовному кодексу Российской Федерации, Под ред. Радченко В.И., Михлина А.С., Санкт-Петербург, 2008, с. 284-285.

მანქანა „დაევო ლეგანზა“ მიიტანა შავი ლითონის მიძღვებ შპს „მეტასტალში“ ჯანდიერთან და უთხრა, რომ სურდა ავტომანქანის ჯართში ჩაბარება, ასევე განუმარტა, რომ ავტომანქანა გამოუსადეგარი იყო, დედა ჰყავდა ავად და თანხის მიცემა ეჩქარებოდა, თან გადასცა მანქანის ტექნიკური პასპორტი, გასაღები და დაარწმუნა, რომ მანქანა ნამდვილად მისი იყო. ამის შემდეგ აწონეს მანქანა და მისმა ფასმა შეადგინა 220 ლარი, რაც გადაუხადა გულედანს. ავტომანქანის რეალური ღირებულება შეადგენდა 1200 ლარს<sup>179</sup>.

თაღლითობასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ პრობლემად განიხილება თაღლითობის გამიჯვნა სისხლისსამართლებრივად არადასჯადი მოტყუებისგან ანუ სად არის მსხვერპლი სრულად პასუხისმგებელი მომხდარზე და სად ნაწილობრივ შეიძლება გაიზიაროს პასუხისმგებლობა მომხდართან დაკავშირებით? თაღლითობასთან დაკავშირებით ცენტრალური მნიშვნელობა შეიძინა მსხვერპლის პასუხისმგებლობის საკითხმა. ერთ-ერთი კითხვა, რომელიც შეიძლება დაისვას, ეხება იმას, არის თუ არა პასუხისმგებლობის საფუძველი მაშინ, როცა მსხვერპლს ადვილად შეუძლია ნივთის დაბრუნება. აღნიშნულ შემთხვევაში, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, მსხვერპლის დაზარალება გამოირიცხება<sup>180</sup>.

თაღლითობა ხასიათდება როგორც კომუნიკაციის, ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში ჩადენილი დანაშაული, ვინაიდან თაღლითობის დროს დანაშაულებრივი ქმედება გულისხმობს მსხვერპლის მოტყუებას და ამ გზით მასზე ზეგავლენის მოხდენას<sup>181</sup>. აღნიშნული მახასიათებელი თაღლითობას

<sup>179</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 მარტის განაჩენი, #314აპ-14, სუსგ, 2015, #1-4, გვ. 100-104.

<sup>180</sup> *Heinrich B.*, in: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, BT, Lehrbuch*, 4. Aufl., 2021, S. 524, §20 Rn. 6.

<sup>181</sup> *Tiedemann K.*, in: *LK*, 11. Aufl., §263 Rn. 4; *Schramm E.*, *Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung*, 2. Aufl., 2021, S. 161, §7 Rn. 7.

განსახვავებს ქურდობისგან, სხვისი ნივთის ან ქონების დაზიანება-განადგურებისგან, რომელიც მსხვერპლთან შემხებლობისა და კომუნიკაციის გარეშეც შეიძლება განხორციელდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ თაღლითობის დროს აუცილებელი არ არის დამნაშავეს კომუნიკაცია ჰქონდეს მესაკუთრესთან. თაღლითობა შეიძლება მესაკუთრესთან კომუნიკაციის გარეშეც განხორციელდეს სხვა პირთან (ნოტარიუსი, საჯარო რეესტრის თანამშრომელი) კომუნიკაციის პირობებში<sup>182</sup>. თუმცა, თაღლითობის დროს ყოველთვის არსებობს მოტყუებული პირი.

თაღლითობა ქურდობისგან, ძარცვისგან და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულებისგან ქმედების განხორციელების ხერხით განსხვავდება, ვინაიდან ხორციელდება მოტყუების გზით. აღნიშნული ხერხი ასევე დამახასიათებელია 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის (ქონებრივი დაზიანება მოტყუებით). მოტყუება შეიძლება სხვა დანაშაულებშიც შეგვხვდეს (მაგალითად, ქურდობისას), მაგრამ თაღლითობისგან განსხვავებით, წარმოადგენს არა ძირითად ხერხს, არამედ დანაშაულის ჩადენის გაადვილების საშუალებას.

თაღლითობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულებისგან ასევე განსხვავდება იმითაც, რომ განხორციელებული ქმედების შედეგად ბოროტმოქმედი შეიძლება არა მხოლოდ დაეუფლოს სხვის ნივთს, არამედ მიიღოს ასევე ქონებრივი უფლება.

ქონებრივი უფლება შეიძლება დადასტურებული იყოს სხვადასხვა სახის დოკუმენტით, მათ შორის ანდერძით. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემთხვევა, როცა, ვთქვათ, ა.

---

<sup>182</sup> თოდუა ნ., ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის საკითხები, წიგნში: ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრისი, საიუბილეო კრებული 60, თბ., 2021, გვ. 24.

მართლაც მოხუცს ატყუებს, რომ მას მოუვლიან სიცოცხლის ბოლომდე, თუ ბინას გადაუფორმებენ. მოტყუებული ბინის მესაკუთრე ა-ს ბინას გადაუფორმებს და ამის შემდეგ ა. წყვეტს ზრუნვას ბინის მესაკუთრეზე.

თაღლითობის განხორციელებისთვის სხვისი ნივთის დაუფლება ყოველთვის არ არის აუცილებელი ქმედების შემადგენლობის განსახორციელებლად, თუ ადგილი აქვს სხვის ნივთზე, ქონებაზე უფლების მოპოვებას. ასეთ შემთხვევაში ბოროტმოქმედი სხვის ნივთს შეიძლება დაუფლებული არ იყოს და ის ისევ დაზარალებულის მფლობელობაში რჩებოდეს. მაგალითად, როდესაც ადგილი აქვს მოტყუებით სხვისი ბინის გადაფორმებას, ხოლო ბინაში ისევ დაზარალებული ცხოვრობს<sup>183</sup>. მაშინ, როცა ქურდობა და ძარცვა დასრულებული ფორმით ვერ განხორციელდება სხვისი ნივთის დაუფლების გარეშე, როგორც ჩანს, თაღლითობის ჩადენა დაუფლების გარეშეც არის შესაძლებელი.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულებისგან თაღლითობის გამიჯვნისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, პირი ქონებრივ უფლებას საკუთრებაზე იძენს, თუ ნივთის/ქონების დროებით სარგებლობასთან დაკავშირებით. თუ თაღლითობის დროს ხდება ქონებრივი უფლების მიღება საკუთრებაზე, 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას ქონებრივ უფლებას პირი იღებს ქონების დროებით სარგებლობასთან დაკავშირებით. მაგალითად, როდესაც მოტყუების შედეგად დამქირავებელი ბინის მესაკუთრეს ქირას არ გადაუხდის და ისე იცხოვრებს სხვის ბინაში<sup>184</sup>. მოცემულ შემთხვევაში

<sup>183</sup> *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, წიგნში: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი*, წიგნი I, თბ., 2019, გვ. 498; *თოდუა ნ.*, წიგნში: *სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული*, თბ., 2004, გვ. 128.

<sup>184</sup> *თოდუა ნ.*, წიგნში: *სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული*, თბ., 2004, გვ. 128.



ბოროტმოქმედს მოტყუებით ბინაზე საკუთრების უფლება კი არ ჰქონდა მიღებული, არამედ მხოლოდ სარგებლობის.

თაღლითობას საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებთან აკავშირებს როგორც დაცული სამართლებრივი სიკეთე, ისე მოქმედების მიზანი. თუმცა, ეს უკანასკნელი ნიშანი არ ეხება საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ყველა ქმედებას და განსაკუთრებით, გაუფრთხილებლობით დანაშაულებს.

## II. თაღლითობის კრიმინოლოგიური ასპექტი

თაღლითები და თაღლითობა თანამედროვე ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ხასიათდება გამოვლენის სხვადასხვა ფორმით, რომელიც მოტყუებას, არაგულწრფელობას და უპატიოსნობას ერთად უყრის თავს. იგი შეიძლება შეგვხვდეს როგორც საინვესტიციო სფეროში, ისე სავაჭრო სფეროში თაღლითობის სახით<sup>185</sup>. კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, ლიტერატურაში გვხვდება თაღლითების ტიპოლოგია: ერთპიროვნულად მოქმედი თაღლითი, რომელიც სიტუაციას და ცალკეულ შემთხვევაში მიცემულ შესაძლებლობას იყენებს; სერიული თაღლითი; პროფესიული თაღლითი; ჯგუფურად მოქმედი თაღლითი. პროფესიული თაღლითები იყენებენ თავიანთ პროფესიას. ისინი მდიდრდებიან კრიმინალური გზით და მუშაობენ საინვესტიციო და საკრედიტო ორგანიზაციებში<sup>186</sup>. ერთპიროვნული თაღლითები იყენებენ სიტუაციას დამატებითი მოგების მისაღებად. ეს შეიძლება იყოს სამსახურებრივი მივლინების შემთხვევა. თუმცა, იგი უმეტეს შემთხვევაში ლეგალურ ხასიათს ატარებს, მაგრამ იმყოფება მორალურობის

<sup>185</sup> Tiedemann K., in: LK, 11. Aufl., 2005, §263 Rn. 1.

<sup>186</sup> საკრედიტო ორგანიზაციებთან დაკავშირებულ თაღლითობაში არ ვგულისხმობთ უკანონო კრედიტის მიღებას, რომელიც ქართულ სსკ-ში 208-ე მუხლით არის გათვალისწინებული და გერმანულ სისხლის სამართალში კრედიტთან დაკავშირებულ თაღლითობად იწოდება.

ზღვარზე. სერიულ თაღლითობას ადგილი შეიძლება ჰქონდეს საინვესტიციო სფეროში, კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება ხორციელდებოდეს როგორც დიდი, ისე შედარებით მცირე (თუმცა, აქ არ იგულისხმება მცირე მნიშვნელობის ქმედება) თაღლითობის სახით. იგი როგორც წესი, ხორციელდება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. რაც შეეხება ჯგუფურად, ბანდის სახით მოქმედ თაღლითებს, მას უკავშირდება ორგანიზებული დანაშაულის ცნება<sup>187</sup>.

### III. ქმედების ძირითადი შემადგენლობა

#### 1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

##### 1.1. სუბიექტი

თაღლითობის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი. თაღლითობას არ ჰყავს სპეციალური ამსრულებელი. თუმცა, ეს არ ეხება თაღლითობის ზოგიერთ კვალიფიცირებულ შემადგენლობას, რომელიც სპეციალურ ამსრულებელს გულისხმობს. ასეთია, თაღლითობა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არაერთგზის (მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტები) ან იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლავი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალავისათვის (მე-4 ნაწილის „ბ“ პუნქტი).

##### 1.2. სამართლებრივი სიკეთე

თაღლითობის შემადგენლობით დაცული სიკეთე არის საკუთრება. ყაჩაღობისგან განსხვავებით, თაღლითობას არ ახასიათებს დამატებითი სამართლებრივი სიკეთე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თაღლითობა არ მიეკუთვნება ორობიექტიან დანაშაულებს.

<sup>187</sup> Tiedemann K., in: LK, 11. Aufl., 2005, §263 Rn. 4.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში თაღლითობისგან დაცულ სიკეთედ ქონებას განიხილავენ<sup>188</sup>, მაშინ, როცა სხვა დელიქტებისგან დაცულ სიკეთედ საკუთრება სახელდება<sup>189</sup>. ის, რომ თაღლითობისგან დაცული სიკეთე საკუთრებაა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდანაც გამომდინარეობს, სადაც თაღლითობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავშია მოქცეული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თაღლითობის ქართული შემადგენლობა, გერმანულისგან განსხვავებით, არ უთითებს ქონებრივი ზიანის გამონწვევაზე.

თაღლითობის შემადგენლობით დაცულია როგორც კერძო, ისე საჯარო, ქვეყნის შიგნით არსებული თუ უცხოური ქონება<sup>190</sup>.

თაღლითობის მსხვერპლი არის ის, ვის ნივთსაც მოტყუებით დაეუფლნენ ან ის, ვის ქონებაზე უფლება ბოროტმოქმედმა მოტყუებით მიიღო. აქედან გამომდინარე, ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ თაღლითობის დროს ადგილი აქვს თვითდაზიანებას ანუ ქონების შემცირებას, სადაც მსხვერპლი მის მიერ მცდარი განკარგვის (განკარგვის დროს დაშვებული შეცდომის) შედეგად ამცირებს ქონებას<sup>191</sup>. მოტყუებული პირი წარმოადგენს იარაღს შეცდომაში შემყვანი პირის ხელში. შეც-

---

<sup>188</sup> *Eisele J.*, Strafrecht, BT II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Aufl., Stuttgart 2019, S. 177, Rn. 517; *Schramm E.*, Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 160, §7 Rn. 2; *Heinrich B.*, in: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf*, Strafrecht, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, S. 530, §20 Rn. 15.

<sup>189</sup> *Eisele J.*, ebenda, S. 5, Rn. 8.

<sup>190</sup> *Satzger H.*, in: *Satzger/Schluckebier/Widmaier*, Strafgesetzbuch, Kommentar, 5. Aufl., 2021, §263 Rn. 10.

<sup>191</sup> *Heinrich B.*, Einführung in das deutsche Betrugsstrafrecht, in: *Jishkariani/Waßmer* (Hrsg.), Die Europäisierung des georgischen Wirtschaftsstrafrechts, 2017, S. 159; *Heinrich B.*, in: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf*, Strafrecht, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, S. 534-535, 558, §20 Rn. 28, 69.

დომში შეყვანილი პირი მოქმედებს საკუთარი თავის წინააღმდეგ. აღნიშნული ნიშანი თაღლითობას განასხვავებს ქურდობისა და ყაჩაღობისგან<sup>192</sup>. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თაღლითობა ხასიათდება იმით, რომ მსხვერპლი არის თანაბრალეული. აღნიშნულის გამო ლიტერატურაში დაისვა შეკითხვა, მოტყუებული საერთოდ საჭიროებდა თუ არა დაცვას<sup>193</sup>. რაც ასევე საყურადღებოა, თაღლითობის დროს სახეზეა საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნის მსგავსი ვითარება, ვინაიდან თაღლითობის მსხვერპლი ზოგჯერ თვითონაც უწყობს ხელს თაღლითობის განხორციელებას თავისი გულუბრყვილობის თუ წინდაუხედაობის გამო, მაგრამ ასევე არსებობს არსებითი განსხვავება თაღლითობასა და თვითსაფრთხის შექმნას შორის. თაღლითობის დროს მიუთითებენ მსხვერპლის თვითსაფრთხეზე, მაგრამ ეს არ არის ის თვითსაფრთხე, რომელიც დამნაშავეს პასუხისმგებლობას გამორიცხავს.

აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ თვითდაზიანება, რომელსაც თაღლითობის დროს აქვს ადგილი, არ არის ინფორმირებული თვითდაზიანება, როდესაც საკუთარი თავის დაზიანება ხდება გაცნობიერებულად, რასაც ადგილი აქვს, მაგალითად, ტრანსპლანტაციის (ორგანოს ნებაყოფლობით, გაცნობიერებულად გადანერგვის) დროს. თაღლითობის დროს, შეიძლება ითქვას, რომ ადგილი აქვს თვითდაზიანებას მხოლოდ ობიექტური თვალსაზრისით, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ ეს არ არის ნებაყოფლობითი თვითდაზიანება. თაღლითობის მსხვერპლი თავს იზიანებს არა ნებაყოფლობით, არამედ მოტყუების შედეგად.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თაღლი-

<sup>192</sup> Schramm E., Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 161, §7 Rn. 5; Heinrich B., in: Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, S. 535, §20 Rn. 28a.

<sup>193</sup> Heinrich B., in: Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, S. 522-524, §20 Rn. 2, 4.

თობა შეიძლება ისეც განხორციელდეს, რომ მას მსხვერპლი არ ჰყავდეს, მიუხედავად იმისა, რომ მოტყუებული მხარე უნდა არსებობდეს<sup>194</sup>. ეს მოსაზრება საკამათოდ უნდა ჩაითვალოს. თუ თაღლითობის დროს ყოველთვის არსებობს მოტყუებული მხარე და ადგილი აქვს სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლებას ან ქონებრივი უფლების მიღებას, როგორ შეიძლება არ არსებობდეს დაზარალებული? მსხვერპლის გარეშე თაღლითობის განხორციელების შესახებ გამოთქმული მოსაზრება კიდევ უფრო საკამათოდ და წინააღმდეგობრივად გამოიყურება ავტორთა იმ შეხედულების გათვალისწინებით, რომლის თანახმადაც, „პირის საკუთრების უფლება დაცულია ხელყოფისგან იმის მიუხედავად, თუ რა მიზნით სურს მესაკუთრეს მისი გამოყენება: დანაშაულის ჩასადენად თუ მართლზომიერი მიზნის მისაღწევად“<sup>195</sup>. თუ თაღლითობის დროს დაცული სამართლებრივი სიკეთე საკუთრებაა და საკუთრება ყოველთვის დაცულია, მიუხედავად იმისა, ვინ არის მესაკუთრე და რა მიზნით სურს თავისი საკუთრების გამოყენება, ეს იმას ნიშნავს, რომ თაღლითობა უნდა მიგაკუთვნოთ იმ დანაშაულებს, რომელსაც ყოველთვის ჰყავს მსხვერპლი. გამოდის, რომ ერთი და იგივე პირი დამნაშავეც არის და მსხვერპლიც. მართალია, სისხლის სამართალი იცნობს ასეთ შემთხვევას. კერძოდ, როცა დანაშაულის პროვოკაციას (სსკ-ის 145-ე მუხლი) აქვს ადგილი, პროვოცირებული პირი დამნაშავედაც გვევლინება და მსხვერპლადაც, მაგრამ ამის მიუხედავად, არ არის გასაზიარებელი ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, თაღლითობის შემადგენლობისგან დაცულ სიკეთედ უნდა მივიჩნიოთ ადამი-

<sup>194</sup> *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, წიგნში: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი*, წიგნი I, თბ., 2019, გვ. 509; *თოდუა ნ.*, ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის საკითხები, წიგნში: *ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრისი, საიუბილეო კრებული 60*, თბ., 2021, გვ. 18.

<sup>195</sup> *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 510.

ანის მკვლელობის მიზნით ქილერისთვის გადახდილი ფული.

თაღლითობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი კითხვა არის იმის შესახებ, იწვევს თუ არა თაღლითობა ყოველთვის ქონებრივ დაზიანებას? აღნიშნული საკითხის გასარკვევად საინტერესოა შემდეგი მაგალითი, რომელიც ჰაინრიხს აქვს მოშველიებული: ბოროტმოქმედი არის სარეცხი მანქანის გამყიდველი და დარეკავს მოხუცი ქალის სახლის კარზე. ის ეტყვის მას, რომ არა აქვს სარეცხი მანქანა, მაგრამ სურდა პირველ რიგში მტვერსასრუტი ეყიდა. ბოროტმოქმედი ეტყვის მას – რეალობის საწინააღმდეგოდ, რომ ყიდის მტვერსასრუტსაც და მას მხოლოდ ხელშეკრულებისთვის ფურცლის ბოლოში უნდა მოეწერა ხელი. მაგრამ ხელშეკრულება არ ეხება სარეცხი მანქანის გაყიდვას. გამყიდველი ეტყვის მყიდველ ქალს, რომ მას ხელშეკრულება ბოლომდე არ აქვს წასაკითხი, არამედ სწრაფად უნდა მოეწერა ხელი, რის შემდეგაც მიიღებდა მტვერსასრუტს. მყიდველი ასეც მოიქცევა. ჩნდება კითხვა? არის თუ არა მოცემულ შემთხვევაში სახეზე ქონებრივი ზიანი? მან იყიდა სარეცხი მანქანა, მიუხედავად იმისა, რომ მტვერსასრუტის შეძენა სურდა. თუმცა, სარეცხი მანქანა შეესაბამებოდა მის ღირებულებას. სარეცხი მანქანა ასევე არ არის გამოუსადეგარი მყიდველი ქალისთვის, ვინაიდან სარეცხი მანქანა არ ჰქონდა. იმ თანხაში, რომელიც მან მტვერსასრუტისთვის გადაიხადა, მიიღო სარეცხი მანქანა ნაცვლად მტვერსასრუტისა. ღირებულება იგივეა. აქედან ჰაინრიხი მოცემულ შემთხვევაში გამორიცხავს ქონებრივ ზიანს. ჰაინრიხი სვამს კითხვას, რაში მდგომარეობს ქონებრივი ზიანი. რატომ უნდა იქნას ნათქვამი, რომ მყიდველი ქალი გახდა თაღლითობის მსხვერპლი? ამის საფუძველი, როგორც ავტორი აღნიშნავს, არის ის, რომ მოტყუების შედეგად მისი თავისუფლების ხელყოფა მოხდა იმასთან დაკავშირებით, რომ თვითონ გადაეწყვიტა თავის ქონებას რაში ჩადებდა (დააბანდებდა). მისი თავისუფალი

გადანყვეტილება იქნა დარღვეული იმასთან დაკავშირებით, თავისი ფულით სარეცხ მანქანას იყიდიდა თუ მტვერსასრუტს. ამგვარად ხელყოფილია თავისუფლება, თვითონ გადაეწყვიტა, თავისი ქონებით ეყიდა რაც სურდა. საერთო ჯამში ხელყოფილი არ არის ქონება<sup>196</sup>. გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში თაღლითობას განიხილავენ ქონების დამაზიანებელ დელიქტად<sup>197</sup>.

თაღლითობის ქართული შემადგენლობა, მიუხედავად იმისა, რომ თაღლითობა ქონებრივი ზიანის არსებობას არ გამორიცხავს, აღნიშნული გარემოების დადგენას არ მოითხოვს. თუმცა, ამის მიუხედავად, ზემოაღნიშნულ მაგალითთან დაკავშირებით შეიძლება საკამათო იყოს ქმედების კვალიფიკაცია თაღლითობის მუხლით საქართველოს სსკ-ის მიხედვით, ვინაიდან სსკ-ის 219-ე მუხლით დასჯადია მომხმარებლის მოტყუება. მოცემულ მაგალითშიც სწორედ დასახელებულ შემადგენლობასთან გვაქვს საქმე. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ 219-ე მუხლის დისპოზიცია მოითხოვს მომხმარებლის მნიშვნელოვანი დაზიანების გამონჭვევას. თუ მნიშვნელოვანი ზიანი გამოირიცხა, ქმედების კვალიფიკაცია 219-ე მუხლით ასევე შეუძლებელი გახდება.

მეცნიერებაში მიმდინარეობს დისკუსია იმასთან დაკავშირებით, იქნებოდა თუ არა რაციონალური, გადანყვეტილების თავისუფლება დამოუკიდებლად ყოფილიყო დაცული. სხვები კი ფიქრობენ, რომ თაღლითობის შემადგენლობით დაცული უნდა იყოს პატიოსნება სამეწარმეო კონკურენციაში. ავტორთა მესამე ჯგუფი თვლის, რომ თაღლითობის შემადგენლობით

---

<sup>196</sup> *Heinrich B.*, Einführung in das deutsche Betrugsstrafrecht, in: Jishkariani/Waßmer (Hrsg.), Die Europäisierung des georgischen Wirtschaftsstrafrechts, 2017, S. 160-161.

<sup>197</sup> *Heinrich B.*, in: Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, S. 533, §20 Rn. 26a.

დაცული უნდა იყოს უფლება სიმართლეზე, ჭეშმარიტებაზე<sup>198</sup>.

თაღლითობის დროს დასჯადად მიიჩნევა არა უბრალოდ მოტყუება, არამედ ისეთი მოტყუება, რომლის შედეგადაც მოქმედი პირი უფლება სხვის ნივთს ან იღებს ქონებრივ უფლებას ანუ იწვევს ქონებრივ ზიანს. თაღლითობის შემადგენლობის მიზნად არ მიიჩნევა უბრალოდ ჭეშმარიტების დაცვა<sup>199</sup>.

### 1.3. დანაშაულის საგანი

თაღლითობის დროს, დანაშაულის საგანი არის სხვისი ნივთი ან ქონებრივი უფლება. დანაშაულის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს როგორც მოძრავი, ისე უძრავი ნივთი, განსხვავებით ქურდობისგან, ძარცვისგან, ყაჩაღობისგან, სადაც დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ მოძრავი ნივთი. თაღლითობის დროს დამნაშავის მიზანს შეიძლება წარმოადგენდეს როგორც მოძრავი ნივთის დაუფლება, ისე ქონებრივი უფლების მოპოვება უძრავ ნივთზე, ქონებაზე (მაგალითად, ბინაზე).

ჩნდება კითხვა იმასთან დაკავშირებით, შეიძლება თუ არა თაღლითობის დროს დანაშაულის საგნად მივიჩნიოთ ეკონომიკური ღირებულების არმქონე ნივთი. გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, თაღლითობის საგანს არ შეიძლება წარმოადგენდეს ეკონომიკური ღირებულების არმქონე საგანი, ვინაიდან ასეთი საგნის დაუფლებას არ შეუძლია ქონებრივი ზიანის გამოწვევა<sup>200</sup>. მიუხედავად იმისა, რომ თაღლითობის შემადგენლობაში, რომელიც საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლითაა გათვალისწინებული, არ არის მითითება ქონებრივ ზიანზე, ქურდობის მსგავსად, თაღლითობის დროსაც დანაშაულის ჩადენა შეიძლება გა-

<sup>198</sup> აღნიშნულზე იხ. *Heinrich B.*, ebenda, S. 161.

<sup>199</sup> *Schramm E.*, Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 160, §7 Rn. 2.

<sup>200</sup> *Hefendel R.*, in: *MüKo*, 3. Aufl., §263 Rn. 495.



მორიცხოს ნივთის მცირე მნიშვნელობის გათვალისწინებით სსკ-ის მე-7-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად. განსხვავებულად წყდება საკითხი ყაჩაღობის დროს, რაც ყაჩაღობის შემადგენლობით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ხერხს და დაცულ სიკეთეს (ორობიექტიანი) უკავშირდება.

#### 1.4. ქმედება

თაღლითობის ობიექტური შემადგენლობა გულისხმობს დამნაშავის მიერ მსხვერპლის შეცდენას მოტყუების შედეგად, რომლის მეშვეობით პირი ეუფლება ქონებას, რაც წარმოადგენს ქონებრივ ზარალს. მაგრამ, ვინაიდან ქართულ სსკ-ის 180-ე მუხლის დისკოზიციამი არ არის საუბარი ქონებრივ ზარალზე, იგი ქართული სისხლის სამართლით არ მიიჩნევა ქმედების შემადგენლობის ნიშნად, განსხვავებით გერმანული სისხლის სამართლისგან, სადაც ქმედების შემადგენლობის დაუნერელი ნიშანი სხვისი ქონების დაუფლება განიხილება მსხვერპლის მოტყუებისა და ქონებრივი ზიანის აუცილებელ შემაკავშირებელ რგოლად<sup>201</sup>.

თაღლითობის დროს მოტყუება შეიძლება სხვადასხვა სახით განხორციელდეს. მისი განხორციელება შესაძლებელია კომპიუტერის გამოყენებითაც<sup>202</sup>. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის, რომ კომპიუტერული მანიპულაციის ცალკეულ შემთხვევებზე (კომპიუტერულ თაღლითობაზე), გერმანულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სპეციალური შემადგენლობა (263a) არსებობს<sup>203</sup>, რომელიც შეიძლება საქართველოს სსკ-ის 286<sup>1</sup>-ე მუხლს შევადაროთ.

თაღლითობის განხორციელების დროს შეიძლება გამო-

<sup>201</sup> Eisele J., Strafrecht, BT II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Aufl., Stuttgart 2019, S. 179, Rn. 520.

<sup>202</sup> Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., 2014, §263 Rn. 3.

<sup>203</sup> Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., 2014, §263 Rn. 19.

ყენებული იქნას ინტერნეტიც. ეს შეეხება ისეთ შემთხვევას, როცა მხარეთა შორის შეთანხმების თუ მოლაპარაკების პროცესი ინტერნეტის საშუალებით მიმდინარეობს. თუმცა, ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული ზოგიერთი ქმედების კვალიფიკაცია ქართული სსკ-ის 180-ე მუხლით შეიძლება საკამათო და გაუმართლებელი იყოს. ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული თაღლითობის მაგალითად გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში სახელდება შემთხვევა, როცა ინტერნეტით ხდება შეთანხმება ნივთის შექენასთან დაკავშირებით და მყიდველს შეთანხმებულის ნაცვლად უგზავნიან ბევრად უფრო იაფიან ნივთს, რომელიც არ შეესაბამება რეალურად გადახდილ ღირებულებას<sup>204</sup>. ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობით აღნიშნული ქმედების თაღლითობად კვალიფიკაცია საკამათოა, ქართულ სსკ-ში სპეციალური შემადგენლობის (219-ე მუხ.) არსებობის გამო.

ვინაიდან თაღლითობა მხოლოდ მოტყუებით შეიძლება განხორციელდეს და არსებობს მოტყუების აქტიური და პასიური ფორმა, წარმოიშობა კითხვა: თაღლითობა მხოლოდ აქტიური ქმედებით ხორციელდება, თუ უმოქმედობითაც? უმოქმედობით თაღლითობის მაგალითად განიხილავენ შემთხვევას, როდესაც პირი შესაბამის ორგანოებს არ ატყობინებს, რომ პენსიის შეწყვეტის საფუძველი არსებობს და პენსიას იღებს შესაბამისი საფუძვლის არარსებობის მიუხედავად<sup>205</sup>. თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას კითხვა: მიუხედავად იმისა, რომ პენსიის შეწყვეტის საფუძვლის არსებობის შესახებ შესაბამის ორგანოში განაცხადი არ კეთდება, რაც უმოქმედობას წარმოადგენს, ეს რამდენად იძლევა იმის საფუძველს, რომ

---

<sup>204</sup> Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 28c.

<sup>205</sup> თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 143-144; ლეკვიშვილი მ., თოდუა ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 499.

თაღლითობა უმოქმედობით განხორციელებულად ვცნოთ? მართალია, აქ საქმე ეხება ფაქტის და ინფორმაციის დამალვას, რაც უმოქმედობით მოტყუების გამოხატულებაა, მაგრამ ეს რამდენად გადააქცევს თვით ძირითად დანაშაულებრივ ქმედებას უმოქმედობად? ამ კითხვის საფუძველია ის, რომ მოტყუება თაღლითობის ხერხია და არა ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული ძირითადი დანაშაულებრივი ქმედება.

მოტყუება თავისთავად არ გულისმობს სხვისი ქონების დაუფლებას<sup>206</sup>. არ შეიძლება ერთმანეთთან გავაიგივოთ დანაშაულის ხერხი და ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის ხერხი გარკვეულ ქმედებას გულისხმობს. თავად ის ფაქტი, რომ პენსიის აღება მოხდა შესაბამისი საფუძვლის არარასებობის მიუხედავად, მიუთითებს აქტიურ ქმედებაზე.

გემოთ განხილულ შემთხვევაში უმოქმედობა იქნებოდა პენსიის აღებისგან თავის შეკავება, რაც დანაშაულად ვერ დაკვალიფიცირდებოდა. ე. ი. პენსიის აღება აქტიური ქმედებაა, ხოლო მისი საფუძვლის არარასებობის განუცხადებლობა უმოქმედობით მოტყუება. საბანკო ანგარიშზე თანხის დარიცხვა რომ ხდება ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს თანხის დაუფლებას. დაუფლება მაშინ არის განხორციელებული, როდესაც ანგარიშიდან ბარათზე დარიცხული თანხის აღება მოხდება.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღნიშნულ შემთხვევაში ქმედების (უმოქმედობის) თაღლითობად კვალიფიკაცია საკამათოდ მიიჩნევა<sup>207</sup>, რის საფუძვლადაც სახელდება ის, რომ გარდაცვლილი ადამიანის ახლობელი, რომელიც გარდაცვლილი პენსიონერის ანგარიშზე ჩარიცხულ

---

<sup>206</sup> ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი), თბ., 1999, გვ. 37.

<sup>207</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 40b.

თანხას ისაკუთრებს, არ მიიჩნევა გარანტორად. მას აქვს მხოლოდ შესაბამისი სამსახურის ადმინისტრაციისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, რაც არ გულისხმობს გარანტორულ ვალდებულებას<sup>208</sup>. ხოლო უმოქმედობით თაღლითობა მოითხოვს იმას, რომ დამნაშავე, რომელიც უმოქმედობას იჩნეს და უმოქმედობით ატყუებს მესაკუთრეს, მასთან ჰქონდეს გარანტორული დამოკიდებულება.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, თაღლითობა არ არის განხორციელებული როცა სახეგა პენსიონერის გარდაცვალებასთან დაკავშირებით შეუტყობინებლობა იმ პირის მხრიდან, რომელიც უფლებამოსილი იყო პენსიონერის საბანკო ანგარიშთან მიმართებით და იყო მისი წარმომადგენელი. თუმცა, თუ ადგილი ექნება პენსიონერის გარდაცვალების დაფარვას და ფულის ბანკიდან გამოტანას სახეგე იქნება თაღლითობა აქტიური ქმედებით. მაშინ, როცა პენსიონერი გარდაიცვლება და ამის შემდეგ ხდება პენსიის გადარიცხვა იმის გამო, რომ პენსიონერის გარდაცვალების შესახებ არ იყო ცნობილი, რ. ჰეფენდელის თვალსაზრისით, სახეგა მხოლოდ შეცდომით გადარიცხვა, რასაც ექნება მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი მნიშვნელობა თანხის უკან დაბრუნების თვალსაზრისით<sup>209</sup>. აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი და მართებულად უნდა ჩაითვალოს მოსაზრება, რომელიც დასახელებულ შემთხვევაში უშვებს ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციას.

როდესაც ადგილი აქვს ბანკის მიერ თანხის არასწორად გადარიცხვას (როცა არ უნდა მომხდარიყო გადარიცხვა), სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, გამოირიცხება თაღლითობა, ვინაიდან ადგილი არ აქვს ბან-

---

<sup>208</sup> *Fischer Th.*, Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 40d.

<sup>209</sup> *Hefendel R.*, in: MüKo, 3. Aufl., §263 Rn. 206.

კის მოტყუებას თანხის მიმღების მხრიდან. აღნიშნულ შემთხვევაში თაღლითობის გამორიცხვას განმარტავენ იმით, რომ სამოქალაქო კოდექსიდან არ გამომდინარეობს აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტების გაკეთების ვალდებულება. თუმცა, ავტორი ასევე მიუთითებს იმის შესახებ, რომ საკითხი სხვაგვარად შეიძლება გადაწყდეს მაშინ, როცა თანხის მიმღებსა და გადამრიცხავს შორის არსებობს ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა<sup>210</sup>. აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას კითხვა, თუ რატომ უნდა გამოვრიცხოთ ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა ბანკსა და ბანკის კლიენტს შორის, რომელიც ბანკის მომსახურებით სარგებლობს? ის რომ კლიენტი ბანკს ენდობა და ბანკი ვალდებულია თავის კლიენტს თანხები სწორად ჩაურიცხოს, არ შეიძლება გულისხმობდეს ასევე მეორე მხარის მიმართ ისეთ ურთიერთობას, რომელიც ნდობაზე იქნება დაფუძნებული? ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა ცალმხრივად არსებობს?

გარდაცვლილი პენსიონერისთვის გადარიცხული თანხის მისაკუთრებასა და ბანკის მიერ არასწორად გადარიცხული თანხის მისაკუთრებას შორის არსებობს მცირე განსხვავება და მასთან ერთად მსგავსებაც. მსგავსება მდგომარეობს იმაში, რომ ორივე შემთხვევაში თანხის გადამრიცხავი ბანკია, ხოლო მიმღები კლიენტი ან მისი უფლებამონაცვლე. ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს იმ თანხების გადარიცხვას, რომელიც არ უნდა გადარიცხულიყო. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საკითხი ორივე შემთხვევაში ერთნაირად შეიძლება გადაწყდეს. თუ ერთ შემთხვევას ჩავთვლით თაღლითობად, მეორე შემთხვევაშიც უნდა ვისაუბროთ თაღლითობაზე.

---

<sup>210</sup> *Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 41.*

## 1.5. შედეგი

საქართველოს სსკ-ის მიხედვით თაღლითობა მიეკუთვნება თუ არა შედეგიან დანაშაულებს, შეიძლება საკამათო იყოს. თაღლითობის შემადგენლობის მიხედვით, თაღლითობა, როგორც უკვე აღინიშნა, გულისხმობს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით როგორც სხვისი ნივთის დაუფლებას, ისე ქონებრივი უფლების მიღებას. თაღლითობის დროს დანაშაულის დამთავრება სწორედ სხვისი ნივთის დაუფლებას ან ქონებრივი უფლების მიღებას უკავშირდება, როდესაც დამნაშავეს ეძლევა დანაშაულის საგნის განკარგვის შესაძლებლობა. საკმარისია ერთ-ერთი ქმედების განხორციელება. გულისხმობს თუ არა სხვისი ნივთის დაუფლება დანაშაულებრივ შედეგს, სისხლის სამართლის ლიტერატურაში საკამათოდ ითვლება. ერთი შეხედულებით, სხვისი ნივთის დაუფლება დანაშაულებრივი შედეგია, საჭიროდ მიიჩნევენ მიზეზობრივი კავშირის დადგენას<sup>211</sup> და შესაბამისად, თაღლითობა შედეგიან დანაშაულად განიხილება<sup>212</sup>. აღნიშნული მოსაზრება გაზიარებულია ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც, სადაც ვკითხულობთ:

„კანონის თანახმად, თაღლითობა წარმოადგენს შედეგიან დელიქტს, რომელიც დამთავრებულად ითვლება მხოლოდ დამნაშავის მიერ გამიზნული მართლსაწინააღმდეგო შედეგის რეალურად დადგომის შემთხვევაში, რაც გამოიხატება დაზარალებულის კუთვნილი ამა თუ იმ ნივთის დაუფლებაში, რითაც ბიანი ადგება დაზარალებულს“<sup>213</sup>.

<sup>211</sup> *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, წიგნში: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2019, გვ. 506.

<sup>212</sup> *თოდუა ნ.*, წიგნში: *სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული*, თბ., 2004, გვ. 139; *კვარაცხელია რ.*, *საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიკაცია*, თბ., 2015, გვ. 212-213.

<sup>213</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 19 აპრილის გადაწ-

თაღლითობის დროს დამნაშავე სხვისი ნივთის მართლ-საწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოქმედებს, მაგრამ სხვისი ნივთის დაუფლება ჯერ კიდევ არ მიუთითებს აღნიშნული მიზნის მიღწევაზე. თაღლითობა სხვისი ნივთის დაუფლების ან ქონებრივი უფლების მიღების დროს არის დამთავრებული, მაგრამ მისი დასრულებისთვის აუცილებელი არ არის სხვისი ნივთის მისაკუთრების მიზნის მიღწევა. შეიძლება ითქვას, რომ თაღლითობა არის შედეგზე ორიენტირებული დანაშაული (kupiertes Erfolgsdelikt), სადაც შედეგი, სხვისი ნივთის მისაკუთრების სახით გამიზნულია<sup>214</sup>. შეიძლება ბოროტმოქმედი მოტყუებით სხვის ნივთს დაეუფლოს, მაგრამ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანს მაინც ვერ მიაღწიოს. ასეთ შემთხვევაში სახეზე იქნება სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის მიღწევის მცდელობა, რაც ნივთის დაუფლების ეტაპზე დანაშაულის იურიდიულად განხორციელების მომენტს წარმოადგენს. რაც შეეხება ქონებრივი უფლების მიღებას, უკვე წარმოადგენს იმ ეტაპს, რაც იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ ბოროტმოქმედმა მიაღწია სხვისი ნივთის მისაკუთრების მიზანს. შესაბამისად, შეიძლება განხილულ იქნას დამნაშავის მიერ გამიზნული შედეგის, რეზულტატის მიღწევის სტადიად, რაც იძლევა რეალურად დამდგარი შედეგის დადგომის მტკიცების შესაძლებლობას. მაშასადამე, მოტყუების შედეგად ნივთის დაუფლების და ქონებრივი უფლების მიღების შემთხვევები უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან.

---

ყვეტილება, 1106აპ-10; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 10 იანვრის განაჩენი, #434აპ-16, სუსგ, 2017, #1-3, გვ. 146; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება, #112აპ-17, სუსგ, 2017, #7-9, გვ. 98; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 19 აპრილის #1106აპ-10 განაჩენი, სუსგ, 2011, #7-9, გვ. 34.

<sup>214</sup> Eisele J., Strafrecht, BT II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Aufl., Stuttgart 2019, S. 177-178, Rn. 517.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში თაღლითობას, ერთი მხრივ, შედეგზე ორიენტირებულ, „ამპუტირებულ“ შედეგიან დელიქტად განიხილავენ<sup>215</sup>, სადაც შედეგი არ განიხილება ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნად, ხოლო მეორე მხრივ, მიუთითებენ თაღლითობის შემადგენლობის განსახორციელებლად ქონებრივი ზიანის გამონვევის აუცილებლობაზე<sup>216</sup>, რომლის მიხედვითაც თაღლითობა შედეგიან დანაშაულად არის განხილული<sup>217</sup>. მოცემულ მოსაზრებას ბურგს უმაგრებს გერმანულ სსკ-ში მოცემული თაღლითობის შემადგენლობა, სადაც თაღლითობის ქართული შემადგენლობისგან განსხვავებით, საუბარია ქონებრივ ზიანზე. თაღლითობის შედეგიანი დანაშაულებისადმი მიკუთვნებასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული მსჯელობა ურთიერთგამომრიცხავი და წინააღმდეგობრივია.

იურიდიულ ლიტერატურაში საკამათოა, ქონებრივი ზიანი საერთოდ უნდა იქნას თუ არა გამონვეული, თუ საკმარისია, რომ ქონებას მხოლოდ საფრთხე შეექმნას. აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითებენ აგრეთვე „ქონებისთვის ზიანის თანასწორ საფრთხის შექმნაზე“. ამას გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში რელევანტურად მიიჩნევენ, მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, რომელშიც კლიენტი მოტყუების შედეგად იმას მიაღწევს, რომ ბანკი მასზე გასცემს საკრედიტო ბარათს, რომლითაც მას შემდგომ ფულის აღება ან საქონლის ყიდვა შეუძლია, ამასთან ერთად თავიდანვე ნათელია, რომ ანგარიშზე თანხა არ არის და კლიენტს ასევე არ ჰქონდა მიზანი, ბანკისთვის ფული დაებრუნებინა<sup>218</sup>. თუმცა, მოცემულ შემ-

<sup>215</sup> *Schramm E.*, Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 161, §7 Rn. 6.

<sup>216</sup> *Schramm E.*, Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 160, §7 Rn. 2-3.

<sup>217</sup> *Tiedemann K.*, in: LK, 11. Aufl., §263 Rn. 3.

<sup>218</sup> *Heinrich B.*, Einführung in das deutsche Betrugsstrafrecht, in: Jishkariani/Waßmer (Hrsg.), Die Europäisierung des georgischen Wirtschaftsstrafrechts, 2017, S. 170.



თხვევაში ქართული სსკ-ის მიხედვით, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა სსკ-ი 180-ე, არამედ სსკ-ის 208-ე მუხლით (კრედიტის უკანონოდ მიღება).

## 1.6. ხერხი

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ცალკეული შემადგენლობები იმით ხასიათდება, რომ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობაში მითითებულია დანაშაულის ჩადენის ხერხი, რომელსაც თაღლითობის შემთხვევაში მოტყუება წარმოადგენს.

მოტყუებასთან, როგორც თაღლითობის ხერხთან დაკავშირებით ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ ის არ წარმოადგენს კონკრეტულ ქმედებას, რომ მისი განსაზღვრება იყოს შესაძლებელი. ყველა ქმედება, რომელსაც ადამიანი შეცდომაში შეჰყავს, წარმოადგენს მოტყუებას<sup>219</sup>. თუმცა, ლიტერატურაში გვხვდება მოტყუების სხვადასხვაგვარი განმარტება.

მოტყუება არის სინამდვილის საწინააღმდეგო გაცნობიერებული ქმედება, რომელიც ობიექტურად ვარგისია იმისთვის და სუბიექტურად მიმართულია იქითკენ, რომ ადრესატებს შეუქმნას მცდარი წარმოდგენა ფაქტებზე<sup>220</sup>. მოტყუება არის ფსიქოლოგიური ფაქტი<sup>221</sup>. მოტყუება მაშინ არის სახეზე, როცა მას ადამიანი შეცდომაში შეჰყავს. ხოლო შედცომაში შეყვანა გულისხმობს ადამიანისთვის მცდარი, პოზიტიური წარმოდგენის შექმნას რეალობასთან შეუსაბამო ფაქტობრივ გარემოებებზე<sup>222</sup>. უბრალოდ მცდარი წარმოდგენის არსებობა ფაქტობრივ გარე-

<sup>219</sup> *Heinrich B.*, in: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf*, *Strafrecht*, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, S. 538, §20 Rn. 35.

<sup>220</sup> *Schramm E.*, *Strafrecht*, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 165, §7 Rn. 21.

<sup>221</sup> *Fischer Th.*, *Strafgesetzbuch*, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 54.

<sup>222</sup> *Lackner/Kühl*, *Strafgesetzbuch*, Kommentar, 28. Auf., 2014, §263 Rn. 18.

მოებებზე (*ignorantia facti*) არ არის შეცდომაში შეყვანა.

არსებობს თუ არა მცდარი წარმოდგენა, არის დამოკიდებული კონკრეტულ გარემოებაზე. სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით მას ადგილი შეიძლება ჰქონდეს მაგალითად, აფთიაქში წამლის შეძენის შემთხვევაში, როცა აფთიაქის გამყიდველი წამლის მყიდველს გადასცემს წამალს ექიმის რეცეპტის საფუძველზე მცდარი ინდიკაციით<sup>223</sup>. თუმცა, ქართული სსკ-ის მიხედვით აღნიშნულ შემთხვევაში მართებული იქნება ქმედების კვალიფიკაცია 219-ე მუხლით.

მოტყუება გულისხმობს მცდარი ინფორმაციის მიწოდებას ან სინამდვილის ამსახველი ფაქტების დამახინჯებას, დაფარვას იმ პირისთვის, ვისაც ატყუებენ<sup>224</sup>. ასეთ პირს წარმოადგენს დანაშაულის მსხვერპლი, რომელსაც აცდენს დანაშაულის ამსრულებელი. ფაქტების არსებობის შესახებ მოტყუებას ადგილი აქვს მაშინ, როცა ის რეალურად არ არსებობს. ფაქტების დამახინჯება კი გულისხმობს ნამდვილი ფაქტების დასახელებას, თუმცა საერთო სურათი არის გაყალბებული დამახინჯების, შეუსაბამო მონაცემების დამატების ან ცალკეული მონაცემების წაშლის შედეგად.

მოტყუებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი მაშინაც, როცა მცდარი ინფორმაციის მიწოდება ხდება მეორე მხარისთვის არარსებულ გარემოებასთან დაკავშირებით, რომლის არსებობა შეუძლებელიც იყო (პლანეტა სირიუსის შემთხვევა)<sup>225</sup>.

ლიტერატურაში როგორც მიუთითებენ, ქმედება, რომლითაც მოტყუება ხორციელდება, ოთხი კომპონენტისგან შედგება:

1. ობიექტურად შეცდომაში შეყვანა, შეცდენა;

---

<sup>223</sup> *Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., 2014, §263 Rn. 19.*

<sup>224</sup> *Satzger H., in: Satzger/Schluckebier/Widmaier, Strafgesetzbuch, Kommentar, 5. Aufl., 2021, §263 Rn. 30.*

<sup>225</sup> *Satzger H., in: Satzger/Schluckebier/Widmaier, Strafgesetzbuch, Kommentar, 5. Aufl., 2021, §263 Rn. 15.*

2. რომელიც კავშირშია ფიზიკურ პირთან (მხოლოდ ადამიანის მოტყუება შეიძლება);
3. რაც კავშირშია ინტელექტუალურად წარმოდგენის შექმნასთან და
4. გულახდილობის (გულწრფელობის) შედეგად ზეგავლენის მოხდენასთან, რაც შეიძლება იყოს როგორც ვერბალური, ისე არავერბალური<sup>226</sup>.

შეცდენის შემდეგ შემთხვევებს შეიძლება ჰქონდეს ადგილი:

- ა) მოტყუებული ვერ ამჩნევს, რომ მას უწევს ნივთის ან ქონების გაცემა;
- ბ) მოტყუებული ვერ ამჩნევს, რა რაოდენობის ნივთს, ქონებას გასცემს;
- გ) მოტყუებული ვერ ამჩნევს მეორე მხარე რამდენად ნალკებ ვალდებულებას ასრულებს<sup>227</sup>.

თაღლითობის დროს, ვინაიდან ხდება მსხვერპლის მოტყუება, ქმედების თაღლითობის მუხლით დასაკვალიფიცირებლად უნდა დადგინდეს ის, რომ კონკრეტული პირის, როგორც მსხვერპლის მიმართ ადგილი ჰქონდა მოტყუების შედეგად შეცდომაში შეყვანას, მაგრამ როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი მაშინ, როცა ადგილი აქვს მასების მიმართ განხორციელებულ დელიქტს და დანაშაულებრივ ქმედებას ყავს მრავალი მსხვერპლი?

ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, მასების მიმართ განხორციელებული დელიქტის დროს საჭიროა მსხვერპლის მოტყუების და შეცდომაში შეყვანის დადგენა თითოეული მსხვერპლის მიმართ<sup>228</sup>. მასების მიმართ განხორციელებული

<sup>226</sup> Schramm E., Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 165, §7 Rn. 22.

<sup>227</sup> Heinrich B., in: Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, S. 549, §20 Rn. 50.

<sup>228</sup> Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 67a.

თაღლითობის დროს თითოეული მოტყუებული მსხვერპლის დადგენა, პრაქტიკული თვალსაზრისით, გარკვეულ სირთულესთან არის დაკავშირებული. მსხვერპლთა დადგენას ხელს უწყობს თვით დაზარალებულთა მიმართვა შესაბამისი ორგანოებისთვის. როდესაც საქმე ეხება კონკრეტული პირის მხრიდან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითობას, რის შედეგადაც მრავალი ადამიანი ზარალდება, საკმარისი შეიძლება იყოს იმის დადგენა, რომ ბოროტმოქმედის მხრიდან ადგილი ჰქონდა სიცრუეს, რის შედეგადაც ქონება მიისაკუთრა ბოროტმოქმედმა, რომლითაც უნდა ესარგებლათ ადამიანებს. ქმედების თაღლითობის მუხლით დასაკვალიფიცირებლად ერთი მოტყუებული მსხვერპლის დადგენაც საკმარისია. როცა საქმე ეხება მასების მიმართ განხორციელებულ დელიქტს ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება რთული იყოს იმის დადგენა, თუ რამდენმა ადამიანმა იზარალა. მსხვერპლთან მიმართებით ზარალი შეიძლება გამოიხატოს იმ ქონებრივი სიკეთის ვერმიღებაში, რომელიც უნდა მიეღო.

როდესაც საქმე ეხება მასების მიმართ განხორციელებულ დანაშაულს, პრაქტიკული სირთულიდან გამომდინარე, კანონმდებელი თითოეული მსხვერპლის მიმართ არ მოითხოვს იმის დადგენას, რომ ის კონკრეტული ქმედების შედეგად დაზარალდა. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლით (ორგანიზებული ძალადობა) და გერმანული სსკ-ის 231-ე პარაგრაფით (ჩხუბში მონაწილეობა) გათვალისწინებული შემადგენლობები. აღნიშნულ დანაშაულთა განხორციელებისას კანონმდებელი იმიტომ არ მოითხოვს სათითაოდ მსხვერპლის დადგენას და შედეგის ობიექტურად შერაცხვას, რომ ეს შეუძლებელი შეიძლება აღმოჩნდეს. იგივე შეიძლება ითქვას თაღლითობის იმ შემთხვევაზეც, რომელსაც ყავს არა ერთი და ორი დაზარალებული, არამედ მასა.

მოტყუებასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, ვისი მოტყუება არის შესაძლებელი? მოტყუება, შეცდომაში შეყვანა მხოლოდ ფიზიკური პირის შეიძლება თუ შესაძლებელია იურიდიული პირის მოტყუებაც?

ვინაიდან მოტყუება გულისხმობს შესაბამის სუბიექტს მხოლოდ ადამიანის სახით, მანქანაზე, ავტომატზე ზემოქმედება, მაგალითად კომპიუტერის საშუალებით ინტერნეტ-ბანკინგი (შედეგად სხვისი ფულის დაუფლება) გერმანულ სისხლის სამართალში კვალიფიცირდება სპეციალური ნორმით, როგორც კომპიუტერული თაღლითობა (265a პარაგრაფი)<sup>229</sup>. ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნულ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება 286<sup>1</sup>-ე მუხლით.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით შესაძლებელია მხოლოდ ფიზიკური პირის მოტყუება. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია იურიდიული პირი წარმოადგენდეს შეცდომის სუბიექტს<sup>230</sup>. თუმცა, აღნიშნული საკითხი შეიძლება მიეკუთვნოს იმ საკითხთა რიგს, რომელზეც შეიძლება არსებობდეს აზრთა სხვაობა. თუ გავითვალისწინებთ, რომ იურიდიული პირის დასჯადობაზე და სამართალსუბიექტობაზე არსებობს აზრთა სხვაობა და ერთ-ერთი მოსაზრებით იურიდიული პირი, ფაქტობრივად, ფიზიკურ პირთან არის გაიგივებული, რასაც ქართული სისხლის სამართალიც მხარს უჭერს (ვინაიდან იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს), შეიძლება ამავე შეხედულების მიხედვით, ავტორთა მეორე ნაწილისთვის შესაძლებელი გახდეს იმის მტკიცება, რომ შეცდომაში შეყვანის სუბიექტი ფიზიკურ პირთან ერთად იურიდიული პირიც შეიძლება იყოს, ხოლო არგუმენტად მოშველიებულ იქნას ის არგუმენტები,

<sup>229</sup> *Fischer Th.*, Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 66.

<sup>230</sup> *Heinrich B.*, ebenda, §20 Rn. 51a; *Fischer Th.*, Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 67.

რაც იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ დასჯადობასთან დაკავშირებით, რომელიც კითხვის სახით შემდეგნაირად შეიძლება გამოიხატოს: თუ იურიდიული პირი დანაშაულის სუბიექტად მიიჩნევა, რატომ არ შეიძლება შეცდომაში შეყვანის სუბიექტად იქნას განხილული?

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, თაღლითობის დროს არ აქვს მნიშვნელობა ვინ არის ქონების მფლობელი. ეს შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი. თაღლითობის შემადგენლობა აგრეთვე მოიცავს სახელმწიფო ქონებასაც<sup>231</sup>. მიუხედავად იურიდიული პირის სამართალსუბიექტობაზე და იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის მიზანშეწონილობაზე არსებული აზრთა სხვაობისა, არ უნდა ინვევდეს კამათს ის, რომ იურიდიული პირის მფლობელობაში არსებული ქონება შეიძლება იქცეს თაღლითობის დროს დანაშაულის საგნად. მაშასადამე, კამათი ეხება არა იმას, არის თუ არა თაღლითობის შემადგენლობით დაცული იურიდიული პირის ქონება, არამედ იმას თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს მოტყუებულად.

ბემოთ დასახელებული ხერხის გამოყენებით თაღლითობის განხორციელების მაგალითად ქართული სასამართლო პრაქტიკიდან შეიძლება მოვიხმოთ შემდეგი შემთხვევა:

სამედიცინო დაწესებულება შპს „.....“, რომლის დირექტორიც იყო ფ. ჯაბუა, გაცემული სანებართვო მოწმობის შესაბამისად მოპოვებული ჰქონდა ორგანოთა გადანერგვისა და ტრანსპლანტაციის ნებართვა. კლინიკის დირექტორმა ჯაბუამ აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან მოიწვია ქირურგ-ტრანსპლანტოლოგი მ. ალიევი, რომლის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ჯაბუამ და კლინიკის სხვა თანამშრომლებმა მასმედიისა და სოციალური ქსელების საშუალებით მომხმარებელ-

<sup>231</sup> Kindhäuser U., in: Kindhäuser/Neumann/Paefgen (Hrsg.), Strafgesetzbuch, Band 3, 4. Aufl., NK, 2013, §263 Rn. 10.

თა მიზიდვის მიზნით, გაავრცელეს განცხადებები, მომზადდა სატელევიზიო სიუჟეტები, რომ თითქოსდა, შპს „...“ თურქეთის რესპუბლიკიდან მოწვეული ჰყავდათ ტრანსპლანტაციის დარგის სპეციალისტები და ღვიძლით დაავადებული პაციენტებისთვის ტარდებოდა უფასო კონსულტაციები. გ. ჩივაძემ და კ. კალანდაძემ გამოკვლევების ჩატარებისა და კონსულტაციის მისაღებად მიაკითხეს დასახელებულ სამედიცინო დაწესებულებას, სადაც ჯაბუამ და მისი დავალებით კლინიკის თანამშრომლებმა ნდობის მოსაპოვებლად განუცხადეს, რომ თითქოსდა, კლინიკაში თურქეთიდან მოწვეული იყო ტრანსპლანტაციის სპეციალისტთა ჯგუფი, რომელსაც გაკეთებული ჰქონდა ღვიძლის გადანერგვის არაერთი წარმატებული ოპერაცია. ჯაბუასთვის ცნობილი იყო, რომ ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაციის ჩატარებამდე როგორც პაციენტების, ისე დონორებისა და მისი ოჯახის წევრებისთვის უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია იმ რისკების შესახებ, რაც ახლდა ღვიძლის გადანერგვას და ასევე, უნდა წარედგინა ისინი ტრანსპლანტაციის საბჭოს წინაშე და თანხმობა აეღო ოპერაციის ჩატარებაზე, თუმცა კალანდაძეს და ჩივაძეს ჩაუტარდა ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაცია ისე, რომ ეს პაციენტები არ წარუდგინეს ტრანსპლანტაციის საბჭოს, რითაც ჯაბუამ დაუმალა მათ და მათი ოჯახის წევრებს ის გარემოება და ფაქტი, რომლებითაც საფრთხეს უქმნიდა პაციენტთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. მიუხედავად იმისა, რომ ქირურგ ალიევს არ გააჩნდა საქართველოს სახელმწიფო სერტიფიკატი არცერთ საექიმო სპეციალობაში, ხოლო თავად კლინიკის დირექტორი ჯაბუა ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაციის ჩატარებამდე ვალდებული იყო, ტრანსპლანტაციის საბჭოსთვის მიეწოდებინა ინფორმაცია და საბჭოსგან აეღო ნებართვა, კონსულტაციებისა და შესაბამისი გამოკვლევების ჩატარების შემდეგ, კალანდაძეს და ჩივაძეს, ფულადი თანხის მიღების მიზნით,

ჯაბუამ და კლინიკის კონკრეტულმა თანამშრომლებმა, რომლებიც მოქმედებდნენ ერთიანი მართლსაწინააღმდეგო განზრახვით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მოიპოვეს პაციენტთა ნდობა და მოტყუებით განუცხადეს, რომ თითქოსდა, მათ სასწრაფოდ ესაჭიროებოდათ ღვიძლის გადაწერვა, რის სანაცვლოდ კლინიკის დირექტორი ჯაბუა და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი კლინიკის თანამშრომლები მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ კალანდაძის კუთვნილ თანხას 99204 ლარს, ხოლო ჩივაძის შემთხვევაში, ჯაბუას დავალებით, ოპერაციის ჩატარებამდე დაჩქარებული წესით, მოტყუებით გაფორმდა ხელშეკრულება ვალის აღიარების შესახებ, რომლის შესაბამისად ჩივაძეს კლინიკის იურისტისთვის უნდა გადაეხადა თანხა 40 000 აშშ დოლარი. მოცემულ შემთხვევაში ქმედება უზენაესმა სასამართლომ დააკვალიფიცირა როგორც თაღლითობა ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და დიდი ოდენობით<sup>232</sup>.

აღნიშნულ შემთხვევაში თაღლითობა განხორციელდა მსხვერპლთათვის მცდარი, დამახინჯებული ინფორმაციის მიწოდების, აგრეთვე გარკვეული ინფორმაციის დამალვის შედეგად. სასამართლოს გადანყვეტილებაში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ საუბარია თაღლითობის და თაღლითობის მცდელობის (ორ) ეპიზოდებზე, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ქმედება განხორციელებულია ერთიანი განზრახვით, სახეზეა განგრძობადი დანაშაული, რის გამოც ქმედება დაკვალიფიცირდა არა როგორც დანაშაულთა ერთობლიობა, არამედ როგორც ერთი დანაშაულებრივი ქმედება, მიუხედავად მსხვერპლთა სიმრავლისა.

---

<sup>232</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 1 აგვისტოს გადანყვეტილება, #110აპ-19, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე, 2019, #7-9, გვ. 91-106.



თაღლითობა არ არსებობს მოტყუების გარეშე. მოტყუება, რომელსაც თაღლითობის დროს აქვს ადგილი, უკავშირდება აკრძალულ ტყუილს<sup>233</sup>. მოტყუების ქვეშ იგულისხმება პირზე (დანაშაულის მსხვერპლზე) ინტელექტუალური ზემოქმედების მოხდენა იმ მიზნით, რომ ფაქტებთან, გარემოებებთან დაკავშირებით შეცდომაში იქნას შეყვანილი<sup>234</sup>.

მოტყუებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გამოთქმული მოსაზრებით, მოტყუება შეიძლება მხოლოდ ფაქტებთან დაკავშირებით, მაგრამ არა პროგნოზზე<sup>235</sup>. ფაქტობრივ გარემოებებში იგულისხმება წარსული ან თანამედროვეობა და არ მოიცავს მომავლის შემთხვევას (მოვლენას). ასეთ გარემოებად მიჩნეულია გადახდისუნარიანობა<sup>236</sup>. თუმცა, ეს მოსაზრება, რომელიც უკავშირდება მომავალთან დაკავშირებული პროგნოზის გამორიცხვას მოტყუების საგნიდან, წარმოშობს კითხვას მის მართებულობაზე, თაღლითობა გულისხმობს იმ შემთხვევასაც, როცა პირი ატყუებს პენსიონერს, რომ მოუვლის, თუ ბინას გადაუფორმებს და შემდგომ პენსიონერი რჩება მოძველელის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში მოტყუება მოხდა სწორედ მომავალში განსახორციელებელ ქმედებაზე, შემთხვევაზე, რომელსაც მომავალში უნდა ჰქონოდა ადგილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მართებულად შეიძლება ჩაითვალოს მოსაზრება, რომელიც მოტყუებას არ გამორიცხავს ყალბი, არასწორი პროგნოზის დროსაც, თუ პროგნოზი

---

<sup>233</sup> Schramm E., Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 160, §7 Rn. 3.

<sup>234</sup> Eisele J., Strafrecht, BT II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Aufl., Stuttgart 2019, S. 179, Rn. 521; Satzger H., in: Satzger/Schluckebier/Widmayer, Strafrechtsgesetzbuch, Kommentar, 5. Aufl., 2021, §263 Rn. 33.

<sup>235</sup> Heinrich B., Einführung in das deutsche Betrugsstrafrecht, in: Jishkariani/Waßmer (Hrsg.), Die Europäisierung des georgischen Wirtschaftsstrafrechts, 2017, S. 166.

<sup>236</sup> Eisele J., Strafrecht, BT II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Aufl., Stuttgart 2019, S. 180, Rn. 522.

ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებს<sup>237</sup>. პროგნოზი შეიძლება ეფუძნებოდეს არსებულ პირობებს, გარემოებებს, რაც პროგნოზის შეფასების საფუძველს წარმოადგენს<sup>238</sup>.

ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მოტყუება გულისხმობს ისეთ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც აღქმადია და რომლის დადგენაც შესაძლებელია<sup>239</sup>. ეს ეხება ისეთ შემთხვევას, როცა მოტყუებელი, შეცდენილი პირი გარკვეულ მოვლენას მომხდარად მიიჩნევს, როცა ის რეალურად არ განხორციელებულა (მაგალითად, ა-სა და ბ-ს შორის ხელშეკრულება განსაზღვრული შინაარსით დაიდო), აგრეთვე ისეთ შემთხვევასაც, როდესაც შემთხვევის ცალკეულ მომენტებთან დაკავშირებით არსებობს არასწორი წარმოდგენა (მაგალითად, ხელშეკრულება ა-სა და ბ-ს შორის ნამდვილად დაიდო, მაგრამ სხვა ფასად) ან როცა ცალკეული გარემოებები არასწორად არის წარმოდგენილი (მაგალითად, ხელშეკრულების მონაწილეები არიან არა მხოლოდ ა. და ბ., არამედ ასევე გ-ც). ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მოტყუებულის მცდარმა წარმოდგენამ შეუსაბამო პროგნოზი ან მცდარი შეფასება განაპირობოს, რაც ქონების განკარგვის მოტივაციაზე მოახდენს ზემოქმედებას<sup>240</sup>.

აზრის გამოხატვა და შეფასება, რომელიც სუბიექტური შეფასებით ამოიწურება, არ წარმოადგენს ფაქტობრივ გარემოებას, არ არის დაკავშირებული ემპირიულ გადამოწმებასთან. შესაბამისად, არ განიხილება მოტყუების საგნად<sup>241</sup>.

---

<sup>237</sup> Perron W., in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 30. Aufl., 2019, §263 Rn. 34; Schramm E., Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 171, §7 Rn. 46.

<sup>238</sup> Satzger H., in: Satzger/Schluckebier/Widmaier, Strafgesetzbuch, Kommentar, 5. Aufl., 2021, §263 Rn. 28.

<sup>239</sup> Schramm E., Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 163, §7 Rn. 15.

<sup>240</sup> Perron W., in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 30. Aufl., 2019, §263 Rn. 34.

<sup>241</sup> Satzger H., in: Satzger/Schluckebier/Widmaier, Strafgesetzbuch, Kommentar, 5. Aufl., 2021, §263 Rn. 20.

პროფესიული საქმიანობის დროს განმარტების გაკეთებამ, რომელიც შეფასებასთან არის დაკავშირებული, შეიძლება შეიძინოს ფაქტობრივი გარემოების მნიშვნელობა, როცა შეფასება ხდება განსაკუთრებული პროფესიული კომპეტენციის პირობებში. მაგალითად, ექიმის მიერ პაციენტთან დაკავშირებით იმის თქმა, რომ ის მალე სრულად გამოჯანმრთელდება. ასევე შეიძლება არსებობდეს გადამონწმების შესაძლებლობის არარსებობის თვალსაზრისით გამოხატვის აუცილებლობის მოთხოვნა<sup>242</sup>. თუ ექიმი პაციენტს ატყუებს და ეუბნება, რომ მკურნალობის შედეგად გამოჯანმრთელდება, მაგრამ დარწმუნებულია, რომ მკურნალობას შესაბამისი შედეგები არ ექნება, პაციენტის გამოჯანმრთელება შეუძლებელია, სახეზე იქნება თაღლითობა, თუ ექიმი ამას იმიტომ აკეთებს, რომ მიისაკუთროს პაციენტის მიერ გადასახდელი ფული.

იურიდიული კავშირის დამყარება, როგორცაა ქირა, ყიდვა და სესხი, ფაქტობრივ გარემოებებს წარმოადგენენ, თუ ისინი ფაქტობრივ პირობებთან არის კავშირში. იგივე ეხება სამართლებრივ შეხედულებებსაც, თუ ის კავშირშია ვარგისიანობის და აუცილებლობის საკითხთან. ადვოკატის სამართლებრივი ინფორმაცია შეიძლება მიჩნეულ იქნას ფაქტობრივ გარემოებად<sup>243</sup>. თაღლითობად შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევა, როცა ადვოკატი მის კლიენტს ატყუებს და ფულს ართმევს იმ დაპირებით, რომ მას ციხიდან დაიხსნის აუცილებლად, ვინაიდან სისხლის სამართლის კანონმდებლობა და ფაქტობრივი მდგომარეობა, ადვოკატის თქმით, ამის შესაძლებლობას იძლევა, მაშინ როცა სინამდვილეში მისი გათავისუფლების არანაირი სამართლებრივი შესაძლებლობა არ არსებობს და თავად ადვოკატმაც კარგად უწყის აღნიშნულის შესახებ.

<sup>242</sup> *Satzger H.*, in: *Satzger/Schluckebier/Widmaier, Strafgesetzbuch, Kommentar*, 5. Aufl., 2021, §263 Rn. 23.

<sup>243</sup> *Satzger H.*, in: *Satzger/Schluckebier/Widmaier, Strafgesetzbuch, Kommentar*, 5. Aufl., 2021, §263 Rn. 24.

მოტყუებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ანგარიშსწორების დროს. მაგალითად, როცა საქმე ეხება საექიმო მომსახურებას და ექიმის მიერ მოტყუებას განწეული მომსახურების ღირებულებასთან<sup>244</sup> ან სახესთან დაკავშირებით. სამედიცინო მომსახურების დროს არსებობს იმის მოლოდინი, რომ ექიმი იმის მიხედვით დაიანგარიშებს, რა მომსახურებაც გასწია რეალურად და მოთხოვნილი ანაზღაურება არის განწეული მომსახურების შესაბამისი. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, კონკლუდენტური მოტყუება სახეზეა, როცა ექიმი ითხოვს იმის მომსახურების ხარჯის დაფარვას, რომელიც არ განხორციელებულა<sup>245</sup>. მაგალითად, სტომატოლოგი კლიენტს სთხოვს ორი კბილის დაპლომბვის თანხას, როცა რეალურად მხოლოდ ერთი დაუპლომბა, ან სადაზღვეო კომპანიას პაციენტის ხელით უგზავნის განწეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებასთან დაკავშირებულ დოკუმენტს, სადაც გაზრდილი ტარიფებია მითითებული ან ისეთი გამოკვლევები, რომელიც პაციენტს არ ჩატარებია.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში საკამათოდ მიიჩნევა საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა სახეზე თაღლითობა, როცა ვინმე ანაზღაურებად ექიმად ასაღებს თავს, მაგრამ რეალურად არ ჰქონდა უფლება მიეღო ჰონორარი ანაზღაურების სახით<sup>246</sup>. ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მსგავსი შემთხვევა მოტყუებით ქონებრივ დაზიანებად (185-ე მუხ.) კვალიფიცირდება. მაგალითად, როცა ვაგონის გამცილებელი ან სხვა პირი გასამრჯელოს იღებს ბარგის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანისთვის, მაშინ როცა მათ არა აქვთ გასამრჯელოს მიღების უფლება<sup>247</sup>. რაც შეეხება ისეთ

---

<sup>244</sup> *Hefendel R.*, in: *MüKo*, 3. Aufl., §263 Rn. 127.

<sup>245</sup> *Satzger H.*, in: *Satzger/Schluckebier/Widmaier, Strafgesetzbuch, Kommentar*, 5. Aufl., 2021, §263 Rn. 48.

<sup>246</sup> *Hefendel R.*, in: *MüKo*, 3. Aufl., §263 Rn. 679.

<sup>247</sup> *წულაია ზ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, მეორე ტომი, თბ., 2001, გვ. 120.

შემთხვევას, როდესაც პირს საერთოდ არ აქვს სამედიცინო განათლება და შესაბამისად, საექიმო საქმიანობის უფლება, მაგრამ თავს ექიმად ასალებს, ქმედება ქართული სსკ-ის მიხედვით უკანონო საექიმო საქმიანობად უნდა დაკვალიფიცირდეს, თუ განხორციელებულმა ქმედებამ გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია (სსკ-ის 246-ე მუხლი)<sup>248</sup>. დასახელებული ქმედებით ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების გამოწვევისას ქმედება ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად დაკვალიფიცირდება, ხოლო ასეთი შედეგის გარეშე, პაციენტის ფულადი თანხების ან სხვა სახის ქონების დაუფლებისას სახეზე იქნება თაღლითობა.

თაღლითობის შემთხვევებიდან ერთ-ერთს წარმოადგენს მშენებლობასთან დაკავშირებული თაღლითობა, რომლის დადგენაც კარგად არის შესაძლებელი. გერმანული პრაქტიკისთვის ცნობილ თაღლითობის შემთხვევას წარმოადგენს ასევე უმუშევრებისთვის განკუთვნილი თანხების მისაკუთრება<sup>249</sup>, როცა უმუშევარს სახელმწიფო ხელფასს უხდის, მაგრამ აღნიშნული პირი სამსახურის პოვნის შესახებ შესაბამის სამსახურს არ ატყობინებს. ეს უკანასკნელი ქმედება შეიძლება უმოქმედობით განხორციელებულად ჩაითვალოს. მართალია, უმუშევრების აღნიშნული სახის ფინანსური უზრუნველყოფა საქართველოში არ არის დამკვიდრებული პრაქტიკა, განსხვავებით გერმანიისგან, მაგრამ თუ ასეთ შემთხვევას ექნება ადგილი, თაღლითობად უნდა დაკვალიფიცირდეს.

მშენებლობასთან დაკავშირებულ თაღლითობას მაშინ ექნება ადგილი, როცა დაქირავებული მუშა სათანადოდ არ ასრულებს სამუშაოს, როცა შესრულებული სამუშაო იმდენად

---

<sup>248</sup> *ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 800-801.

<sup>249</sup> *Heinrich B.*, in: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, BT, Lehrbuch*, 4. Aufl., 2021, S. 525-526, §20 Rn. 7-7a.

უხარისხოა, რომ დამქირავებელი ფინანსურ ბარალს განიცდის. აღნიშნულ შემთხვევაში არ უნდა მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, მოუწევს თუ არა დამქირავებელს ახალი მუშის ხელახლა აყვანა. იგივე ეხება სხვა სახის სამუშაოს შესრულების დროს განხორციელებულ თაღლითობას. მაგალითად, როცა ა/მანქანის შემკეთებელი დამქირავებელს, ა/მანქანის მესაკუთრეს ატყუებს და უხარისხოდ ასრულებს მანქანის შეკეთებასთან დაკავშირებულ სამუშაოს, რის გამოც მძღოლს ხელმეორედ, სხვა ხელოსანთან უწევს მანქანის შეკეთება და მომსახურების ქირის გადახდა. მართალია 277-ე მუხლი ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალების უხარისხო რემონტისთვის პასუხისმგებლობას, მაგრამ აღნიშნული შემადგენლობა არ არის მიმართული საკუთრების დაცვისკენ, გარდა ამისა დასახელებული შემადგენლობა შედეგის სახით ითვალისწინებს ჯანმრთელობის დაზიანებას.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთი კითხვა ეხება იმას, ექნება თუ არა ადგილი თაღლითობას, როცა ადგილი აქვს გასანევი სამუშაოსთვის კლიენტისთვის გადაჭარბებული თანხის მოთხოვნას (წინასწარ, სამუშაოს შესრულებამდე)? აღნიშნულ შემთხვევაში თაღლითობა გამოირიცხება, ვინაიდან შემკვეთს შეუძლია ანალოგიური მომსახურების მისაღებად სხვაგან წავიდეს და მიიღოს მისთვის სასურველი მომსახურება<sup>250</sup>. არსებობს საბაზრო თავისუფლების პრინციპი, რაც იმას გულისხმობს, რომ სამუშაოს შემსრულებელს შეუძლია თვითონ განსაზღვროს მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება.

მოტყუება მოითხოვს შეცდენის განზრახვას. თუ ვინმე შეცდენილია ისე, რომ ეს გამიზნული არ იყო ან თუ ეს მოხდა გაუცნობიერებლად, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი აქვს

---

<sup>250</sup> *Heinrich B.*, ebenda, 526, §20 Rn. 7b.

ობიექტურად ყალბ ინფორმირებას, გამოირიცხება მოტყუება და არ ითვლება განხორციელებულად ქმედების ობიექტური შემადგენლობა. თუმცა, საპირისპირო მოსაზრების მიხედვით ხდება არა ობიექტური, არამედ სუბიექტური შემადგენლობის გამოირიცხვა. ორივე მოსაზრება საბოლოოდ მიდის ერთ დასკვნამდე ქმედების შემადგენლობის არარსებობასთან დაკავშირებით: მოტყუების განზრახვის არარსებობის გამო არ არის განხორციელებული თაღლითობა. აღნიშნულ ამრთა სხვაობას მიიჩნევენ არა პრაქტიკული, არამედ უფრო დოგმატური მნიშვნელობის მქონე საკითხად<sup>251</sup>.

მოტყუების სხვადასხვა ფორმა არსებობს. მოტყუება შეიძლება განხორციელდეს მკვეთრად გამოხატული, აქტიური ფორმით, აგრეთვე კონკლუდენტურად და მოვალეობის საწინააღმდეგო უმოქმედობით. პრობლემურად მიიჩნევა კონკლუდენტური ფორმით მოტყუების და უმოქმედობით მოტყუების გამიჯვნის საკითხი<sup>252</sup>. კონკლიუდენტური ფორმით მოტყუების დროს მოტყუება ხდება მდუმარე ფორმით, უსიტყვოდ<sup>253</sup>.

მოტყუების შემთხვევად სახელდება სპორტული თამაშის მონაწილის მიერ დოპინგის მიღება, რითაც ხდება სპორტული შეჯიბრის ორგანიზატორის, სპონსორის შეცდენა<sup>254</sup>. კონკლიუდენტურად მოტყუების მაგალითად სახელდება ველომრბოლელის მიერ ველომრბოლაში მონაწილეობა დოპინგის

---

<sup>251</sup> Schramm E., Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 165, §7 Rn. 23.

<sup>252</sup> Eisele J., ebenda, S.183, Rn. 528; Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., 2014, §263 Rn. 6; ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 31 ოქტომბრის განაჩენი, #83აპ-13, სუსგ, 2013, #7-12, გვ. 82.

<sup>253</sup> Heinrich B., in: Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, S. 539, §20 Rn. 37.

<sup>254</sup> Schramm E., Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 167, §7 Rn. 32.

მიღების შემდეგ<sup>255</sup>. თუმცა, ვინაიდან თაღლითობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს წარმოადგენს, გასათვალისწინებელია, აღნიშნული ქმედება მხოლოდ შეჯიბრში გამარჯვების მოპოვების მიზანს ემსახურებოდა თუ ასევე ფინანსური სარგებლის მიღების მიზანს. მაშასადამე, საქმე უნდა ეხებოდეს შეჯიბრში მონაწილე იმ პირს, რომელთანაც ხელშეკრულებაა დადებული და რომელსაც გამარჯვების შემთხვევაში გარკვეული ფინანსური სარგებელი გადაეცემა.

როდესაც დოპინგის პრეპარატის მიღების შემდეგ სპორტულ შეჯიბრში სპორტსმენი მონაწილეობას იღებს, ქმედების თაღლითობის მუხლით კვალიფიკაციის საფუძვლად შეიძლება განხილულ იქნას ის, რომ ადგილი აქვს მოტყუებას შეჯიბრის ორგანიზატორის და მაყურებლების მიმართ, რის შედეგადაც იღებს ქონებრივ სარგებელს.

იმისთვის, რომ ქმედება თაღლითობად დაკვალიფიცირდეს, უნდა არსებობდეს სპორტსმენის განზრახვა იმ წესების დარღვევასთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი აქვს დოპინგის მიღების დროს. მისაკუთრების მიზანს კი უკავშირებენ იმ ფულად პრემიას, რომელიც სპორტსმენს გადაეცემა გამარჯვების შემთხვევაში<sup>256</sup>.

კონკლიუდენტური ფორმით მოტყუებას ადგილი არ ექნება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს მომატებულ ფასად შეთავაზებას. ხოლო მაშინ, როდესაც შეთავაზება ხდება გაზრდილი ნიხრით ისეთ სფეროში, სადაც მყარად დადგენილი სატარიფო სისტემა მოქმედებს, მოტყუება კონკლიუდენტური ფორმით განხორციელებულად ჩაითვლება<sup>257</sup>. მომატებულ

---

<sup>255</sup> *Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., 2014, §263 Rn. 9.* დოპინგის პრეპარატის მიღების შემდეგ სპორტსმენის სპორტულ შეჯიბრში მონაწილეობისას ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციაზე ასევე იხ. *Heger M., Zur Strafbarkeit von Doping im Sport, JA, 2003, S. 80.*

<sup>256</sup> *Heger M., Zur Strafbarkeit von Doping im Sport, JA, 2003, S. 80.*

<sup>257</sup> *Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., 2014, §263 Rn. 10.*



ფასად საქონლის ან მომსახურების შეთავაზება ჩაითვლება თუ არა თაღლითობად, დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ ადგენს ტარიფებს. როცა საქმე ეხება გაზრდილი, საქონელთან თუ მომსახურებასთან შეუსაბამო ფასების შეთავაზებას (მოთხოვნას), ქმედების თაღლითობად კვალიფიკაცია დამოკიდებულია იმაზე, ტარიფს განსაზღვრავს თუ არა ის პირი, ვინც შეთავაზება განახორციელა. სატრანსპორტო სფეროში გაზრდილი ტარიფით მომსახურების შეთავაზების დროს ქმედების კვალიფიკაცია ასევე დამოკიდებულია არსებულ საკანონმდებლო რეგულირებასა და იმაზე, თუ რამდენად მყარი სატარიფო პოლიტიკა არის განსაზღვრული აღნიშნულ სფეროში. მაგალითად, თუ ტაქსის მძღოლი კლიენტს სთავაზობს არარეალურად მაღალ თანხას, ქმედების თაღლითობად კვალიფიკაცია ქართული კანონმდებლობით შეუძლებელი იქნება, ვინაიდან საქართველოში ტაქსებთან დაკავშირებით სატარიფო პოლიტიკა არ არის განსაზღვრული, განსხვავებით სხვა სახის სატრანსპორტო მომსახურებისგან (მეტრო, ავტობუსი).

ერთ-ერთი მოსაზრებით კონკლიუდენტური ფორმით მოტყუება ხორციელდება არა უმოქმედობით, არამედ აქტიური ქმედებით, რომლის დასჯადობისთვის გარანტის მოვალეობას საჭიროდ არ მიიჩნევენ<sup>258</sup>.

კონკლიუდენტური ფორმით მოტყუების მაგალითად სახელდება ბენზოგასამართ სადგურზე თვითმომსახურების არსებობისას კლიენტის (ბენზინის ყიდვის შექენის მსურველის) მანქანიდან გადმოსვლა, როდესაც ბენზოგასამართი სადგურის თანამშრომელთა მხრიდან იგი იქნება აღქმული თანხმობად ბენზინის ჩასხმასთან დაკავშირებით<sup>259</sup>. თუ ბენზინის ჩასხმის შემდეგ მყიდველმა ფული არ გადაიხადა და წინას-

<sup>258</sup> *Heinrich B.*, ebenda, S. 540, §20 Rn. 38.

<sup>259</sup> *Fischer Th.*, Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 33.

წარ ჰქონდა განზრახული რომ ფული არ გადაეხადა, ქმედება თაღლითობად დაკვალიფიცირდება.

თაღლითობის დროს კონკლიუდენტური მოტყუების მაგალითად გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში სახელდება ექიმის მიერ გადასახადის ქვითრის გამოწერა<sup>260</sup> ან გადაგზავნა სადაზღვეო კომპანიისთვის, როცა ქვითარში მომატებული გადასახადია დაფიქსირებული.

მოტყუების პასიური ფორმის დროს ადგილი აქვს ინფორმაციის, გარკვეული ფაქტების დამალვას, რომელიც პირისთვის ცნობილია. უმოქმედობით მოტყუება მხოლოდ მაშინ არის დასჯადი, როცა საქმე ეხება სამართლებრივ მოვალეობას, მაშასადამე, როცა გარანტის მოვალეობა არსებობს<sup>261</sup>. ასეთი მოვალეობა შეიძლება ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდეს<sup>262</sup>. ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილი მოვალეობის სუბიექტი შეიძლება იყოს გამქირავებელი<sup>263</sup>. მაგალითად, როდესაც ის ქირასთან ერთად იღებს მეორე იმდენ თანხას იმ მიზნით, რომ თავიდან აირიდოს დამქირავებლის მიერ ბინის ან ბინაში განთავსებული ნივთების მიმართ საზიანო ქმედება. ორმაგ თანხას ართმევს დამქირავებელს იმ პირობით, რომ თუ დაქირავებულ ბინაში რაიმეს არ დააზიანებს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროის გასვლის შემდეგ გადახდილი თანხის ნახევარს უკან დაუბრუნებს. თუმცა, დროის გასვლის და დამქირავებლის მიერ გამქირავებლისთვის ბინის გასაღების დაბრუნებისას გამქირავებელი აღნიშნულ თანხას დამქირავებელს არ უბრუნებს, მიუხედავად იმისა, რომ ბინა

---

<sup>260</sup> *Fischer Th.*, Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 36b.

<sup>261</sup> *Eisele J.*, Strafrecht, BT II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Aufl., Stuttgart 2019, S. 187, Rn. 536; *Schramm E.*, Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 165, §7 Rn. 24; *Heinrich B.*, ebenda, S. 167.

<sup>262</sup> *Fischer Th.*, Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 45.

<sup>263</sup> *Fischer Th.*, Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 46.

ისეთივე მდგომარეობაში გადასცა, როგორშიც ჩააბარეს.

განმარტების ვალდებულება ასევე შეიძლება გამომდინარეობდეს ხანგრძლივი საქმიანი პარტნიორული ურთიერთობიდან<sup>264</sup>. თუ აღნიშნულ გარემოებას დავეყრდნობით, იგივე არგუმენტი შეიძლება იქნას გამოყენებული ბანკის მოლარის მიერ კლიენტისთვის ზედმეტი ოდენობით ფულის გადახდის შემთხვევაში. თუ საქმე ეხება კლიენტს, რომელიც დიდი ხანია სარგებლობს კონკრეტული ბანკის მომსახურებით, შეიძლება საუბარი ხანგრძლივ საქმიან ურთიერთობაზე, რაც შეიძლება გამხდარიყო განმარტების მოვალეობის დამაფუძნებელი გარემოება.

გერმანულ სამართალში თაღლითობად ქმედების კვალიფიკაციის შესაძლებლობას განიხილავენ, როცა ხდება ნახმარი ა.მანქანის გაყიდვა და გამყიდველი დუმს, არაფერს ამბობს დამალულ ნაკლებზე<sup>265</sup>. თუმცა, ქართული სამართლის მიხედვით აღნიშნულ შემთხვევაში დღის წესრიგში შეიძლება დადგეს საკითხი ქმედების 219-ე მუხლით კვალიფიკაციაზე.

განმარტების გაკეთების მოვალეობასთან დაკავშირებით მიუთითებენ წინარე ქმედებაზეც. აღნიშნულ შემთხვევაში გულისხმობენ იმას, რომ წინარე ქმედება, რომელიც მოქმედების მოვალეობას აფუძნებს, საფრთხის შემქმნელია ქონებისთვის<sup>266</sup>. თუმცა, აქაც შესაძლოა თავი იჩინოს 219-ე მუხლთან კონკურენციის საკითხმა.

გერმანული სასამართლო პრაქტიკა განმარტების ვალდებულების არსებობაზე მიუთითებდა ასევე ერთგულების და რწმენის საფუძველზე, გარდა ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობისა. თუმცა, ასეთი ფართო ინტერპრეტაცია მოგვიანებით შეიზღუდა. გერმანიის უზენაესი სასამართლო მოით-

---

<sup>264</sup> *Fischer Th., Strafgesetzbuch*, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 47.

<sup>265</sup> *Fischer Th., Strafgesetzbuch*, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 48.

<sup>266</sup> *Fischer Th., Strafgesetzbuch*, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 50.

ხოვს განსაკუთრებული ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის არსებობას. მხოლოდ სიდიდე იმ ზიანისა, რომელიც მეორე მხარეს შეიძლება მიაღგეს, არ წარმოშობს განმარტების ვალდებულებას<sup>267</sup>.

უმოქმედობით თაღლითობისას დამნაშავის მოვალეობა სიმართლესთან დაკავშირებით უნდა ეხებოდეს ქონებისთვის, საკუთრებისთვის რელევანტურ გარემოებებს. მას უნდა გააჩნდეს სპეციფიური მოვალეობა მსხვერპლის მცდარ ან არასწორ წარმოდგენაზე ზეგავლენა მოახდინოს<sup>268</sup>.

უმოქმედობით მოტყუებისგან კონკლუდენტური ფორმით მოტყუების გამიჯვნისთვის გასათვალისწინებელ კრიტერიუმად სახელდება აქტიური კომუნიკაციური ქმედება, მაშინ, როცა უმოქმედობით მოტყუების დროს დამნაშავე თავის მოვალეობას არ ასრულებს, მაგალითად, არ აკეთებს განმარტებას დაშვებულ შეცდომაზე<sup>269</sup>, როცა განმარტებით მსხვერპლის შეცდენა თავიდან იქნებოდა აცილებული<sup>270</sup> ან შეცდომაში შეყვანილი ადამიანისთვის დროული განმარტების გაკეთებით მის მიმართ ქონებრივი ზიანი არ დადგებოდა. ასეთ შემთხვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს პროფესიულ სფეროში, სადაც გარკვეული პროფესიის წარმომადგენელს ევალება თავის კლიენტს მისცეს განმარტება გარკვეულ საკითხზე, რომ არ დაუშვას კლიენტმა შეცდომა ან თუ შეცდენილია, დროულად მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მისთვის მატერიალური თუ სხვა თვალსაზრისით მეტად ხელსაყრელი იქნება. მაგალითად ასეთი მოვალეობა შეიძლება ეკისრებოდეს ექიმს, რომელიც კლიენტს შეიძლება სწორ განმარტებას არ აძლევ-

---

<sup>267</sup> *Fischer Th.*, Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 51.

<sup>268</sup> *Fischer Th.*, Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 39.

<sup>269</sup> *Satzger H.*, in: *Satzger/Schluckebier/Widmaier*, Strafgesetzbuch, Kommentar, 5. Aufl., 2021, §263 Rn. 46.

<sup>270</sup> *Heinrich B.*, in: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf*, Strafrecht, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, S. 542, §20 Rn. 41.

დეს იმის გამო, რომ თვითონ ენახა ფინანსური სარგებელი. თანამედროვე ეპოქაში ასეთი შემთხვევები, სამწუხაროდ, იშვიათობას არ წარმოადგენს, თუმცა, პრაქტიკაში, როგორც წესი, აღნიშნული ტიპის საქმეები რეაგირების გარეშე რჩება, რისი ერთ-ერთი მიზეზიც არის სამედიცინო სფეროში ექიმებს შორის პროფესიული სოლიდარობა.

უმოქმედობით მოტყუებასთან დაკავშირებით ლიტერატურაში მიუთითებენ იმ სირთულეებზე, რომელიც თან ახლავს დასახელებული ფორმით მოტყუების განხორციელების დადგენას და მასთან დაკავშირებულ დასჯადობას. ერთ-ერთი სირთულე უკავშირდება განზრახვის დადგენას. ცალკეულ შემთხვევაში პრობლემურად მიიჩნევა უმოქმედობით მოტყუების განზრახვის და მიზნის დადგენა. ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი შეხედულებით, უმოქმედობით მოტყუებას იშვიათ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როცა გარანტის მოქმედებას შეეძლო მსხვერპლის შეცდომა თავიდან აეცილებინა. როდესაც საუბარია უმოქმედობით მოტყუებაზე, გარანტორული მოვალეობა მოქმედებასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, სახეზე უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც სპეციალურ-სამართლებრივად ევალება სიმართლის თქმა. მხოლოდ ზოგადი ვალდებულება არ მიიჩნევა საკმარის პირობად<sup>271</sup>.

ნაკლებად პრობლემატურად მიიჩნევა ისეთი შემთხვევები, როცა უმოქმედობა უკავშირდება ისეთი განმარტებებისგან თავის შეკავებას, რომლის მოვალეობაც კანონმდებლობით არის ნორმირებული, რის მაგალითადაც სახელდება სადაზღვევო ხელშეკრულება. მხედველობაშია შემთხვევა, როცა ხდება იმ ინფორმაციის დაფარვა, რომლის შესახებაც მსხვერპლი გვიან იგებს<sup>272</sup>.

<sup>271</sup> Heinrich B., ebenda, S. 543, §20 Rn. 42, 44.

<sup>272</sup> Heinrich B., ebenda, S. 544, §20 Rn. 42, 44a.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, უმოქმედობით მოტყუებასთან დაკავშირებით მხედველობაში მიიღება ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის არსებობა. საქმე უნდა ეხებოდეს ისეთ პირს, რომლის მიმართაც არსებობდა ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ასეთი ურთიერთობა შეიძლება არსებობდეს იმ ექიმთან, რომელთანაც არსებობს ხელშეკრულებაზე დაფუძნებული ურთიერთობა, მაგალითად, როცა საქმე ეხება ექიმს, რომელიც კლიენტს ემსახურება დაზღვევის ფარგლებში<sup>273</sup>. თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა მხოლოდ იმ ექიმის მიმართ არსებობს, რომელიც კლიენტს ემსახურება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებში, თუ იმ ექიმის მიმართაც უნდა არსებობდეს, რომელიც არ არის სადაზღვევო კომპანიის მიერ დაქირავებული კომპანიის წარმომადგენელი? გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ექიმთან მიმართებით გამოთქმული მოსაზრება უმოქმედობით თაღლითობასთან დაკავშირებით უკავშირდება იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს გერმანულ და ქართულ სამართალს შორის. გერმანულ სამართალში ექიმი მხოლოდ მაშინ მიიჩნევა გარანტორად, როცა მასსა და პაციენტს შორის დადებულია ხელშეკრულება, ხოლო ქართული სამართლის მიხედვით, ექიმი პაციენტის მიმართ გარანტორად მიიჩნევა ხელშეკრულების გარეშეც, არასამუშაო დროს და არასამუშაო ადგილას, რაც იმას გულისხმობს, რომ ექიმის მიმართ არსებობს განსაკუთრებული ნდობის ფაქტორი. შესაბამისად, ექიმი ქართული სამართლის მიხედვით შეიძლება უმოქმედობით თაღლითობის ამსრულებლად მივიჩნიოთ სხვა დროსაც, როცა ის პაციენტს ემსახურება არა სადაზღვევო კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების პირობებში, არამედ უშუალოდ მასთან მოლაპა-

<sup>273</sup> Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., 2014, §263 Rn. 14.

რაკების შედეგად. თუ ექიმი საკუთარ, კერძო კლინიკაში მუშაობს და პაციენტს განუული სამედიცინო მომსახურებისთვის გამოართმევს ბევრად უფრო მეტს, ვიდრე სხვა პაციენტებს, იმის გამო, რომ საქმე ეხება მდიდარ პაციენტს ან პაციენტს, რომლის მიმართაც ექიმმა შურისძიება ასეთი ფორმით გადანყვიტა, გაუგებარია ექიმის ქმედება რატომ არ შეიძლება დავაკვალიფიციროთ თაღლითობად.

უმოქმედობით თაღლითობასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება მაშინ, როცა გადასახადის გადახდის მიზნით ხდება საკრედიტო ბარათის წარდგენა, მაგრამ საკრედიტო ოფიცერი ბარათიდან თანხას არ მოხსნის, თუმცა, შესაბამის დოკუმენტაციაში თანხის გადახდა აისახება? გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღნიშნულ შემთხვევაში გამორიცხავენ ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციას მოტყუების არარსებობის გამო<sup>274</sup>. მოცემულ შემთხვევაში ქმედებას აკვალიფიცირებენ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულად (266b-ე პარაგრაფი).

აქტიური ფორმით მოტყუებისას ერთი პირი მეორეს მცდარ ინფორმაციას აწვდის და ხდება ჭეშმარიტების განგებ დამახინჯება ცრუ ინორმაციის, მონაცემების მიწოდებით, მკვეთრად გამოხატული ფორმით.

აქტიური ფორმით მოტყუების შედეგად თაღლითობაზე შემდეგი შემთხვევა შეიძლება მოვიხმოთ:

„ს“ ფარულად დაეუფლა თავისი ძმის „ლ. ს“-ს პირადობის დამადასტურებელ მონუმობას და „ლ“-თან ერთად მივიდა სანოტარო ბიუროში, სადაც დახვდათ თანხის გამსესხებელი პირი „ჰ“. „ლ“ ნოტარიუსის წინაშე წარსდგა როგორც „ლ. ს“, ამ უკანასკნელზე გაცემული პირადობის დამადასტურებელი მონუმობა წარუდგინა და გამოხატა თანხმობა „ლ. ს“-ს ბინის იპოთეკით დატვირთვაზე. ნოტარიუსი ფიზიკური მსგავსების

<sup>274</sup> Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., 2014, §263 Rn. 19.

გამო ვერ მიხვდა, რომ მის წინაშე „ლ. ს“-ს სახელით ნებას გამოხატავდა „ღ“, შესაბამისად, გააფორმა ხელშეკრულება „ღ“-სა და „ჯ“-ს შორის, რომელზეც ხელი „ლ. ს“-ს სახელით მოაწერა „ღ“-მ, ხოლო ხელშეკრულების თანახმად იპოთეკით დატვირთა „ლ. ს“-ს კუთვნილი ბინა, რომლის სანაცვლოდ „ჯ“-მ „ს“-ს გადასცა თანხა 10 000 აშშ დოლარი. „ს“-მ მიღებული თანხის ნაწილი მევალეებს გადასცა, ხოლო დარჩენილი ნაწილი თვითონ დაიტოვა<sup>275</sup>.

აქტიური ფორმით მოტყუებად მიიჩნევა აგრეთვე შემთხვევა, როცა ნახმარი მანქანის გამყიდველი ტ. დააჯერებს ო-ს, რომ მანქანას მხოლოდ 50000 კილომეტრი აქვს გავლილი, მაგრამ რეალურად გავლილი აქვს 10000 კილომეტრი, მაგრამ ტ-მ მოახდინა კილომეტრაჟის მანიპულაცია<sup>276</sup>. თუმცა მოცემულ შემთხვევაში უფრო მართებული იქნება ქმედების კვალიფიკაცია საქართველოს სსკ-ის 219-ე მუხლით.

მოტყუებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სიმართლის შედეგადაც<sup>277</sup>. მოტყუება, როგორც წესი, გულისხმობს დანაშაულის მსხვერპლისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებას, მაგრამ რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, მოტყუება ასევე შეიძლება განხორციელდეს ჭეშმარიტების შედეგად, როცა ხდება ხელოვნურად ისეთი რეალობის შექმნა, რომელიც გამოყენებული იქნება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დანაშაულის მსხვერპლისგან ნივთის, ქონების დასაუფლებლად. მაგალითად, როცა ხდება ა/მანქანის განგებ დამტვრევა სადაზღვეო კომპანიისგან თანხის მისაღებად. ან სახლის დაწვა იმავე მიზნით. როდესაც სადაზღვეო კომპანიას ინფორ-

<sup>275</sup> აღნიშნული მაგალითი აღებულია ერთ-ერთი შემთხვევიდან, რომელსაც ადგილი ჰქონდა სასამართლო პრაქტიკაში. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, 2017, #7-9, გვ. 87-105.

<sup>276</sup> Eisele J., ebenda, S.183, Rn. 529.

<sup>277</sup> Heinrich B., in: Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, S. 541, §20 Rn. 39.



მაციას აწვდიან ა/მანქანის დამტვრევაზე ან სახლის დაწვაზე, სადაზღვეო კომპანიისთვის მიწოდებული ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება მანქანის დამტვრევაზე თუ სახლის დაწვაზე, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მანქანა, ისევე როგორც სახლი განგებ არის დაზიანებული, განადგურებული, იმისთვის, რომ კომპანიისგან თანხა მიეღოს. თუ რეალური ინფორმაციის მიწოდება ხდება, მაშინ ჩნდება კითხვა, რატომ ეკისრება პირს პასუხისმგებლობა და რატომ კვალიფიცირდება ქმედება თაღლითობად? საქმე იმაშია, რომ ეს არის ხელოვნურად შექმნილი რეალობა თანხების დასაუფლებლად და ამაში მდგომარეობს ქმედების არამართლზომიერება.

თაღლითობის შემთხვევად განიხილება აგრეთვე ერთხელ გაყიდული ნივთის ხელშეორედ გაყიდვა. თუ რომელი მყიდველი (პირველი თუ მეორე) ჩაითვალოს დაზარალებულად, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, უნდა გადაწყდეს ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით. მაგალითად, თუ რომელი მყიდველი იყო კეთილსინდისიერი შემძენი. შეძენილი საქონელი უნდა დარჩეს კეთილსინდისიერ შემძენს<sup>278</sup>.

მოტყუება შეიძლება ასევე უკავშირდებოდეს ფულის გადაცემას, როცა რეალურად არ ხდება ფულის გადახდა და ხდება იმიტაცია, რომ თითქოს მოხდა მისი გადახდა. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკიდან შეიძლება შემდეგი მაგალითი მოვიყვანოთ:

„შ„-მ ვალუტის გადამცვლელ ერთ-ერთ პუნქტში ფულის კუპირების ჩვენებით, რამდენჯერმე განვდიო, თუმცა საბოლოოდ პუნქტის თანამშრომლისათვის მისი გადაუცემლობით მოატყუა ეს პირი და მოტყუებით დაეუფლა თანხას. „შ“-მ აღნიშნული ხერხის გამოყენებით ასევე შეძლო ერთ-ერთი მაღა-

---

<sup>278</sup> თოდუა ნ., ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის საკითხები, წიგნში: ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრისი, საიუბილეო კრებული 60, თბ., 2021, გვ. 46-47.

ზიის მოლარეს მოტყუება და ნივთების დაუფლება, რაც სასამართლომ მართებულად დააკვალიფიცირა თაღლითობად<sup>279</sup>.

მოტყუება შეიძლება მოხდეს როგორც საუბრის შედეგად, გეპირსიტყვიერი ფორმით, ისე გარკვეული დოკუმენტების შედგენის გზით, წერილობით, არანამდვილი, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით<sup>280</sup>.

მოტყუებას ადგილი შეიძლება ჰქონდეს სადაზღვეო სფეროში, როცა არ არსებობს სადაზღვეო კომპანიისგან თანხის მიღების უფლება და ადგილი აქვს სადაზღვეო კომპანიისგან მომსახურების მიღების მოთხოვნას<sup>281</sup>. აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია მოქმედების ხასიათი, მომსახურების მიღების მოთხოვნა რა ფორმით მოხდება და რა მოქმედებები უძღვის წინ აღნიშნულ მოთხოვნას. თუ პირმა შეძლო სადაზღვეო კომპანიისგან მომსახურების მიღება სხვადასხვა მანიპულაციის გზით, მაშინ როცა მას ეს მომსახურება არ ეკუთვნოდა, სახეზე იქნება თაღლითობა, ხოლო მხოლოდ მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობისას, ქმედება მცდელობით დაკვალიფიცირდება.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით მოტყუება შეიძლება განხორციელდეს მოხმარების საშუალებებზე მანიპულაციის შედეგად. მაგალითად, როგორცაა გაზის, შუქის ან წყლის მრიცხველზე მონაცემების შეცვლა მანიპულაციის შედეგად<sup>282</sup>. ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით ქმედება 185-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს<sup>283</sup>. თუმცა, აღნიშნულთან დაკავში-

<sup>279</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება, #538აპ-17, სუსგ, 2018, #7-9, გვ. 140-152.

<sup>280</sup> Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., 2014, §263 Rn. 8.

<sup>281</sup> Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., 2014, §263 Rn. 9.

<sup>282</sup> Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., 2014, §263 Rn. 8.

<sup>283</sup> ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, სახელმძღვანელო, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 541.

რებით გამიჯვნის თვალსაზრისით გასათვალისწინებელია ის, რომ თაღლითობა მოითხოვს მოტყუებას კომუნიკაციის დროს. მრიცხველის მონაცემების შეცვლის შემთხვევაში სახეზეა განსხვავებული მდგომარეობა, რომელიც შეიძლება შევადაროთ აპარატიდან ნივთის დაუფლების შემთხვევას, რომელიც ქურდობად კვალიფიცირდება. გარდა ამისა, მხედველობაში მისაღები ისიც, რომ ელექტროენერჯის დატაცებისთვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობით.

მოტყუებას აქვს ადგილი და თაღლითობად განიხილება შემთხვევა, როცა მყიდველი მაღაზიაში ნაყიდ საქონელს უცვლის ეტიკეტს იმ მიზნით, რომ ნაკლები გადაიხადოს<sup>284</sup>.

თაღლითობად განიხილება ასევე შემთხვევა, როცა მოქალაქე, რომელიც იღებს დახმარებას ბავშვისათვის, ფარავს ამ ბავშვის სიკვდილის ფაქტს და აგრძელებს სახელმწიფო სახსრების უკანონოდ მიღებას<sup>285</sup>.

უმოქმედობით მოტყუებასთან დაკავშირებით გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში შემდეგი შემთხვევა გვხვდება:

### **1-ლი მაგალითი:**

ტ. მიჰყიდის ო-ს ნახმარ მდივანს 400 ევროდ. თავის განცხადებაში „ტ“-მ შეცდომით მდივანი მყიდველს შესთავაზა როგორც ერთი წლის ნახმარი, როცა ის ათი წლის ნახმარი იყო. მოგვიანებით ტ. მიხვდა თავის შეცდომას. როცა ო -მ თქვა, რომ მდივანის ფასი ახალისას შეესაბამება, ტ დუმილით უპასუხებს. მდივანი მისი სიძველის გათვალისწინებით რეალურად 100 ევროთი უფრო ძვირი ღირს. გაყიდვასთან დაკავ-

<sup>284</sup> Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., 2014, §263 Rn. 8.

<sup>285</sup> წულაია ზ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, მეორე ტომი, თბ., 2001, გვ. 75.

შირებული შეთავაზების გაკეთებისას სახეზე არ იყო განზრახი მოტყუება. თუმცა, მდივანის გადაცემის დროს სახეზეა მოტყუება უმოქმედობით, ვინაიდან ტ. ვალდებული იყო მისი წინარე ქმედებიდან, ნივთის შეთავაზების დროს გაკეთებული მცდარი მითითებიდან გამომდინარე, განმარტება გაეკეთებინა<sup>286</sup>.

მოცემულ შემთხვევაში უმოქმედობით მოტყუება ცალსახად სახეზეა, მაგრამ საკამათო მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რამდენად შეიძლება აღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით, იმის გათვალისწინებით, რომ მომხმარებლის მოტყუების ცალკე (სსკ-ის 219-ე მუხლი) ნორმა არსებობს.

უმოქმედობით მოტყუებასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა მას ადგილი ჰქონდეს მაშინ, როცა ბანკში თანხის დაუფლებისას მოქალაქე აღმოაჩენს, რომ მას მოლარემ შეცდომით ორმაგი თანხა გადასცა, ბანკის კლიენტმა კი ამის შესახებ მოლარეს არ განუცხადა და თანხა უკან არ დაუბრუნა. ლიტერატურაში გამოთქმული ერთი მოსაზრებით ეს არ უნდა ჩაითვალოს პასიური მოტყუებით ნივთის დაუფლება და შესაბამისად, უნდა გამოირიცხოს პასუხისმგებლობა თაღლითობისთვის, ვინაიდან კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შემთხვევით ხელში მოხვედრილი სხვისი ნივთის დაუფლებისთვის და გამოთქმული მოსაზრებით, მსგავსი შემთხვევები კრიმინალიზაციის გარეშე რჩება<sup>287</sup>.

აღნიშნული მოსაზრება გაზიარებულია გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში, რომლის თანახმადაც, მაშინ, როცა საქმე ეხება ქონების განმკარგავის მიერ შეცდომის დაშვებას შეცდენის გარეშე, გამოირიცხება უმოქმედობით

---

<sup>286</sup> Eisele J., Strafrecht, BT II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Aufl., Stuttgart 2019, S. 188, Rn. 537.

<sup>287</sup> თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 130.

თაღლითობა, ვინაიდან არ არის გამოყენებული მოტყუების ხერხი არც პასიური ფორმით<sup>288</sup>. მოცემულ შემთხვევაში გამორიცხავენ კონკლუდენტური ფორმით მოტყუებასაც<sup>289</sup>. როდესაც საქმე ეხება ხელზე ფულის გადახდას, გადამხდელის მიერ იმაზე მეტი თანხის გადახდისას, რაც უნდა გადაეხადა, თაღლითობის შემადგენლობას იმიტომ გამორიცხავენ, რომ თანხის გამცემი სწევს რისკს გარკვეულ საქმიანობასთან დაკავშირებით<sup>290</sup>. მოცემულ შემთხვევაში გამორიცხავენ ბანკის კლიენტის ვალდებულებას გააკეთოს ახსნა-განმარტება გადახდილ მეტ თანხასთან დაკავშირებით. გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მოცემულ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება თითქმის არ არსებობს.

ქართულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, განსახილველ შემთხვევაში საქმე ეხება შეცდენას პასიური ფორმით, თაღლითობას შუალობითი ამსრულებლობით. მოლარე „ცოცხალი იარაღია“<sup>291</sup>. ეს უკანასკნელი მოსაზრება მაშინ იქნება გასაზიარებელი, თუ განხილული შემთხვევა უმოქმედობით მოტყუების მაგალითად ჩაითვლება. ასევე შესაძლებელია შემდეგი არგუმენტაციის მოშველიება: ბანკში თანხის აღებისას ბანკის კლიენტი თანხას ჯერ კიდევ არ არის დაუფლებული სანამ ბანკის შენობას არ დატოვებს. აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ მოტყუება მოხდა თანხის დაუფლების შემდეგ. ეს არის მოტყუება თანხის დაუფლების პროცესში. განსახილველ საკითხზე კიდევ ერთი მომენტი გასათვალისწინებელი: თუ თანხის აღების პროცესში

---

<sup>288</sup> Rengier R., Strafrecht, BT I, 22. Aufl., 2020, §13 Rn. 19-20, S. 243-244.

<sup>289</sup> Satzger H., in: Satzger/Schluckebier/Widmaier, Strafgesetzbuch, Kommentar, 5. Aufl., 2021, §263 Rn. 45.

<sup>290</sup> Hefendel R., in: MüKo, 3. Aufl., §263 Rn. 224; Perron W., in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 30. Aufl., 2019, §263 Rn. 22.

<sup>291</sup> გამყრელიძე ო., შეცდენა და მისი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა, „ცხოვრება და კანონი“, 2011, #2-3, გვ. 4.

მოლარემ ჰკითხა კლიენტს, ხომ არ გადასცა ზედმეტი თანხა და თუ კლიენტი ამას უარყოფს, მაშინ, როცა იცის, რომ მოლარემ ზედმეტი თანხა გადასცა, საკამათოდ არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ სახეზეა დასჯადი მოტყუება.

საკითხავია, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი მაშინ, როცა ბანკის კლიენტი ბანკომატიდან თანხის მოთხოვნისას იღებს ორმაგ თანხას იმისა რაც მოითხოვა და ამის შემდგომ ბანკის თანამშრომელი ბანკის კლიენტს უკავშირდება კითხვით აღებული თანხასთან დაკავშირებით, მაგრამ კლიენტი უარყოფს ორმაგი თანხის აღებას. გამოთქმული მოსაზრებით თაღლითობა მოცემულ შემთხვევაშიც უნდა გამოირიცხოს და პირს პასუხისმგებლობა მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივად უნდა დაეკისროს უსაფუძვლო გამდიდრებისთვის. მოცემულ შემთხვევაში თაღლითობის გამორიცხვის საფუძვლად მიჩნეულია ის, რომ პირი ნივთს დაუფლებულია მოტყუების გარეშე. მოტყუებას ადგილი ჰქონდა დაუფლების შემდგომ. აღნიშნული შეხედულებით, ასევე უნდა გამოირიცხოს მითვისება<sup>292</sup>.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, როდესაც ხდება ბანკიდან შეცდომით გადარიცხვა ანგარიშზე, მოტყუების ელემენტი სახეზე არ არის, შესაბამისად, არ იქნება განხორციელებული თაღლითობა, მაგრამ თუ ბანკს ყალბი დოკუმენტი წარუდგინეს გადარიცხვასთან დაკავშირებით და გადარიცხვა აღნიშნულის საფუძველზე მოხდა, სახეზე იქნება მოტყუება, შესაბამისად, თაღლითობა<sup>293</sup>. აღნიშნული შემთხვევა განსხვავდება კრედიტის უკანონო მიღებისგან (208-ე მუხ.).

ბანკის მიერ შეცდომით თანხის გადარიცხვისას როდესაც თაღლითობის შემადგენლობას გამორიცხავენ იმიტომ, რომ ბან-

<sup>292</sup> *თოდუა ნ.*, ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის საკითხები, წიგნში: ქეთევან მჭედლოშვილი-ჰედრისი, საიუბილეო კრებული 60, თბ., 2021, გვ. 41-42.

<sup>293</sup> *Hefendel R.*, in: MüKo, 3. Aufl., §263 Rn. 143.

კის თანამშრომლის შეცდომა არ არის განპირობებული ბანკის კლიენტის მოქმედებით და მას არ შეუყვანია შეცდომაში ის, ვინც თანხა გადარიცხა, იმაზეც უთითებენ, რომ სხვაგვარად შეიძლება გადაწყდეს საკითხი, თუ არსებობს წინასწარი შეთანხმება<sup>294</sup>, რაც ბანკის კლიენტს ახსნა-განმარტებას ავალდებულებს.

იმისთვის რომ თაღლითობა განხორციელდეს, საჭიროა მსხვერპლის მოტყუება, შეცდენა, მაგრამ აღნიშნულს მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, თუ ნდობა იქნა ბოროტად გამოყენებული. ამდენად, როდესაც განიხილება საკითხი იმის შესახებ, ხომ არ ჰქონდა ადგილი მოტყუებას და შეცდენას, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რამდენად არსებობდა ნდობა მხარეებს შორის და ჰქონდა თუ არა ადგილი ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობას, რაც შემდგომ ბოროტად იქნა გამოყენებული.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ხელშეკრულება აფუძნებს ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობას, როდესაც ინფორმაციის და რჩევის მოცემის ვალდებულება არსებობს. ხელშეკრულებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს ახსნა-განმარტების ვალდებულება, როდესაც მას საფუძვლად უდევს განსაკუთრებული ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. აღნიშნული ტიპის ვალდებულება შეიძლება აგრეთვე საზოგადოებრივი ურთიერთობიდანაც გამომდინარეობდეს<sup>295</sup>.

გერმანიის უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით, ადვოკატი ვალდებულია თავის დაცვის ქვეშ მყოფს განუმარტოს მოსალოდნელ ანაზღაურებასთან დაკავშირებით. განმარტებასთან დაკავშირებული ვალდებულება ეფუძნება ადვოკატსა და დაცვის ქვეშ მყოფ პირს შორის არსებულ ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას. ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა ეხება ანაზღაურებასთან დაკავშირებულ შეთანხმებას. თუმცა,

<sup>294</sup> *Hefendel R.*, in: *MüKo*, 3. Aufl., §263 Rn. 223.

<sup>295</sup> *Hefendel R.*, in: *MüKo*, 3. Aufl., §263 Rn. 209.

თეორიულად ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა შეიძლება იყოს დაკავშირებული არა მხოლოდ ანაზღაურებასთან, არამედ სამართლებრივ რჩევასთანაც. ინფორმირების ვალდებულება მხარეებს შორის ასევე შეიძლება არსებობდეს ყოველდღიურ ყიდვა-გაყიდვის და სამუშაო ხელშეკრულების პირობებში<sup>296</sup>.

ახსნა-განმარტების ვალდებულების დამაფუძნებელ საქმიანობის ტიპებად განიხილება ქირავნობასთან და დაზღვევასთან დაკავშირებული ურთიერთობები<sup>297</sup>. თუ საქმე ეხება ისეთი ტიპის საქმიანობას, რომელიც არ აფუძნებს ნდობას, მაშინ ხელშეკრულების მონაწილეებს არ გააჩნიათ ახსნა-განმარტების ვალდებულება. ამიტომ გაცვლასთან დაკავშირებული მარტივი ხელშეკრულება არ არის საკმარისი. ნასყიდობასთან დაკავშირებული ხელშეკრულება, როგორც წესი, არ გულისხმობს ახსნა-განმარტების ვალდებულებას ყიდვის ღირებულების შესაბამისობასთან ან საქონლის ფასის შესაბამისობასთან დაკავშირებით, როდესაც თვით მუშა გამოუცდელია ვაჭრობის საკითხებში, მაგალითად, მიწის ნაკვეთის ყიდვისას. მანქანის ყიდვისას არ არსებობს იმის ვალდებულება, რომ მყიდველს განემარტოს ახალი მოდელის არსებობის შესახებ. ლიტერატურაში ასევე მიუთითებენ ახსნა-განმარტების ვალდებულების არარსებობაზე საკრედიტო ხელშეკრულების დროსაც<sup>298</sup>.

ჩვეულებრივ მგზავრობასთან დაკავშირებული ხელშეკრულება გულისხმობს თაღლითობის შემადგენლობისთვის რელევანტურ ახსნა-განმარტების ვალდებულებას გარკვეულ ცვლილებებთან დაკავშირებით. მაგალითად, დაგეგმილი უკანა რეისზე ფრენა რომ ვერ განხორციელდება კონკრეტული ქალაქის მიმართულებით და განხორციელდება სხვა ქალაქის

---

<sup>296</sup> *Hefendel R.*, in: *MüKo*, 3. Aufl., §263 Rn. 210.

<sup>297</sup> *Hefendel R.*, in: *MüKo*, 3. Aufl., §263 Rn. 213.

<sup>298</sup> *Hefendel R.*, in: *MüKo*, 3. Aufl., §263 Rn. 221.



მიმართულებით, ვინაიდან სხვა შემთხვევაში სახეზე იქნებოდა ხელშეკრულების პირობების დარღვევა<sup>299</sup>.

თაღლითობის სახეების განხილვისას ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა თაღლითობის სისხლისსამართლებრივად დასჯად შემთხვევად განვიხილოთ მეცნიერული თაღლითობა? მაგალითად, როდესაც სამეცნიერო ნაშრომის ავტორი გამომცემლობას ატყუებს, რომ ნაშრომი აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტებს, მაგრამ სიმართლეს არ შეესაბამება. გამომცემლობა კი ნაშრომის (სტატიის) ავტორს ჰონორარს უხდის. როგორც ბოგიერთი ავტორი აღნიშნავს, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა თაღლითობის ობიექტური შემადგენლობა. თუმცა, თაღლითობის სახით აღნიშნული ქმედების დასჯადობა არასათანადო შედეგამდე მიგვიყვანდა. შეიძლება არასერიოზულ სამედიცინო პუბლიკაციებს აქვეყნებდეს ავტორი, მაგრამ ჰონორარს საერთოდ არ იღებდეს, რომელიც თაღლითობისთვის არ დაგვესაჯა და დაგვესაჯა ის ავტორი, ვინც სიმბოლურ ჰონორარს იღებს. შესაბამისად, საკითხის მართებულად გადაწყვეტის გზად განიხილება ქმედების სუბიექტური შემადგენლობის გამორიცხვა<sup>300</sup>. მეცნიერულ თაღლითობასთან დაკავშირებით გერმანიაში 2012 წელს წინადადება იქნა წამოყენებული კანონში სპეციალური შემადგენლობის შეტანის მიზნით, მაგრამ აღნიშნული წინადადება არ იქნა გაზიარებული<sup>301</sup>.

მეცნიერულ თაღლითობასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ასევე საკითხი იმასთან დაკავშირებით, ხომ არ ეხება საქმე ფონდში სამეცნიერო პროექტის წარდგენას მოტყუებით თანხის დასაუფლებლად. თუ ფონდში სამეცნიერო პროექტი იქნა წარდგენილი, მაგრამ დაფინანსების შემდეგ პროექტი თუ

---

<sup>299</sup> *Hefendel R.*, in: MüKo, 3. Aufl., §263 Rn. 221.

<sup>300</sup> *Jerouschek G.*, *Strafrechtliche Aspekte des Wissenschaftsbetruges*, GA 1999, S. 418-419.

<sup>301</sup> *Fischer Th.*, *Strafgesetzbuch*, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 123a.

არ განხორციელდა, აღნიშნული ქმედებაც სამეცნიერო თაღლითობის ნაირსახეობად შეიძლება განვიხილოთ, რომელიც დაუსჯელი ვერ დარჩება. მოცემულ შემთხვევაში ქმედება თაღლითობად დაკვალიფიცირდება თუ მითვისებად, დამოკიდებულია იმაზე, იყო თუ არა მოტყუება წინასწარ განზრახული.

იურიდიულ ლიტერატურაში სწორად მიუთითებენ იმის შესახებ, რომ მოტყუება და შეცდომის დაშვება არ უნდა იქნას გაიგივებული. მართალია, ზოგჯერ შეცდომის დაშვება მოტყუების შედეგია, მაგრამ შეცდომის დაშვება ყოველთვის არ ეფუძნება მოტყუებას. მაგალითად, როცა მოლარე გასაყიდ საქონელთან დაკავშირებით დაბალ ფასს უთითებს, რაც არ არის იმით განპირობებული, რომ იგი გამყიდველმა შეაცდინა<sup>302</sup>.

კონკლუდენტური ფორმით მოტყუება არის ქმედება, რომელიც ცალკეულ შემთხვევათა განსაკუთრებულობის და ფაქტებთან დაკავშირებით ჩუმად, უხმოდ მყოფ პირთა მოლოდინის გათვალისწინებით განიმარტება. მოტყუების აღნიშნული ფორმა გარანტს არ მოითხოვს<sup>303</sup>. კონკლუდენტური ფორმით მოტყუებასთან დაკავშირებით, ჩნდება კითხვა, ხომ არ აქვს მას ადგილი მაშინ, როცა მაღაზიის მოლარე მყიდველს ზედმეტ თანხას უბრუნებს, რითიც მყიდველი გახარებული აღმოჩნდება? ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, აღნიშნულ შემთხვევაში სახეზე არ არის მოტყუება კონკლუდენტური ფორმით<sup>304</sup>. თუმცა, აღნიშნულ შემთხვევაში საკითხი ისე უნდა გადაწყდეს, როგორც ბანკის თანამშრომლის მიერ ზედმეტი თანხის გადახდისას. დასახელებულ შემთხვევებს შორის არ არსებობს დიდი სხვაობა.

<sup>302</sup> Schramm E., Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 165, §7 Rn. 25.

<sup>303</sup> Eisele J., Strafrecht, BT II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Aufl., Stuttgart 2019, S. 183-184, Rn. 530.

<sup>304</sup> Eisele J., Strafrecht, BT II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Aufl., Stuttgart 2019, S. 186, Rn. 534.

გარანტორული მოვალეობა შეიძლება გამომდინარეობდეს კანონიდან, შეთანხმებიდან ან წინარე ქმედებიდან<sup>305</sup>. წინარე ქმედებიდან გამომდინარე გარანტორულ მოვალეობასთან დაკავშირებით ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ წინარე ქმედება მოვალეობის საწინააღმდეგო უნდა იყოს, რაც შემდგომში განმარტების გაკეთების მოვალეობას წარმოშობს. აღნიშნულთან დაკავშირებით გულისხმობენ ისეთ შემთხვევას, როცა ვინმე გაუფრთხილებლობით აკეთებს ყალბ მითითებას, რაც წარმოშობს ვალდებულებას, რომ მოგვიანებით გაკეთდეს განმარტება. თუმცა, ასევე მოიაზრება ისეთი კონსტელაცია, როცა წინარე ქმედება განზრახაა განხორციელებული, რომლის გამოყენება ხდება მოგვიანებით<sup>306</sup>.

მოტყუება შეიძლება უკავშირდებოდეს ცრუ დაპირებას, მომავალში განსახორციელებელ ქმედებას. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკიდან საყურადღებოა შემდეგი შემთხვევა:

„მ“-სა და „ა“-თვის ამ უკანასკნელის ნათესავის – „ზ“-გან ცნობილი გახდა, რომ მისი ნაცნობის „გ“-ს შვილი „დ. გ“ სასამართლებული იყო გარდაბნის რაიონული სასამართლოს მიერ მკვლელობის მცდელობისთვის და მისჯილი ჰქონდა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. „მ“-მ და „ა“-მ, წინასწარ ჰქონდათ რა განზრახული, რომ არ და ვერც შეასრულებდნენ ნაკისრ ვალდებულებას, ნდობის ბოროტად გამოყენებითა და მოტყუების გზით, წინასწარგანზრახულად შეცდომაში შეყვანითა და ცრუ დაპირების მიცემით, დაარწმუნეს „გ“, რომ „მ“, როგორც შს ორგანოების ყოფილი თანამდებობის პირი, თავისი ნაცნობების – პროკურატურისა და სასამართლოს მა-

<sup>305</sup> Schramm E., Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 168, §7 Rn. 34.

<sup>306</sup> Tiedemann K., in: LK, 11. Aufl., §263 Rn. 68; Schramm E., ebenda, S. 169, §7 Rn. 40.

ღალჩინოსანთა დახმარებით, გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ, შეძლებდა „დ. გ“-თან საპროცესო შეთანხმების გაფორმებას – მის მიმართ არასაპატიმრო სასჯელის შეფარდებით. მათ „გ“-ს განუცხადეს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში დანიშნული იყო „დ. გ“-ს საქმის განხილვა, რა დროსაც მასთან გაფორმდებოდა საპროცესო შეთანხმება გემოაღნიშნული პირობით და მოსთხოვეს მათთვის ვითომდა ჯარიმის თანხის, 20.000 ლარის გადაცემა, რის თაობაზეც მიიღეს თანხმობა. რეალურად კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინებით „დ. გ“-ის დამცველის, ადვოკატ „ნ“-ს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი. შეთანხმების თანახმად, „გ“-მ „მ“-ს და „ა“-ს მათ საცხოვრებელ ბინაში საპროცესო შეთანხმებისათვის გადასცა 10.000 აშშ დოლარი, ხოლო რამდენიმე დღეში დამატებით გადასცა 4.500 აშშ დოლარი. „მ“ და „ა“ მოტყუებით დაეუფლნენ „გ“-ს კუთვნილ 14.500 აშშ დოლარს. „დ. გ“-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო შეთანხმება არ გაფორმებულა და გარდაბნის რაიონული სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელი. უზენაესმა სასამართლომ „მ“-ს და „ა“-ს ქმედება სწორად დააკვალიფიცირა თაღლითობად, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი<sup>307</sup>.

ასევე სახეზეა წინასწარი შეთანხმებით მოქმედი ჯგუფი. განხილული შემთხვევა იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ თაღლითობის დროს ზოგჯერ ადგილი აქვს ბოროტმოქმედსა და დაზარალებულს შორის შეთანხმებას უკანონო ქმედებაზე, მაგრამ ამის მიუხედავად, არ გამოირიცხება ქმედების კვალიფიკაცია 180-ე მუხლით. თუმცა, ეს დებულება, ქონების იურიდიული ცნების მიხედვით, ვერ გავრცელდება უკანონო შეთანხმების ყველა შემთხვევაზე, როცა მოტყუების შედეგად ხდება

<sup>307</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 5 მარტის #19აპ-12 განაჩენი, სუსგ, 2012, #1-6, გვ. 8-11.

საფრთხეში მყოფი სიკეთის გადარჩენა<sup>308</sup>.

მოცემულ შემთხვევაში უკანონო ქმედებაზე შეთანხმებაში იგულისხმება არა საპროცესო შეთანხმების მიღწევის დაპირება, არამედ ის, რომ დპირების თანახმად საპროცესო შეთანხმება უნდა მომხდარიყო ზეგავლენით ვაჭრობის შედეგად. აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ უკანონო და ამორალური ქმედების განხორციელებისას გადახდილი ფული (ქონებრივი სიკეთე) ყოველთვის არ შეიძლება მიჩნეულ იქნას თაღლითობის შემადგენლობით დაცულად, რის შესახებაც ქვემოთ იქნება უფრო ვრცლად საკითხი განხილული.

მოტყუებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულის ჩადენის დროსაც. მაგალითად, ქურდობისას, მაგრამ ქურდობისგან განსხვავებით, თაღლითობის დროს მოტყუება დანაშაულის ჩადენის ძირითადი ხერხია, ხოლო ქურდობისას დანაშაულის ჩადენის გაადვილების საშუალება<sup>309</sup>. ასეთად სახელდება შემთხვევა, როცა ქურდი ბინის მფლობელს ატყუებს, რომ გაზომარაგების კომპანიის თანამშრომელია, მრიცხველი უნდა შეამოწმოს, რის შედეგად სხვის ბინაში მფლობელის თანხმობით შედის და ამ დროს ფარულად ეუფლება ბინაში არსებულ სხვის ნივთს.

ქურდობად აკვალიფიცირებენ ქმედებას და არა თაღლითობად ასევე მაშინ, როცა მოტყუება გამოიყენება ნივთის დაუფლების მცდელობის ეტაპზე, როცა სხვის ბინაში ბოროტმოქმედი ნივთის დასაუფლებლად შესულია მესაკუთრესთან შეუთანხმებლად, მესაკუთრე ბოროტმოქმედს მიუსწრებს და ბოროტმოქმ-

---

<sup>308</sup> იგულისხმება მკვლელობის შეკვეთისთვის ფულის გადახდის შემთხვევა. *Heinrich B., ebenda, S. 169-170.*

<sup>309</sup> *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.,* წიგნი: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2019, გვ. 505, 508; თოდუა ნ.,* ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის საკითხები, წიგნი: *ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საიუბილეო კრებული 60, თბ., 2021, გვ. 18-19.*

დი მესაკუთრეს დააჯერებს, რომ მერიამ შეასახლა დაკეტილ ბინაში როგორც დევნილი და ბინიდან გასვლის დროს მოტყუებით მესაკუთრის ჩემოდნებს გაიტანს, როგორც თითქოს საკუთარს, რეალურად კი სხვის ჩემოდნებს დაეუფლება<sup>310</sup>.

როგორც უკვე ითქვა, ერთმანეთისგან იმიჯნება მოტყუება და შეცდომა, რომელსაც მსხვერპლი უშვებს. მსხვერპლის შეცდომა მოტყუების შედეგია. შეცდომა არის ადამიანების არასწორი წარმოდგენა ფაქტობრივ გარემოებებზე. ადამიანის წარმოდგენა არ შეესაბამება რეალობას<sup>311</sup>.

მოტყუების შედეგად მოტყუებული მსხვერპლი შეცდომაში რომ იქნას შეყვანილი, აუცილებელია, რომ ადამიანი არსებობდეს, რომელიც იქნება მოტყუებული. როგორც აღინიშნა, მოტყუებული შეიძლება იყოს ადამიანი. შესაბამისად, ვერ იქნება მოტყუებული მანქანა. ვინც სხვისი საკრედიტო ბარათით ბანკომატიდან ფულს აიღებს, ისე რომ ამის უფლება არ ჰქონდა, ატყუებს ბანკომატს თავის უფლებამოსილებაზე, თანხის აღებასთან დაკავშირებით. ვინაიდან ბანკომატი ადამიანი არ არის, რომ მისი შეცდენა შესაძლებელი იყოს, სახეზე არ არის თაღლითობა. ამიტომ გერმანელმა კანონმდებელმა შექმნა დამოუკიდებელი ქმედების შემადგენლობა, როგორიცაა კომპიუტერული თაღლითობა, გათვალისწინებული სსკ-ის 263ა პარაგრაფით<sup>312</sup>.

თაღლითობის დროს ადგილი აქვს უშუალოდ ადამიანის, მესაკუთრის ან მფლობელის მოტყუებას. შესაბამისად, თაღლითობად ასევე არ განიხილება შემთხვევა, როცა ბოროტ-

---

<sup>310</sup> *თოდუა ნ.*, ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის საკითხები, წიგნში: ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრინი, საიუბილეო კრებული 60, თბ., 2021, გვ. 21-22.

<sup>311</sup> *Tiedemann K.*, in: LK, 11. Aufl., §263 Rn. 77; *Schramm E.*, Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 170, §7 Rn. 43.

<sup>312</sup> *Heinrich B.*, Einführung in das deutsche Betrugsstrafrecht, in: Jishkariani/Waßmer (Hrsg.), Die Europäisierung des georgischen Wirtschaftsstrafrechts, 2017, S. 167-168.

მოქმედი ატყუებს არა ადამიანს, არამედ აპარატს ყალბი ჟეტონის გამოყენებით, რის შედეგადაც მოქმედი პირი ეუფლება აპარატში გასაყიდად განთავსებულ ნივთებს. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება ქურდობას. აღნიშნული ქმედება გადის ზღვარზე ქურდობასა და თაღლითობას შორის, მაგრამ უპირატესობა ენიჭება ქმედების კვალიფიკაციას ქურდობის მუხლით, ზემოთ დასახელებული არგუმენტების გათვალისწინებით.

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, როდესაც, მაგალითად, ა. თავის მეგობარ ბ-ს გადასცემს საკრედიტო ბარათს აპარატიდან თანხის ასაღებად, მაგრამ ბ. მოხსნის ბარათზე არსებულ მთელ თანხას და ისე მიიძალეება, რომ ბარათს და თანხას არ გადასცემს ა-ს? ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში ქმედება არა ქურდობის, არამედ თაღლითობის მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს. ავტორთა მოსაზრებით, ქმედება ქურდობად შეიძლება დაკვალიფიცირდეს, თუ საკრედიტო ბარათის გადაცემა მოხდებოდა იმისთვის, რომ ბარათიდან თანხის მოხსნა მომხდარიყო იქვე, თვალწინ მდებარე აპარატიდან და შემდგომ ბოროტმოქმედი თუ ფარულად გაიპარებოდა. ავტორთა თქმით, მოცემულ შემთხვევაში ფულის დაუფლება მოხდა არა ანგარიშიდან თანხის მოხსნისას, არამედ შემთხვევის ადგილის ფარულად დატოვებისას, ვინაიდან შეხედულებისამებრ თანხის განკარგვა სწორედ ამ დროიდან შეუძლია<sup>313</sup>. განსახილველ საკითხზე გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრებით, ამ შემთხვევას გარკვეული საერთო აქვს მითვისებასთან, ვინაიდან საკრედიტო ბარათი დაზარალებულმა ბოროტმოქმედს თავად გადასცა, თუმცა მითვისების დროს ბოროტმოქმედი ითვისებს იმას, რაც მის მართლზომიერ მფლობელობაშია. მაგრამ, ავტორები სვამენ კითხვას, მართ-

<sup>313</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2019, გვ. 502-503.

ლზომიერ მფლობელობაში რამდენად არის საკრედიტო ბარათი, როცა ის თანხის ასაღებად მესაკუთრეს სხვისთვის აქვს გადაცემული? ავტორები აღნიშნავენ, რომ ბანკი ვინაიდან წერილობით აფრთხილებს თავის კლიენტებს, რომ ბარათის სხვისთვის გადაცემა და მისი კოდის განდობა არ შეიძლება, ბარათის მესაკუთრე ამ მოთხოვნას არღვევს თანხის ასაღებად მისი სხვა პირისთვის გადაცემით. ასეთ დროს ბარათი არ არის გადაცემული სამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, რის გამოც ბარათი, განსახილველ შემთხვევაში, მართლზომიერ მფლობელობაში მყოფად ვერ ჩაითვლება, რის გამოც საფუძველი ეცლება ქმედების მითვისებად კვალიფიკაციას<sup>314</sup>.

საკამათოა, მიუხედავად საკრედიტო ბარათის გამცემის (ბანკი) გაფრთხილების გაუთვალისწინებლობისა, აღნიშნულ შემთხვევაში რამდენად გვაქვს საქმე ქმედების არამართლზომიერებასთან იმ გაგებით, რომელიც მითვისების შემადგენლობას გამორიცხავს. მითვისების შემადგენლობა შეიძლება გამორიცხოს მითვისებამდე მითვისებული ნივთის არამართლზომიერ მფლობელობაში არსებობამ სამართალდარღვევის გაგებით და არა ნივთის მფლობელობაში არსებობამ ისეთი მოთხოვნების თუ გაფრთხილების გაუთვალისწინებლად, რომელსაც ვერ მიეცემა სამართალდარღვევის კვალიფიკაცია.

მაშინ, როდესაც ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში ავტორი ქმედებას თაღლითობის მუხლით აკვალიფიცირებს, ასეთ კვალიფიკაციას გამორიცხავს შემდეგ შემთხვევაში: დ-მ განიზრახა დაუფლებოდა ნ-ს კუთვნილ მობილურ ტელეფონს. ამ მიზნით იგი როგორც პოლიციის თანამშრომელი მივიდა ნ-სთან და შემონძების მიზნით გამოართვა ტელეფონი, შემდეგ სთხოვა წაყოლოდა პოლიციაში იმის გასარკვევად, ხომ არ იყო აღნიშნული ტელეფონი მოპარული. ისინი ჩასხდნენ სამარშრუტო ტაქსში. სანზონაში ე. წ. „პლატონას დუქანთან“ დ-მ

<sup>314</sup> *ლეკვიშვილი მ., თოდუა ნ.,* დასახ. ნაშრ., გვ. 504.



გააჩერებინა ტაქსი და ისინი ჩამოვიდნენ. შემდეგ დ-მ სთხოვა დაზარალებულს იქვე კორპუსში მცხოვრები მისი ახლობელი ვინმე ჯ. ჩამოეყვანა მასთან, თვითონ კი ქუჩაში დაელოდებოდა. დაზარალებულმა მისი ტელეფონი დაუტოვა დ-ს, როგორც პოლიციის მუშაკს და თვითონ წავიდა მითითებული კორპუსისკენ. როგორც კი ნ. მხედველობის არეს მიეფარა, დ-მ ისარგებლა ამით და მობილურ ტელეფონთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიძალა. აღნიშნულ შემთხვევაში ავტორი თაღლითობას იმიტომ გამორიცხავს და მხარს უჭერს ქმედების კვალიფიკაციას ქურდობის მუხლით, რომ დაზარალებულს ნთვის ტელეფონი არ გადაუცია შეხედულებისამებრ განკარგვისთვის, არ მიუცია უფლება გადაეადგილებინა ტელეფონი შეხედულებისამებრ, არ მიუცია უფლება გადაეადგილებინა იგი სივრცეში, არამედ უნდა შეენახა მესაკუთრის უკან დაბრუნებამდე. დ-მ კი დაარღვია ეს შეთანხმება და როგორც კი ნ თვალს მიეფარა, გაიქცა და ტელეფონიც თან წაიღო. ავტორის თქმით, ეს არის ფარული დაუფლება. ამდენად, მისი შეხედულებით, ქმედება ქურდობად უნდა დაკვალიფიცირდეს, ხოლო ამკარა დაუფლებისას ძარცვით<sup>315</sup>. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული შეხედულების მხარდამჭერები ერთმანეთისგან მიჯნავენ მობილური ტელეფონის ხელში ჩაგდების და დაუფლების ეტაპებს<sup>316</sup>. დაზარალებულის მიერ ბოროტმოქმედის-

<sup>315</sup> თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 140-141; თოდუა ნ., ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის საკითხები, წიგნში: ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრისი, საიუბილეო კრებული 60, თბ., 2021, გვ. 19-20; ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2019, გვ. 503; გამყრელიძე თ., შეცდენა და მისი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა, „ცხოვრება და კანონი“, 2011, #2-3, გვ. 4.

<sup>316</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2019, გვ. 506; თოდუა ნ., ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის საკითხები, წიგნში: ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრისი, საიუბილეო კრებული 60, თბ., 2021, გვ. 20.

ვის ტელეფონის გადაცემის ეტაპს უნოდებენ ხელში ჩაგდებას, ხოლო იმ ეტაპს, როდესაც ბოროტმოქმედი დაზარალებულს განერიდა და თვალს მიეფარა, დაუფლებას<sup>317</sup>. ვინაიდან დაზარალებულისგან დამნაშავეს დისტანცირება მოხდა მიმალვით და სწორედ ეს ეტაპი მიიჩნევა დაუფლებად, ამის გამო განიხილავენ აღნიშნულ ეტაპს ფარულ დაუფლებად.

ზემოთ განხილულ შემთხვევებს (საკრედიტო ბარათის და მობილური ტელეფონის თხოვების) შორის არსებობს როგორც მსგავსება, ისე განსხვავება. ორივე შემთხვევაში მოხდა შეთანხმების დარღვევა. ორივე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა დაზარალებულის მოტყუებას და ნდობის ბოროტად გამოყენებას. განსხვავება იმაშია, რომ ერთ შემთხვევაში დაზარალებულმა ბოროტმოქმედს გადასცა ბარათი, რომელიც იქნა გამოყენებული დანაშაულის საგნის დასაუფლებლად, ხოლო მეორე შემთხვევაში დაზარალებულმა დამნაშავეს უშუალოდ გადასცა დანაშაულის საგანი, თუმცა დროებითი სარგებლობისთვის.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, თაღლითობის დროს დამნაშავე იყენებს მოტყუების ხერხს, მაგრამ ჩნდება კითხვა, აქვს თუ არა მნიშვნელობა იმას, თუ ვისი მოტყუება ხდება? როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, როცა მოტყუება ხდება არა მესაკუთრის, არამედ იმ პირის, რომელსაც ბოროტმოქმედი იყენებს სხვისი ნივთის დასაუფლებლად? აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა შემდეგი შემთხვევა: ე. დაუკავშირდა მოქალაქე ბ-ს, მიიყვანა იგი ერთ-ერთ მშენებარე ობიექტზე და მოატყუა, რომ იქ განთავსებული და დაკომპლექტებული 3 ცალი დაზგადანადგარი მისი კუთვნილება იყო და თითქოს ჰყიდიდა მას. მასვე შესთავაზა, დაეტრა ისინი და ჯართის სახით ჩაებარებინა, ხოლო მისთვის კი გადაეხადა 190 აშშ დოლარი. ბ-მ ირწმუნა მისი სიტყვები და დაქირავებულ მუშებს დააჭრევინა დაზგა-

<sup>317</sup> *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.,* წიგნში: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2019, გვ. 503.*

დანადგარები ჯართის სახით, ჩააბარა იგი ერთ-ერთ ფირმას და მიღებული ფულიდან 190 აშშ დოლარი გადაუხადა ე-ს. ამ ქმედებით დაზგა-დანადგარების მესაკუთრე ორგანიზაცია დაზარალდა 900 ლარით. თავიდან ე-ს ქმედება ქურდობით დაკვალიფიცირდა, მაგრამ შემდგომ გადაკვალიფიცირდა თაღლითობის მუხლით. ჩნდება კითხვა, რამდენად სწორად მოხდა ქმედების გადაკვალიფიცირება? ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ქმედების კვალიფიკაცია თაღლითობის მუხლით მართებულია<sup>318</sup>, რაც არ არის გასაზიარებელი შემდეგი არგუმენტებით: თაღლითობის დროს, არ არის გამორიცხული, რომ მოტყუებას ადგილი ჰქონდეს არა მესაკუთრის, არამედ სხვა, მესამე პირის მიმართ<sup>319</sup>, მაგრამ როგორც წესი, თაღლითობის დროს უმეტესად ადგილი აქვს მესაკუთრის მოტყუებას. განსახილველ შემთხვევაში მოხდა არა მესაკუთრის, არამედ ცოცხალი იარაღის მოტყუება, რომელიც იქნა გამოყენებული დანაშაულის ჩასადენად. ბოროტმოქმედმა „ბ“-ს დაუმალა, რომ დაზგა-დანადგარი მას არ ეკუთვნოდა, არ იცოდა, რომ თავისი ქმედებით, ფაქტობრივად ეხმარებოდა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას პასუხისმგებლობას ვერ დავაკისრებთ. რაც შეეხება ე-ს, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ქურდობად (შუალობითი ამსრულებლობით) იმ შემთხვევაში, თუ დაზგა-დანადგარები არ იყო მის მფლობელობაში, ხოლო თუ მართლზომიერ მფლობელობაში იყო და ობიექტი, საიდანაც მოხდა დაზგა-დანადგარების დაუფლება, მისთვის იყო მინდობილი სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, მაშინ საქმე გვეჩნება მითვისებასთან (სსკ-ის 182-ე მუხლი). აქედან გამომდინარე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას,

---

<sup>318</sup> თოდუა ნ., წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 142-143.

<sup>319</sup> აღნიშნულ შემთხვევაზე იხილეთ ქვემოთ, VI ქვეთავი – ნორმათა კონკურენცია და დანაშაულთა ერთობლიობა.

რომ ქმედების გადაკვალიფიცირება სსკ-ის 180-ე მუხლით, ამ-  
კარად მცდარ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა.

თუ მოქმედმა პირმა სცადა პოტენციური მსხვერპლის შეც-  
დენა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, ქმედება თაღლითობის  
მცდელობით დაკვალიფიცირდება<sup>320</sup>.

მოტყუებასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, აქვს თუ არა  
მნიშვნელობა იმას, თუ ვისი მოტყუება ხდება. მაგალითად,  
როცა ადგილი აქვს მიაშიტი, ლაბილური ფსიქიკის ადამი-  
ანის მოტყუებას (პლანეტა სირიუსის შემთხვევა). გამოთქმუ-  
ლი მოსაზრებით, ასეთ დროს თაღლითობა განხორციელე-  
ბულად უნდა მივიჩნიოთ, მიუხედავად იმისა, რომ დაპირება  
ღიმილისმომგვრელია<sup>321</sup>.

ვინაიდან მოტყუება შეცდომაში შეყვანას გულისხმობს,  
ხოლო შეცდომაში შეყვანა ადამიანის შეცდენის გამოწვევას,  
აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მსხვერპლის  
ცრურწმენა და ის, რომ მოტყუება ადვილად აღსაქმელი იყო  
მოტყუებულ პირს რომ საკმარისი წინდახედულება გამოეჩინა,  
არის უმნიშვნელო და არაარსებითი<sup>322</sup>, რაც არ გამორიცხავს  
თაღლითობისთვის დამახასიათებელ მოტყუებას.

გერმანულ ლიტერატურაშიც არის გამოთქმული მოსაზრე-  
ბა, რომ ზებუნებრივ მოვლენებზე მტკიცება თაღლითობის შე-  
მადგენლობასთან დაკავშირებულად შეიძლება ჩაითვალოს.  
მაგალითად, როცა ტ. ატყუებს ო.-ს, რომ მისმა გარდაცვლილ-  
მა ქმარმა ზეცაში ძვირად მიწის ნაკვეთი იყიდა, რის გამოც  
აქვს ვალდებულება, რომ ბანკში ვალდებულებები დაფაროს.

<sup>320</sup> *თოდუა ნ.*, წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კო-  
მენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 129.

<sup>321</sup> *ლეკვეიშვილი მ.*, *თოდუა ნ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 511-512; *თოდუა ნ.*, ქმე-  
დების თაღლითობად კვალიფიკაციის საკითხები, წიგნში: ქეთევან მჭედ-  
ლიშვილი-ჰედრინი, საიუბილეო კრებული 60, თბ., 2021, გვ. 38-39;  
*Heinrich B.*, in: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, BT, Lehrbuch*, 4.  
Aufl., 2021, S. 525, §20 Rn. 6a.

<sup>322</sup> *Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar*, 29. Aufl., 2018, §263 Rn. 20.

რეალურად ტ.-ს სურს ფული თავისთვის მოიხმაროს. ცრუმორ-  
ნმუნე ო. უხდის ტ-ს 100000 ევროს. მოცემულ შემთხვევაში სა-  
ხეზეა მოტყუება, ცრუმორნმუნის შეცდენა, ქონების განკარგვა  
და გამონჯვეული ქონებრივი ზიანი<sup>323</sup>.

მოტყუების მიხედვით შეიძლება ზღვარი გაივლოს დას-  
ჯად თაღლითობას და ნებადართულ სამენარმეო საქმიანობას  
შორის. სამენარმეო სისტემა ეფუძნება იმ პრინციპს, რომ შეძ-  
ლებისდაგვარად მინიმალური დანაკარგებით იქნას მიღწე-  
ული მაქსიმალური მოგება. სახალხო მეურნეობის ინტერესები  
(მაქსიმალური სარგებელი ყველასთვის) და საწარმოო მეურ-  
ნეობის ინტერესები (მაქსიმალური სარგებელი ცალკეული  
მენარმეებისთვის) ერთმანეთისგან არის გამიჯნული და თანხ-  
ვედრაში არ მოდის<sup>324</sup>. წარმატებული სამენარმეო საქმიანობა  
გარკვეულწილად დამოკიდებულია კარგ რეკლამაზე, რომე-  
ლიც შეიძლება შეიცავდეს ისეთ მონაცემებსაც, რომელიც სი-  
მართლეს არ შეესაბამება. ამიტომ, ქმედების თაღლითობით  
დასაკვალიფიცირებლად საჭიროა არა მხოლოდ იმის დადგე-  
ნა, რომ მოტყუებას ჰქონდა ადგილი, არამედ იმის გარკვევაც,  
თუ სად გადის ზღვარი დასჯადი თაღლითობის დამაფუძნებელ  
მოტყუებასა და ნებადართულ მოტყუებას შორის.

საწარმო საქმიანობასა და დასჯად თაღლითობას შორის  
ზღვარი ახლოს არის. ეს განსაკუთრებით ეხება საფინანსო  
სფეროს. როგორც ლიტერატურაში მიუთითებენ, განსაკუთრე-  
ბით ბოლოდროინდელმა ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა, რომ  
ბანკების საქმიანობა განსაზღვრული ფორმით ორგანიზებული  
დანაშაულისგან შორს არ არის. ბოლო დროს, გარკვეულწი-  
ლად, მოტყუებაზე დაფუძნებული – სისტემა სახელმწიფოებრი-

<sup>323</sup> Eisele J., Strafrecht, BT II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Aufl., Stuttgart 2019, S. 181, Rn. 523.

<sup>324</sup> Heinrich B., Einführung in das deutsche Betrugsstrafrecht, in: Jishkariani/Waßmer (Hrsg.), Die Europäisierung des georgischen Wirtschaftsstrafrechts, 2017, S. 161.

ვად არის ლეგიტიმირებული და სამართლებრივი ნორმებით უზრუნველყოფილი<sup>325</sup>.

**ა) საკითხავია, არის თუ არა მოტყუება და შეცდენა განხორციელებული, როცა არსებობს ეჭვი სინამდვილესთან დაკავშირებით.**

სისხლის სამართლის ლიტერატურაში საკამათოდ ითვლება საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა სახეზე შეცდენა, როცა დაზარალებულს არსებულ ფაქტობრივ გარემოებათა ნამდვილობაზე ეჭვი ეპარება. ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი შეხედულებით, რომელიც ალბათობის თეორიის სახელწოდებითაა ცნობილი, სინამდვილე უფრო სააღბათო უნდა იყოს, ვიდრე არანამდვილი (*die Wahrheit muss wahrscheinlicher sein als die Unwahrheit*). აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, მაშინ, როცა მსხვერპლი უშვებს სიყალბის მცირე შესაძლებლობას და მოქმედებს იმის დაშვებით რომ სინამდვილე სააღბათოა, მსხვერპლის შეცდომა არ გამოირიცხება და მიიჩნევა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის გარკვეულწილად (მცირე ხარისხით) უშვებდა სინამდვილის სიყალბეს, მაინც შეიძლება ჩაითვალოს შეცდენილად. აღნიშნული თეორიის ნაკლად მიიჩნევა ის, რომ პრობლემატურია კონკრეტულ შემთხვევებში ალბათობის ემპირიული გამოთვლა, საიდანაც მიჩნეული იქნება ის, რომ შეცდომას ჰქონდა ადგილი. ფაქტობრივ გარემოებათა სიყალბის შესახებ დაშვებული ვარაუდი და მისი ხარისხის დადგენა მტკიცების პრობლემებსაც უკავშირდება. თუმცა, იმ შემთხვევაში, როცა ვინმეს გაუჩნდებოდა ეჭვი სინამდვილესთან დაკავშირებით, დარჩებოდა სისხლისსამართლებრივი დაცვის გარეშე<sup>326</sup>, რაც ასევე არ მიიჩნევა მართებულად.

<sup>325</sup> *Heinrich B.*, ebenda, S. 162-163.

<sup>326</sup> *Schramm E.*, Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 173, §7 Rn. 58.

ამის საწინააღმდეგოდ სხვა მოსაზრების წარმომადგენლები გამოთქვამენ კრიმინოლოგიურად ორიენტირებულ შეხედულებას და მიიჩნევენ, რომ თაღლითობის შემადგენლობის გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა დაეჭვებული პირების მიმართ, შემცირებული დაცვის საჭიროების გამო. დაეჭვებულ მსხვერპლს შეეძლო თავისი ეჭვები გამოერკვია და თავისი თავი დაეცვა.<sup>327</sup> ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ მეტყველებს თაღლითობის შემადგენლობა. თანაბრალეულობა არ მიიჩნევა რაიმე მნიშვნელობის მქონედ თაღლითობის შემადგენლობის განხორციელებაში.

გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ისიც სცდება, ვინც ეჭვიანობს (ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით), ვინც სიყალბის შესაძლებლობას მცირედით უშვებს<sup>328</sup>. ე. შრამი მართებულად მიიჩნევს გაბატონებულ მოსაზრებას და სვამს კითხვას, მხოლოდ დაუდევარი (წინდაუხედავი) მსხვერპლი, რომელსაც არაფრის ეჭვი შეჰპარვია, სისხლისსმართლებრივად რატომ უნდა იყოს დაცული და არა ის, რომელიც სკეპტიკურადაა განწყობილი და არის სკრუპულოზული. გარდა ამისა, ალბათობის ან შესაძლებლობის მათემატიკური გაანგარიშება, რომელიც გადანყვეტილებას საფუძვლად დაედება, ერთი მხრივ, რთულია და პროცესში არაპრაქტიკული<sup>329</sup>.

### **ბ) შესამჩნევი შეცდომა** <sup>330</sup>.

გერმანული სისხლის სამართლის ტრადიციად მიიჩნევენ იმას, რომ თაღლითობის შემადგენლობა მომხმარებელსა და მსხვერპლზეა ორიენტირებული და კეთილგანწყობილი. სისულელე არ არის დასჯადი, მაგრამ სისხლის სამართალი ასევე

<sup>327</sup> Schramm E., ebenda, S. 174, Rn. 59.

<sup>328</sup> Tiedemann K., in: LK, 11. Aufl., §263 Rn. 86.

<sup>329</sup> Schramm E., Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 174, §7 Rn. 60.

<sup>330</sup> Erkennbarkeit des Irrtums.

იცავს სულელებსაც. თუ შეცდომა შეცნობადი და თავიდან აცილებადი იყო, ტრადიციულად არაფერს არ ცვლის ასეთ პირთა სოციალური და კრიმინალურპოლიტიკურად მოტივირებული დაცვის თვალსაზრისით<sup>331</sup>.

არაკეთილსინდისიერი სანარმოო (სავაჭრო) საქმიანობის შესახებ ევროპის კავშირის დირექტივას საფუძვლად უდევს საშუალო გონიერებისა და გულისხმიერების მომხმარებლის ნიმუში. აქედან გამომდინარე, ლიტერატურაში გაკეთდა დასკვნა, რომ თაღლითობის ობიექტური შემადგენლობა არ არის განხორციელებული, თუ გონიერების თვალსაზრისით საშუალო მომხმარებელი არ მოტყუვდებოდა. ამ შეხედულების მიხედვით (ევროპულ სამართალთან აქცესორობის თეორია – europa-rechtsakzessorische Theorie) მოტყუების ცნება ევროპულ სამართალთან უნდა იყოს შესაბამისობაში. თაღლითობის შემადგენლობის გაგება, როგორც უყურადღებო და არაგონიერი მომხმარებლის დამცავი ნორმისა, კოლიზიაში მოდის საქონელბრუნვის თავისუფლებასთან. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს თაღლითობის შემადგენლობის კორექტირება<sup>332</sup>.

გერმანიის უზენაესმა სასამართლომ თაღლითობის შემადგენლობასთან მიმართებით უარი თქვა დირექტივის გამოყენებაზე, ვინაიდან ის ქმედების შემადგენლობასთან მიმართებით კონკურენციის ფუნქციას ასრულებს, მაშინ როცა, ლიტერატურაში გამოთქმული ერთი მოსაზრებით ევროკავშირის დირექტივა ეროვნული მართლწესრიგის მასშტაბით უნდა გაიზომოს (კონსერვატორული გადაწყვეტა). ნაციონალური სისხლის სამართალი კი, არა დირექტივის შუქზე, არამედ დირექტივა უნდა განიმარტოს ნაციონალური სისხლის სამართლის შუქზე. ამას კი იქამდე მიყვავართ, რომ მანამდე მოქმედი ნაციონალური სისხლის სამართალი ძალაში რჩება<sup>333</sup>.

<sup>331</sup> Schramm E., S. 175, §7 Rn. 63.

<sup>332</sup> Schramm E., S. 175, §7 Rn. 65.

<sup>333</sup> Schramm E., S. 175, §7 Rn. 66.



ევროკავშირის სურვილით უნდა მოხდეს ევროკავშირის ზემოაღნიშნული დირექტივის სრული ჰარმონიზაცია. ეს კი გულისხმობს მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის საქონელბრუნვის სფეროში არაკეთილგონიერი საქმიანობის უფლების სრულ დაკანონებას (Angleichung). ეროვნული სასამართლო ევროკავშირის სამართლის მიხედვით ვალდებულია აგრეთვე ეროვნულ სისხლის სამართალშიც განმარტება გააკეთოს დირექტივების შესაბამისად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის რაც დირექტივებით სისხლის სამართლის ფარგლებს მიღმაა ნებადართული, არ შეიძლება აკრძალული იყოს სისხლის სამართლით. ყოველივე აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, იმაზეც მიუთითებს, რომ ევროპული სამართლის მიხედვით განსაზღვრულ ადამიანთა ჯგუფზე განსაკუთრებული სამართლებრივი დაცვა გავრცელდება და დღემდე მოქმედი თაღლითობის დასჯადობის დოგმატიკისგან გადახვევას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში დაექვემდებარება. როდესაც საუბარია სავაჭრო საქმიანობაზე განსაზღვრულ პირთა მიმართ, დირექტივის მე-5 მუხლის მე-2 აბზაცის „ბ“ პუნქტის მიხედვით, იგულისხმება აღნიშნული ჯგუფის საშუალო წევრი. დირექტივის მე-5 მუხლის მე-3 აბზაცში განსაკუთრებით მიაშიტი ადამიანების განსაკუთრებული დაცვის მოთხოვნაა წინა პლანზე წამოწეული. როცა საქმე ეხება ურთიერთობას სანარმოსა და მომხმარებელს შორის, ისევე როგორც ურთიერთმიმართებას მომხმარებელსა და მომხმარებელს შორის – ნაივების, გულუბრყვილოების ან უდარდელი ადამიანების დაცვას, ყველა დასახელებულ შემთხვევაში უნდა მოხდეს თანაბარი მოპყრობა. თუმცა, განსახილველი საკითხი არც ისე მკაფიოდ მიიჩნევა<sup>334</sup>.

როგორც ბათცგერი მიუთითებს, ერთი მხრივ, სისხლის სამართალმა არ შეიძლება თავი შეიკავოს ნაივების დაცვისგან,

<sup>334</sup> Schramm E., S. 176, §7 Rn. 67.

მეორე მხრივ არ შეიძლება მსხვერპლის სარისკო მოქმედებები მეორე მხარის („დამნაშავის“) საზიანოდ იქნას სისხლისსამართლებრივად უზრუნველყოფილი<sup>335</sup>. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება სავაჭრო ურთიერთობებს და სამოქალაქოსამართლებრივ გარიგებებს, სადაც დასახელებული ურთიერთობის მონაწილე გარკვეულ რისკზე მიდის. მსესხებელმა შეიძლება ბიზნესის საწარმოებლად გარკვეული თანხა ისესხოს და რისკი გასწიოს, რომ დასახული განზრახვის რეალიზაციას შეძლებს, ხოლო გამსესხებელს თანხას დაუბრუნებს, მაგრამ რისკმა არ გაამართლოს და გამსესხებელსაც თანხა ვერ დაუბრუნოს, რაც უნდა გადანყდეს სამოქალაქოსამართლებრივი დავის სახით და არ უნდა დაკვალიფიცირდეს თაღლითობად.

### **ვ) განკარგვა.**

განკარგვას როგორც ქმედების შემადგენლობის დაუნერვლ ნიშანს განიხილავენ ისეთ ნიშნად, რომელიც მოქცეულია შეცდომასა და ქონებრივ ზიანს შორის. მეორე მხრივ, ის გამოხატავს თაღლითობის დროს თვითდაზიანების ხასიათს. მისი შემვლობით შესაძლებელია თაღლითობის დროს თვითდაზიანების და ქურდობის დროს სხვისი დაზიანების გამიჯვნა. აღნიშნული ქმედება შეუძლებელია ერთდროულად მოექცეს ორივე შემადგენლობის ფარგლებში. მათ გამიჯვნას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა როგორც ბოროტმოქმედისთვის, ისე მსხვერპლისთვის<sup>336</sup>.

ქონების განკარგვა არის ნებისმიერი ქმედება (მოქმედება, თმენა ან უმოქმედობა), რომელიც იწვევს შეცდენილის ან მესამე პირის ქონების შემცირებას და ხორციელდე-

---

<sup>335</sup> Satzger H., in: Satzger/Schluckebier/Widmaier, Strafgesetzbuch, Kommentar, 5. Aufl., 2021, §263 Rn. 13.

<sup>336</sup> Tiedemann K., in: LK, 11. Aufl., §263 Rn. 96-98; Schramm E., S. 177, §7 Rn. 70.

ბა ნებაყოფლობით<sup>337</sup>. აქედან გამომდინარე, თაღლითობის დროს ქონების განკარგვასთან დაკავშირებით მიუთითებენ ქონების შემცირებასთან დაკავშირებულ განკარგვაზე, რაც ქონების განმკარგავს, როგორც შეცდენილს დანაშაულის იარაღად აქცევს<sup>338</sup>.

ქონების განკარგვაში თაღლითობის შემადგენლობის მიზნებიდან გამომდინარე, არ მოიაზრებენ მხოლოდ განკარგვის სამოქალაქოსამართლებრივ გაგებას<sup>339</sup>. ქონების შემცირებას აუცილებლობით არ უკავშირებენ ზიანის გამონწვევას. შესაბამისად, ქონებრივი ზიანი დოგმატურად არ არის ჩართული განკარგვის ცნებაში<sup>340</sup>. თაღლითობას ადგილი ექნება ასევე მაშინ და ქმედების თაღლითობის მუხლით კვალიფიკაციისთვის საკმარისი იქნება ისიც, თუ მოტყუებული ნივთს შეცდომაში შემყვანს გადასცემს<sup>341</sup>.

განკარგვას არ ეხება საქმე მაშინ, როცა მოტყუების შედეგად პირი თვითონ უშუალოდ არ ზარალდება, არამედ დამნაშავეს აძლევს შესაძლებლობას, დამაზიანებელი ქმედება განახორციელოს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ განკარგვა ერთადერთი ქმედება უნდა ყოფილიყო. უფრო მეტად შესაძლებელია, რომ სხვადასხვა პირები სხვადასხვა საფეხურზე ცალკეულ ქმედებებს ახორციელებენ, რომელთაგან პირველი უკანასკნელის ქონების შემცირებას იწვევს. გადამწყვეტია, კონკრეტულ შემთხვევაში რომელი საფუძვლით ვინ მიიღო გადანყვეტილება<sup>342</sup>.

ქონების განკარგვა, რომელსაც ადგილი აქვს თაღლითო-

---

<sup>337</sup> *Lackner/Kühl*, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Aufl., 2018, §263 Rn. 22; *Tiedemann K.*, in: LK, 11. Aufl., §263 Rn. 97.

<sup>338</sup> *Heinrich B.*, in: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf*, Strafrecht, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, S. 558, §20 Rn. 69.

<sup>339</sup> BGHSt 14, 171.

<sup>340</sup> *Schramm E.*, S. 177, §7 Rn. 71.

<sup>341</sup> *Lackner/Kühl*, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Aufl., 2018, §263 Rn. 23.

<sup>342</sup> *Lackner/Kühl*, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Aufl., 2018, §263 Rn. 25.

ბის დროს, არ უნდა იყოს სამართლებრივად ქმედითი. წმინდა ეკომონიკური სახის დანაკარგი გერმანული სამართლის მიხედვით განიმარტება როგორც ქონების განკარგვა, რასაც უკავშირებენ ქონების ცნებას<sup>343</sup>.

როგორც ზემოთ აღინიშნა, განკარგვა შეიძლება აქტიური მოქმედების გარდა უმოქმედობითაც განხორციელდეს. უმოქმედობის მაგალითად მოჰყავთ შემთხვევა, როცა ადგილი აქვს ავტოპარკიდან მოტყუებით ავტომანქანის დაუფლებას და ავტოპარკის დარაჯი თანამშრომელი დუმილით ხვდება აღნიშნულ შემთხვევას. ნებაყოფლობითი დუმილი ქონების დაუფლების დროს, თანხმობა ნივთის გადაცვლასთან დაკავშირებით, განიხილება უმოქმედობის გამოვლენის შემთხვევად<sup>344</sup>.

#### **დ) ქონების განკარგვის უშუალობა.**

ქონების განკარგვა უნდა მოხდეს უშუალოდ. უშუალობის პრინციპი მხედველობაში მიიღება ქურდობის და თაღლითობის გასამიჯნად. ქურდობა არის სახეზე თუ ადგილი აქვს შენახვის აპარატის მოტყუებას, რისი საშუალებითაც მოგვიანებით ხდება ნივთის დაუფლება<sup>345</sup>.

#### **დ<sup>ა</sup>) შეგნებული განკარგვა.**

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრებით ქონების განმკარგავი (მსხვერპლი) უნდა აცნობიერებდეს იმას, რომ ქონებას განკარგავს. ეს მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ქურდობის და თაღლითობის გასამიჯნად. როდესაც მაღაზიაში მყიდველი საქონელს პარკში ჩაალაგებს და საღაროში თანხას არ გადაიხდის, განხორცი-

<sup>343</sup> Schramm E., S. 178, §7 Rn. 73.

<sup>344</sup> Saliger F., in: Matt.Renzikowski, Strafgesetzbuch, Kommentar, 2. Aufl., 2020, §263 Rn. 114; Schramm E., S. 178, §7 Rn. 74.

<sup>345</sup> Schramm E., S. 178, §7 Rn. 78; Heinrich B., in: Arzt/Weber/Heinrich/Hilgen-dorf, Strafrecht, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, §20 Rn. 79.

ელებულია ქურდობა და არა თაღლითობა<sup>346</sup>. როდესაც მოლარემ არ იცის, რომ მყიდველს პარკში სხვა საქონელიც ულავია, რომელიც მოლარესთან არ გაუტარებია, გამოირიცხება აღნიშნული საქონლის განკარგვა საქონლის გამყიდველის მხრიდან<sup>347</sup>. თუ გამყიდველი უშვებს გენერალურ განკარგვის სურვილს პარკში მოთავსებულ მთლიან საქონელთან დაკავშირებით გაუცნობიერებელი ტრანსფერი იქნებოდა უბრალო ფიქცია. ქონების განკარგვა სახეზეა მაშინ, როცა მყიდველი გამყიდველს ხელში გადასცემს საქონელს გადახდის აპარატში აღრიცხვის მიზნით, მაშინაც კი, როცა პარკში დამატებით სხვა ან უფრო ძვირადღირებული საქონელია განთავსებული ან ყუთზე ყალბი შტრიხკოდია დატანილი<sup>348</sup>.

მაშინ, როცა ერთი მოსაზრებით თაღლითობის დროს ადგილი აქვს გაცნობიერებულ განკარგვას, მეორე მოსაზრებით, განკარგვა შეიძლება იყოს როგორც გაცნობიერებული, ისე გაუცნობიერებელი<sup>349</sup>. გაუცნობიერებლობით განკარგვასთან დაკავშირებით მიუთითებენ შემთხვევას, როცა პირი (მსხვერპლი) არ მოითხოვს იმას, რისი მოთხოვნის უფლებაც გააჩნია, თუმცა იგი ვერ აცნობიერებს ამ უფლების არსებობის შესახებ. მაგალითად, „ო“-მ ასესხა „ტ“-ს 300 ევრო. როცა მან შეახსენა რომ თანხა უნდა დაებრუნებინა, „ტ“-მ უთხრა „მე შენ უკან დაგიბრუნე ფული“. „ო“ უპასუხებს „მართლა“. „ტ“-მ ფული უკან არ დაუბრუნა და „ო“ მოატყუა. მოცემულ შემთხვევაში ბ. ჰაინრიხის თვალსაზრისით, სახეზეა გაუცნობიერებელი განკარგვა. ავტორის შეხედულებით, გაუცნობიერებელია გან-

---

<sup>346</sup> BGHSt 41, 198.

<sup>347</sup> *Heinrich B.*, in: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf*, *Strafrecht*, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, §20 Rn. 74.

<sup>348</sup> *Schramm E.*, S. 179, §7 Rn. 81.

<sup>349</sup> *Fischer Th.*, *Strafgesetzbuch*, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 74; *Heinrich B.*, in: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf*, *Strafrecht*, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, §20 Rn. 73.

კარგვა, ვინაიდან „ო“-მ არ იცის, რომ არსებობს ფულის მოთხოვნის უფლება. ვალის გადახდის გადავადების შემთხვევაში ადგილი ექნებოდა გაცნობიერებულ განკარგვას<sup>350</sup>, თუ გადავადების მიუხედავად არ მოხდება თანხის უკან დაბრუნება და მსესხებელს წინასწარ ჰქონდა ეს განზრახული.

ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ თაღლითობის დროს გაუცნობიერებელი განკარგვა წარმოადგენს გამონაკლის შემთხვევას. გაუცნობიერებელი განკარგვა, როგორც წესი, არც წარმოადგენს განკარგვას თაღლითობის შემადგენლობის გაგებით. მფლობელობის არანებაყოფლობითი დაკარგვა, როგორც წესი, ქურდობისთვის არის დამახასიათებელი. მაშასადამე, თაღლითობა, როგორც წესი მოითხოვს განკარგვის გაცნობიერებას. თაღლითობის და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულების (მაგალითად, ქურდობის) გამიჯვნა ეფუძნება გაუცნობიერებელი განკარგვის გამორიცხვას<sup>351</sup>.

### **დ<sup>ბ</sup>) ნებაყოფლობითი განკარგვა.**

ნებაყოფლობითი განკარგვა არის ის, რაც თაღლითობას განასხვავებს გამოძალვისგან<sup>352</sup>, ძარცვისგან. გაბატონებული მოსაზრების თანახმად, გადამწყვეტია შინაგანი ნების მიმართულება. როდესაც შეცდენილი პირი ითმენს ნივთის სხვის მიერ დაუფლებას, ეს უნდა იყოს იმაზე დამოკიდებული, რომ ამას აკეთებს თავისი თანხმობით და სახეზეა ნაწილობრივ ნე-

---

<sup>350</sup> *Heinrich B.*, in: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf*, *Strafrecht*, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, §20 Rn. 73.

<sup>351</sup> *Heinrich B.*, ebenda, §20 Rn. 74.

<sup>352</sup> BGHSt 18, 223; *Schramm E.*, S. 180, §7 Rn. 85. უნდა აღინიშნოს, რომ გამოძალვის განსახორციელებლად ქართული სსკ-ის 181-ე მუხლის მიხედვით აუცილებელი არ არის, რომ ბოროტმოქმედი სხვის ნივთს დაუფლოს, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ დაუფლება განხორციელდეს.

ბის თავისუფლება (თაღლითობა). თუ თმენას ადგილი აქვს იძულების შედეგად, თაღლითობა გამოირიცხება<sup>353</sup>. თაღლითობის დროს ნივთის განმკარგავი ნივთს ძალდატანების გარეშე განკარგავს, ვინაიდან მოტყუებულია.

გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, თაღლითობის დროს არსებული ნებაყოფლობითი განკარგვის გამო არის შესაძლებელი საუბარი მსხვერპლის მიერ თვითდაზიანებაზე. თუმცა, განკარგვის ნებაყოფლობითობა მაინც პრობლემურად მიიჩნევა, ვინაიდან თაღლითობის დროს განკარგვა მსხვერპლის შეცდომაში შეყვანას ეფუძნება, რის გამოც რთულია საუბარი ნებაყოფლობითობაზე. ქმედების გამამრთლებელი, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი თანხმობის დროსაც საჭიროა ნებაყოფლობითობის არსებობა და ის გამოირიცხება მაშინ, როცა თანხმობის გამცემი შეცდომაშია შეყვანილი<sup>354</sup>.

#### **ე) სამმხრივი თაღლითობა.**

განკარგვა მოტყუების შედეგად შესაძლებელია საკუთარი ან მესამე პირის ქონების. აქედან გამომდინარე საჭიროა იდენტიფიკაცია მხოლოდ მოტყუებული პირის და განმკარგავის და არა განმკარგავის და დაზარალებულის<sup>355</sup>. თუ სახეზეა მოტყუების შემთხვევის სამკუთხა (სამწევროვანი) კონსტელაცია – მოტყუებული, განმკარგავი, დაზარალებული, წარმოიშობა ე. წ. სამკუთხა თაღლითობის დოგმატური კლასიკური პრობლემა. საკამათოდ ითვლება საკითხი იმის შესახებ, როგორი ურთიერთმიმართება არსებობს განმკარგავსა და დაზარალებულს შორის. თაღლითობა მიიჩნევა თვითდაზიანების

<sup>353</sup> Schramm E., S. 180, §7 Rn. 85.

<sup>354</sup> Heinrich B., ebenda, §20 Rn. 75.

<sup>355</sup> Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Aufl., 2018, §263 Rn. 28; Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 79; Perron W., in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Aufl., 2014, §263 Rn. 65.

დელიქტად. შესაბამისად, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, მოტყუებულ ქონების განმკარგავს დაზარალებული უნდა წარმოადგენდეს. სხვა შემთხვევაში მხედველობაში მიიღება ქურდობა შუალობითი ამსრულებლობით<sup>356</sup>.

თუმცა, ზოგადად აღიარებულია, რომ სამმხრივი თაღლითობის შემთხვევა განხორციელებულია, როცა ხდება მოტყუება სხვისი ქონების განმკარგავისა, რომელიც სამართლებრივად არის უფლებამოსილი, დაზარალებულის ქონება განკარგოს სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით<sup>357</sup>. მართებულად არის აღნიშნული ლიტერატურაში, რომ სამმხრივი თაღლითობის დროს არსებობს მდგომარეობა, როცა სამართლებრივად ან ფაქტობრივად ხდება დაზარალებულის ქონების განკარგვა<sup>358</sup>. აღნიშნულთან დაკავშირებით ის შემთხვევაა საყურადღებო, როცა ბოროტმოქმედი ეუფლება სხვის პირადობის მონუმბას და იპოთეკით ტვირთავს ისე, რომ ამის შესახებ მესაკუთრეს წარმოდგენაც არ აქვს. აღნიშნულ შემთხვევაში მოტყუებული არის ნოტარიუსი, რომლის დახმარებითაც მოხდა ბინის იპოთეკით დატვირთვა.

როდესაც ხდება მოტყუების შედეგად მესამე პირის ქონების განკარგვა, იმის შესაძლებლობას უშვებენ, რომ მოტყუებულად მიჩნეულ იქნას მესამე პირი, ვისი ქონების განკარგვაც მოხდა, ვინაიდან მან თვითონ გადასცა ქონების განკარგვის ფაქტობრივი და სამართლებრივი შესაძლებლობა იმას, ვისი მოტყუებაც ხდება. აღნიშნულის მაგალითად სახელდება შემთხვევა, როცა ხდება მაღაზიის გამყიდველის მოტყუება, რომელიც მოტყუების შედეგად განკარგავს არა საკუთარ ქონებას, არამედ მაღაზიის მესაკუთრის ქონებას, როცა ყალბი ფულის

---

<sup>356</sup> Schramm E., S. 181, §7 Rn. 88.

<sup>357</sup> Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Aufl., 2018, §263 Rn. 28-2; Schramm E., S. 181, §7 Rn. 89.

<sup>358</sup> Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Aufl., 2018, §263 Rn. 28.



გადაცემით შეცდომაში შეყავთ გამყიდველი, ქონების განმკარგავი, ზარალდება მესამე პირი, ქონების მესაკუთრე<sup>359</sup>.

პრობლემატური იქნება თაღლითობით ქმედების კვალიფიკაცია, როცა გამყიდველი აცნობიერებს, რომ მისთვის ნივთის შეძენის სანაცვლოდ მყიდველის მიერ ყალბი ფულია გადაცემული. მოცემულ შემთხვევაში თაღლითობით ქმედების კვალიფიკაცია იმიტომ არის პრობლემური, რომ თაღლითობა გულისხმობს იმ პირის მოტყუებას, ვინც ქონებას განკარგავს. თუ ქონების განმკარგავის მოტყუება გამოირიცხა, გამოირიცხება თაღლითობის შემადგენლობაც<sup>360</sup>. აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, თუ თაღლითობას გამოვრიცხავთ, ქმედება როგორ დავაკვალიფიცირებთ? ანალოგიური კითხვა შეიძლება დაისვას იმ შემთხვევასთან დაკავშირებითაც, როცა მალაზიის გამყიდველი მისთვის გასაყიდად ჩაბარებულ ნივთს გასცემს იმ პირობით, რომ მყიდველი მოგვიანებით გადაიხდის გადასახადს, მაშინ როცა მისთვის წინასწარ იყო ცნობილი, რომ მყიდველი თანხას არც მოგვიანებით არ გადაიხდიდა. ქმედება ასეთ დროს მითვისება-გაფლანგვის მუხლით დაკვალიფიცირდება თუ ქურდობის მუხლით?

სანამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, ჯერ უნდა გავარკვიოთ, ჰქონდა თუ არა მოცემულ შემთხვევაში ადგილი განკარგვას უფლებამოსილი პირის მხრიდან? ვინაიდან გამყიდველი იყო განმკარგავი, რომლის მართლზომიერ მფლობელობაშიც არსებობდა ნივთი, ვინაიდან ეს შესაძლებლობა მისი მხრიდან ბოროტად იქნა გამოყენებული, მართებული იქნება ქმედება მითვისება-გაფლანგვის მუხლით დაკვალიფიცირდეს. შესაბამისად, საკამათოდ შეიძლება მივიჩნიოთ მოსაზრება, რომელიც აღნიშნულ შემთხვევაში მხარს უჭერს ქმედების კვალიფიკაციას ქურდობის მუხლით, იმ არგუმენტით, რომ განკარგვის

<sup>359</sup> *Heinrich B., ebenda*, §20 Rn. 81.

<sup>360</sup> *Heinrich B., ebenda*, §20 Rn. 81a.

ცნება არ მოიცავს ისეთ განკარგვას, რომელთანაც დაკავშირებით არ არსებობს შესაბამისი უფლება<sup>361</sup>. თუმცა, გასათვალისწინებელია არა ის, ჰქონდა თუ არა ქონების განმკარგავს ქონების არამართლზომიერი განკარგვის უფლება, არამედ ის, რომ საქმე ეხებოდა ქონების განკარგვას იმის მიერ, ვისაც ქონების განკარგვა მართლზომიერად შეეძლო. ქონების განკარგვის უფლება არ შეიძლება მოიცავდეს არამართლზომიერი განკარგვის უფლებასაც, ვინაიდან ისინი, ლოგიკურია, ერთმანეთს გამორიცხავენ. ვინაიდან ქონების განმკარგავმა ქონება არამართლზომიერად განკარგა, არ გულისხმობს იმას, რომ მას ქონების განკარგვის უფლება ზოგადად არ ჰქონდა.

სამმხრივი თაღლითობის დროს, უფლებამოსილების თეორიის მიხედვით (Befugnistheorie), განმკარგავს უნდა ჰქონდეს სამართლებრივი უფლებამოსილება ქონების გადაცემასთან დაკავშირებით. არსებითია იმის დადგენა, მოტყუებული პირი ქონების შემცირების დროს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს თუ კანონისმიერი უფლებამოსილების ფარგლებში<sup>362</sup>.

გერმანიის უზენაესი სასამართლოს მიერ გამოთქმული მოსაზრებით, რომელიც ფაქტობრივი სიახლოვის თეორიის სახელწოდებითაა ცნობილი (faktische Nähetheorie) საკმარისად მიიჩნევა რომ მოტყუებულ პირს ქმედების განხორციელებაში ნივთი შესანახად ჰქონდა მიბარებული. შესაბამისად, მასზე სივრცობრივად ზემოქმედების შესაძლებლობა ჰქონდა. ასეთს წარმოადგენს მეკარის შემთხვევა, რომელიც მანქანის გასაღებს პირს გადასცემს მისი თხოვნის საფუძველზე. ლიტერატურაში გაბატონებული, ლენკნერის მიერ განვითარებული თეორიის მიხედვით განმკარგავი უნდა იყოს დაზარალებულის

<sup>361</sup> Heinrich B., ebenda, §20 Rn. 82.

<sup>362</sup> Saliger F., in: Matt.Renzikowski, Strafgesetzbuch, Kommentar, 2. Aufl., 2020, §263 Rn. 135; Schramm E., S. 182, §7 Rn. 90.

მდგომარეობაში, რაც იმას გულისხმობს, რომ მოტყუებულ პირს ზედამხედველობისა და დაცვის ფუნქცია აქვს დაზარალებულის საგნებთან მიმართებით<sup>363</sup>. გარდა ა/მანქანების პარკის დარაჯისა, დანაშაულის საგანთან ახლო ფაქტობრივი უფლებამოსილების ფარგლებში მყოფ პირად მიიჩნევა მოლარე (კასირი), გამყიდველი<sup>364</sup>.

უფლებამოსილების თეორია, პირველ ყოვლისა, იმაზე მეტყველებს, რომ ის ქმედების შემადგენლობას ძალიან ავინროებს და იმ შემთხვევებში, როცა განმკარგავს მხოლოდ დაცვის და ზედამხედველობის გარანტორული ფუნქცია აქვს, რაიმე სახით სამართლებრივი განკარგვის უფლების გარეშე, თაღლითობის განხორციელება შეუძლებელი ხდება. თუმცა აქ შესაძლებელია განმკარგავი დაზარალებულთა რიცხვს მიეკუთვნოს და ამით თაღლითობისთვის დამახასიათებელი თვითდაზიანების ბუნება იქნას დადგენილი. ფაქტობრივი სიახლოვის თეორია პრობლემატურად მიიჩნევა, ვიდრე წმინდა ფაქტობრივი განკარგვის ძალმოსილება. ცენტრალური პრობლემა ეხება იმას, ფაქტობრივ სიახლოვეს ნორმატიულად თვითდაზიანების მნიშვნელობა შეიძლება თუ არა მიენიჭოს. ეს თეორია თანადაცვისა და თანაფლობის კრიტერიუმებით ახდენს ნაწილობრივ ნორმატივირებას<sup>365</sup>.

უფლებამოსილების თეორიის მიხედვით, იმიტომ არის სამმხრივი თაღლითობის დროს ნივთის განკარგვის სამართლებრივი უფლებამოსილების არსებობა მნიშვნელოვანი, რომ თუ შეცდომაში შეყვანილ, მოტყუებულ ნივთის განმკარგავს განკარგვის არა სამართლებრივი უფლებამოსილება, არამედ მხოლოდ ფაქტობრივი შესაძლებლობა გააჩნდა, სახეზე იქნე-

<sup>363</sup> *Saliger F.*, in: Matt.Renzikowski, Strafgesetzbuch, Kommentar, 2. Aufl., 2020, §263 Rn. 135; *Schramm E.*, S. 182, §7 Rn. 90.

<sup>364</sup> *Fischer Th.*, Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 83.

<sup>365</sup> *Saliger F.*, in: Matt.Renzikowski, Strafgesetzbuch, Kommentar, 2. Aufl., 2020, §263 Rn. 135; *Schramm E.*, S. 182, §7 Rn. 91.

ბა არა თაღლითობა, არამედ ქურდობა. აღნიშნული თეორია შუალობითი ამსრულებლობით ქურდობის და თაღლითობის გამიჯვნას ახდენს სწორედ იმის გათვალისწინებით, განმკარგავს ნივთის განკარგვის სამართლებრივი უფლებამოსილება ჰქონდა თუ მხოლოდ ფაქტობრივი შესაძლებლობა<sup>366</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, უფლებამოსილების თეორიის მიხედვით მაშინ, როდესაც გარდერობიდან ხდება ნივთის დაუფლება მეგარდერობის მოტყუების შედეგად, ადგილი ექნება არა თაღლითობას, არამედ ქურდობას<sup>367</sup>.

აღნიშნულ შემთხვევაში საინტერესოა ქმედების კვალიფიკაცია ქურდობის მუხლით რამდენად შესაბამისობაშია ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან. მართალია, გერმანულისგან განსხვავებით, ქართული სისხლის სამართლის კოდექსით ქურდობა გულისხმობს მხოლოდ ფარულ ქმედებას, თუმცა ქმედება ფარულ ხასიათს ატარებს აღნიშნულ შემთხვევაში, ვინაიდან მესაკუთრე არ გადასცემს ნივთს ბოროტმოქმედს, არამედ სხვა პირი, რომელიც შეცდომაშია შეყვანილი და ჰქონდა ნივთის განკარგვის მხოლოდ ფაქტობრივი შესაძლებლობა. ნივთის დაუფლება ფარულ ხასიათს ატარებს იმ პირთან მიმართებითაც, რომელმაც დანაშაულის საგანი ბოროტმოქმედს გადასცა, ვინაიდან იგი ვერ აცნობიერებს იმას, რომ ნივთს გადასცემს არა მესაკუთრეს, არამედ სხვა, უცხო პირს. მოცემულ შემთხვევაში ქმედება ფარულია სუბიექტური თვალსაზრისით, რაც საკმარისი კრიტერიუმია ქმედების ფარულობის დასადგენად. თუ განსახილველ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ქმედების ფარულობის დადგენა, მოგვიწევდა ქმედების კვალიფიკაცია ძარცვის მუხლით.

---

<sup>366</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. *Perron W.*, in: Schönke/Schröder, *Strafgesetzbuch, Kommentar*, 29. Aufl., 2014, §263 Rn. 66.

<sup>367</sup> *Fischer Th.*, *Strafgesetzbuch*, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 81.

### **ვ) შენირულობასთან დაკავშირებული თაღლითობა.**

საინტერესოა არის თუ არა დასჯადი თაღლითობა განხორციელებული, როცა საქმე ეხება შენირულობასთან დაკავშირებულ თაღლითობას. სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ის ვინც შენირულობას გაიღებს, არ ელოდება საპასუხო მატერიალურ სიკეთეს, შესაბამისად, იცის, გაცნობიერებული აქვს, რომ ეკონომიკურად ბარადდება. ავტორის თქმით, აქედან გამომდინარე, გამოირიცხება მოტყუება და ქმედების დასჯადობა თაღლითობის მუხლით. ამის მაგალითად სახელდება შემთხვევა, როცა მაგალითად „ტ“ ატყუებს „ო“-ს, რომ ფულს აგროვებს დანაგრული ადამიანების დასახმარებლად, რის შედეგადაც „ო“ ფულს (50 ევროს) გადასცემს „ტ“-ს, მაგრამ „ტ“ აღნიშნული თანხით რესტორანში წავა სასადილოდ<sup>368</sup>.

სხვა შეხედულების მიხედვით, აღნიშნულ შემთხვევაში სახეზეა მოტყუება და თაღლითობის მუხლით ქმედების დასჯადობის საფუძველი. დასახელებული მოსაზრების წარმომადგენლები მსხვერპლისთვის მიყენებულ ზიანად განიხილავენ იმას, რომ არ იქნა შესრულებული ის ვალდებულება, რის გამოც მსხვერპლმა შენირულობა გაიღო. შენირულობის მიზანი განუხორციელებელი დარჩა. თუმცა, სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიუთითებენ აღნიშნული თეორიის დოგმატურ და კრიმინალურ-პოლიტიკურ წარუმატებლობაზე, რის მიზეზადაც სახელდება ის, რომ მსხვერპლი თითქოს არ განიცდის ქონებრივ დანაკარგს, არამედ საქმე ეხება მის განკარგვის თავისუფლების ხელყოფას<sup>369</sup>. თუ ადამიანს სჭირდება ფინანსური დახმარება და ამის თქმის რცხვენია, რის გამოც ტყუილს ამბობს, თითქოს ეს ფული სხვა გაჭირვებულის დასახმარებლად სჭირდებოდეს, მიუხედავად ტყულის თქმისა, მსხვერპ-

<sup>368</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. *Heinrich B., ebenda*, §20 Rn. 111.

<sup>369</sup> *Heinrich B., ebenda*, §20 Rn. 111.

ლის ისეთი მოტყუება მართლაც გამოირიცხება, რომელიც მოითხოვდა სისხლისსამართლებრივ დასჯადობას. თუ ადამიანი ქველმოქმედებას იჩენს და ფულს გაიღებს გაჭირვებულის დასახმარებლად, მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება არ ჰქონდეს იმას, თუ რომელი გაჭირვებულის მიმართ იქნა შეწირულობა გამოყენებული. მაგრამ საკითხავია, იქნება თუ არა გამართლებული საკითხის ანალოგიურად გადაწყვეტა, როცა შეწირულობის თანხის გამოყენება ხდება არა გაჭირვებულის დასახმარებლად, რაც ქველმოქმედების მიზნიდან გამომდინარეობს, არამედ სხვა მიზნისთვის, რაც ქველმოქმედებას გამოირიცხავს. მაგალითად, თუ თანხის გამოყენება მოხდა ნარკოტიკული საშუალების მოსახმარად. მოცემულ შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ ნარკოტიკული დანაშაულის კონტექსტში უნდა განვიხილოთ თუ ქმედება დანაშაულთა ერთობლიობის წესით საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულადაც უნდა დაკვალიფიცირდეს? გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ასევე შეწირულობის თანხაც, რა რაოდენობის თანხაზეა საუბარი.

ერთ-ერთი საყურადღებო მოსაზრების თანახმად შეწირულობასთან დაკავშირებული მოტყუების დროს შესაძლებელია ქმედების კვალიფიკაცია თაღლითობად, როცა საუბარია დიდ თანხაზე და ადამიანი შეგროვებულ შეწირულობას თავისად (მის მიერ გაღებულად) ასაღებს. აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, მისგან უნდა გაიმიჯნოს მონყალების თხოვნის შემთხვევა<sup>370</sup>.

---

<sup>370</sup> Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 63.

## 1.7. ქონებრივი ზიანი

გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თაღლითობის შემადგენლობის ნიშნად მიიჩნევა ქონებრივი ზიანის გამოწვევა. შესაბამისად, არსებით მნიშვნელობას იძენენ იმის დადგენა, თუ როდის არის სახეზე ქონებრივი ზიანი.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, თაღლითობის დროს როდესაც საუბარია ქონებრივ ზიანზე, აუცილებელია დადგინდეს, გამოწვეული ზიანი რამდენად ექცევა თაღლითობის შემადგენლობით მოაზრებული ქონებრივი ზიანის ქვეშ ანუ ეკუთვნის თუ არა თაღლითობის შემადგენლობით დაცულ ქონებას<sup>371</sup>.

ქონებრივი ზიანი მაშინაა სახეზე, როცა ქონება დანაკარგს განიცდის. ეს იმ შემთხვევას გულისხმობს, როცა ქონების საერთო ღირებულება ქონების განკარგვის შედეგად შემცირებულია. ქმედების შემადგენლობა იცავს მოტყუებისგან მთლიანი ქონების ეკონომიკურ ღირებულებას და არა მხოლოდ მის ნაწილს. ამის დადგენა კი შესაძლებელია ქონების განკარგვამდე და განკარგვის შემდეგ ქონების მდგომარეობის შედარებით<sup>372</sup>. მსხვერპლი დანაშაულის შედეგად უნდა გაღარიბდეს. ქონებრივი ზიანი გამოირიცხება მაშინ, თუ ქონების შემცირება ქონების გაზრდით იქნა კომპენსირებული. თუმცა, რაც გასათვალისწინებელია, ქონებისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნა საკმარისად მიიჩნევა დანაშაულის დასრულებისთვის<sup>373</sup>.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში თაღლითობასთან დაკავშირებით ქონებრივ ზიანად მიჩნეულია ქონებისთვის საფრთხის შექმნა (განსაკუთრებით სამენარმეო ინტერესების გათვალისწინებით)<sup>374</sup>.

<sup>371</sup> Schramm E., S. 183, §7 Rn. 94.

<sup>372</sup> Hoyer A., in: SK, Band V, 9. Aufl., 2019, S. 127, §263 Rn. 193.

<sup>373</sup> Schramm E., S. 183, §7 Rn. 95.

<sup>374</sup> Heinrich B., in: Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, §20 Rn. 16, 97.

მიუხედავად გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებისა, ქართული სისხლის სამართლის მიხედვით საკამათოა, რამდენად შეიძლება თაღლითობის შემადგენლობის აუცილებელ ნიშნად ჩაითვალოს ქონებრივი ზიანი. მაშინ, როდესაც გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში თაღლითობის შემადგენლობაში მითითებულია ქონებრივი ზიანის გამოწვევა, ასეთ მითითებას ქართული თაღლითობის შემადგენლობა არ შეიცავს. მოტყუებით სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება ქონებრივი ზიანის გამოწვევას არ გამოორიცხავს, მაგრამ მასზე როგორც ქმედების შემადგენლობის ნიშანზე კანონდებელი არ მიუთითებს, რის გამოც ქმედების 180-ე მუხლით კვალიფიკაცია ქონებრივი ზიანის დადგენას არ მოითხოვს.

180-ე მუხლი არ იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ თაღლითობის შემადგენლობა სამართლებრივი სიკეთის ხელმყოფი დანაშაულებრივი ქმედების შემადგენლობაა.

### **1.8. ქონების ცნება**

ვინაიდან თაღლითობის შემადგენლობა გულისხმობს მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვისი ნივთის დაუფლებას, ხოლო ნივთი ქონებრივ სიკეთეს წარმოადგენს და თაღლითობა ასევე შეიძლება განხორციელდეს სხვისი ქონებრივი უფლების მიღებითაც, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა იგულისხმება ქონების ქვეშ.

სისხლისსამართლებრივად დაცული ქონების ცნება მიეკუთვნება სისხლის სამართლის კერძო ნაწილის საკამათო პრობლემების რიცხვს<sup>375</sup>. დისკუსიის შუაგულში დგას ქონე-

---

<sup>375</sup> *Wessels/Hillenkamp/Schuhr, Strafrecht, BT 2, Straftaten gegen Vermögenswerte*, 43. Aufl., 2020, Rn. 530.



ბის ეკონომიკური და იურიდიულ-ეკონომიური ცნება, ხოლო წმინდა იურიდიული ქონების ცნება მოძველებულად მიიჩნევა. საკითხი შემდეგ შემთხვევებთან დაკავშირებით მიიჩნევა აქტუალურად: 1. როცა მოთხოვნა კანონსაწინააღმდეგო და ამორალურია. აქ იგულისხმება შემთხვევები, როცა საქმიანობა არ ექცევა მართლწესრიგით დაცვის ქვეშ. განსაკუთრებით საყურადღებოა შემთხვევა, როცა ნარკოტიკების მიმწოდებლის მოტყუება ხდება გადახდასთან დაკავშირებით. 2. მეორე ჯგუფს განეკუთვნება შემთხვევები, როცა არ სრულდება კანონსაწინააღმდეგო და ამორალური მოთხოვნა. ეს არის მოსყიდული „ქილერის“ შემთხვევა, როცა მკვლელობის შემკვეთი იტყუება და თავის დანაპირებს არ შეასრულებს. 3. მესამე ჯგუფი ეხება არასამართლებრივი გზით მიღებული ქონებრივი მდგომარეობის დაცვის შემთხვევას. 4. მეოთხე ჯგუფი ეხება შემთხვევას, როცა მოტყუების შედეგად ხდება მემკვიდრეობის მიღება<sup>376</sup>.

### **1.8.1. ქონების წმინდა ეკონომიკური განსაზღვრება**

ქონების წმინდა ეკონომიკური ცნება არის უფრო ფართო, ვიდრე ქონების იურიდიული ცნება<sup>377</sup>. ქონების წმინდა ეკონომიკური ცნება მოიცავს ქონებას, როგორც პიროვნების ფულადი ღირებულების მქონე სიკეთეს იმის მიუხედავად, არის თუ არა ეს სამოქალაქო ან საჯაროსამართლებრივად აღიარებული: არ არსებობს სისხლისსამართლებრივად დაუცველი ქონება. ქონების ასეთი განსაზღვრება მოგვიანებით ოდნავ შემოიფარგლა, რამაც ასახვა ჰპოვა გერმანიის როგორც უზენაესი სასამართლოს, ისე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვე-

<sup>376</sup> Schramm E., S. 184, §7 Rn. 97.

<sup>377</sup> Heinrich B., ebenda, §20 Rn. 88.

ტილებებში: თავისი წარმოშობის, აღმოცენების ან გამოყენების გამო დაცვის უღირს ქონებას მართლმსაჯულება ქონებრივი დელიქტების სფეროში არ ცნობს. თუმცა, ტერორისტული ორგანიზაციისთვის ტერორისტული მიზნით გადახდილი ქონება არ ექცევა ქონების ცნების ქვეშ. გერმანული მართლმსაჯულება ქონების ეკონომიკური ცნების კორექტირებას ახდენს ნორმატიულად და აყალიბებს იურიდიულ-ეკონომიკურ ქონების ცნებას<sup>378</sup>.

### **1.8.2. ქონების წმინდა იურიდიული ცნება**

ქონების იურიდიული ცნების მიხედვით, რომლის წარმომადგენლებად ითვლებიან მერკელი და ბინდინგი, ყურადღება არ ექცევა ქონების ეკონომიკურ ღირებულებას. აღნიშნული თეორია თანამედროვე სისხლის სამართალში არ სარგებლობს მხარდაჭერით<sup>379</sup>.

### **1.8.3. ქონების იურიდიულ-ეკონომიკური ცნება**

ქონების იურიდიული და ეკონომიკური ცნებიდან ნაგლერმა ჩამოაყალიბა ქონების იურიდიულ-ეკონომიკური ცნება, რომელიც გაბატონებულ მოსაზრებად ითვლება და რომლის მიხედვით, ქონება არის ფიზიკური ან იურიდიული პირის ყველა სიკეთის ერთობლიობა, რომელსაც აქვს გაბომვადი ეკონომიკური ღირებულება და ქონების მფლობელი მართლწესრიგის დაცვის ქვეშ იმყოფება. ქონების ეს ცნება ახდენს ქონების ადრე გაბატონებული ეკონომიკური და მოძველებულად მიჩნეულ იურიდიულ ცნებათა კომბინირებას<sup>380</sup>.

<sup>378</sup> Schramm E., S. 184, §7 Rn. 98.

<sup>379</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. Perron W., in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Aufl., 2014, §263 Rn. 79.

<sup>380</sup> Perron W., in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 30. Aufl., 2019, §263 Rn. 82; Schramm E., S. 185, §7 Rn. 99.

#### 1.8.4. ქონების სხვა ცნებები

გარდა ზემოაღნიშნული ქონების კლასიკური ცნებებისა, მწერლობაში ქონების სხვა ცნებებიც განვითარდა. „**ქონების პერსონალური ცნების**“ მიხედვით, ქონება ემსახურება ადამიანის პიროვნულ განვითარებას<sup>381</sup>. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მესაკუთრე თავისი ქონებით რას დაისახავს მიზნად. ქონების პერსონალურ ცნებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელ ერთ-ერთ არგუმენტად შეიძლება დასახელდეს ის, რომ საკუთრების და ქონების დაცვის მიზანს წარმოადგენს ადამიანის განვითარება და არა მისი დეგრადაცია და განადგურება<sup>382</sup>.

**ქონების ინდივიდუალური ცნების** მიხედვით ზიანი მაშინ არის სახეზე, როდესაც მოტყუებული პირი ხელშეკრულებით გათვალისწინებულის ნაცვლად სხვა სახის ნივთს მიიღებს, რომლის გამოყენებაც შეუძლებელია იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც ხელშეკრულება დაიდო<sup>383</sup>. თუმცა, ქმედების თაღლითობის მუხლით კვალიფიკაციისთვის, მხოლოდ აღნიშნული ობიექტური გარემოებები არ არის საკმარისი, აუცილებელია ამასთან ერთად შესაბამისი, თაღლითობისთვის საჭირო სუბიექტური კრიტერიუმის არსებობა განზრახვის სახით<sup>384</sup>.

სხვა თეორიები ძალიან ახლოს დგანან ქონების იურიდიულ-ეკონომიკურ ცნებასთან და მას ემთხვევიან სრულად ან ნაწილობრივ: **ქონების ფუნქციონალური ცნება** აღწერს ქონებას როგორც პიროვნების განკარგვის ძალმოსილებას მისთვის დაქვემდებარებულ მოძრავ სიკეთეზე, რომლის მიხედვითაც სიკეთეები, რომელთაც აქვთ აბსტრაქტული ფულადი ღირებულება მიეკუთვნება სამართლებრივად დაცულ ქონებას. სხვე-

<sup>381</sup> Alwart H., Über die Hypertrophie eines Unikums (§265 a StGB), JZ 1986, S. 564-565.

<sup>382</sup> Heinrich B., ebenda, §20 Rn. 120c.

<sup>383</sup> Heinrich B., ebenda, §20 Rn. 92.

<sup>384</sup> Heinrich B., ebenda, §20 Rn. 93.

ბი უპირატესობას ანიჭებენ სამოქალაქოსამართლებრივად კონსტრუირებულ ბატონობის ცნებას როგორც ქონების ნორმატიულ-ეკონომიკური ცნების მოდელის საფუძველს, მაშინ, როცა ზოგი რეფორმირებულ იურიდიულ ცნებას უჭერს მხარს, რომელშიც ქონება ისეთი ქონებრივი საგნებია, რომელიც დაზარალებული პირის ნორმატიულ დაქვემდებარებაშია<sup>385</sup>.

**ობიექტურ-ეკონომიკური თეორიის** მიხედვით, ქონების ცნება დამოკიდებულია ხელშეკრულების თავისუფლებასთან და ფარგლებთან. შესრულებული ვალდებულების თანაბომიერება არ განისაზღვრება ობიექტური ღირებულებით, არამედ სახელშეკრულებო შეთანხმებით. სხვაგვარად რომ ითქვას, სახელშეკრულებო მოთხოვნა ქონებას განეკუთვნება. მისი ღირებულება განსაზღვრავს ქონების ღირებულებას. თუ ადგილი ექნება სხვა ვალდებულების შესრულებას შესასრულებელის ნაცვლად, სახეზე იქნება თაღლითობა<sup>386</sup>.

### **1.8.5. მოქმედება კანონით გასაკიცხი მიზნით**

საკითხავია, თაღლითობა მხოლოდ მაშინაა სახეზე, როცა საქმე ეხება მართლწესრიგით აღიარებულ ქონებრივ უფლებას თუ ქონება სრულად არის დაცული ეკონომიკური თვალსაზრისით. ეს კამათი განსაკუთრებით რელევანტურია ამორალური და კანონსაწინააღმდეგო ხელშეკრულებების დროს. აღნიშნული საკითხი დიდი ხანია საკამათოდ ითვლება პრაქტიკაში და ლიტერატურაში<sup>387</sup>. საკითხავია, ქილერი, რომელსაც 10 000 ევრო გადაუხადეს ადამიანის მოსაკლავად, დაისჯება თუ არა, როცა ის ფულს აიღებს, მაგრამ არაფერს გააკეთებს შეკვეთის განსახორციელებლად. იგივე ეხება შემკვეთს, რომელიც ქილერს მკვლელობის განხორციელებასთან დაკავშირებით

<sup>385</sup> Schramm E., S. 185, §7 Rn. 106.

<sup>386</sup> Heinrich B., ebenda, §20 Rn. 94.

<sup>387</sup> Heinrich B., ebenda, S. 169; Heinrich B., ebenda, §20 Rn. 115.

მისი „მოვალეობის“ შესრულებისთვის შეპირებულ თანხას არ გადაუხდის, რაც თავიდან ჰქონდა განზრახული. ქონების იურიდიული ცნების მიხედვით დასჯადობა გამოირიცხება, ვინაიდან სამართალს არ შეუძლია დაიცვას მართლსაწინააღმდეგო გარიგება. ხოლო ქონების ეკონომიკური ცნების მიხედვით, პირიქით, შესაძლებელია ფიქრი ქმედების დასჯადობაზე, ვინაიდან ქილერის მომსახურებასაც აქვს საბაზრო ფასი<sup>388</sup>.

*ი. აიზელე* ასევე საკამათოდ მიიჩნევს იმას, არის თუ არა სისხლისსამართლებრივად დაცული ფული და ნივთები, რომელთა გადაცემაც ხდება აკრძალული და ამორალური მიზნით. მაგალითად, როცა ფულის გადახდა ხდება ნარკოტიკული საშუალების დასაუფლებლად, მაგრამ გადახდილი ფულის სანაცვლოდ არ ხდება დაპირებული ნარკოტიკული საშუალების გადაცემა<sup>389</sup>. *აიზელეც* ამახვილებს ყურადღებას ქონების ეკონომიკურ ცნებაზე და აღნიშნული გაგებით გარკვეულ ზიანზე, ხოლო ქონების იურიდიულ-ეკონომიკური ცნების მიხედვით, განსახილველ შემთხვევაში, ზიანის არარსებობაზე. თუმცა, გასაზიარებლად მიიჩნევს აღნიშნული ქონების სისხლისსამართლებრივ დაცვას, ვინაიდან თანხის გადამხდელს გადახდილი თანხა მართლზომიერად ჰქონდა მოპოვებული<sup>390</sup>.

როდესაც ქილერი შემკვეთისგან მიიღებს შეკვეთას, 10.000 ევროდ ადამიანის მკვლელობასთან დაკავშირებით, შემკვეთი სრულად გადაუხდის შეპირებულ თანხას, ხოლო ქილერს არა აქვს განზრახული მკვლელობის განხორციელება, მაგრამ დაიტოვებს გადაცემულ თანხას, მკვლელობასთან დაკავშირებული შეთანხმების შესრულების გარეშე<sup>391</sup>, ტყუილის მთქმელი კანონის ან მორალის საწინააღმდეგო საქმიანობას

<sup>388</sup> *Fischer Th.*, Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 105. აღნიშნული შეხედულების შესახებ ასევე უდრ. *Heinrich B.*, ebenda, S. 169-170.

<sup>389</sup> *Eisele J.*, Strafrecht, ebenda, S. 218, Rn. 8. 608.

<sup>390</sup> *Eisele J.*, Strafrecht, ebenda, S. 219, Rn. 8. 609.

<sup>391</sup> აღნიშნული მაგალითი იხ. *Schramm E.*, S. 187, §7 Rn. 107.

არ ასრულებს. მოტყუებული კი პირიქით, თავის მოვალეობას ასრულებს (ფულის გადახდის სახით). მოტყუებულის ქონება კანონის და მორალის საწინააღმდეგო მიზნით არის დაბანდებული, რომლის გარეშეც ეს მიზანი ვერ მიიღწეოდა<sup>392</sup>.

ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის თაღლითობა. თაღლითობის შემადგენლობა გულისხმობს სხვისი დაცული ქონების წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებას. თუმცა, ეს არ არის სახეზე, როცა საქმე ეხება სამართლებრივად არანებადართული და ამორალური ქმედებისთვის ფულის გადახდას და მოტყუებას. გამოთქმული მოსაზრების თანახმად, თუ სისხლის სამართალმა დაიცვა ისეთი ფული, რომელიც გადახდილია სამართლებრივად არანებადართული და ამორალური ქმედებისთვის (მიზნებისთვის), საკითხის ასეთი გადაწყვეტა წინააღმდეგობაში მოვა ერთიანი მართლწესრიგის პრინციპთან, ვინაიდან სისხლის სამართალმა არ შეიძლება ეკონომიკურად სასარგებლო ქონებად გამოაცხადოს ის ქონება, რომლის რეალიზაცია სამართლის სხვა დარგის მიხედვით აკრძალული და გასაკიცხია. თუ სისხლის სამართალი დაიცავდა იმას, რაც სამართლის სხვა დარგით არ არის დაცული, მართლწესრიგის სხვა დარგის საწინააღმდეგოდ, ეს იქნებოდა სამართლის ანტინომია, რაც დაუშვებელია. ეს იქნებოდა ასევე სისხლის სამართლის განთავისუფლება სამოქალაქოსამართლებრივი აზროვნებისგან. თ. ლენკნერი მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის ამოცანა არის არა მხოლოდ ცალკეული სამართლებრივი სიკეთეების დაცვა, არამედ ასევე დაცვა სამართლებრივი უსაფრთხოებისა. თუ ქონების სამართლებრივ-ეკონომიური განსაზღვრებიდან ამოვალთ, სახეზე არ არის სისხლისსამართლისთვის რელევანტური ვალდებულებების დარღვევა, საერთო სამართლებრივი უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნა, როდესაც ადგილი აქვს იმ პირის მოტყუებას,

<sup>392</sup> Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Aufl., 2018, §263 Rn. 35.

რომელსაც სურდა კანონსაწინააღმდეგო და ამორალური მიზნის მიღწევა<sup>393</sup>. მართლწესრიგმა არ შეიძლება ასეთ შემთხვევებში შემკვეთის ნდობა დაცვის ღირსად გამოაცხადოს, ვინაიდან სამართლებრივი სიკეთის დასაცავად საჭიროა, რომ ასეთ დროს შემკვეთის იმედის გაცრეება არ ისჯებოდეს. ეს დასკვნა გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდანაც, რომლის თანახმად, ამორალური გარიგება არ შეიძლება ნამდვილად ჩაითვალოს<sup>394</sup>, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამორალური გარიგება არ არის დაცული სამოქალაქო სამართლით და ქონების იურიდიული ცნებით შეიძლება დაცულად არ ჩაითვალოს სისხლის სამართლითაც.

ქონების ეკონომიკური ცნების მიხედვით, ზიანის არსებობა შეიძლება დავუშვათ, ვინაიდან მსხვერპლი გასცემს თავის სიკეთეს<sup>395</sup>. ქონების იურიდიულ-ეკონომიური ცნების მომხრეთა უმრავლესობა მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ ფულადი ღირებულების სიკეთე არ კარგავს დაცვის ღირსი ქონების ხასიათს იმით, რომ მისი დაბანდება მოხდა არასამართლებრივი და ამორალური მიზნით, განსაკუთრებით აკრძალული მიზნის მისაღწევად. ფული არის სრულად კომერციალიზებული სიკეთე, რომელიც შესაძლოა გადახდილ იქნას მოტყუების მიზნით. გარდა ამისა, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როცა მყიდველი გასაკიცხი მიზნით მოქმედებს და იხდის ფულს. როგორც მიუთითებენ, მოთხოვნის სამოქალაქოსამართლებრივი შეუსაბამობა ფულის სისხლისსამართლებრივ დაცვას კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს<sup>396</sup>. როდესაც ფული გადახდი-

---

<sup>393</sup> *Lenckner Th.*, Zum Problem des Vermögensschadens (§§253, 263 StGB) beim Verlust nichtiger Forderungen, 1967, S. 107.

<sup>394</sup> ჭანტურია ლ., წიგნში: სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017, მუხლი 54, გვ. 312-323.

<sup>395</sup> *Lackner/Kühl*, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Aufl., 2018, §263 Rn. 35.

<sup>396</sup> *Saliger F.*, in: *Matt.Renzikowski*, Strafgesetzbuch, Kommentar, 2. Aufl., 2020, §263 Rn. 178; *Schramm E.*, S. 187, §7 Rn. 107.

ლია კანონსაწინააღმდეგო და ამორალური ქმედების მიზნით და შემკვეთი მოტყუების შედეგად იხდის ფულს აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მაგრამ შეკვეთა არ სრულდება, შემკვეთი ვერ მიიღებს ზიანის ანაზღაურებას, ვინაიდან სამოქალაქო სამართალი ასეთ ფულს არ იცავს, მაგრამ ქონების იურიდიულ-ეკონომიკური ცნების მომხრეები მიუთითებენ, რომ სამოქალაქო და სისხლის სამართლის მიხედვით საკითხის განსახვავებულად გადანყვეტა იქიდან გამომდინარეობს, რომ სამართლის ორივე დარგი ემსახურება სხვადასხვა ამოცანებს<sup>397</sup>.

გემოაღნიშნული შეხედულების მიხედვით, თაღლითობა ორივე შემთხვევაში განხორციელებულია, მაშინაც, როცა მოტყუებულის მოთხოვნა კანონს შეესაბამება და მაშინაც, როცა მოტყუებულის მოთხოვნა კანონთან მოდის წინააღმდეგობაში<sup>398</sup>. მოცემული მსჯელობიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს დამნაშავე, იმ კანონსაწინააღმდეგო ქმედებისთვის, რომლისთვისაც ფულს იხდის, და თაღლითობის მსხვერპლიც.

ლიტერატურაში განსახილველ საკითხზე არ არსებობს ერთიანი მოსაზრება და მიუთითებენ ქონების იურიდიულ-ეკონომიკური ცნების მომხრეთა ცალკეული შეხედულების უპირატესობაზე, რომლებიც აღნიშნულ შემთხვევაში ზიანს გამორიცხავენ<sup>399</sup>: ვინაიდან მყიდველმა იცის, რომ შეთანხმება არის კანონსაწინააღმდეგო და ამორალური, ის უშვებს, რომ თუ თავის ფულს უკან მოითხოვს, სახეზე არ არის გამდიდრების მოთხოვნა. აგრეთვე არ იქნებოდა მკაფიო, თუ სამართალდამრღვევის ნდობა მისი არალეგალური საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლით იქნებოდა აღიარებული და დაცული. სხვა შემთხვევაში – რო-

---

<sup>397</sup> KG NJW, 2001, s. 86.

<sup>398</sup> KG NJW, 2001, s. 87.

<sup>399</sup> *Fischer Th., Strafgesetzbuch*, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 108.



გორც გერმანიის უზენაესი სასამართლოს მართლმსაჯულებაში – სისხლის სამართლით იქნებოდა დაცული ტერორისტული გაერთიანებების ქონება, და ეს მაშინ, როცა ტერორისტულ დანაშაულთა დაფინანსება მსოფლიოში კანონგარეშედ არის გამოცხადებული<sup>400</sup>. არ არსებობს არანაირი სისხლისსამართლებრივი ინტერესი იმაში, რომ მოცემულ შემთხვევაში მოტყუებულმა თავისი ფული უკან მიიღოს<sup>401</sup>. აღნიშნული მსჯელობის შემდეგ შეიძლება მოკლე დასკვნის სახით ითქვას, რომ ამორალური და კანონსაწინააღმდეგო მიზნით გადახდილი ფულის მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლების კვალიფიკაციის საკითხი დიფერენცირებულად უნდა გადაწყდეს. თუ ცალკეულ შემთხვევებში ქმედება თაღლითობად შეიძლება დაკვალიფიცირდეს, ასეთი კვალიფიკაცია უნდა გამოირიცხოს მაშინ, როცა საქმე ეხება მკვლელობისთვის<sup>402</sup>, ტერორიზმისთვის გადახდილი თანხების მოტყუებით დაუფლებას. საკითხის სხვადასხვაგვარად გადაწყვეტა მიიღწევა ნორმატიული შეფასების შედეგად.

როდესაც მკვლელობის შემკვეთი პირს გადასცემს თანხას და ის შემკვეთს მოტყუებით ართმევს თანხას, მაშინ, როცა წინასწარვე აქვს გადაწყვეტილი, რომ მკვლელობას არ განახორციელებს, თანხის მოტყუებით მიმღები არ უნდა დაისაჯოს თაღლითობისთვის შეკვეთილი დანაშაულის ბუნების გათვალისწინებით, მაგრამ ჩნდება კითხვა, აღნიშნული თანხა უნდა ჩამოერთვას თუ არა და რა მექანიზმით? გარდა ამისა, თაღლითობისთვის დაუსჯელობა ნიშნავს თუ არა იმას, რომ იგი საერთოდ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან? ლიტე-

<sup>400</sup> *Jahn M.*, *Verbrechensverabredung und versuchter Betrug zum Nachteil des „IS“*, Jus 2018, S. 721.

<sup>401</sup> *Schramm E.*, S. 187, §7 Rn. 108.

<sup>402</sup> ანალოგიური პოზიცია ასევე იხ. *თოდუა ნ.*, ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის საკითხები, წიგნში: ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საიუბილეო კრებული 60, თბ., 2021, გვ. 37-38.

რატურაში გამოთქმული მოსაზრებით, აღნიშნულ პირს თანხა შეიძლება ჩამოერთვას სსკ-ის 52-ე მუხლის მიხედვით<sup>403</sup>. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ 52-ე მუხლი ითვალისწინებს სასჯელის სახეს ქონების ჩამორთმევის სახით და მისი, როგორც სასჯელის გამოყენება მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშია შესაძლებელი. რაც შეეხება ზოგადად, პასუხისმგებლობის საკითხს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სსკ-ში არსებობს დანაშაულის შეუტყობინებლობის შემადგენლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ პირი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს სამართალდამცავ ორგანოებს. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის.

#### **1.8.6. ამორალური და კანონსაწინააღმდეგო სამუშაოს შესრულების ადრესატის მიმართ არსებობს თუ არა მოვალეობის შესრულების ვალდებულება?**

დასმულ საკითხთან დაკავშირებით განსახილველ შემთხვევებს წარმოადგენს ქილერის და ნარკოტიკებით მოვაჭრის შემთხვევები, როცა მომტყუებელი არ ასრულებს გარკვეულ მოქმედებას, რომლის შესრულებასაც მოტყუებული მხარე მოელოდა. როცა ქილერი კლავს ადამიანს მაგრამ შემკვეთი ფულს არ იხდის ან ნარკოტიკების დილერს ნარკოტიკების მყიდველი ატყუებს და დაპირებულ ფულს არ უხდის. ზემოთ ანალოგიური შემთხვევები იქნა განხილული, ოღონდ შებრუნებული ვერსია. მოყვანილ შემთხვევებში ეკონომიკური თვალსაზრისით ზიანის გამონწვევა შეიძლება დადგინდეს<sup>404</sup>, ვინაიდან ნარკოტიკები ფული ღირს. გერმანიის უზენაესი სასამართლოს პოზიცია აღ-

---

<sup>403</sup> თოდუა ნ., ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის საკითხები, წიგნში: ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საიუბილეო კრებული 60, თბ., 2021, გვ. 38.

<sup>404</sup> Heger M., Betrug, in: JA 2002, S. 454-457.

ნიშნულზე არ მიიჩნევა თანმიმდევრულ და მყარ პოზიციად.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში იურიდიულ-ეკონომიკური ცნების გამოყენება საკამათოდ მიიჩნევა. აღნიშნულ შემთხვევაში გადახდის უფლების და მოთხოვნის არარსებობის გამო ზიანის არსებობა გამოირიცხება. როცა მართლწესრიგი საპირისპირო მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით სამოქალაქოსამართლებრივ მოვალეობას არ აყალიბებს, თაღლითობაც გამოირიცხება. მოტყუებული მოცემულ შემთხვევაში მოქმედებს პირადი პასუხისმგებლობით მაღალი რისკის პირობებში<sup>405</sup>.

არ შეიძლება სამართლებრივად დაცულად იქნას მიჩნეული ფული, რომლის გადახდასაც მოითხოვენ შეკვეთილი მკვლელობის განხორციელებისთვის ან ფული, რომლის გადახდასაც პირი ითხოვს ისეთი უკანონო და ამორალური ქმედებისთვის, როგორც არის ნარკოტიკების გასაღება.

### **1.8.7. არასამართლებრივი ქონება**

სამართლებრივი და არასამართლებრივი ქონება ქონებას განეკუთვნება, ვინაიდან მას სამენარმეო (ეკონომიკური) ღირებულება აქვს. ქონების ეკონომიკური ცნების მიხედვით ქონების ნებისმიერი ფორმა არის რელევანტური, მიუხედავად იმისა, ის სამართლებრივია თუ არა. ქონების იურიდიულ-ეკონომიკური ცნება მოიცავს შეხედულებებს, რომლებიც უარყოფენ ქონების ხარისხობრივ მდგომარეობას, შეხედულებებს, რომლებიც ახდენენ დიფერენცირებას, იმ შეხედულების ჩათვლით, რომელიც აღიარებს ქონების ნებისმიერ ფორმას. თუმცა, მეტად საკამათოდ მიიჩნევა არის თუ არა მოტყუებისგან დაცული არასამართლებრივი ქონება<sup>406</sup>.

<sup>405</sup> Schramm E., S. 188, §7 Rn. 111.

<sup>406</sup> Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Aufl., 2018, §263 Rn. 34.

### **1.8.8. ქონების ცნების მოცულობა**

ქონების ცნებასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, მოიცავს თუ არა იგი ქონების გამოყენების შესაძლებლობას და როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება, როცა ხდება არა ქონების განკარგვა, არამედ სხვისი ქონებით ფარულად სარგებლობა, მაგალითად სამსახურში დადგენილი მოვალეობის საწინააღმდეგოდ? როდესაც ადგილი აქვს სამსახურში უფროსის მოტყუების შედეგად სამსახურებრივი ქონებით (მაგალითად, ლაბორატორიით) სარგებლობას. გერმანულ სისხლის სამართალში იგი განიხილება თაღლითობის შემთხვევად (Nebentätigkeitsbetrug)<sup>407</sup>. მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის მისაკუთრების მიზანი. შესაბამისად, რამდენად შეიძლება ქმედება ქართული სსკ-ის 180-ე მუხლით დაკვალიფიცირდეს? ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 180-ე მუხლი იძლევა დასახელებულ შემთხვევაში ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის შესაძლებლობას, ვინაიდან 180-ე მუხლის დისპოზიციაში ერთმანეთისგან არის გამიჯნული მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლების და ქონებრივი უფლების მიღების შემთხვევები. მისაკუთრების მიზნის არსებობა, ვფიქრობ, სავალდებულო სახით არ ვრცელდება დისპოზიციაში აღწერილ ორივე ქმედებაზე. შეიძლება ადამიანმა მოტყუებით ქონებრივი უფლება მოიპოვოს მისაკუთრების მიზნითაც, მაგრამ ქონებრივი უფლების მიღება არ უნდა გავიგოთ როგორც უცილობლად მისაკუთრების მიზნით განხორციელებული ქმედება. ქონებრივი უფლების მიღებას აქვს ადგილი მაშინაც, როცა ადამიანი მოტყუებით იღებს შესაძლებლობას გამოიყენოს სხვისი ქონება.

---

<sup>407</sup> Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 91.

### **1.8.9. უფლებები**

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ქონებას ეკუთვნის ყველა სიკეთე და უფლება, მანამ სანამ მას აქვს სამენარმეო ღირებულება. ეს მოიცავს იმ შემთხვევებს, როცა ქონების გაზრდა სამართლებრივად რეალიზებადია. თუმცა, ამავდროულად მიუთითებენ, რომ თაღლითობისთვის დამახასიათებელი ბიანი უნდა გამოირიცხოს, როცა ადგილი აქვს ყალბი დოკუმენტის გამოყენებით განათლების მიღებას, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გზით მომავალში პროფესიული (საექიმო, საადვოკატო) საქმიანობის შედეგად შემოსავლის მიღების პოტენციალი არსებობს<sup>408</sup>.

### **1.8.10. სამუშაო ძალა**

ადამიანის შრომის გამომუშავებას, რომელსაც ჩვეულებრივ საფასური აქვს, ქონებად განიხილავენ. სხვაგვარად წყდება საკითხი მაშინ, როცა შრომა კანონსაწინააღმდეგოდ და ამორალურად არის განეული. ის ვინც განაცხადებს, რომ ქურდობაში მონაწილეობას მიიღებს, მაგრამ როგორც ეს სხვების მიერ თავიდან დაგეგმილი იყო, ნაქურდალის საკუთარ წილს ვერ მიიღებს, არ განიხილება თაღლითობის მსხვერპლად<sup>409</sup>. მას შემდეგ რაც გერმანიაში პროსტიტუციის შესახებ კანონით პროსტიტუციაში ჩართულ პირებს განეული სექსუალური შრომის ანაზღაურების უფლება მიენიჭათ თაღლითობის შემადგენლობით დაცულ სიკეთეში მოექცა პროსტიტუციაში (როგორცაა სქესობრივი ურთიერთობა, ტელეფონსექსი, პორნოინდუსტრიაში მონაწილეობა) ჩართულ პირთა შრომის გამომუშავება<sup>410</sup>. ვინაიდან ქართული კანონ-

<sup>408</sup> *Hefendel R.*, in: MüKo, 3. Aufl., §263 Rn. 415; *Schramm E.*, S. 189, §7 Rn. 114.

<sup>409</sup> *Schramm E.*, S. 190, §7 Rn. 116.

<sup>410</sup> *Fischer Th.*, Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 107; *Schramm E.*, S. 190, §7 Rn. 116.

მდებლობა პროსტიტუციის ლეგალიზებას ჯერჯერობით არ ახდენს, ასეთი შრომითი მომსახურება ვერ იქნება მიჩნეული ქართული სსკ-ის მიხედვით თაღლითობის შემადგენლობით დაცულ სიკეთედ.

აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ცალკეულ შემთხვევებში გარკვეული შრომითი საქმიანობის და მომსახურების შესრულების დროს მომსახურების მიმღები პირის მიერ მოტყუება ფულადი სახსრების დაზოგვის მიზნით ან ამ მიზნის გარეშე (მაგალითად, ტაქსის მძღოლის მოტყუება), ქართული კანონმდებლობით განიხილება არა თაღლითობად, არამედ მოტყუებით ქონებრივ დაზიანებად (სსკ-ის 185-ე მუხლი).

### **1.8.11. სისხლისსამართლებრივი სანქციები**

ვინაიდან ზოგიერთი სისხლისსამართლებრივი სანქცია ფულად გადასახადთან არის დაკავშირებული, რომლის გადახდაც სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ხდება, რომელიც სახელმწიფო ქონებას განეკუთვნება, ჩნდება კითხვა, არის თუ არა დაცული თაღლითობის შემადგენლობით ჯარიმის ან გირაოს გადახდა. აღნიშნულ კითხვაზე პრაქტიკასა და ლიტერატურაში უარყოფითი პასუხია გაცემული<sup>411</sup>.

ლიტერატურაში გამოთქმული თვალთახედვით, აღნიშნულ შემთხვევაში თაღლითობის შემადგენლობა გამოირიცხება იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო სანქციებს კავშირი არ აქვს ეკონომიკურ, სამეწარმეო მიზნებთან<sup>412</sup>, რაც შეიძლება საკამათო იყოს. სასჯელის გამოყენება პირველ რიგში ემსახურება ისეთ მიზნებს, როგორცაა სამართლიანობის აღდგენა, დანაშაულის პრევენცია, დამნაშავის რესოციალიზაცია. თუმცა, სახელმწიფოს მიერ ქონებრივი სანქციების გამოყენება

<sup>411</sup> Schramm E., S. 190-191, §7 Rn. 118.

<sup>412</sup> Heinrich B., in: Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, §20 Rn. 120e.

არ შეიძლება მხოლოდ სასჯელის მიზნების მიღწევის ჭრილში იქნას გაანალიზებული. ქონებრივი სანქციები თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს, რაც იმას გულისხმობს, რომ ის როგორც თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელი მაშინ გამოიყენება, როცა უფრო მკაცრი სასჯელის გამოყენების აუცილებლობა არ არსებობს, მაგრამ მეორე მხრივ, ქონებრივი სანქციის გამოყენება არ არის მოკლებული ეკონომიკურ მიზნებს, ვინაიდან აღნიშნული სასჯელის გამოყენება სახელმწიფოს უფრო იაფი უჯდება, არ უწევს პატიმრის რჩენა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსების შემთხვევის მსგავსად და რაც ასევე მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ბიუჯეტში შედის გარკვეული შემოსავალი. შესაბამისად, ქონებრივი სანქციის გადაუხდელობისას ქმედების თაღლითობის მუხლით კვალიფიკაციის გამოორიციხვა არ შეიძლება დავასაბუთოთ აღნიშნული სასჯელების გამოყენების არაეკონომიკური, არასამეწარმეო ინტერესებით. ქონებრივი სანქციების გამოყენება პირველ რიგში ემსახურება დამნაშავის რესოციალიზაციას, სამართლიანობის აღდგენას, თუმცა, ის არ გამოორიციხავს ეკონომიკური ინტერესების არსებობას. ამაში მდგომარეობს სასჯელის ეკონომიურობის ანუ მომჭირნობით გამოყენების პრინციპიც.

მიუხედავად იმისა, რომ ქონებრივი ხასიათის სანქციის გამოყენება ეკონომიკურ მიზნებსაც არ არის მოკლებული, გირაოს ან ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს დასახელებული პროცესუალური თუ მატერიალურსისხლისსამართლებრივი ღონისძიების, სანქციის შეცვლას უფრო მკაცრი სანქციით და არა პასუხისმგებლობას თაღლითობისთვის, ვინაიდან აღნიშნულ შემთხვევაში სახეზე არ არის თაღლითობის შემადგენლობისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

### **1.8.12. ზიანის დაანგარიშება**

იმ შეხედულების მიხედვით, რომელიც ქონებრივ ზიანს თაღლითობის შემადგენლობის ნიშნად განიხილავს, ქონებრივი ზიანის დასაანგარიშებლად მხედველობაში მიიღება ქონებრივი მდგომარეობა განკარგვამდე და განკარგვის შემდეგ. მხედველობაში მიიღება წაგებისა და უპირატესობის მთლიანი სურათი, რომელიც უშუალოდ ქონების განკარგვამ გამოიწვია<sup>413</sup>. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ქართული სსკ-ის მიხედვით საკამათოა, რამდენად შეიძლება ქონებრივი ზიანი განვიხილოთ თაღლითობის შემადგენლობის ნიშნად, მაგრამ ამის მიუხედავად მნიშვნელობას არ კარგავს ზიანის დაანგარიშების პრინციპის განსაზღვრა, ვინაიდან ძირითადი შემადგენლობისგან განსხვავებით, კანონმდებელი მაკვალიფიცირებელ გარემოებებზე ითვალისწინებს ზიანის გამომწვევას, ხოლო სსკ-ის მე-7-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით სახეზე უნდა იყოს ისეთი ზიანი ან ზიანის საფრთხე, რომელიც აუცილებელს ხდის მოქმედი პირისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას, რასთან დაკავშირებითაც მხედველობაში მიიღება სწორედ იმ ქონების თუ ნივთის ღირებულება, რომელსაც ბოროტმოქმედი დაეუფლა.

#### **მე-2 მაგალითი:**

„ა“ ეწევა საფეიქრო მრეწველობას. ის გაზეთში გააკეთებს განაცხადს რომ ყიდის სუფთა შალისგან დამზადებულ საქონელს (შარვლებს) იაფად. სინამდვილეში საქონელი სხვა ფაქტურისგან არის დამზადებული. „კ“, როგორც საქონელმცოდნე, ამას მიხვდება. ის საქონელს მიიღებს ჩვეულებრივ (ნორმალურ) ფასად. ჩნდება კითხვა, მოატყუა თუ არა „ა“-მ „კ“. და არის თუ არა განხორციელებული თაღლითობის მცდელობა?<sup>414</sup>

<sup>413</sup> Schramm E., S. 191, §7 Rn. 120.

<sup>414</sup> Schramm E., S. 191, §7 Rn. 122.



ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებლად მიიჩნევა დასახელებული საქონლის საბაზრო ღირებულება კონკრეტულ დროს და კონკრეტულ ადგილას, სადაც ფულის გადახდა ხდება. ქონებრივი დანაკარგის შეფასება ხდება ფულადი გამოხატულების სახით<sup>415</sup>. სუბიექტური შეფასება, თუ რამდენად დაზარალებულად გრძნობს თავს მოტყუებული ნაკლებ გასათვალისწინებლად მიიჩნევა. თუ მანქანის მყიდველი მანქანას ყიდულობს იმ წარმოდგენით, რომ ეს არის პორშეს ბოლო მოდელი, მაგრამ აღმოჩნდება პორშეს სხვა მოდელი, თუმცა გადახდილი ფასი ნაყიდი მანქანის საბაზრო ღირებულებას შეესაბამება, ქონებრივი ზიანი გამოირიცხება, თუმცა, მყიდველი შეიძლება საკუთარ თავს ძალიან დაზარალებულად მიიჩნევდეს. ქონების განკარგვით გამონვეული ქონების შემცირება და ქონებრივი ზიანი გამოირიცხება თუ მოხდა მისი კომპენსირება მასთან დაკავშირებული ქონების გაზრდით<sup>416</sup>.

ზემოაღნიშნულ შარვლის ყიდვის შემთხვევაში, ვინაიდან მყიდველი გამოიცნობს რომ ატყუებენ, საკითხავი არის მხოლოდ ის, ხომ არ არის სახეზე თაღლითობის მცდელობა. ქონებრივი ზიანი ვერ დასაბუთდება იმით, რომ ნაყიდი ნივთი არ არის იმ სახის (შემადგენლობის), რომელზეც გამყიდველი სინამდვილესთან შეუსაბამოდ მიუთითებდა. ვინაიდან ნაყიდ შარვალს საბაზრო ღირებულება გააჩნია, რომელიც შეესაბამება იმას, რაც მყიდველის მიერ იქნა გადახდილი, ზიანი გამოირიცხება და სახეზეა მყიდველის განკარგვის თავისუფლების დარღვევა, რომელიც დაცულია სამოქალაქო სამართლით და არა სისხლის სამართლით. შესაბამისად, გერმანიის უზენაესმა სასამართლომ უარყო მოცემულ შემთხვევაში თაღ-

---

<sup>415</sup> *Satzger H.*, in: *Satzger/Schluckebier/Widmaier, Strafgesetzbuch, Kommentar*, 5. Aufl., 2021, §263 Rn. 209.

<sup>416</sup> *Schramm E.*, S. 191, §7 Rn. 122.

ლითობის მცდელობა<sup>417</sup>. თუმცა, ლიტერატურაში არსებული სხვა მოსაზრების მიხედვით, აღნიშნულ შემთხვევაში შესაძლებელია საუბარი თაღლითობაზე, განკარგვის თავისუფლების დარღვევის გათვალისწინებით. განხილული კაზუსის მიხედვით ქმედების ქართული სსკ-ის 180-ე მუხლით კვალიფიკაცია შეიძლება სადავო იყოს 219-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობიდან გამომდინარე (ნორმათა კონკურენცია).

თაღლითობის დროს ქონებრივი ზიანის დაანგარიშებასთან დაკავშირებით საყურადღებოა კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებული თაღლითობა. აღნიშნულ შემთხვევაში ქონებრივი ზიანის დაანგარიშება ხდება ჯამური ოდენობით<sup>418</sup>. მაგალითად, როდესაც ადამიანს სურს უძრავი ქონების (ბინის) შეძენა და სისტემატიურად შეაქვს თანხა ნაწილ-ნაწილ. ხოლო ბოლოს მოტყუებული აღმოჩნდება, ვინაიდან საინვესტიციო კომპანია მოქალაქეებს დაპირებას არ შეუსრულებს. ასეთ დროს თაღლითობით გამონვეული ზიანი უნდა იქნას დაანგარიშებული არა თითოეული შენატანის ოდენობის განცალკევებით შეფასებით, არამედ ჯამური დაანგარიშებით. აღნიშნულ შემთხვევაში სახეზეა არა თაღლითობის სიმრავლე (დანაშაულთა ერთობლიობა), არამედ ერთიანი დანაშაული განგრძობითი ფორმით.

განსახილველ შემთხვევაში როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, თუ საინვესტიციო კომპანია, მართალია, ერთი მხრივ, არ მოქმედებდა გამიზნულად იმისთვის, რომ მოქალაქეები დაეზარალებინა, მაგრამ უშვებდა იმას, რომ შეიძლება ვერ განეხორციელებინა მოქალაქეებისთვის მიცემული დაპირება და ასეც მოხდა? უნდა გამოვრიცხოთ თუ არა თაღლითობა იმის გამო, რომ საინვესტიციო კომპანიის ხელმძღვანელობამ მოქალაქეები გამიზნულად კი არ მოატყუა, არამედ მხოლოდ დაუშვა ამის შესაძლებლობა? საკითხის გადაწყვეტა დამოკი-

<sup>417</sup> Schramm E., S. 192, §7 Rn. 123.

<sup>418</sup> Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 125-127.

დებულება იმაზე, მოვითხოვთ თუ არა პირდაპირი განზრახვით მოქმედებას. თუ არაპირდაპირ განზრახვას საკმარის სუბიექტურ წინაპირობად ვაღიარებთ, მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელი გახდება ქმედების კვალიფიკაცია თაღლითობად. აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის მიზეზებიც, თუ რატომ ვერ შეძლო საინვესტიციო კომპანიამ მოქალაქეებისთვის მიცემული დაპირების შესრულება. მაგალითად, ხომ არ იყო ეს გამონკვეული ისეთი ფაქტორებით (საფინანსო კრიზისთან დაკავშირებით), რის განჭვრეტასაც წინასწარ ვერ შეძლებდა.

### **1.8.13. ინდივიდუალური (პერსონალური) დანაკარგი**

თაღლითობის განხორციელება გარდა ეკონომიკურისა, უკავშირდება ინდივიდუალურ დანაკარგებსაც. ქონების იურიდიულ-ეკონომიკური ცნება ითვალისწინებს ქონების პერსონალური ცნების კომპონენტებს. მართალია, გერმანიის მართლმსაჯულება ზიანის განსაზღვრებისას უპირატესად ეკონომიკურ კრიტერიუმებს ეყრდნობა, თუმცა მეორე მხრივ, თაღლითობას განკარგვის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულადაც განიხილავენ<sup>419</sup>.

### **1.8.14. ობიექტურად უსარგებლო წარმადობა<sup>420</sup>**

განხილვის საგანს წარმოადგენს შემთხვევა, როცა შეთავაზებული საქონელი მოტყუებულისთვის ობიექტურად უსარგებლოა ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიზნებს სრულად არ შეესაბამება და მისი სხვაგვარად გამოყენებაც შეუძლებელია. ამ მხრივ საყურადღებოა საწველი მანქანის შემთხვევა:

<sup>419</sup> Schramm E., S. 193, §7 Rn. 128.

<sup>420</sup> objektiv unnütze Leistung

### **მე-3 მაგალითი:**

ერთმა გლეხმა ბ-მ ფირმისგან შეიძინა საწველი მანქანა, რომელიც სპეციალურ ფასად იყო შემოთავაზებული, თუმცა, რომლის ღირებულებაც საბაზრო ღირებულებას შეესაბამებოდა. ამ მანქანით გლეხს შეეძლო მხოლოდ სამი ძროხის მოწველა და არა ათივესი, რომელსაც ფლობდა.

განსახილველ შემთხვევასთან დაკავშირებით გერმანიის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა თაღლითობის შემთხვევა, ვინაიდან სახეზე იყო ზიანი იმ თვალსაზრისით, რომ საწველი მანქანის შემძენს არ შეეძლო თავისი ათივე ძროხის მოწველა<sup>421</sup>.

### **1.8.15. ქონებისთვის საფრთხის შექმნა**

#### **მე-4 მაგალითი:**

მართვის უფლებით მ-მ მანქანა იქირავა ს-გან. მ-მ გადაუხადა ქირა ს-ს. საღამოს მან მანქანა დაუზიანებლად უკან დააბრუნა. მოგვიანებით დადგინდა, რომ მ-ს საერთოდ არ ჰქონდა მართვის უფლება. ს-მ მ-ს უჩივლა თაღლითობისთვის<sup>422</sup>.

ქონებრივი ზიანი შეიძლება გამომდინარეობდეს ქონებისთვის საფრთხის შექმნიდან. ზიანის კატეგორიები მაშინ არის მოქმედებაში, როცა სანივთო სამართლებრივი ხელშეკრულება დაიდება, მაგრამ მოგვიანებით არ განხორციელდება.<sup>423</sup>

ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში მ. მიწის სასამართლომ თაღლითობისთვის გაასამართლა. ვინაიდან არსებობდა იმის რისკი, რომ საფრთხის შემცველი მოძრაობის საფუძველზე მომხდარიყო უბედური შემთხვევა და მანქანის გამქირავებელი მიეცათ პასუხისგებაში, სამოქალაქო სამართლებრივად

<sup>421</sup> Schramm E., S. 193, §7 Rn. 129.

<sup>422</sup> Schramm E., S. 194, §7 Rn. 133.

<sup>423</sup> Saliger F., in: Matt.Renzikowski, Strafgesetzbuch, Kommentar, 2. Aufl., 2020, §263 Rn. 222; Schramm E., S. 194, §7 Rn. 134.

დაკისრებოდა ზიანის ანაზღაურება, გარდა ამისა, შეიძლება დამდგარიყო პასუხისმგებლობის საკითხი სხვისი სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისთვის. უზენაესმა სასამართლომ კი მიწის სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა, ვინაიდან ქონების დაზიანების საფრთხე ძალიან აბსტრაქტული იყო<sup>424</sup>. მოცემულ შემთხვევაში ქმედება თაღლითობის მუხლით ვერც ქართული სსკ-ის მიხედვით დაკვალიფიცირდებოდა, ვინაიდან ადგილი არ ჰქონია სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

ქონებრივი ზიანის არსებობას გერმანულ სისხლის სამართალში უშვებენ არა მხოლოდ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის, არამედ ასევე კონკრეტული საფრთხის შექმნის დროსაც, რაც ქონებრივი მდგომარეობის გაუარესებას გულისხმობს. საკმარისი არ არის ქონებრივი ზიანის უბრალო საფრთხე. ასეთი საფრთხის არსებობა გულისხმობს ქონებრივი დანაკარგის ალბათობას შეცდომაში შეყვანის შედეგად განპირობებული განკარგვით<sup>425</sup>. ქონების დაზიანებასთან გათანაბრებული ქონებისთვის საფრთხის შექმნა ამავდროულად საკამათოდ მიიჩნევა, ვინაიდან ქონებისთვის საფრთხის შექმნა ქონების დაზიანებად წარმოგვიდგება, რითაც ობიექტური შემადგენლობა ხორციელდება. ეს გამოხატავს იმ თვალსაზრისს, რომ ქონების დაზიანება მაშინაც არის სახეზე, როცა ქონების ნაწილი ქონებიდან არ არის გამოყოფილი<sup>426</sup>.

### **მე-5 მაგალითი:**

ა. და ბ. ცდილობენ დაზღვევის ხელშეკრულების დადებას, რომლის შედეგადაც ა-ს და ბ-ს შეღავათი უნდა მიეღოთ. ცოტა ხნის შემდეგ სურდათ უბედური შემთხვევის შედეგად ა-ს ეგ-

<sup>424</sup> Schramm E., S. 195, §7 Rn. 135.

<sup>425</sup> Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 159.

<sup>426</sup> Schramm E., S. 195, §7 Rn. 136.

ვიპტეში გარდაცვალების შესახებ მოეტყუებინათ, ამგვარად ბ. დაზღვევის თანხას ჯამში 4.325.958 ევროს მიღებაზე პრეტენზიას განაცხადებდა და აქედან ნაწილს ტერორისტული ჯგუფის ალქაიდას შეიარაღებულ ბრძოლას მოახმარდა. ა. და ბ. მოექცნენ პოლიციის დაკვირვების ქვეშ. აგრეთვე საცხოვრებელი სახლის აკუსტიკური ზედამხედველობის ქვეშ. დაზღვევის ახალი ხელშეკრულება დაიდო. 19 შემთხვევაში განაცხადი იქნა უარყოფილი. ე. შრამი სვამს კითხვას, არის თუ არა ა-ს და ბ-ს თაღლითობისთვის დასჯის საფუძველი?

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო ქონებისთვის საფრთხის შექმნის ცნებასთან დაკავშირებით მსჯელობს და პოზიციას ამუსტებს: საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციითაც, თაღლითობის დროს ქონების ზიანი მაშინაც არის სახეზე, როცა ქონებას კონკრეტული საფრთხე აქვს შექმნილი. ზიანის თანაბარი ქონებისთვის საფრთხის დაშვება კონსტიტუციურად დასაშვებია და არ ეწინააღმდეგება განსაზღვრულობის კონსტიტუციურ პრინციპს<sup>427</sup>.

გერმანიის უზენაესი სასამართლოს თვალსაზრისითაც, ქონებრივი ზიანი არა მხოლოდ რეალურად დამდგარ ზიანს, არამედ ასევე ქონებისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნასაც მოიცავს. ქონებისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნის დასჯადობის კრიტერიუმად კი მიიჩნევა ქონების დაზიანების ახლოს მყოფი საფრთხის არსებობა<sup>428</sup>.

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში (ალქაიდას შემთხვევა) გერმანიის უზენაესმა სასამართლომ თაღლითობის შემთხვევა დაადგინა, ვინაიდან განზრახული იყო დაზღვევის თანხის გამოყენება უბედური შემთხვევის გამოგონებით. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილების შეუსაბამობა გერმანიის კონსტიტუციასთან,

<sup>427</sup> BVerfG NJW 2012, 916.

<sup>428</sup> BGHSt 48, 357-358.

იმ თვალსაზრისით, რომ ქონებრივი ზიანი და მისი ოდენობა უნდა ყოფილიყო ციფრობრივად განსაზღვრული და ეკონომიკურად დადგენადი. გარდა ამისა, ლიტერატურაში უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების კრიტიკის თვალსაზრისით იმასაც მიუთითებენ, რომ აღნიშნული პირები იყვნენ პოლიციის მკაცრი კონტროლის ქვეშ, ამასთან, ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებაც არ იყო სახეზე<sup>429</sup>. სადაზღვეო კომპანიისგან მოტყუებით, ხელშეკრულების დადების გზით, თანხის გამოძალვა თაღლითობის კლასიკურ შემთხვევას შეიძლება მიეკუთვნოს, მაგრამ თაღლითობის მუხლით ქმედების კვალიფიკაციისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ ხელშეკრულების დადება სადაზღვეო კომპანიასთან. აუცილებელია მოხდეს თანხის დაუფლება. თანხის დაუფლებამდე შესაძლებელია საუბარი მხოლოდ დაუშთავრებელი დანაშაულის სტადიაზე.

### **1.8.16. თაღლითობის სხვა შემთხვევები**

#### **1.8.16.1. შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებული თაღლითობა**

შეთანხმებასთან დაკავშირებული თაღლითობის დროს შეთანხმების დამდები თავის პარტნიორს, ვისთანაც შეთანხმებას დებს, შეთანხმების დროს ატყუებს, რის შედეგადაც მოტყუებული პირი ეკონომიკურ ზიანს განიცდის დანაკლისის სახით<sup>430</sup>. ეს არის ის შემთხვევა, როდესაც ის, რაზეც შეთანხმება შედგა ნაკლებ ღირებულია ან არის შესაბამისი თვისებების არმქონე შეთანხმების დამდების მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების სურვილის არქონის ან შეთანხმების შესრულების

<sup>429</sup> Schramm E., S. 196, §7 Rn. 140.

<sup>430</sup> Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 176.

უუნარობის გამო<sup>431</sup>. ასეთ დროს ქონებრივი ზიანის დასადგენად ხდება შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შედარება. განსახილველ შემთხვევას განიხილავენ ქონებრივი ზიანის გამონწვევის საფრთხის შექმნის ქვესახედ<sup>432</sup>.

შეთანხმებასთან დაკავშირებული თაღლითობის შემთხვევად განიხილავენ კრედიტის მიღებასთან დაკავშირებულ თაღლითობას, როცა შეთანხმების დადებისას არ არსებობს გადახდის სურვილი ან შესაძლებლობა, როცა შეთანხმების პარტნიორი გადახდისუუნაროა: მაგალითად, როდესაც ვინმე კრედიტის მიღების დროს დუმს და მალავს, რომ დიდი ალბათობით კრედიტის უკან დაბრუნება არ შეუძლია, ვინაიდან მისი ფინანსური მდგომარეობა ისეთი იქნება, რომ ვერ შეძლებს ნაკისრი ფინანსური ვალდებულების შესრულებას<sup>433</sup>. თუმცა, იმისთვის, რომ ასეთი შემთხვევა ქართული კანონმდებლობით თაღლითობად დაკვალიფიცირდეს, გასათვალისწინებელია ცალკეული მომენტები. მაგალითად, მოტყუება მოხდა კერძო პირის თუ ბანკის წარმომადგენლის ან მოტყუების დროს ხომ არ მოხდა ბანკთან მიმართებით ყალბი მონაცემების გამოყენება, ვინაიდან ქართული სსკ-ში არის მოცემული 208-ე მუხლი, რომლითაც ისჯება ყალბი კრედიტის მიღება. თუ ხდება კერძო პირისგან ფულის სესხად აღება, მიუხედავად იმისა, რომ მსესხებელი აღნიშნული თანხის დაბრუნებას ვერ შეძლებდა ან არ სურდა თანხის დაბრუნება, ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითაც თაღლითობად დაკვალიფიცირდება.

გერმანულ სამართალში შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებულ თაღლითობად (მცდელობად) განიხილავენ ასევე შემთხვევას, როცა ხდება საჭმელ-სასმელის შეკვეთა გა-

---

<sup>431</sup> Perron W., in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 30. Aufl., 2019, §263 Rn. 128.

<sup>432</sup> Schramm E., S. 197, §7 Rn. 143.

<sup>433</sup> Schramm E., S. 197, §7 Rn. 144.



დახდის სურვილის ან უნარის არქონის მიუხედავად<sup>434</sup>. თუმცა, ქართული კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდება არა თაღლითობად, არამედ 185-ე მუხლით (ქონებრივი დაზიანება მოტყუებით).

თაღლითობის (მცდელობა) შემთხვევად განიხილავენ ასევე შემთხვევას, როცა იუველირ ბ-ს გადახდისუუნარობის ან გადახდის სურვილის არქონის მიუხედავად ა. უკვეთავს სხვადასხვა სახის ძვირფასეულობას, რის შემდეგაც იუველირი იღებს სესხს სამკაულებით მოვაჭრე გ-სგან საქონლის შესაძენად, ხოლო გადახდისუუნარო ან გადახდის სურვილის არქონე შემკვეთი ა. უარს ამბობს შეკვეთილი საქონლის მიღებაზე, რის მიზეზადაც ასახელებს სხვადასხვა მიზეზს<sup>435</sup>. მოცემულ შემთხვევაში ქმედების თაღლითობის მცდელობად კვალიფიკაციის საფუძვლად გერმანიის უზენაესი სასამართლოს მიერ მიიჩნევა ის, რომ იუველირი შეთანხმების თანახმად ვალდებული იყო ძვირფასეულობა (სამკაული) შემკვეთისთვის გადაეცა მას შემდეგ, რაც ის შესაბამის თანხას გადაიხდიდა. თუმცა, ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ასეთ დროს ქონების დაზიანების თანაბარი საფრთხე ჯერ კიდევ არ არსებობს. თაღლითობის მცდელობად ქმედების კვალიფიკაციას მაშინ განიხილავენ დასაშვებად, თუ შემკვეთი მიიჩნევდა, რომ ის იუველირისგან შეკვეთილ სამკაულს ფულის გადახდის გარეშე მიიღებდა, რისთვისაც ფაქტობრივად შესაბამისი საფუძველი არ არსებობდა<sup>436</sup>. აღნიშნული მოსაზრება გასაზიარებელია, ვინაიდან თუ მოტყუება ქონების დაუფლებისკენ ან ქონებრივი უფლების მიღებისკენ არ არის მიმართული, ქმედების თაღლითობის მუხლით კვალიფიკაციის საფუძველი არ არსებობს.

თაღლითობას განხორციელებულად, ხოლო ქონებრივი

<sup>434</sup> Schramm E., S. 197, §7 Rn. 144.

<sup>435</sup> Schramm E., S. 196, §7 Rn. 141.

<sup>436</sup> Schramm E., S. 198, §7 Rn. 146.

ზიანს გამოწვეულად მიიჩნევენ ასევე მაშინ, როცა საქმე ეხება სავაჭრო საქმიანობის დროს ნაკისრი ვალდებულების ისეთ შეუსრულებლობას, რომელიც გულისხმობს მოტყუებას ხელშეკრულების დასრულების სტადიაზე: მაგალითად, როცა შეთანხმების მონაწილე, შემკვეთი იხდის ნაკლებს, ვიდრე უნდა გადაეხადა, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. მოცემულ შემთხვევაში ხდება ერთმანეთთან ფაქტობრივად განხორციელებულის შედარება იმასთან, რაც მოთხოვნით იყო გათვალისწინებული<sup>437</sup>.

ხელშეკრულების დადების შედეგად მოტყუების და თაღლითობის მაგალითად ასევე განიხილება შემთხვევა, როცა ხელშეკრულების დადება და დადებული ხელშეკრულების შედეგად თანხის გადახდა ხდება ა/მანქანების შესყიდვის მიზნით და ის ვინც შეკვეთას იღებს შემკვეთ პირებს ატყუებს, რომ საზღვარგარეთიდან იაფად ჩამოიყვანს ა/მანქანებს, მაგრამ თანხის აღების შემდეგ მიიმალება, ხოლო გამოკვლევით დადგინდება, რომ საზღვარგარეთ ა/მანქანები ბევრად უფრო ძვირი ღირდა იმ თანხასთან შედარებით, რომელიც ა/მანქანების შესასყიდად იქნა გადახდილი<sup>438</sup>.

## **1.8.16.2. გასესხების და გაყიდვის შემთხვევა**

### **მე-5 მაგალითი:**

ა. მოტყუებით, ფაქტობრივად, უკან დაბრუნების ნამდვილი მიზნის გარეშე, გამქირავებლისგან სატვირთო მანქანას იქირავებს. ის მესამე პირისგან მიიღებს გაყალბებულ საბუთს, რომლის გამოყენებითაც ნაქირავებ მანქანას მიჰყიდის კ-ს. ა. და თავისი ცოლი კ-ს მოატყუებენ, რომ არიან მანქანის მესაკუთრეები და ფინანსურად კარგ პირობებში ცხოვრობენ. კ-მ

<sup>437</sup> Schramm E., S. 198, §7 Rn. 147.

<sup>438</sup> თოდუა ნ., ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის საკითხები, წიგნში: ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრისი, საიუბილეო კრებული 60, თბ., 2021, გვ. 44.

გადაიხადა საფასური. როგორ შეიძლება მოცემულ შემთხვევაში ა-ს ცოლის ქმედება დავაკვალიფიციროთ?

მოცემულ შემთხვევაში ის არის საყურადღებო, რომ მოტყუებული პირი მანქანას ყიდულობს სხვა პირისგან, რომელიც სინამდვილეში არ არის ნივთის მესაკუთრე. ჯერ კიდევ საიმპერიო სასამართლომ გამოთქვა მოსაზრება, რომ რადგან საგანი ნაკლის მქონეა (bemakelt), ამგვარი სიტუაციაში ქონებრივი ზიანი სახეგა. აღნიშნულიდან გამომდინარე საქმე ეხება თაღლითობას<sup>439</sup>.

### **1.8.16.3. თაღლითობა სამსახურში მიღების დროს**

თაღლითობისთვის დამახასიათებელ ქონებისთვის საფრთხის შექმნის სახით ზიანის არსებობის დასაბუთების შესაძლებლობაზე მიუთითებენ იმ შემთხვევებში, როცა საქმე ეხება სამსახურში მიღების დროს თაღლითობას. სამსახურში მიღებასთან დაკავშირებულ თაღლითობას განიხილავენ შეთანხმების დადების დროს თაღლითობის ქვეშემთხვევად. გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ასეთ შემთხვევას ადგილი აქვს მაშინ, როცა სამსახურში მიღების მსურველს არ აქვს შესაბამისი საჭირო პროფესიული კვალიფიკაცია<sup>440</sup>, როგორცაა ექიმის აპრობაცია, სამეცნიერო ხარისხის არქონა, როცა განმცხადებელი პრეტენზიას პროფესიონალობაზე აცხადებს<sup>441</sup>.

სამსახურში მიღებასთან დაკავშირებული თაღლითობის შემთხვევებიდან გამოყოფენ სამეცნიერო სფეროში თაღლითობას, როცა სამსახურში ადამიანი მიღებულია იმ პუბლიკაციების საფუძველზე, რომელიც პლაგიატს წარმოადგენს ან

<sup>439</sup> Schramm E., S. 199, §7 Rn. 150.

<sup>440</sup> BGHSt 1, 13.

<sup>441</sup> Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 152.

არის მანიპულირებული<sup>442</sup>. არსებობს მეცნიერების და განათლების ისეთი სფეროები, სადაც სამეცნიერო ნაშრომებს, მათ ხარისხს თუ რაოდენობას გასათვალისწინებელი მნიშვნელობა აქვს სამსახურში მიღებისთვის. მაგალითად, მეცნიერებათა აკადემია, კვლევითი ინსტიტუტი. თუ ხდება სამსახურში მიღება იმ ნაშრომების საფუძველზე, რომელიც პლაგიატს წარმოადგენს ან არის მანიპულირებული, ქმედება თაღლითობად მაშინ დაკვალიფიცირდება, თუ მოქმედების მიზანს ქონებრივი სიკეთის მიღება წარმოადგენდა. თუ ადამიანი იმიტომ აქვეყნებდა ასეთ ნაშრომებს, რომ მხოლოდ სახელის მოხვეჭა სურდა, რომ წარმოდგენილი ყოფილიყო საზოგადოებაში, როგორც სამეცნიერო ნაშრომების ავტორი და მოგვიანებით იქნა მის მიმართ გადაწყვეტილება მიღებული კონკრეტულ თანამდებობაზე არჩევასთან დაკავშირებით, უნდა გამოირიცხოს ქმედების კვალიფიკაცია თაღლითობის მუხლით, შესაბამისი სუბიექტური ნიშნის არარსებობის გამო. გასათვალისწინებელია ის გარემოება, თუ რამდენად აცნობიერებდა მისი ქმედების არაკეთილსინდისიერებას მოქმედი პირი, რამდენად მოქმედებდა იმის შეგნებით, რომ ნაშრომები, რომელსაც აქვეყნებდა, არ შეესაბამებოდა მეცნიერული კეთილსინდისიერების პრინციპებს.

სამსახურში მიღებასთან დაკავშირებულ თაღლითობას ადგილი აქვს მაშინ, როცა სამსახურში ხდება ადამიანის მიღება, რომელსაც პროფესიული მოვალეობის შესრულება არ შეუძლია<sup>443</sup>.

განსახილველ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საჯარო სამსახურში. აღნიშნულთან დაკავშირებით განმცხადებლები იტყუებიან ისეთ გარემოებებზე, რომლებიც სამსახურში მიღების დროს აუცილებლად წარმოსადგენია და შესაბამისად, რომელთან დაკავშირებით განმცხადებელს არ

<sup>442</sup> Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 154.

<sup>443</sup> Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 152.

ჰქონდა უფლება ტყუილი ეთქვა, ვინაიდან სამსახურში მიღების დროს დასახელებულ გარემოებებთან დაკავშირებით მოფიქრებისა და ანონ-დანონვის თავისუფლება ნულამდეა დაყვანილი. გერმანული სასამართლო პრაქტიკაც იმიტომ აღიარებს ქონებრივი ზიანის არსებობას განსახილველ შემთხვევაში, რომ სამსახურში მიღების დროს აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით სამსახურში მიმღების მხრიდან შეფასების ფარგლები ნულს უტოლდება და შესაბამისი მონაცემების არარსებობა სამსახურში მიღებას გამორიცხავს<sup>444</sup>.

ადრე გერმანული სასამართლო პრაქტიკა ეყრდნობოდა „მორალური ლაქას თეორიას“ და სამსახურში მიღების დროს ქონებრივი ზიანის არსებობას უშვებდა მაშინ, როცა განმცხადებელს ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ასაკით არ შესწევს ძალა შესაბამისი მოვალეობის შესასრულებლად. თუმცა, გერმანული სასამართლო პრაქტიკა ბოლო პერიოდში ასეთ მორალურ კრიტერიუმებზე დაყრდნობილი შეფასებისგან თავს იკავებს. სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, პრობლემატურად მიიჩნევა ქონებრივი ზიანის დაშვება საჯარო სამსახურში პერსონალური სანდოობის ქვეშ, რომელიც ამავედროულად სამუშაოში მიღების წინაპირობას წარმოადგენს: გაბატონებული შეხედულების მიხედვით, პერსონალური სანდოობა მოხელის მიერ შეთანხმებული მოვალეობის ეკონომიკური ღირებულების გასაზომად ობიექტურ ფაქტორს უნდა წარმოადგენდეს. თუმცა, იმის გამო, რომ აქ ქონებრივი ზიანის ციფრობრივი განსაზღვრა შეუძლებელია, კონსტიტუციური თვალსაზრისით, ლიტერატურაში ქონებრივი ზიანის უარყოფაზე მიუთითებენ<sup>445</sup>.

სამსახურში თაღლითობასთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი შემთხვევა:

---

<sup>444</sup> BGHSt 45, 1; NStZ 1998, 506.

<sup>445</sup> Rengier R., Strafrecht, BT I, 22. Aufl., 2020, §263 Rn. 229.

## მე-6 მაგალითი:

ტ. იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის არაოფიციალური თანამშრომელი. გერმანიის გაერთიანების შემდეგ მან განაცხადი გააკეთა ბერლინის პოლიციაში მუშაობის დასაწყებად. პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით მან არ განაცხადა რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მუშაობდა. ის თავის სამუშაოს შესანიშნავად ასრულებდა. თუმცა, ინფორმაციამ გაჟონა, რომ ის ადრე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მუშაობდა.

ჩნდება კითხვა, განახორციელა თუ არა მან თაღლითობა? გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ზემოთ მოყვანილ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი თანამშრომლის შემთხვევასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ თაღლითობას მაშინ ექნებოდა ადგილი, თუ საჯარო სამსახურში მიღების მსურველის სამსახურში მიღების დროს თავის ადრინდელ საქმიანობასთან დაკავშირებული მოტყუებით გამოირიცხებოდა მისი პერსონალური თვისება (პერსონალურ პატიოსნება) გამიზნული სამსახურისთვის. ასეთ დროს სამსახურში მიმღებს ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით ექნებოდა უფლება უარი ეთქვა სამსახურში მიღებაზე. აღსანიშნავია, რომ გამოთქმული მოსაზრებით ღირსებაზე დამოკიდებული კრიტერიუმები ეკონომიკურად არ არის გაზომვადი. გარდა ამისა, აქცენტი კეთდება სამართლებრივ სიკეთეზე. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ავტორები მიუთითებენ, თუ მოხდა ქონებრივი ზიანის დადგენა დასაქმების მსურველის პერსონალური მონაცემების მიხედვით, ადგილი ექნება ზიანთან დაკავშირებული მოძღვრების რადიკალიზაციას და ზიანის დაუშვებელ ფიქციას<sup>446</sup>.

<sup>446</sup> *Saliger F.*, in: *Matt.Renzikowski, Strafgesetzbuch, Kommentar*, 2. Aufl., 2020, §263 Rn. 255.

კერძოსამართლებრივ შრომით ურთიერთობებში თაღლითობისთვის დამახასიათებელი ქონებრივი ზიანის გამოსაწვევად გერმანულ სისხლის სამართალში საკმარისად არ მიიჩნევა მოტყუება პროფესიულ გამოცდილებასთან დაკავშირებით. წინანასამართლობასთან დაკავშირებით მოტყუებისას ქონებრივი ზიანის გამოწვევას შესაძლებლად თვლიან მაშინ, როდესაც ნასამართლობა უკავშირდება იმ საქმიანობას, რომლის შესრულებაც მოუწევს (მითვისება ბულალტურული საქმიანობის დროს, გაუპატიურება აღმზრდელითი საქმიანობის დროს) და აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება რეპუტაციულ ზიანს მიაყენებს დამსაქმებელს<sup>447</sup>, რასაც ექნება ასევე მნიშვნელობა ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

ნასამართლობასთან დაკავშირებით იმის გათვალისწინებაც უნდა მოხდეს, თუ რომელ სამსახურში ხდება პირის მიღება და წინა ნასამართლობა რამდენად მიიჩნევა კონკრეტულ სამსახურში პირის მიღებისთვის ხელშემშლელ გარემოებად, არის თუ არა აკრძალვა კანონმდებლობით გათვალისწინებული, ვინაიდან წარსული ნასამართლობის გამო ზოგადად, სამსახურში მიღების აკრძალვა, სამსახურის სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე, წინააღმდეგობაში მოვიდოდა ისეთ მნიშვნელოვან პრინციპთან, როგორცაა რესოციალიზაცია და რომელსაც აქვს კონსტიტუციური რანგი. არ შეიძლება წარსული ნასამართლობა პიროვნების დასაქმებისთვის ხელშემშლელ, დამაბრკოლებელ გარემოებად განიხილებოდეს სამსახურის სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე.

---

<sup>447</sup> Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 154.

#### **1.8.16.4. თაღლითობა სუბსიდიასთან, ფინანსურ დახმარებასთან დაკავშირებით**

თაღლითობის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს სუბსიდიასთან დაკავშირებული თაღლითობა (Subventionsbetrug), რომელთან დაკავშირებითაც გერმანულ სსკ-ში, ქართულისგან განსხვავებით, სპეციალური შემადგენლობა არსებობს (264-ე პარაგრაფი). თუმცა, გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, შეიძლება თაღლითობის აღნიშნულ შემთხვევაში ქმედება ხორციელდებოდეს განსაზღვრული ეკონომიკური, სოციალური ან პოლიტიკური მიზნით<sup>448</sup>.

სუბსიდიასთან დაკავშირებული თაღლითობის შემთხვევად ქართული სსკ-ის მიხედვით შეიძლება განხილულ იქნას შემთხვევა, როცა პირი ყალბი დოკუმენტების გამოყენებით სახელმწიფოსგან იღებს ფულად დახმარებას. მაგალითად, ოჯახის წევრად გაფორმებული ყავს ადამიანი, რომელიც მისი ოჯახის წევრი არ არის და რომლის შედეგადაც სახელმწიფოსგან ერთი ადამიანის დახმარების თანხა დამატებით ერიცხება. არ აქვს მნიშვნელობა იმას, დახმარებას სახელმწიფოსგან მოტყუების შედეგად ერთჯერადად მიიღებს თუ მრავალჯერადად. აღნიშნულს მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს თაღლითობის მაკვალიფიცირებელ გარემოებასთან დაკავშირებით.

თაღლითობის ანალოგიურ მაგალითად ასევე შეიძლება განხილულ იქნას შემთხვევა, როცა სახელმწიფო ადამიანთა გარკვეული წრის წარმომადგენლებს (დევნოლები, ეკონომიკურად გაჭირვებული პირები, სოციალურად დაუცველები) გადასცემს ბინას უსასყიდლოდ, ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით და ყალბი დოკუმენტის გამოყენებით სახელმწიფოსგან იღებს ბინას, რომელიც არ ეკუთვნოდა (ვინაიდან აღნიშნულ პირთა წრეს არ განეკუთვნებოდა) ან იმაზე უფრო

<sup>448</sup> Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 140.



დიდი მოცულობის ბინას, რაც ეკუთვნოდა ოჯახის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით. აღნიშნულ შემთხვევაში შესაძლებელია საუბარი სახელმწიფოსთან მიმართებით ეკონომიკური დანახარჯის გაზრდაზე და ბოროტმოქმედის მიერ ეკონომიკური, ქონებრივი სარგებლის მიღებაზე. თაღლითობის მუხლით ქმედების კვალიფიკაციისთვის არ აქვს მნიშვნელობა იმას, ბოროტმოქმედს საერთოდ არ ეკუთვნოდა მიღებული ქონებრივი სიკეთე თუ მან შეძლო ქონებრივი სიკეთის გაზრდილი ოდენობით მიღება. აღნიშნული გარემოება მხოლოდ ქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრის თვალსაზრისით იქნება გასათვალისწინებელი.

როდესაც ზემოაღნიშნული ქმედების განხორციელებისას, საქმის გარემოებები უცნობია გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის, თაღლითობის ამსრულებელი იქნება ის, ვინც ქონებრივი სიკეთე მიიღო და ისიც, ვისი გადაწყვეტილებითაც იქნა ქონება გაცემული. მაშინ როცა გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის აღნიშნული გარემოებები ცნობილია, თუმცა სახელმწიფოს საზიანო გადაწყვეტილებას მაინც იღებს, პასუხისმგებლობა ქონების მიმღებთან ერთად გადაწყვეტილების მიმღებ პირსაც დაეკისრება. ხოლო მსხვერპლის როლში წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო.

### **1.9. ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნებს შორის კავშირი**

თაღლითობასთან დაკავშირებით ლიტერატურაში მიუთითებენ მიზეზობრივი კავშირის დადგენაზე ქმედების ობიექტური შემადგენლობის ისეთ ნიშნებს შორის, როგორიცაა: მოტყუება, შეცდენა და ქონების განკარგვა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოტყუებასა და შეცდენას შორის მიზეზობრიობას. თუ შეცდომის დამშვები ქონებას მოტყუების გარეშე განკარგავდა, გამოირიცხება მიზეზობრივი კავშირი.

მიზეზობრიობისთვის საკმარისად მიიჩნევა მოტყუების შედეგად ქონების განკარგვის გამონწვევა<sup>449</sup>. თუ ქონებრივი ზიანის გამონწვევას საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მიხედვითაც ჩავთვლით ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნად, საჭირო იქნება მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქონებრივი ზიანის გამონწვევასთანაც. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ქონებრივ ზიანზე, როგორც შედეგზე ქართული სსკ-ის 180-ე მუხლის დისპოზიცია (ძირითადი შემადგენლობა) არ მიუთითებს. თვით გერმანულ სისხლის სამართალშიც ქონებრივი ზიანი არის განუყოფლად დაკავშირებული ქონების განკარგვასთან. მაგრამ საკამათო შეიძლება იყოს, ქონების განკარგვა თუ რამდენად გულისხმობს შედეგს მატერიალური გაგებით. მაშინ როცა სსკ-ის მე-180 მუხლის მიხედვით ქონებრივი ზიანის გამონწვევასთან მიზეზობრივი კავშირის დადგენის საჭიროება არ არსებობს, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირი დადგინდეს მოტყუებას, შეცდომაში შეყვანასა და ქონების განკარგვას შორის.

## 2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.

### 1.1. განზრახვა

თაღლითობა განზრახი დანაშაულია. ბოროტმოქმედს განზრახვა უნდა ჰქონდეს ქმედების ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშანთან დაკავშირებით. წარმოდგენელია თაღლითობა გაუფრთხილებლობით. ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებს ქმედების შემადგენლობა, სადაც მიზნით დეტერმინირებული ქმედებაა გათვალისწინებული. თუმცა, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, მოქმედ პირს მიზანი უნდა ჰქონდეს ქმედების შემადგენლობის ცალკეულ ნიშნებთან დაკავშირებით, როგორცაა მიზეზობრიობის ფაქტორები, მსხვერპლის

<sup>449</sup> Tiedemann K., in: LK, 11. Aufl., §263 Rn. 93.

ქონების შემცირება და ქონების განკარგვა<sup>450</sup>. გერმანული სასამართლო პრაქტიკა ასევე მიუთითებს მიზანზე მხოლოდ შინაგან ფაქტორებთან მიმართებით მოტყუების თვალსაზრისით (მაგალითად, გადახდის შინაგანი მზაობა).

თუ გავითვალისწინებთ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას მიზნით დეტერმინირებულ დელიქტებზე<sup>451</sup>, აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, თაღლითობა პირდაპირი განზრახვით შეიძლება განხორციელდეს<sup>452</sup>. ამავე მოსაზრებას იზიარებს ქართული მართლმსაჯულება<sup>453</sup>, რომელიც თაღლითობის დროს პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვით მოქმედებაზე მიუთითებს<sup>454</sup>. მოცემული შეხედულების მიხედვით, თაღლითობის დროს არ რჩება ადგილი არაპირდაპირი განზრახვისთვის.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, თაღლითობის განხორციელება არაპირდაპირი განზრახვითაც შეიძლება<sup>455</sup>, თუმცა, ამავდროულად

<sup>450</sup> *Hefendel R.*, in: MüKo, 3. Aufl., §263 Rn. 868.

<sup>451</sup> *უგრეხელიძე მ.*, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 20-21.

<sup>452</sup> *ლეკვეიშვილი მ.*, *თოდუა ნ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 512; *კვარაცხელია რ.*, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიკაცია, თბ., 2015, გვ. 213. ამავე მოსაზრებას ვხვდებით რუსულ სისხლის სამართლის ლიტერატურაშიც. იხ. Комментарий к уголовному кодексу Российской Федерации, Под ред. *Радченко В.И., Михлина А.С.*, Санкт-Петербург, 2008, с. 285.

<sup>453</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება, #112აპ-17, სუსგ, 2017, #7-9, გვ. 98; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 18 დეკემბრის განაჩენი, #332აპ-15, სუსგ, 2015, #9-12, გვ. 156.

<sup>454</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება, #110აპ-19, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე, 2019, #7-9, გვ. 96.

<sup>455</sup> *Hefendel R.*, in: MüKo, 3. Aufl., §263 Rn. 868; *Eisele J.*, Strafrecht, BT II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Aufl., Stuttgart 2019, S. 228, Rn. 634; *Schramm E.*, Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 203, §7 Rn. 164; *Fischer Th.*, Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 195.

არასაკმარისად მიიჩნევა ცოდნა მხოლოდ „პოტენციურ საფრთხის შექმნაზე“<sup>456</sup>. აღნიშნულთან დაკავშირებით მოჰყავთ ისეთი შემთხვევა, სადაც მოტყუება უკავშირდება შეთანხმების შესრულებას და შეთანხმების მონაწილე უშვებს იმას, რომ ქონებრივი ზიანის საფრთხე შეიძლება ზიანში არ გადაიზარდოს, ვინაიდან მისი ფინანსური მდგომარეობა შეიძლება გაუმჯობესდეს. ასეთ დროს განზრახვის არსებობისთვის საკმარისად მიიჩნევა ბოროტმოქმედის მიერ იმის გაცნობიერება, რომ სესხის (კრედიტის)<sup>457</sup> უკან დაბრუნებასთან და გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებით საფრთხე არსებობს, თუმცა იმედოვნებს, რომ ყველაფერი შეიძლება კარგად დასრულდეს. ის, ვინც სხვის კაპიტალთან დაკავშირებით თვალთმაქცობას გამოიჩენს, მიუხედავად იმისა, რომ ითვალისწინებს სრული დანაკარგის გამონწვევის ფაქტობრივ შესაძლებლობას, მოტყუების შედეგად მოტყუებულის ფინანსებისთვის საფრთხის შექმნას ურიგდება<sup>458</sup>.

არაპირდაპირი განზრახვით თაღლითობის განხორციელების შესაძლებლობასთან დაკავშირებული მოსაზრების გაზიარებისას პოტენციური საფრთხის შექმნის გაცნობიერება იმიტომ ვერ ჩაითვლება საკმარისად, რომ არაპირდაპირი განზრახვის დროს მოქმედი პირის ცოდნით, წარმოდგენით, უნდა არსებობდეს რეალური საფრთხის შექმნის განზრახვა. გერმანული სასამართლო პრაქტიკა კონკრეტული საფრთხის შექმნას მოითხოვს არაპირდაპირი განზრახვის დასადგენად. ხოლო საფრთხესთან დაკავშირებულ ცოდნას განიხილავს შედეგისადმი შეგუების ინდიციას<sup>459</sup>. თუმცა, უფრო სწორი იქნება,

<sup>456</sup> *Fischer Th., Strafgesetzbuch*, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 181.

<sup>457</sup> მოცემულ შემთხვევაში მხედველობაში არ არის უკანონო კრედიტის (208-ე მუხ.) შემთხვევა, ვინაიდან იგი დამოუკიდებელ შემადგენლობას წარმოადგენს.

<sup>458</sup> *Schramm E.*, S. 203, §7 Rn. 165.

<sup>459</sup> *Fischer Th., Strafgesetzbuch*, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 183.

თუ არაპირდაპირი განზრახვის წინაპირობად განვიხილავთ კონკრეტული საფრთხის შექმნის გაცნობიერებას და არა ასეთი საფრთხის რეალურად არსებობას.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, როდესაც საბოლოო შედეგად განიხილება კონკრეტული საფრთხე და საფრთხის შექმნა და საბოლოო შედეგი ხარისხობრივი თვალსაზრისით ერთიდაიგივეა, რეალური საფრთხის არსებობის პოზიტიური გაცნობიერება იქნებოდა არა იმდენად არაპირდაპირი, არამედ პირდაპირი განზრახვა<sup>460</sup>, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ არაპირდაპირი და პირდაპირი განზრახვის გასამიჯნად მხოლოდ კოგნიტური მომენტის გათვალისწინება საკმარისი არ არის და აუცილებელია ნებელობითი მომენტის დადგენაც, რაც ასევე ქართული სსკ-ის მე-9 მუხლიდან გამომდინარეობს. გარდა ამისა, რეალური საფრთხის გაცნობიერებით პირი შეიძლება მოქმედებდეს არაპირდაპირი განზრახვის დროსაც.

თუ პირი მოქმედებს იმ იმედით, რომ თავისი ქმედებით საფრთხეს უქმნის მესაკუთრის ქონებას, მაგრამ შეიძლება შეძლოს სესხის უკან დაბრუნება, რამდენად შეიძლება ქმედება ჩაითვალოს სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით განხორციელებულად?

განსახილველი საკითხი საყურადღებოა იპოთეკასთან დაკავშირებულ თაღლითობასთან და საინვესტიციო კომპანიის მიერ განხორციელებულ თაღლითობასთან მიმართებით, როცა პირი ერთი მხრივ, მოქმედებს იმ მიზნით, რომ გადაახდილი თანხები მიისაკუთროს, ხოლო მეორე მხრივ უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ მისი მოქმედებით ადამიანებმა შეიძლება იზარალონ. არაპირდაპირი განზრახვით თაღლითობასთან დაკავშირებული მოსაზრების გაზიარებისას მისაკუთრების მიზნის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი გამოვლინდება, არა იმაში,

<sup>460</sup> Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 183.

რომ მოქმედ პირს სურდა მიღებული თანხების მისაკუთრება, არამედ იმაში, რომ ის უშვებდა მესაკუთრეთა დაზარალების შესაძლებლობას მის მიერ განხორციელებული ქმედებით. საკითხის ასეთი გადაწყვეტის მართებულობა შეიძლება დასაბუთდეს იმით, რომ იმატა ასეთმა შემთხვევებმა, რომელსაც მრავალი დაზარალებული ყავს. შესაბამისად, თუ განსახილველ შემთხვევებში ქმედება არ დაკვალიფიცირდა თაღლითობად იმის გამო, რომ მოქმედი პირი მესაკუთრეთა დაზარალებასთან დაკავშირებით არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებდა, გამოირიცხება სისხლისსამართლებრივი სანქციის გამოყენების შესაძლებლობა და მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი სანქციის გამოყენება იქნება შესაძლებელი, რაც შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს თანამედროვე ეპოქაში გავრცელებულ აღნიშნულ შემთხვევათა ეფექტური პრევენციისთვის.

ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, თაღლითობისას ბოროტმოქმედი უნდა თვლიდეს, რომ თავისთვის ან მესამე პირისთვის მატერიალურ ქონებრივ სიკეთეს მოიპოვებს. მთავარი მიზანი უნდა იყოს მისაკუთრება ანუ გამდიდრება. თუ თავისთვის არ სურს ნივთი ან ქონებრივი უფლება, რომლის მიღებაც აქვს განზრახული, საკმარისია თავისი ახლო ნათესავის (ცოლის) ან ფირმის გამდიდრება სურდეს<sup>461</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ თაღლითობის შემადგენლობის სუბიექტურ ნიშნად გამდიდრების მიზანს განიხილავენ მისაკუთრების მიზნის პარალელურად, ასევე მიუთითებენ, რომ არ არის სავალდებულო გამდიდრება წარმოადგენდეს საბოლოო მიზანს ან მოტივს<sup>462</sup>, რაც უფრო მართებულად შეიძლება მივიჩნიოთ.

გამდიდრების მიზანი არ არის თაღლითობის ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული. კანონმდებელი მასზე,

<sup>461</sup> Heinrich B., ebenda, S. 171.

<sup>462</sup> Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 190.

როგორც ქმედების შემადგენლობის აუცილებელ სუბიექტურ ნიშანზე (როგორც ქართულ, ისე გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში) არ უთითებს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი შეიძლება განვიხილოთ თაღლითობის დროს როგორც შესაძლო და არა როგორც სავალდებულო სუბიექტური ნიშანი. მისაკუთრების მიზანი გამდიდრების მიზანს არ გამოორიცხავს, მაგრამ არც სავალდებულო სახით გულისხმობს. მისაკუთრების მიზანი გულისხმობს ნივთის საკუთარი ბატონობის სფეროში მოქცევას და მისი განკარგვის მიზანს. მაგრამ განკარგვა არ მოითხოვს ნივთის გამოყენებას გამდიდრებისთვის.

ბოროტმოქმედს არ გააჩნია ქონების დაუფლების სამოქალაქოსამართლებრივი უფლება. თუ პირი შეცდენილია, რომ ასეთი უფლება არსებობს, სახეზეა შეცდომა ქმედების შემადგენლობასთან დაკავშირებით. გამიზნული ქონებრივი სიკეთე, უნდა წარმოადგენდეს დამდგარი ქონებრივი ზიანის ზუსტ გამობატულებას. დამნაშავეს უნდა სურდეს ჰქონდეს იმაზე მეტი, ვიდრე აქვს. თაღლითობის დროს საქმე ეხება დელიქტს, რომლითაც ხდება ქონების „ამოქაჩვა“<sup>463</sup>.

თაღლითობის განსახორციელებლად აუცილებელი არ არის ის, რომ დამნაშავეს ნივთი, რომლის მისაკუთრებაც გამიზნული აქვს, თავისთვის უნდოდეს. მოტყუებით სხვისი ნივთის დაუფლების შემდგომ, დაუფლებული ნივთი ბოროტმოქმედმა შეიძლება სხვას გადასცეს, რაც არ გამოორიცხავს თაღლითობის შემადგენლობას. მისაკუთრება არ უნდა გავიგოთ ისე, რომ მოქმედ პირს დაუფლებული ნივთი საბოლოოდ მაინცდამაინც თავისთვის უნდა.

მიუხედავად იმისა, რომ თაღლითობა სხვისი ქონების შემცირებასთან დაკავშირებულ დელიქტს წარმოადგენს, თაღლითობის დასრულებული ფორმით განსახორციელებლად აუცილებელი არ არის, რომ დამნაშავემ რეალურად შეძლოს

<sup>463</sup> Heinrich B., ebenda, S. 171.

გამდიდრება ანუ დაუფლებული ქონების მიერთება საკუთარი ფონდებისთვის. თუმცა, გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისით, დამნაშავე სუბიექტურად სულ მცირე მიზნად უნდა ისახავდეს იმას, რომ არამართლზომიერად მიისაკუთროს სხვისი ქონება (ანუ გამდიდრდეს)<sup>464</sup>, რაც საკამათოა იმის გამო, რომ თაღლითობა შესაძლებელია შურისძიების მოტივითაც. გარდა ამისა, გამდიდრების მიზანი გამოირიცხება მაშინ, როცა ბოროტმოქმედი სხვის ნივთს ან ქონებრივ უფლებას თაღლითურად ეუფლება იმისთვის, რომ იგი შემდგომ სხვას გადასცეს.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თაღლითობისას გამიზნული მისაკუთრების ობიექტური მართლწინააღმდეგობა უნდა დადგინდეს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ფარგლებში, ვინაიდან ის კავშირშია მისაკუთრების მიზანთან. თუ მოქმედ პირს ქონების მიმართ აქვს სამოქალაქოსამართლებრივი ან საჯაროსამართლებრივი უფლება, თაღლითობის დასჯადობა გამოირიცხება<sup>465</sup>. გამდიდრება უნდა იყოს ასევე მართლწინააღმდეგო<sup>466</sup>. აღნიშნული მოსაზრება საკამათოდ შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან წარმოდგენილი მსჯელობა ფაქტობრივად, ქმედების მართლწინააღმდეგობას წარმოგვიდგენს ქმედების შემადგენლობის ნიშნად. რეალურად კი, თაღლითობის შემადგენლობის ნიშანია არა ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედების მართლწინააღმდეგობა, არამედ მიზნის მართლწინააღმდეგობა. ხოლო მიზნის მართლწინააღმდეგობაზე მითითება სულაც არ ნიშნავს ქმედების ობიექტურ მართლწინააღმდეგობას, რაც ერთი შეხედვით პარადოქსულად შეიძლება გამოიყურებოდეს.

<sup>464</sup> Schramm E., Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 161, §7 Rn. 6.

<sup>465</sup> Schramm E., S. 206, §7 Rn. 180.

<sup>466</sup> Heinrich B., ebenda, S. 171.



თუ სახეზე არ არის თაღლითობის სუბიექტური შემადგენლობის ნიშნები, გამოირიცხება ქმედების კვალიფიკაცია სსკ-ის 180-ე მუხლით, ვინაიდან მხოლოდ ობიექტური ნიშნების არსებობა არ არის საკმარისი. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკიდან შეიძლება შემდეგი შემთხვევა მოვიხმოთ:

ერთ-ერთი ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის „გ“-ს ორგანიზებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და „გ“-ს დეიდაშვილს – „დ“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ქონების ურთიერთგაცვლის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით გადაეცა „დ“-ს. აღნიშნული ურთიერთგაცვლელი ქონება, მათ გაცვლამდე ექსპერტ „ტ“-ს დახმარებით, კერძოდ, „გ“-სა და „დ“-თან შეთანხმებით, შეფასდა თითოეული 128 000 ლარად. გამოძიების მიერ ჩატარებული ექსპერტიზით დადგინდა, რომ გაცვლის მომენტში სახელმწიფო მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების რეალური ღირებულება შეადგენდა 982420 ლარს, ხოლო „დ“-ს კუთვნილი მიწის ნაკვეთის ღირებულება 102742 ლარს, ხსენებული ქმედებით სახელმწიფოს მიადგა 879678 ლარის დიდი ოდენობით ზიანი. თუმცა, საკასაციო სასამართლომ აღნიშნული პირები გაამართლა და ქმედება არ დააკვალიფიცირა თაღლითობად იმ არგუმენტებზე დაყრდნობით, რომ ვერ დადგინდა აღნიშნულ პირთა განზრახვა ქონების მოტყუებით დაუფლებასთან დაკავშირებით. ვერ დადგინდა, რომ „ტ“-მ „გ“-თან და „დ“-თან შეთანხმებით, ურთიერთგადასაცემი ქონება განზრახ შეაფასა არარეალურ ფასად – 128 000 ლარად, შემდგომში სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების მიზნით<sup>467</sup>.

<sup>467</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება, #5აპ-18, სუსგ, 2018, #7-9, გვ. 153-160.

## 1.2. მიზანი

ვინაიდან თაღლითობა მიზნით დაფუძნებული დელიქტია, მიზანს თაღლითობის მუხლით ქმედების კვალიფიკაციისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ეს არის სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი<sup>468</sup>.

მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოქმედება გულისხმობს არა მხოლოდ საკუთარი, არამედ ასევე სხვისი, მესამე პირის მიერ ქონებრივი სარგებლის მიღების მიზნით მოქმედებას<sup>469</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ თაღლითობის შემადგენლობის განხორციელებას გერმანულ სისხლის სამართალში არაპირდაპირი განზრახვითაც არ გამორიცხავენ, მეორე მხრივ, მისაკუთრების მიზანთან დაკავშირებით უთითებენ, რომ აღნიშნული მოქმედება მოითხოვს პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვით მოქმედებას და არ არის საკმარისი არაპირდაპირი განზრახვა. აუცილებელი არ არის, რომ გამიზნული შედეგი იყოს დამდგარი, მაგრამ გერმანული სსკ-ის მიხედვით, ქონებრივი ზიანის გამოწვევა მომეტებული შინაგანი ტენდენციით განხორციელებული ქმედებით, ქმედების შემადგენლობის აუცილებელ ნიშნად განიხილება. ვინაიდან დამნაშავის მიზანი სცდება ობიექტური შემადგენლობით გათვალისწინებულ შედეგს საქმე ეხება შედეგზე ორიენტირებულ დანაშაულს (erfolgskupiertes Delikt)<sup>470</sup>. თუმცა, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ქართული სსკ-ის 180-ე მუხლის დისპოზიციამში არ არის მითითება ქონებრივი ზიანის დადგომაზე, როგორც ობიექტური შემადგენლობის ფარგლებში დასადგენ შედეგზე. ქმედების

<sup>468</sup> აღნიშნულ საკითხზე იხ. 179-ე მუხლის კომენტარი.

<sup>469</sup> *Rengier R.*, Strafrecht, BT I, 22. Aufl., 2020, §263 Rn. 237.

<sup>470</sup> *Schramm E.*, Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 204, §7 Rn. 166; *Lackner/Kühl*, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Aufl., 2014, §263 Rn. 2.

შემადგენლობა ითვალისწინებს მხოლოდ გამიზვნას მართლ-საწინააღმდეგო მისაკუთრებაზე ან ქონებრივი უფლების მიღებას, მაგრამ ქმედების შემადგენლობის განსახორციელებლად არ არის აუცილებელი აღნიშნული მიზნის მიღწევა.

თაღლითობის დროს გამიზნული ქონებრივი სიკეთე, რომლის მისაკუთრებაც აქვს დამნაშავეს გამიზნული, დაზარალებულს ეკუთვნის, საქმე ეხება დამნაშავეს მიერ დაზარალებულის ქონებიდან ქონებრივი სიკეთის ამოქაჩვას. ქონებრივი სიკეთე, რომლის მისაკუთრებაც დამნაშავეს აქვს გამიზნული, არის ქონებრივი ზიანის ძირითადი მხარე, ის ზიანის შესაბამისია. თუმცა აღნიშნული საკითხი პრობლემატურად მიიჩნევა მრავალპიროვნულ ურთიერთობაში<sup>471</sup>.

მაშინ როცა სხვისი ქონების მისაკუთრებასთან და მისაკუთრების მიზანთან დაკავშირებით პირდაპირი განზრახვით მოქმედების აუცილებლობაზე მიუთითებენ, მისაკუთრების მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებით უშვებენ არაპირდაპირი განზრახვის შესაძლებლობას და აღნიშნავენ, რომ დამნაშავე გამიზნული მისაკუთრების მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებით სულ მცირე არაპირდაპირი განზრახვით უნდა მოქმედებდეს. თუ მოქმედი პირი ფიქრობს, რომ მას აქვს უფლება იმის მიმართ, რაზეც მისი უფლება არ ვრცელდება, განზრახვა გამოირიცხება. შეცდომა შეიძლება დაშვებული იყოს როგორც საქმის ფაქტობრივ მდგომარეობასთან, ისე სამართლებრივ მხარესთან დაკავშირებით. თუმცა გადამწყვეტად და არსებითი მნიშვნელობის მქონედ არ მიიჩნევა ის, თუ რომელი შეცდომა იქნება დაშვებული<sup>472</sup>.

თუკი მოქმედ პირს არა აქვს შეცნობილი, რომ მას აქვს სამართლებრივი უფლება გარკვეული ქონებრივი სიკეთის მიმართ, მაგრამ უშვებს შეცდომას და ამას ვერ აღიქვამს, ქონებ-

<sup>471</sup> Schramm E., S. 205, §7 Rn. 170.

<sup>472</sup> Schramm E., S. 207, §7 Rn. 182.

რივი ზიანის მიყენების განზრახვა და მისაკუთრების მიზანი არ გამოირიცხება, რის გამოც ავტორთა ერთი ნაწილის თვალსაზრისით, სახეზეა მხოლოდ (უვარგისი) მცდელობა, მაგრამ მეორე ნაწილი მასაც გამორიცხავს და თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში მოჩვენებითი დანაშაულია განხორციელებული<sup>473</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ თაღლითობის შემადგენლობით გათვალისწინებული მისაკუთრების მიზანი ეხება სხვისი ნივთის დაუფლებას, მაგრამ იგი არ მიემართება ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებულ ისეთ ქმედებას, როგორცაა ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით<sup>474</sup>.

### **1.3. ანგარების მოტივი, როგორც თაღლითობის სუბიექტური შემადგენლობის ნიშანი?**

თაღლითობის სუბიექტური შემადგენლობის განხილვისას ჩნდება კითხვა, არის თუ არა აუცილებელი თაღლითობა განხორციელებული იყოს ანგარების მოტივით? ანგარების მოტივის არსებობა რამდენად არის აუცილებელი თაღლითობის ჩასადენად? საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიციით „თაღლითობის შემადგენლობის ფარულ, მაგრამ აუცილებლად ნაგულისხმევ სუბიექტურ ნიშანს წარმოადგენს ანგარების მოტივი“<sup>475</sup>. ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრებითაც თაღლითობის დროს დანაშაულის მოტივი ანგარებითია, ბოროტმოქმედი უკანონოდ ისახავს გამდიდრების

<sup>473</sup> *Saliger F.*, in: Matt.Renzikowski, Strafgesetzbuch, Kommentar, 2. Aufl., 2020, §263 Rn. 304.

<sup>474</sup> უფრო ვრცლად იხ. ქვეთავი 1.8.8.

<sup>475</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება, #110აპ-19, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე, 2019, #7-9, გვ. 102; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება, #112აპ-17, სუსგ, 2017, #7-9, გვ. 99; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 18 დეკემბრის განაჩენი, #332აპ-15, სუსგ, 2015, #9-12, გვ. 156.

მიზანს<sup>476</sup>. აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი. ანგარების მოტივი მაშინ იქნებოდა აუცილებელი თაღლითობის უმართლობის განსახორციელებლად, თუ კანონმდებელი ანგარების მოტივზე 180-ე მუხლის დისპოზიციის მიუთითებდა, როგორც ქმედების სუბიექტური შემადგენლობის არსებით ნიშანზე. თაღლითობისთვის ანგარების მოტივი ტიპურია, მაგრამ შეიძლება განხორციელდეს მის გარეშეც. არ არის გამორიცხული, რომ თაღლითობა განხორციელდეს შურისძიების მიზნით, რაც ნაკლებად გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს.

#### **1.4. გამიზნული მისაკუთრების მართლწინააღმდეგობა**

თაღლითობის სუბიექტური შემადგენლობის მიხედვით, გამიზნული მისაკუთრება მართლწინააღმდეგო უნდა იყოს. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ამას მაშინ აქვს ადგილი, როცა ქონებრივ სიკეთეზე, რომლის მისაკუთრებაც მოქმედ პირს სურს, არ არსებობს მატერიალურ-სამართლებრივი (არც კერძო და არც საჯარო სამართლის მიხედვით) უფლება. ქონებრივი სიკეთის მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში არ არის შესაძენებული და დამოკიდებული სამოქალაქო სამართლებრივ გადაწყვეტილებასთან მიმართებით<sup>477</sup>.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას ის, რომ გამიზნული მისაკუთრების მართლწინააღმდეგობაში არ უნდა ვიგულისხმოთ ქმედების მართლწინააღმდეგობა ობიექტური თვალსაზრისით, არამედ მასში იგულისხმება ისეთი ნივთის მისაკუთრების მიზანი, რომელიც სხვას ეკუთვნის და რომელზეც არ არსებობს მესაკუთრის გაცნობიერებული გა-

<sup>476</sup> ნულაია გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, მეორე ტომი, თბ., 2001, გვ. 78-79.

<sup>477</sup> Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 191.

დანყვეტილება განკარგვასთან დაკავშირებით. მართალია, თაღლითობის დროს ქონებრივ სიკეთეს ბოროტმოქმედს მესაკუთრე ან მფლობელი გადასცემს, მაგრამ მან არ იცის, რომ ადგილი აქვს მის მოტყუებას, შესაბამისად, განკარგვას საფუძვლად არ უდევს საქმის გარემოებების სრულად გაცნობიერება, რაც ბოროტმოქმედს დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას არც მისცემდა. ბოროტმოქმედი იმიტომ ჩადის დანაშაულს, რომ მსხვერპლმა არ იცის რომ ატყუებენ. ვინაიდან საქმე ეხება სხვისი ქონებრივი სიკეთის მისაკუთრების მიზანს მესაკუთრის მოტყუების შედეგად, რაც როგორც წესი, მისაკუთრების არამართლობიერ ხასიათზე მიანიშნებს, კანონმდებელმა ქმედების შემადგენლობაში მიუთითა მისაკუთრების მიზნის მართლწინააღმდეგობაზე, რაც ასევე გამოხატავს ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის ინდიციას ქმედების მართლწინააღმდეგობაზე, იმას, რომ ქმედების შემადგენლობის განხორციელება გულისხმობს ვარაუდს ქმედების შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ხასიათზე.

შესაბამისად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოქმედება არ გულისხმობს იმას, რომ ქმედება მართლაც, ობიექტურად არის მართლსაწინააღმდეგო, ვინაიდან შესაძლებელია თაღლითობის შემადგენლობა განხორციელდეს ისეთ გარემოებაში, რომელიც მართლწინააღმდეგობას გამოირიცხავს. მაგალითად, უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, როდესაც მოქმედი პირი მესაკუთრეს ატყუებს და ისე ეუფლება მის კუთვნილ ნივთს, იმისთვის, რომ თავი გადაირჩინოს. ხოლო ტყუილის თქმა უწევს იმის გამო, რომ ფიქრობს, თუ მესაკუთრეს სიმართლეს ეტყვის, შეიძლება არ გადასცეს ნივთი. აღნიშნულთან დაკავშირებით რაც საყურადღებოა, მას შემდეგ, რაც 184-ე მუხლი იქნა ამოღებული, დროებითი სარგებლობის მიზნით ნივთის გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში ისევე კვალიფიცირდება, როგორც ნივთის გამოყენება

მისაკუთრების მიზნით. თუ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოქმედება იქნებოდა ქმედების მართლწინააღმდეგობის არა ინდიცია, არამედ ქმედების მართლწინააღმდეგობის რეალური გამოხატულება სისხლისსამართლებრივი გაგებით, შეუძლებელი იქნებოდა თაღლითობის შემადგენლობის განხორციელება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებაში და მართლწინააღმდეგობა იქცეოდა ქმედების შემადგენლობის ნიშნად.

თუ მოქმედ პირს აქვს ქონებრივ სიკეთესთან მიმართებით ისეთი უფლება, რომ ვერავინ შეედავება, სახეზე არ იქნება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით განხორციელებული ქმედება. მატერიალურ-სამართლებრივად არსებული უფლების განხორციელება მოტყუების გამოყენებით, არ ექცევა თაღლითობის შემადგენლობაში<sup>478</sup>. შედავების უფლება შეიძლება მაშინაც არსებობდეს, როცა ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედება ხორციელდება სისხლისსამართლებრივი გაგებით მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებაში. როდესაც ქმედება ხორციელდება უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოირიცხება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხვის გზით, მაგრამ შეიძლება არსებობდეს შედავების უფლება გამოყენებულ ნივთთან დაკავშირებით, სამოქალაქო სამართლის წესით ზიანის ანაზღაურების თვალსაზრისით. ხოლო, როცა ადამიანი საკუთარ ნივთს ეუფლება, თუნდაც, ეს იყოს მოქმედების მომენტში მოტყუების გამოყენებით, თაღლითობის შემადგენლობა გამოირიცხება, ვინაიდან შეუძლებელია არსებობდეს საკუთარი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი გულისხმობს იმას, რომ საქმე ეხება სხვის ნივთს.

---

<sup>478</sup> *Fischer Th., Strafgesetzbuch*, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 193.

საინტერესოა როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი საერთო საკუთრებაში არსებულ ნივთთან მიმართებით? როგორც წესი, საერთო საკუთრებაში არსებულ ნივთზე ვრცელდება ისეთივე სამართლებრივი რეჟიმი, როგორც სხვის ნივთზე (მაგალითად ნივთის დაზიანების შემთხვევა), მაგრამ საინტერესოა, ხომ არ უნდა გადაწყდეს აღნიშნული საკითხი დელიქტის ბუნების გათვალისწინებით?

თუ ვიტყვით, რომ საერთო საკუთრებაში არსებულ ნივთებზე ყოველთვის ერთნაირად უნდა გადაწყდეს საკითხი, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ნივთი თაღლითობის ანუ მართლსაწინააღმდეგო მიზნით მისაკუთრების საგანს შეიძლება წარმოადგენდეს, მაგრამ საკამათო შეიძლება იყოს ის, თუ რამდენად შეიძლება შეიცავდეს ქმედება სოციალური საშიშროების იმ ხარისხს, რაც აუცილებელია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. საკამათოა თანასაკუთრებაში არსებული ნივთის მოტყუებით დაუფლების სოციალური საშიშროება, როცა იგი დროებითი სარგებლობისთვის ხორციელდება, რომელიც თანამედროვე სასამართლო პრაქტიკაში მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანთანაა გათანაბრებული.

### **1.5. მართლსაწინააღმდეგობის შეგნება**

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, თაღლითობის დროს გამიზნული ქონებრივი სიკეთის მართლსაწინააღმდეგობა განზრახვით უნდა იყოს მოცული, რომელიც წარმოადგენს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშანს. გამოთქმული შეხედულების თანახმად, ნიშნის ნორმატიული ბუნებიდან გამომდინარე, არ არის საკმარისი, რომ მოქმედი პირი ფაქტობრივ გარემოებებს იცნობს, საიდანაც მართლსაწინააღმდეგობა გამომდინარეობს. არამედ, უფრო მეტად საჭიროა ამ გარემოებების ზერელე შეფასება უფლე-



ბის არარსებობასთან დაკავშირებით ან სულ მცირე, მას უნდა თვლიდეს საეჭვოდ. ამავ მოსაზრების თანახმად, თუ მოქმედი პირი ცდება და თვლის, რომ ქონებრივ სიკეთეზე უფლება მას ეკუთვნის, სახეზეა შეცდომა ქმედების შემადგენლობასთან დაკავშირებით, რაც გამორიცხავს განზრახვას. თუმცა, ეს არ არის ის შემთხვევა, როცა მოქმედი პირი ფიქრობს, რომ ქონებრივ სიკეთესთან დაკავშირებით აქვს უფლება „კრიმინალური წრის წარმომადგენლების შეხედულებებიდან“ გამომდინარე. არამედ იგულისხმება მოქმედი პირის წარმოდგენა, რომ მას აქვს უფლება, რომელსაც მართლწესრიგი აღიარებს<sup>479</sup>.

ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ქმედების შემადგენლობის ნორმატიული ნიშნის და მართლწინააღმდეგობის შეგნება. მართლწინააღმდეგობის შეგნება არა ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში დასადგენი განზრახვის, არამედ ბრალის ნიშანია, რაზეც მიუთითებს ქართულ სსკ-ში აკრძალვაში შეცდომის 36-ე მუხლის არსებობა ბრალის გამომრიცხავ და შემამსუბუქებელ გარემოებათა თავში. მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა, მართალია, საქართველოს სსკ-ის 36-ე მუხლის მიხედვით, განზრახვას გამორიცხავს, მაგრამ არა ქმედების შემადგენლობის, არამედ ბრალის ეტაპზე.

როდესაც საუბარია მართლწინააღმდეგობის შეგნების მნიშვნელობასა და მის კუთვნილებაზე დანაშაულის სისტემაში, ჩნდება კითხვა, ხომ არ უნდა იქნას საკითხი გადანყვეტილი დელიქტის ბუნების გათვალისწინებით? მაგალითად, ცნობილია, რომ ზოგიერთი ქმედების შემადგენლობა ნორმატიულ ნიშნად ითვალისწინებს ქმედების წინააღმდეგობას ფორმალურ ქცევის წესებთან, ხოლო ზოგიერთ შემადგენლობაში და მათ შორის თაღლითობის შემადგენლობაში გვხვდება მითითება მართლწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანზე.

<sup>479</sup> Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 194.

მართლწინააღმდეგობა დანაშაულის მეორე ელემენტი ა ყოველთვის, მიუხედავად დანაშაულის ბუნებისა. თუ მართ- ლწინააღმდეგობა დანაშაულის მეორე ნიშანია, მიზანშეწონი- ლობის თვალსაზრისით საკამათოა, მის დადგენას წინ უსწრებ- დეს მართლწინააღმდეგობის შეგნების დადგენა, მიუხედავად იმისა, რომ ქმედების მართლწინააღმდეგობა და მისი შეგნე- ბა არ არის ერთი და იგივე მნიშვნელობის ნიშნები. თუ ჩვენ სხვისი ქონებრივი სიკეთის მისაკუთრების მართლწინააღმ- დეგობას და მის შეგნებას ქმედების შემადგენლობის ეტაპზე დავადგენთ, ეს ნიშნავს დანაშაულის ორნიშნა სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რასაც ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების მოძღვრების წარმომადგენლები ქადაგებდნენ.

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, როდესაც მოქმედი პირი ცდება ქონებრივი სიკეთის მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებით? ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, ასეთ დროს სახეზეა უვარგისი მცდელობა<sup>480</sup>. თუმ- ცა, მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება ქმედების მართლ- წინააღმდეგობის შეგნებით მოქმედება, როცა იგი რალურად მართლსაწინააღმდეგო არ არის.

#### IV. მართლწინააღმდეგობა და ბრალი

თალღითობასთან დაკავშირებით რელევანტურ მართლ- წინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებად შეიძლება გან- ხილული იქნას უკიდურესი აუცილებლობა, რის მაგალითად შეიძლება დასახელდეს შემთხვევა, როცა პირი საკუთარი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად მოტყუებით ეუფლება სხვის ნივთს, ვინაიდან ფიქრობს, რომ თუ არ მოატ- ყუებს მესაკუთრეს ან მფლობელს, შეიძლება ვერ დაეუფლოს იმ ნივთს, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია საფრთხეში მყო-

<sup>480</sup> *Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 195.*

ფი სიკეთის გადასარჩენად. მოცემულ შემთხვევაში სახეზე უნდა იყოს უკიდურესი აუცილებლობის ყველა ობიექტური და სუბიექტური წინაპირობები, ქმედება მართლზომიერად რომ ჩაითვალოს.

ბრალის გამომრიცხველ გარემოებებთან დაკავშირებით თაღლითობა არ გამოირჩევა რაიმე სპეციფიურობით.

## **V. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი**

აქ მოხდება იმ გარემოებების განხილვა, რომლებიც სსკ-ის 180-ე მუხლით თაღლითობისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებად არის გათვალისწინებული.

### **1. იგივე ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ (მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი).**

იხილეთ 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების განმარტება.

### **2. იგივე ქმედება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).**

„მნიშვნელოვანი ზიანი“ თუ რას გულისხმობს, განმარტებულია სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნაში, სადაც აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანი ზიანი სახეზეა, თუ ნივთის ღირებულება აღემატება 150 ლარს. თავიდან, როცა სსკ მიიღეს, კოდექსში არ იყო მოცემული განმარტება, თუ რას გულისხმობდა მნიშვნელოვანი ზიანი. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი განმარტავს აღნიშნულ მაკვალიფიცირებელ გარემოებას, იგი მაინც რჩება შეფასებით ნიშნად, ვინაიდან დანაშაულის საგანი უნდა შეფასდეს, რომ დადგინდეს მაკვალიფიცირებელი გარემოების არსებობის საკითხი. კანონმდებლის ასეთ გადაწყვეტილებას

ყვეტილებას ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა. საკანონმდებლო ცვლილებების მომხრეები ამგვარ გადაწყვეტილებას ამართლებდნენ იმით, რომ იგი ხელს უწყობს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის არსებობას. ხოლო კრიტიკის ავტორები მიუთითებენ, რომ აღნიშნული გადაწყვეტა საკითხისა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მსხვერპლის მდგომარეობის გათვალისწინებას. მაკვალიფიცირებელი გარემოების არსებობა დგინდება საგნის ღირებულების და არა მსხვერპლის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით. როცა დანაშაულის საგანი 150 ლარზე მეტი ღირებულებისაა, დანაშაული ღარიბი ადამიანისთვის უფრო მძიმე შედეგის მომტანი შეიძლება იყოს, ვიდრე მდიდარი ადამიანისთვის.

თუმცა, ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელის დანიშვნის დროს მოსამართლეს მაინც რჩება იმის შესაძლებლობა, რომ მსხვერპლთან მიმართებით დანაშაულით გამოწვეული შედეგები გაითვალისწინოს.

განსახილველი მაკვალიფიცირებელი გარემოება ისეა ტერმინოლოგიურად ფორმულირებული, რომ კანონმდებელი თითქოს შედეგზე უთითებს, თუმცა აქ საქმე ეხება დანაშაულის საგნის ღირებულებას, რაც საკამათოს ხდის იმის მტკიცებას, რომ განსახილველი დანაშაული შედეგიანი დანაშაულია.

### 3. იგივე ქმედება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი).

იურიდიულ ლიტერატურაში მართებულად არის მითითებული, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითობის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც კერძო პირი (ბანკის მმართველი), ისე საჯარო მოხელე<sup>481</sup>. თუმ-

<sup>481</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 512-513.

ცა, მხედველობაში მიიღება ის, იყო თუ არა აღნიშნული პირი უფლებამოსილი პირი, რომელიც პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა. თუ ასეთი პირი არ არის სახეზე, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ქმედების კვალიფიკაცია მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გამოირიცხება. მაგალითად, როცა მოქმედი პირი ტექნიკური მუშაკია<sup>482</sup>.

### **მე-7 მაგალითი:**

როცა მოსამართლე კონკრეტული პირის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღების ცრუ დაპირებით იღებს ფულად თანხას, ფულის აღების შემდეგ კი არ იღებს დაპირებულ გადაწყვეტილებას და თავიდანვე ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არ მიეღო, ადგილი აქვს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითობას (სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი).

მოცემულ შემთხვევას ვერ ჩავთვლით ქრთამის აღებად, ვინაიდან მოსამართლეს თავიდანვე ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ შეპირებულ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. თუ მოსამართლეს თანხის აღების დროს ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ თანხის სანაცვლოდ თანხის მიმცემის სასარგებლოდ მიეღო გადაწყვეტილება და თანხის აღების შემდეგ გადაიფიქრა დასახელებული გადაწყვეტილების მიღება, ქმედება ქრთამის აღების მუხლით დაკვალიფიცირდებოდა.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითობის ამსრულებელი შეიძლება იყოს აგრეთვე პროკურორი, როცა ცრუ დაპირების სანაცვლოდ, რომ თითქოს, კონკრეტული პირის სასარგებლოდ მიიღებს გადაწყვეტილებას, იღებს თანხას მოტყუებით და არ ასრულებს გაცემულ დაპირებას და

<sup>482</sup> თოდუა ნ., ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის საკითხები, წიგნში: ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრისი, საიუბილეო კრებული 60, თბ., 2021, გვ. 25.

არც აპირებდა რომ შეესრულებინა. განსახილველი შემადგენლობის ამსრულებელი ასევე შეიძლება იყოს ადვოკატი, როცა კლიენტს ატყუებს და ცრუ დაპირებით, რომ მოუგვარებს საქმეს პროკურორთან, კლიენტისგან იღებს გარკვეულ თანხას.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მოტყუებულია არამართლობმიერად მოქმედი პირი, ლიტერატურაში აღნიშნული ქმედების თაღლითობად კვალიფიკაცია საკამათოდ მიიჩნევა. ერთი მოსაზრებით, თაღლითობის მსხვერპლად შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ მართლობმიერი ქმედების ჩამდენი პირი, რომელიც მოატყუეს და ვისაც შეუძლია სამართალდამცავ ორგანოებს მიმართოს თავისი უფლებების დასაცავად, ხოლო მეორე შეხედულებით, თაღლითობის მსხვერპლს შეიძლება წარმოადგენდეს არა მხოლოდ მართლობმიერად მოქმედი, არამედ ისიც, ვინც მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებდა<sup>483</sup>. ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში თუ ერთი პირი ისჯება თაღლითობისთვის, ავტორთა მიერ გამოთქმული მოსაზრებით, მეორეს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ქრთამის მიცემის მცდელობისთვის<sup>484</sup>, მიუხედავად იმისა, რომ მეორე მხარეს არის პირი, რომელმაც არამართლობმიერი ქმედება განახორციელა<sup>485</sup>.

---

<sup>483</sup> აღნიშნული საკითხის უფრო ვრცელი ანალიზი იურიდიული, ეკონომიკური, იურიდიულ-ეკონომიკური თეორიების მიხედვით იხ. ზემოთ.

<sup>484</sup> საკამათოა, საქართველოს მოქმედი სსკ-ის მიხედვით მოცემულ შემთხვევაში ვისაუბროთ ქრთამის მიცემის მცდელობაზე, თუ თანხა გადაცემულია იმ პირისთვის, ვისაც თანხის გადამცემის სასარგებლო ქმედება უნდა განეხორციელებინა, მაგრამ თანხის ამღები არ აპირებდა მიცემული დაპირების შესრულებას.

<sup>485</sup> *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, წიგნში: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი*, წიგნი I, თბ., 2019, გვ. 508-510; *თოდუა ნ.*, ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის საკითხები, წიგნში: *ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საიუბილეო კრებული 60*, თბ., 2021, გვ. 36-37.

#### 4. იგივე ქმედება, ჩადენილი დიდი ოდენობით (მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეკუთხედი)

დიდი ოდენობით თაღლითობაზე<sup>486</sup> საყურადღებოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთი გადაწყვეტილება, რომლითაც შეიცვალა დიდი ოდენობით თაღლითობასთან დაკავშირებით მანამდე არსებული პრაქტიკა. აღნიშნული გადაწყვეტილება შეეხებოდა შემდეგ შემთხვევას:

„კ“-მ და „ს“-მ განიზრახეს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაუფლებოდნენ საქართველოში მცხოვრები მოქალაქეების კუთვნილ თანხებს და ამ მიზნით ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციაში დაარეგისტრირეს არასამეწარმეო იურიდიული პირი - „ადამიანის უფლებათა დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის არასამთავრობო დემოკრატიული კავშირი“, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა „კ“, ხოლო მოადგილედ „ს“. დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად „კ“-სა და „ს“-ს უნდა მოეზიდათ მოქალაქეები, რომლებსაც დაარწმუნებდნენ, რომ მათ ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული „პრეზიდენტ კენედის ფონდიდან“ გამოეყოფოდათ სოციალური გრანტი და სანევროს სახით დაწესებული ყოველთვიური 3 ლარის გადახდის სანაცვლოდ თითოეული განევრებული მოქალაქე ყოველთვიურად მიიღებდა 30 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს, ხოლო უმუშევარი მოქალაქე - ასევე ყოველთვიურად 120 ლარის ოდენობით დახმარებას 1 წლის განმავლობაში. გეგმის განსახორციელებლად „კ“ და „ს“ დაუკავშირდნენ საქართველოს პენსიონერთა და ხანდაზმულთა ასოციაციის თავმჯდომარე „ე“-ს, რომელთანაც 2010 წლის 27 ოქტომბერს ფორმალურად გააფორმეს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ,

<sup>486</sup> დიდ ოდენობასთან დაკავშირებით ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც 179-ე მუხლთან მიმართებით, უნდა ვიხელმძღვანელოთ 177-ე მუხლის შენიშვნაში მოცემული განმარტებით.

რეალურად კი „ე“-ს უნდა უზრუნველყო მოქალაქეთა მოზიდვა, მათი განწევრება კავშირში და საწევროს სახით გადახდილი თანხის შეგროვება, რასაც შემდეგ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები გაინაწილებდნენ. „ე“ პროექტით დაინტერესებულ პირებს არწმუნებდა მატერიალური დახმარების სამომავლოდ მიღების გარდაუვალობაში, ავსებდნენ ანკეტებს და თითოეული წევრისგან იღებდა 3 ლარს. ამ გზით მან მოიზიდა 11 053 მოქალაქე, რომელთა ნდობის ბოროტად გამოყენებით ჯგუფის წევრები დაეუფლნენ 33 161 ლარს. თაღლითური სქემის მასშტაბის განვრცობისა და დამატებითი მატერიალური სარგებლის მისაღებად „კ“ და „ს“ 2010 წლის ნოემბერში დაუკავშირდნენ „ხ“-ს და შესთავაზეს კავშირის რეგიონული ოფისის გახსნა. იგი ამავედროულად დაარწმუნეს, მოეზიდა პენსიონერი და უმუშევარი მოქალაქეები, რომლებიც საჭიროებდნენ მატერიალურ დახმარებას და გრანტის მიღების სანაცვლოდ, 3 ლარის გადახდის პირობით, გაეწევრებინა კავშირში. აღნიშნული საქმიანობის სანაცვლოდ „ხ“-ს დაჰპირდნენ 400 ლარის ოდენობით ხელფასის დანიშვნას. 2011 წლის 15 თებერვალს „ხ“-მ 633 მოქალაქის მიერ გადახდილი 1899 ლარი, „ს“-ს მითითებით, გადარიცხა კავშირის საბანკო ანგარიშზე, ხოლო 1000 ლარი, „კ“-ს მითითებით, გამოიყენა საოფისე ხარჯებისთვის. მთლიანობაში – 2010 წლის ნოემბრიდან 2011 წლის 16 თებერვლამდე „კ“-მ და „ს“-მ მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს საქართველოში მცხოვრები მოქალაქეების კუთვნილი 36 060 ლარი. „კ“-ს და „ს“-ს ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა ჯგუფურად და დიდი ოდენობით)<sup>487</sup>.

განსახილველი შემთხვევა საინტერესო იყო იმ თვალსაზ-

<sup>487</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება, სუსგ, 2012, #7-12, გვ. 10-15.



რისით, რომ დაზარალებული იყო მრავალი ადამიანი და თითოეული ადამიანისთვის მიყენებული ზიანის ოდენობა ცალკე აღებული, სხვებისთვის მიყენებული ზიანისგან დამოუკიდებლად, არ იყო იმ მოცულობის, რაც შეიძლება საკმარისი ყოფილიყო პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. სწორედ ამ გარემოებაზე გაამახვილა ყურადღება უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ და გადანყვეტილებაში მიუთითა, რომ თაღლითობას საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებთან შედარებით, ახასიათებს განსხვავებული სპეციფიკა, რაც იმას გულისხმობს, რომ მისი ჩადენის შედეგად შესაძლებელია მოტყუებული და დაზარალებული აღმოჩნდეს არა მხოლოდ ერთი ან ათეულობით ადამიანი, არამედ ასეულობითა და ათასობით ადამიანი, რა დროსაც დამნაშავეები შეიძლება მოქმედებდნენ ერთიანი განზრახვით და მიზანდასახულობით, როდესაც განზრახვა თავიდანვე მოიცავს ყველა დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის მოცულობას, ღირებულების ოდენობის გათვალისწინებით. სასამართლო განსახილველ შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაციის პრობლემურობაზე მიუთითებს და აღნიშნავს, რომ საკითხის გადანყვეტა იმაზეა დამოკიდებული, თუ რა კრიტერიუმს დაეყრდნობა ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, კერძოდ, ერთი დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ოდენობას, თუ იმ ზიანის მთლიან მოცულობას, რაც ერთობლივად მიადგა ყველა დაზარალებულს<sup>488</sup>.

უზენაესი სასამართლო თაღლითობის სამ შემთხვევას გამოყოფს: პირველი, როცა დამნაშავეს განზრახული აქვს მრავალი ადამიანის მოტყუება, მაგრამ აცნობიერებს, რომ მისი ქმედება ამ მრავალი ადამიანიდან მხოლოდ ერთის მიმართ ცალკე აღებული გამოიწვევს დიდი ოდენობის ზიანს და ყველა ადამიანისთვის მიყენებული ზიანის ერთიანად შეფასება

---

<sup>488</sup> იქვე.

საქმის არსს დიდად არ ცვლის; მეორე, როდესაც, არც ცალკე აღებული ერთი დაზარალებულისთვის და არც ყველა დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ოდენობა ერთად აღებული არ აღწევს დიდ ოდენობას; მესამე, როცა დამნაშავე თავიდან ითვალისწინებს, რომ არცერთ ადამიანს ცალკე აღებულს არ მიადგებოდა დიდი ოდენობის ზიანი და მას აღწევს ყველა დაზარალებულისთვის ერთობლივად მიყენებული ზიანი. სასამართლო ქმედების კვალიფიკაციას სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევაში მიიჩნევს პრობლემურად, განსხვავებით წინა ორი შემთხვევისგან.

უზენაესი სასამართლოს მიერ ადრე დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, დიდი ოდენობით თაღლითობად ქმედების კვალიფიკაცია მხოლოდ მაშინ იყო შესაძლებელი, თუ დიდი ოდენობით ზიანი მიყენებული იყო თუნდაც ერთი დაზარალებულისათვის მაინც. მიყენებული ზიანის დიდ ოდენობად შეფასება არ დაიშვებოდა მრავალი დაზარალებულისთვის ერთობლივად მიყენებული ზიანის საერთო მოცულობის მიხედვით, ვინაიდან საკასაციო პალატა თვლიდა, რომ განხილულ შემთხვევაში თაღლითობის ქმედება უშუალოდ ხელყოფს არა ადამიანთა კოლექტიურ, ერთობლივ ინტერესს, მიუხედავად ერთი ქმედებით დაზარალებულთა საერთო რაოდენობისა, არამედ ყოველი ცალკე აღებული დაზარალებულის კანონით დაცულ ინდივიდუალურ ინტერესსა და საკუთრების უფლებას, რომლის დაცვისკენაც არის მიმართული ის ნორმა, რომლითაც ისჯება დიდი ოდენობით თაღლითობა. ეს მით უფრო ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც ერთიანი განზრახვით და მიზნით განხორციელებული ქმედებით მრავალრიცხოვან დაზარალებულთა კრებადობა შემთხვევით ხასიათს ატარებს და მათ შორის არ არსებობს გამაერთიანებელი მყარი, სოციალური ურთიერთობა<sup>489</sup>.

---

<sup>489</sup> იქვე.

უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მოცემული საკითხისადმი ასეთი მიდგომა ვერ ჩაითვლება სრულყოფილად, ვინაიდან მან, როდესაც დანაშაულის ჩადენის ქმედითი საშუალებები ჩნდება, ერთიანი ქმედებით დიდი მასშტაბის მქონე ზიანის გამოწვევის თვალსაზრისით, პოტენციურ დანაშაულებებს შესაძლოა უბიძგოს დანაშაულის ჩასადენად ისეთი ხერხების გამოყენებისკენ, რომლის მეშვეობით, ისინი მიიღებენ დიდ შემოსავალს, ხოლო, მეორე მხრივ, თავი დააღწიონ მკაცრ პასუხისმგებლობას მძიმე და საშიში დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც კი, რამაც შეიძლება წარმოშვას აშკარა უსამართლობა<sup>490</sup>.

გარდა ამისა, დიდმა პალატამ მიუთითა, რომ როდესაც კანონმდებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებით საკანონმდებლო შემადგენლობებში უთითებს სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისა და მისაკუთრების მიზანზე, დიდი ალბათობით სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში იგი ქმედების კვალიფიკაციისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს იმ გარემოებას – ეს ნივთი ერთ ადამიანს ეკუთვნის თუ ორს ან მეტს. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ნივთზე, რომელსაც მოქმედი პირი ეუფლება ან ისაკუთრებს, მას არავითარი უფლება არ გააჩნია. ამიტომ ქმედების დიდი ოდენობით კვალიფიკაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დაუფლებული და მისაკუთრებული, თუ საამისოდ გამიზნული ნივთის საერთო ღირებულებას და არა უშუალოდ ცალკეული პირისთვის მიყენებული ზიანის მოცულობას. რაც მეტად მნიშვნელოვანია, საკასაციო პალატა მოცემულ განმარტებას გასათვალისწინებლად მიიჩნევს არა მხოლოდ თაღლითობასთან, არამედ ასევე ქურდობასთან, ძარცვასთან და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებთან მიმართებით. ამავედროულად

---

<sup>490</sup> იქვე.

საკასაციო პალატა დიდი ოდენობით ქმედების კვალიფიკაციას გამოორიცხავს მაშინ, როცა სახეზეა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, მრავალი იგივეობრივი ან ერთგვაროვანი დანაშაულის აქტი, რომელიც განხორციელებულია არა ერთიანი, არამედ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ჩამოყალიბებული განზრახვის და მიზნის საფუძველზე, რაც ვერ ჩაითვლება ერთიან განგრძობად დანაშაულად და წარმოადგენს დანაშაულთა რეალურ ერთობლიობას საქართველოს სსკ-ის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად<sup>491</sup>.

უზენაესი სასამართლოს მოცემული პოზიცია დადებით შეფასებას იმსახურებს, ვინაიდან როცა ბოროტმოქმედი სხვის ნივთს ეუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მან შეიძლება იცოდეს ნივთის ღირებულება, მაგრამ არ ჰქონდეს წარმოდგენა იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ნივთს ერთზე მეტი, ბევრი მესაკუთრე ჰყავს, რამაც არ შეიძლება გავლენა იქონიოს ქმედების კვალიფიკაციაზე. თუ ნივთის ღირებულება დიდ ოდენობას აღწევს, ქმედება დიდი ოდენობით უნდა დაკვალიფიცირდეს, მიუხედავად იმისა, რომ ნივთის საერთო ღირებულების მესაკუთრეთა რაოდენობის მიხედვით გაყოფისას, თითოეული მესაკუთრის ხვედრითი წილი, დიდ ოდენობაზე ბევრად ნაკლები შეიძლება იყოს. მთავარია არა ის, თუ რამდენი მესაკუთრე ჰყავს ნივთს, არამედ ის, თუ რა ღირებულებისაა იგი და აქვს თუ არა დამნაშავეს ეს გაცნობიერებული ქმედების განხორციელების დროს.

დიდი ოდენობით თაღლითობასთან დაკავშირებით საყურადღებოა კიდევ ერთი შემთხვევა სასამართლო პრაქტიკიდან: გ-მ შექმნა ინდივიდუალური საწარმო, რომელმაც წინასწარი განზრახვით დაიწყო აშშ-ში წასვლის მსურველ პირთა მოზიდვა და მათზე აშშ-ის ნამდვილი ვიზების სახით ყალბი ვიზების გასაღება. ამ გზით იგი ორი წლის მანძილზე სხვადასხვა

---

<sup>491</sup> იქვე.

პირებისგან მოტყუებით დაეუფლა თანხას, რომლის საერთო რაოდენობა შეადგენდა 49920 აშშ დოლარს და 1600 ლარს. სასამართლომ გ-ს მიერ მოქალაქეთათვის მოტყუებით მიყენებულ ქონებრივ ზიანს მიუმატა ის ქონებრივი ზიანი, რაც მათ განიცადეს უცხო ქალაქებში მოტყუებით დარჩენის შემდეგ და მისი ოდენობა განსაზღვრა 52290 აშშ დოლარის, 1705 ლარის და 30 რუსული რუბლის ოდენობით. სასამართლომ ქმედება დააკვალიფიცირა როგორც არაერთგზის და დიდი ოდენობით ჩადენილი თაღლითობა<sup>492</sup>. მოცემულ შემთხვევასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ სასამართლომ ქმედება დიდი ოდენობით თაღლითობად დააკვალიფიცირა, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მოქალაქეებიდან მოტყუებით მიღებული თანხა შეჯამებულია და ზიანის ოდენობად ჩათვლილია შეკრების შედეგად მიღებული ჯამი და არა ცალკეული მოქალაქის მოტყუების გზით დაუფლებული ოდენობა. სასამართლოს ასეთი პოზიცია დიდი ოდენობით თაღლითობად კვალიფიკაციასთან დაკავშირებით შესაბამისობაში მოდის მოგვიანებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ 2012 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით დადგენილ პრაქტიკასთან.

განსახილველ საკითხზე საყურადღებოა სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების კრიტიკასთან დაკავშირებით ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ სხვადასხვა დროს ჩადენილი თაღლითობა შეუძლებელია ვცნოთ ერთიანი განზრახვით ჩადენილ დანაშაულად. არ არსებობს ზოგადად თაღლითობის განზრახვა, არამედ განზრახვა კონკრეტული ქმედებისა და ამ ქმედებით გამონჭველი ზიანის მიმართ. შეიძლება არსებობდეს კონკრეტული პირის ქონებრი-

---

<sup>492</sup> აღნიშნულ შემთხვევაზე იხ. *თოდუა ნ.*, წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 132-133.

ვი უფლების თაღლითური გზით დაუფლების განზრახვა. გ-ს თაღლითობის ჩადენის განზრახვა იმდენჯერ აღმოუცენდა, რამდენი მოქალაქეც მან მოატყუა. კონკრეტული პირი მოტყუების განზრახვა აღმოუცენდებოდა მას შემდეგ, როცა ისინი მიმართავდნენ მას აშშ-ში გამგზავრების მიზნით. მანამდე მას არ შეიძლებოდა ჰქონოდა მათი მოტყუების განზრახვა, ვინაიდან მათ საერთოდ არ იცნობდა ან არაფერი იცოდა აშშ-ში მათი გამგზავრების სურვილის შესახებ. გამოთქმული მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში სხვადასხვა მოქალაქისგან მიღებული თანხის დაჯამება იმიტომ არ შეიძლება, რომ დაზარალდა არა ერთი პირის, არამედ სხვადასხვა მოქალაქის საკუთრების უფლება<sup>493</sup>.

მოცემული მოსაზრება დღეს უკვე, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2012 წლის გადაწყვეტილების შემდეგ, გარკვეულწილად, მოძველებულად გამოიყურება, ვინაიდან აღნიშნული გადაწყვეტილება შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს თაღლითობის ერთიანი განზრახვა სხვადასხვა დაზარალებულთა მიმართ განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ქმედებები ხორციელდებოდა დროის გარკვეულ მონაკვეთში (თუნდაც ორი ან მეტი წლის მანძილზე) და ქმედება განხორციელებულია არაერთი პირის მიმართ, სახეზეა მრავალი დაზარალებული, რომლებიც დამნაშავესთან შეიძლება კომუნიცირებდნენ სხვადასხვა დროს და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.

როდესაც საუბარია თაღლითობით გამოწვეულ ზიანზე, ჩნდება კითხვა, გამოირიცხება თუ არა ზიანი მაშინ, როცა ბოროტმოქმედი მსხვერპლს უწევს გარკვეულ მომსახურებას გადახდილი თანხის სანაცვლოდ? დასმულ საკითხზე საგულისხმოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიცია, რომელიც მიუთითებს: „ჩადენილი ქმედების თაღლითობად

<sup>493</sup> თოდუა ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 133-134.

კვალიფიკაციას ვერ გამოორიცხავს ის გარემოება, რომ დამნაშავემ მის მიერ დაუფლებული სხვისი თანხის ან სხვა ნივთის სანაცვლოდ გარკვეული მომსახურება ან საქმიანობა გაუწია დაზარალებულს, რადგან არ არსებობდა მისი საჭიროება და ეს უკანასკნელი გამოყენებულია მხოლოდ დაზარალებულის მოტყუების საშუალებად, ანდა უკვე ჩადენილი მოტყუების შესანიღბად“ (ოპერაციის არადანიშნულებისამებრ გაკეთების შემთხვევა)<sup>494</sup>, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში მსხვერპლის მიერ გადახდილი თანხა მხედველობაში მიიღება თაღლითობით გამოწვეული ზიანის ოდენობის, როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოების, დასადგენად და მას არ გამოორიცხავს ის, რომ ბოროტმოქმედმა თანხის გადახდელს გაუწია მომსახურება გადახდილი თანხის სანაცვლოდ. აქ მოყვანილი მსჯელობა იმაზე მიუთითებს, რომ თაღლითობა შეიძლება უკავშირდებოდეს გარკვეული მომსახურების განწევას, მაგრამ აქ საქმე ეხება არა განუული მომსახურებისთვის დამნაშავის მიერ თანხის არგადახდას, რასაც ადგილი აქვს მოტყუებით ქონებრივი დაზიანების დროს (სსკ-ის 185-ე მუხლი), არამედ ბოროტმოქმედის მიერ მსხვერპლისთვის არასათანადო მომსახურების განწევას, როგორც მოტყუების შენიღბვას.

## 5. იგივე ემედება, ჩადენილი არაერთგზის (მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).

იხილეთ 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების განმარტება.

---

<sup>494</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება, #110აპ-19, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე, 2019, #7-9, გვ. 101.

**6. იგივე ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ (მე-4 ნაწილის „ა“ ქვეკუნძი).**

იხილეთ 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების განმარტება.

**7. იგივე ქმედება, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლავი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის (მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეკუნძი).**

იხილეთ 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების განმარტება.

**VI. დაუმთავრებელი დანაშაული. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება**

ვინაიდან თაღლითობა იურიდიულად დამთავრებულია მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლების ან მოტყუებით ქონებრივი უფლების მიღების მომენტში, აღნიშნულ მომენტამდე, ვიდრე ბოროტმოქმედი სხვის ნივთს დაეუფლება ან ქონებრივ უფლებას მიიღებს, ადგილი შეიძლება ჰქონდეს თაღლითობის მხოლოდ მომზადებას ან მცდელობას.

ვინაიდან დანაშაულის მომზადება გულისხმობს დანაშაულის ჩასადენად პირობების განზრახ შექმნას, თაღლითობის მომზადებად შეიძლება განვიხილოთ ისეთი ქმედება, რომელიც ქმნის პირობებს თაღლითობის განსახორციელებლად. ასეთი შეიძლება იყოს ჯგუფის წევრების გამოძებნა ჯგუფურად თაღლითობის განხორციელების მიზნით, პოტენციური დაზარალებულის მოსატყუებლად საერთო გეგმის შემუშავება და სხვა.



როდესაც თაღლითობა ხორციელდება საკრედიტო ბარათის გამოყენებით, ბარათის დამზადება შეიძლება ჩაითვალოს თაღლითობის მომზადებად<sup>495</sup>.

დანაშაულის მომზადებად განიხილება ისეთი ქმედება, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეუძლია შეცდომაში შეყვანა ქონების განმკარგავისა<sup>496</sup>, დამატებითი სხვა მოქმედების განხორციელების გარეშე.

რაც შეეხება მცდელობას, მრავალაქტიანი ქმედების დროს, მცდელობად მიიჩნევა ისეთი ქმედება, რომელსაც უშუალოდ შეუძლია ქონების განმკარგავის შეცდომაში შეყვანა<sup>497</sup>. ასეთად მიიჩნევენ სახელშეკრულებო შეთავაზებას<sup>498</sup> იმ პირის მხრიდან, რომელსაც მსხვერპლის მოტყუება სურს.

მცდელობას ადგილი აქვს მაშინ, როცა ქმედების შემადგენლობის განხორციელება იწყება ან სახეზეა ქმედების შემადგენლობის რომელიმე ნიშანი, მაგრამ ბოროტმოქმედი არ არის დაუფლებული სხვის ნივთს ან არ აქვს მიღებული ქონებრივი უფლება. კერძოდ, როცა ბოროტმოქმედმა დაზარალებული მოატყუა, მაგრამ სრულად არ მიუღწევია თავისი მიზნისთვის ნივთის დაუფლების თვალსაზრისით. შეიძლება ბოროტმოქმედი სხვის ნივთს საერთოდ არ იყოს დაუფლებული ან დაუფლებული იყოს მხოლოდ ნაწილს და არა იმ ოდენობით, რომლის დაუფლებაც ჰქონდა განზრახული. თუმცა, აქ უნდა იქნას გათვალისწინებული ის გარემოებაც, რომ განზრახულიდან მხოლოდ ნაწილის დაუფლებაც შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს ქმედების დამთავრებულ თაღლითობად კვალიფიკაციისთვის, თუ განხორციელებული ქმედება ისედაც შეიცავს

---

<sup>495</sup> *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, ნიგნში: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, თბ., 2019, გვ. 505.

<sup>496</sup> *Fischer Th., Strafgesetzbuch*, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 198.

<sup>497</sup> *Fischer Th., Strafgesetzbuch*, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 196.

<sup>498</sup> *Fischer Th., Strafgesetzbuch*, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 197.

შესაბამისი ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებულ მინიმალურ წინაპირობებს.

თაღლითობის მცდელობის მაგალითად ლიტერატურაში ასახელებენ შემთხვევას, როცა ერთი პირი ცდილობს მეორის მოტყუებას და თვითონაც მოტყუებული აღმოჩნდება. მაგალითად, ოქროს სამკაულის ნაცვლად მყიდველს გადასცემენ არა ოქროს სამკაულს, არამედ ბიჟუტერიას, ხოლო მყიდველი გამყიდველს გადასცემს კონვერტს, რომელშიც ფულის ნაცვლად ქალაქის ნაჭრები აწყვია. საბოლოოდ ორივე მხარე აღმოჩნდება მოტყუებული. აღნიშნულ შემთხვევაზე გამოთქმული მოსაზრებით, ერთის უმართლობა ვერ გაამართლებს მეორის უმართლობას, რის გამოც ორივე პირის ქმედება თაღლითობის მცდელობად უნდა დაკვალიფიცირდეს (სს-ის მე-19 და 180-ე მუხლები)<sup>499</sup>.

თაღლითობის მცდელობის შემდეგი შემთხვევა შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან:

„ნ“ „ზ“-ს გაეცნო როგორც ქ. თბილისის პროკურატურის თანამშრომელი და გარკვეული თანხის სანაცვლოდ დაჰპირდა დახმარებას მის ძმასთან ვითომ საპროცესო შეთანხმების გაფორმებაში, დაზარალებულმა „ზ“-მ მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს გამომძიებელმა „ზ“-ს გადასცა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩასატარებლად გამოყოფილი ფულადი თანხა – 50 ცალი 100 ლარიანი კუპიურა, რომელთა გამოყენებითაც დაგეგმეს და ჩაატარეს კანონით გათვალისწინებული ოპერაცია „ნ“-ს დანაშაულის ფაქტზე მხილებისთვის, რაც განხორციელდა კიდევ და „ნ“ ფაქტზე დააკავეს. აღნიშნულ შემთხვევასთან

<sup>499</sup> *ლეკვიშვილი მ., თოდუა ნ.,* დასახ. ნაშრ., გვ. 510-511.

დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ „მას შემდეგ, რაც დაზარალებულმა „ზ“-მ სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა, მთლიანად გამოირიცხა „ნ“-ს ქმედებით მისთვის ზიანის მიყენების ანუ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა, ვინაიდან დანაშაულის ობიექტის – დაზარალებულ „ზ“-ს საკუთრების უფლების ხელყოფა შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ შესაბამისი დანაშაულის საგნის – დაზარალებულ „ზ“-ს კუთვნილი თანხის დაუფლების გზით, რისი შესაძლებლობაც გამორიცხული იყო იქიდან გამომდინარე, რომ დაზარალებულს თავისი კუთვნილი თანხა არ გადაუცია „ნ“-თვის, როცა ეს უკანასკნელი დააკავეს. თანხა, რომელიც ოპერატიული ღონისძიების ჩატარების დროს 50 ცალი 100 ლარიანი კუპიურის სახით გადაეცა მსჯავრდებულს, წარმოადგენდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საკუთრებას, რომლის გადაცემის პროცესს მთლიანად აკონტროლებდნენ აღნიშნული სამსახურის თანამშრომლები. განხილული გარემოებები იმაზე მიუთითებს, რომ მსჯავრდებულმა ჩაიდინა არა თაღლითობა, არამედ თაღლითობის მცდელობა, რაც გამოიწვევდა დაზარალებულისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებას (დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით)<sup>500</sup>.

ქართული სასამართლო პრაქტიკა იცნობს სხვა ანალოგიურ შემთხვევებს, სადაც ადგილი ჰქონდა საპროცესო შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით მოტყუებას და აღნიშნული გზით თანხის მიღების მცდელობას<sup>501</sup>. თუმცა, სასამართლო

<sup>500</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 10 იანვრის განაჩენი, #434აპ-16, სუსგ, 2017, #1-3, გვ. 146.

<sup>501</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 19 აპრილის #1106აპ-10 განაჩენი, სუსგ, 2011, #7-9, გვ. 32-34.

პრაქტიკა იცნობს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც პატიმარმა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოატყუა პატიმარი და მისი ოჯახი, რომ დაეხმარებოდა პროკურორთან საპროცესო შეთანხმების დადებაში და ამ გზით, მოტყუებით, შეძლო თანხის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რის გამოც ქმედება 180-ე მუხლით დაკვალიფიცირდა, როგორც დამთავრებული დანაშაული<sup>502</sup>. აღნიშნული შემთხვევა საყურადღებოა იმით, რომ დანაშაულის ჩამდენმა პატიმარმა თავისი თანამესაკნის ნდობა მოიპოვა იმით, რომ ორივე მსჯავრდებული იყო აჭარიდან, ერთი და იმავე რეგიონიდან. გარდა ამისა, დაზარალებული მსჯავრდებული პირველად იხდიდა სასჯელს და, როგორც დაზარალებულმა მიუთითა, არ ჰქონდა სათანადო გამოცდილება, რაც, მისი მიაპიტობის თვალსზრისით, ბოროტად იქნა გამოყენებული ბოროტმოქმედის მხრიდან.

თაღლითობის მცდელობასთან დაკავშირებით საყურადღებოა ასევე შემდეგი შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში:

„ვ“-მ დიდი ოდენობით ფულადი თანხის მოტყუებით დაუფლების მიზნით, 2016 წლის ივლისში მოქალაქე „ი“-ს შესთავაზა, რომ ისინი შეძლებდნენ ქ. თბილისში, დიდუბის ტერიტორიაზე მდებარე ოთხ მინის ნაკვეთზე განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებას, რისთვისაც „ი“-ს მერიის თანამშრომლებისთვის გადასაცემად ჯამში 38000 აშშ დოლარი მოსთხოვა. 2016 წლის 11 აგვისტოდან 2017 წლის 30 აგვისტოს პერიოდში „ი“-მ მას გადასცა მოთხოვნილი თანხის ნაწილი - 15 000 აშშ დოლარი, რასაც „ვ“ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა და ცდილობდა შეთანხმებული თანხის დარჩენილი ნაწილის მოტყუებით მიღებასაც.

---

<sup>502</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 27 მაისის, #809აპ-20 განაჩენი, სუსგ, 2021, #4-6, გვ. 78-93.

ქმედება პირველი ინსტანციის (ქ. თბილისის საქალაქო) სასამართლომ დააკვალიფიცირა როგორც დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობა (19, 180-ე მუხ. მე-2 ნ. „ბ“ პუნქტი)<sup>503</sup>. აღნიშნული საქმე საინტერესოა იმით, რომ ბოროტმოქმედმა ვერ შეძლო გამიზნული თანხის სრულად დაუფლება, მაგრამ დაუფლებული თანხის ოდენობა აკმაყოფილებდა დიდი ოდენობის კრიტერიუმს. როგორც ჩანს სასამართლოსთვის დიდი ოდენობით თაღლითობასთან დაკავშირებით გადამწყვეტი აღმოჩნდა არა დაუფლებული თანხის ოდენობა, არამედ ის, რომ ბოროტმოქმედმა ვერ შეძლო გამიზნული ოდენობის სრულად დაუფლება. სასამართლოს პოზიცია განსხვავდება ჩვენ მიერ გემოთ გამოთქმული შეხედულებისგან, რომლის მიხედვითაც განგრძობადი დანაშაულის დამთავრებისთვის არ არის აუცილებელი ბოროტმოქმედის მიერ საბოლოო მიზნის მიღწევა, თუ უკვე განხორციელებული ქმედება აკმაყოფილებს ქმედების შემადგენლობის მინიმალურ წინაპირობებს.

თუმცა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ მსჯავრდებულის ქმედების დანაშაულებრივ ხასიათზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ურთიერთგამომრიცხავი მსჯელობაა მოცემული. გარდა ამისა, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომელიც თითქოს ასევე მხარს უჭერს ქმედების დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობად კვალიფიკაციას, მიუხედავად ბოროტმოქმედის მიერ ფაქტობრივად დაუფლებული თანხის ოდენობის გარკვევის მცდელობისა, საბოლოოდ არ არის გარკვეული ბოროტმოქმედის მიერ დაუფლებული თანხა რამდენს შეადგენდა ლარებში, რაც შეტად მნიშვნელოვანია ქმედების სსკ-ის 180-ე მუხლით კვალიფიკაციის თვალსაზრისით. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტი-

---

<sup>503</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე, 2020, #4-6, გვ. 68.

ლებაში მკაფიოდ არ არის დადასტურებული ბოროტმოქმედის მიერ ფაქტობრივად დაუფლებული თანხის ის ოდენობა, რომელზეც საუბარია თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ბოროტმოქმედის მიერ დაუფლებულ თანხებთან დაკავშირებით არსებული მონაცემები არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ქმედება დაუმთავრებელ დანაშაულად დაკვალიფიცირდეს, ვინაიდან 15 000 აშშ დოლარი ბევრად აღემატება 10 000 ლარს, რომელიც დიდ ოდენობას აფუძნებს. შესაბამისად, თუ დადასტურდა ბოროტმოქმედის მიერ აღნიშნული ოდენობის თანხის დაუფლება, სახეზეა დიდი ოდენობით თაღლითობა და არა მისი მცდელობა, მიუხედავად იმისა, სრულად დაეუფლა თუ არა ბოროტმოქმედი იმ ოდენობას, რომლის დაუფლებაც ჰქონდა განზრახული. მოცემულ შემთხვევაში ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებს შორის თანაფარდობა დარღვეულია. დამნაშავე სრულად ვერ დაეუფლა თანხის იმ ოდენობას, რომელიც განზრახული ჰქონდა. სუბიექტური მხარე სჭარბობს ობიექტურს. მაგრამ, ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებს შორის თანაფარდობა დარღვეულია არა მხოლოდ დანაშაულის მცდელობის დროს, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში დანაშაულის სრულად განხორციელების დროსაც<sup>504</sup>. განსახილველი შემთხვევის მიხედვით დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობასთან მაშინ გვექნებოდა საქმე, თუ ბოროტმოქმედის მიერ რეალურად დაუფლებული თანხის ოდენობა არ იქნებოდა 10 000 ლარზე მეტი. თუმცა, კაზუსის ფაბულაში საპირისპირო შემთხვევაზეა საუბარი. როდესაც ბოროტმოქმედი სრულად ვერ აღწევს დასახულ მიზანს განზრახული თანხის ოდენობასთან დაკავშირებით, მაგრამ რეალურად არსებული ობიექტური ნიშნები აკმაყოფილებს შესაბამისი ქმედების შე-

<sup>504</sup> გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 247-248.

მადგენლობის მინიმალურ წინაპირობებს, მართალია, ქმედება მაინც დამთავრებულ დანაშაულად კვალიფიცირდება, მაგრამ სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება ის, რომ დამნაშავე სრულად ვერ დაეუფლა განზრახული თანხის ოდენობას.

ზემოთ განხილული შემთხვევა მაგალითია განგრძობადი დანაშაულისა. განგრძობად დანაშაულზე სსკ-ის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულია, რომ „განგრძობადი დანაშაული დამთავრებულია უკანასკნელი ქმედების ჩადენის მომენტიდან“. ჩნდება კითხვა: როგორ უნდა განიმართოს „უკანასკნელი ქმედება“? უნდა მოვიაზროთ დამნაშავის მიერ განზრახული უკანასკნელი ქმედება, თუ ფაქტობრივად განხორციელებული უკანასკნელი ქმედება?

ო. გამყრელიძის თვალსზრისით, განგრძობადი დანაშაულის დამთავრების მომენტი დაკავშირებულია დამნაშავის განზრახვაზე. მაგალითად, თუ ჩაფიქრებული ჰქონდა ათი ეპიზოდის განხორციელება და ათივე ეპიზოდი განახორციელა, დანაშაული დამთავრებულია. მაგრამ, თუ მან ეს ვერ მოახერხა და მხოლოდ ხუთი ეპიზოდის განხორციელება შეძლო, ავტორის თვალსაზრისით, დანაშაული ამ შემთხვევაშიც დამთავრებულად უნდა ვცნოთ. შეიძლება დამნაშავემ მისი ჩანაფიქრი ბოლომდე არ განახორციელოს და ბოლო რამდენიმე ეპიზოდი არ ჩაიდინოს. დანაშაული, როგორც ავტორი აღნიშნავს, ამ შემთხვევაშიც დამთავრებულად უნდა მივიჩნიოთ<sup>505</sup>. ვფიქრობ, ავტორის მოსაზრება არ არის თანმიმდევრული, ვინაიდან განგრძობადი დანაშაულის დამთავრებას, ერთი მხრივ, უკავშირებს განზრახვის განხორციელებას, მეორე მხრივ, დანაშაულს დამთავრებულად მიიჩნევს მაშინაც, როცა განზრახვა განხორციელებულია არა სრულად, არამედ მხოლოდ

<sup>505</sup> *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 218.

ნაწილობრივ<sup>506</sup>. თუმცა, ავტორი ამის საპირისპიროდ, მიუთითებს ისეთ შემთხვევაზეც, როცა განგრძობადი დანაშაული დასრულებულია, მიუხედავად იმისა, რომ ბოროტმოქმედმა სრულად ვერ შეძლო განზრახვის განხორციელება<sup>507</sup>.

ავტორთა ერთი ნაწილი განგრძობადი დანაშაულის დასრულებისთვის ცალსახად გადამწყვეტად თვლის დამნაშავის განზრახვას და მის რეალიზაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედებას დანაშაულის მცდელობად აკვალიფიცირებენ ისე, რომ არ ითვალისწინებენ ქმედების საკანონმდებლო შემაღგენლობის აღწერილობას<sup>508</sup>.

განგრძობადი დანაშაულის დასრულების საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განიმართოს ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით<sup>509</sup>. ზოგადად, უკანასკნელ ქმედებად უნდა იქნას მიჩნეული დამნაშავის მიერ განზრახული უკანასკნელი ქმედება, რომლის განხორციელებასთანაც არის დაკავშირებული ბოროტმოქმედის განზრახვის სრულად რეალიზაცია, მაგრამ ამის მიუხედავად, თუ განხორციელებული ქმედება შესაბამისი ქმედების შემაღგენლობის მინიმალურ წინაპირობებს შეიცავს, ქმედების დამთავრებულ დანაშაულად კვალიფიკაციას ხელი არ უნდა შეუშალოს იმ გარემოებამ, რომ მოქმედ პირს თავისი განზრახვა სრულად არ ჰქონდა

---

<sup>506</sup> იქვე.

<sup>507</sup> იქვე, გვ. 247-248.

<sup>508</sup> *მამულაშვილი გ., თოდუა ნ.*, წიგნში: ნაჭყებია გ., თოდუა ნ., (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 520-521.

<sup>509</sup> განგრძობად დანაშაულზე თითქმის ანალოგიური მოსაზრება იხ. *ნაჭყებია გ.*, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ., 2010, გვ. 250. აქვე უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ როცა ავტორი დანაშაულის ჩადენაზე საუბრობს მაშინ, როცა ბოროტმოქმედი განზრახული ქმედებებიდან მხოლოდ ერთს ახორციელებს, არ აკონკრეტებს დანაშაულის ჩადენაში გულისხმობს დანაშაულის ჩადენას დასრულებული, თუ დაუსრულებელი ფორმით. უნდა ვივარაუდოთ, რომ ავტორს მხედველობაში აქვს დანაშაულის ჩადენა დასრულებული ფორმით.



რეალიზებული. აღნიშნული მომენტი, როგორც უკვე ითქვა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სასჯელის დანიშვნის დროს და მოქმედი იმაზე უფრო მსუბუქად უნდა დაისაჯოს, ვინც სრულად ახორციელებს თავის დანაშაულებრივ განზრახვას. მაშასადამე, განგრძობადი დანაშაულის განხორციელებისას, დანაშაულებრივი განზრახვის ბოლომდე განუხორციელებლობა ზოგჯერ ქმედების კვალიფიკაციაზე აისახება და იწვევს ქმედების კვალიფიკაციას დანაშაულის მცდელობით, ხოლო ზოგჯერ ქმედება მაინც კვალიფიცირდება დამთავრებულ დანაშაულად, მაგრამ ასახვას ჰპოვებს სასჯელის ზომაზე.

თაღლითობასთან დაკავშირებით შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც ჩეულებრივ მცდელობას, ისე უვარგის მცდელობას. თაღლითობის უვარგის მცდელობას აქვს ადგილი მაშინ, როცა ფაქტები, რომელსაც მოქმედი პირი არანამდვილად მიიჩნევდა ნამდვილი აღმოჩნდება<sup>510</sup>, შესაბამისად, მოტყუება ობიექტურად გამოირიცხება.

თაღლითობაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია როგორც მომზადების, ისე მცდელობის სტადიაზე. მცდელობის დროს თაღლითობაზე ნებაყოფლობით ხელის აღებად შეიძლება ჩაითვალოს დამნაშავის ქმედება, რომლითაც იგი ქონებრივი სიკეთის განმკარგავის მიერ თხოვნის შესრულებას თავიდან აიცილებს<sup>511</sup>. ქონების მესაკუთრის ან მფლობელის მოტყუებისას, სანამ მოხდებოდეს ქონების განკარგვა, დამნაშავის მიერ მიღებული ზომებით აღნიშნულის თავიდან აცილებისას, ადგილი აქვს ნებაყოფლობით ხელის აღებას.

---

<sup>510</sup> Perron W., in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 30. Aufl., 2019, §263 Rn. 165.

<sup>511</sup> Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 199.

## VII. თანამონაწილეობა, თანაამსრულებლობა და შუალობითი ამსრულებლობა

თაღლითობა შესაძლებელია ერთპიროვნული ამსრულებლობით, თანაამსრულებლობით, შუალობითი ამსრულებლობით და თანამონაწილეობით განხორციელდეს.

თაღლითობაში თანამონაწილეობა, თანაამსრულებლობა და შუალობითი ამსრულებლობა არ გამოირჩევა განსაკუთრებული სპეციფიკით. თაღლითობის თანაამსრულებელი იქნება ის, ვინც სხვა ამსრულებელთან ერთად მონაწილეობს თაღლითობის შემადგენლობის განხორციელებაში და ამით ასრულებს სხვა თანაამსრულებელთან ერთად იმავე რანგის ქმედებას, რომელიც ეფუძნება საერთო დანაშაულებრივ გეგმას. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, თანაამსრულებელსაც მოეთხოვება მისაკუთრების მიზნით მოქმედება, რაც როგორც უკვე ითქვა, მოიცავს იმ შემთხვევასაც, როცა პირი მოქმედებს მესამე პირის მიერ სარგებლის მისაღებად. ამავე შეხედულებით, ეს მიუთითებს იმაზე, რომ თანაამსრულებლობისთვის არ არის არსებითი პირადი დაინტერესების მიზნით მოქმედება (სუბიექტური თეორია). გამოთქმული მოსაზრებით, თაღლითობაში თანაამსრულებლის და თანამონაწილის გამიჯვნა უნდა დაეყრდნოს არა სუბიექტურ კრიტერიუმებს, არამედ ობიექტურს. ასეთ კრიტერიუმად განიხილება ქმედებაზე (თანა) ბატონობა<sup>512</sup>. თუმცა, მხოლოდ ობიექტური გარემოებების გათვალისწინება, დანაშაულის მიმართ სუბიექტური დაინტერესების გარეშე, შეიძლება საკმარისი არ იყოს თაღლითობაში უმოქმედობით ამსრულებლობის და თანამონაწილეობის გასამიჯნად.

თანაამსრულებლობასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა იგი იყოს ისეთი პირი, რომელიც არა ქმედე-

<sup>512</sup> *Saliger F.*, in: *Matt.Renzikowski, Strafgesetzbuch, Kommentar*, 2. Aufl., 2020, §263 Rn. 956.

ბის შემადგენლობის განხორციელებაში, არამედ დანაშაულის მომზადებაში მონაწილეობს? ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრებით, თანაამსრულებელია ის, ვინც ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში მონაწილეობს. თანაამსრულებლად, აღნიშნული შეხედულებით არ მიიჩნევა დანაშაულის მომზადებაში მონაწილე პირი<sup>513</sup>. გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, თანაამსრულებელი, მათ შორის თაღლითობის შემთხვევაშიც, შეიძლება იყოს ის, ვინც დანაშაულის მომზადებაში მონაწილეობდა<sup>514</sup>, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ გერმანული სისხლის სამართლით დანაშაულის ორგანიზატორი არის დანაშაულის ამსრულებელი, ხოლო ორგანიზება ჯგუფის შექმნაშიც გამოიხატება. აქ კი თავს იჩენს ერთი საკითხი: თუ პირი ჯგუფს ქმნიდა თაღლითობის განხორციელებლად, მაგრამ თაღლითობა ვერ განხორციელდა, ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებასაც არ ჰქონდა ადგილი, სახეზე იქნება დანაშაულის მომზადება, მაგრამ აღნიშნული პირი დანაშაულის მომზადების ამსრულებელი იქნება თუ თანამონაწილე? როგორც ცნობილია, თანამონაწილე არ არსებობს ამსრულებლის გარეშე. შესაბამისად, თუ პირი ჯგუფის შექმნის დროს მართო მოქმედება, როგორ შეიძლება მივიჩნიოთ თანამონაწილედ, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზატორი ქართული სამართლით თანამონაწილეა, ხოლო ჯგუფის შექმნა ორგანიზატორული მოქმედება?

აღნიშნულ კითხვას შეიძლება იმით ვუპასუხოთ, რომ სსკ-ის მე-18 მუხლის თანახმად, დანაშაულის მომზადება დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნაა, ხოლო პირობების შექმნა ჯგუფის შექმნაშიც შეიძლება გამოიხატოს. გამოდის, რომ ის რაც

<sup>513</sup> ნაჭყებია გ., თოდუა ნ., (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 459.

<sup>514</sup> Perron W., in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Aufl., 2014, §263 Rn. 180.

დანაშაულის მომზადების ამსრულებლობას წარმოადგენს, დანაშაულის სრულად განხორციელებისას თანამონაწილეობა<sup>515</sup>. რამდენად მართებული შეიძლება იყოს საკითხის ასეთი გადანყვება? ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართლისთვის არ არის უცხო დანაშაულის ამსრულებლობად ისეთი ქმედების მიჩნევა, რაც სხვა შემთხვევაში მხოლოდ მომზადება შეიძლება ყოფილიყო. ამის დასტურია თუნდაც სისხლის სამართლის კოდექსში ისეთი ქმედების შემადგენლობების არსებობა, რომელიც განხორციელებულად ითვლება მომზადების ეტაპზე. მაგალითად, ბანდიტიზმი (224-ე მუხ.), აგრესიული ომის მომზადება (304-ე მუხ.). თუმცა, აქ საუბარია სხვადასხვა უმართლობაზე (ბანდიტიზმი და ჯგუფური ყაჩაღობის მომზადება ჯგუფის შექმნის სახით) და მათ მიმართებაზე. ხოლო როცა საკითხს განვიხილავთ ერთი და იმავე უმართლობის ფარგლებში, პრობლემატური შეიძლება ჩანდეს ის, რომ ის რაც ამსრულებლობაა მომზადების სტადიაზე, თანამონაწილეობად გადაიქცევა ქმედების შემადგენლობის სრულად განხორციელებისას. ამ საკითხს შემდეგი პასუხი შეიძლება მოეძებნოს. მომზადება, მცდელობასთან და მით უფრო დასრულებულ დანაშაულთან შედარებით, მცირე უმართლობას წარმოადგენს, რომლის ამსრულებლობისთვის საკმარისია ისეთი ტიპის ქმედება, რომელიც დამთავრებული დანაშაულის განხორციელებისთვის არ არის საკმარისი და შეესაბამება თანამონაწილის ქმედებას. აღნიშნული შემთხვევა შეიძლება შევადაროთ წარუმატებელ, უშედეგო თანამონაწილეობასაც (წაქეზებას, ორგანიზებას), რომელიც დანაშაულის მომზადებად კვალიფიცირდება (25-ე მუხლის მე-7 ნაწილი). უშედეგო წაქეზების დროს წამქეზებელი ისჯება, არა როგორც თანამონაწილე, არამედ, როგორც (მომზადების) ამსრულებელი.

თაღლითობაში სუქცესიურ თანაამსრულებლობასაც შეიძ-

---

<sup>515</sup> თუმცა, შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემთხვევას, როცა ერთი პირი ასრულებს როგორც თანაამსრულებლის, ისე თანამონაწილის ფუნქციას.

ლება ჰქონდეს ადგილი, როდესაც თანაამსრულებელი დანაშაულის განხორციელებას შეუერთდება მაშინ, როცა თაღლითობის ქმედების შემადგენლობა განხორციელებულია, მაგრამ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი ჯერ კიდევ არ არის მიღწეული<sup>516</sup>. თუმცა, სუქცესიურ თანაამსრულებლობას სხვისი ქონებისთვის საფრთხის შექმნის ფორმით გამორიცხავენ<sup>517</sup>, რაც არ გულისხმობს ზოგადად, თაღლითობაში სუქცესიური თანაამსრულებლობის გამორიცხვას, აღნიშნული დანაშაულის მატერიალურად დასრულებამდე. თაღლითობის დროს სხვისი ქონებისთვის საფრთხე შეიძლება შეიქმნას მისაკუთრებამდე, დაუფლებით მაგრამ ნივთის/ქონების დაუფლების შემდგომ სტადიას წარმოადგენს მისაკუთრება, რაც შეიძლება მოითხოვდეს დამატებით ძალისხმევას, რისი განხორციელებაც ცალკეულ შემთხვევაში სუქცესიური თანაამსრულებლის მონაწილეობით შეიძლება გახდეს შესაძლებელი.

თაღლითობაში შუალობით ამსრულებლობას რაც შეეხება, ქართული კანონმდებლობის (სსკ-ის 22-ე მუხლი) მიხედვით, იგი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა დანაშაულის ჩადენა ხდება ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც არ დაეკისრება პასუხისმგებლობა შეურაცხადობის ან სხვა მიზეზის გამო. თუმცა, გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, შუალობითი ამსრულებლობით თაღლითობა შეიძლება განხორციელდეს ორგანიზატორული სტრუქტურის მეშვეობითაც<sup>518</sup>, ქმედებაზე ორგანიზატორული ბატონობის ფორმით<sup>519</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს იმის შესახებაც,

---

<sup>516</sup> *Rengier R.*, Strafrecht, BT I, 22. Aufl., 2020, §263 Rn. 275.

<sup>517</sup> *Perron W.*, in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Aufl., 2014, §263 Rn. 180.

<sup>518</sup> *Schramm E.*, Strafrecht, BT II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Aufl., 2021, S. 208, §7 Rn. 186.

<sup>519</sup> *Perron W.*, in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Aufl., 2014, §263 Rn. 180; *Fischer Th.*, Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 67.

რომ საკითხის ასეთი გადაწყვეტა მოითხოვს როგორც თანამონაწილეობის აქცესურობის, ისე თანამონაწილეობასთან დაკავშირებით ქართული კანონმდებლობის გათვალისწინებას. მართალია, გერმანული სისხლის სამართალი, ქართულისგან განსხვავებით, აღიარებს თანამონაწილეობის ლიმიტირებულ აქცესორულ თეორიას, მაგრამ ორგანიზატორის ფიგურას, როგორც თანამონაწილეობას ვინრო გაგებით, არ იცნობს და შესაბამისად, ორგანიზატორი, რომელიც ქართული სსკ-ით თანამონაწილეა, გერმანულ სისხლის სამართალში ამსრულებლად წარმოგვიდგება.

თაღლითობის შუალობითი ამსრულებლობით განხორციელებასთან დაკავშირებით, მოქმედ ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან შესაბამისობის თვალსაზრისით, საყურადღებოა ის შემთხვევა, სადაც საუბარია შემთხვევაზე, როცა შუალობით ამსრულებელს შეცდომაში შეყავს ისეთი მესამე პირი, რომელიც იცის, რომ შემდგომ გააკეთებს ყალბ, არასწორ მითითებას მისი თანამშრომლებისთვის, რომლებიც შეცდომაში იქნებიან შეყვანილი, ხოლო შუალობითი ამსრულებლის მიერ უშუალოდ შეცდომაში შეყვანილი პირი არ იქნება გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე<sup>520</sup>, თუმცა, მისი მემკვიდრით მოტყუებული პირების მიერ ორგანიზაციაში მიღებული იქნება ისეთი გადაწყვეტილება, რის შედეგადაც შუალობითი ამსრულებელი შეძლებს სხვისი (ორგანიზაციის) კუთვნილი ნივთის, ქონების დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

შუალობითი ამსრულებლობით თაღლითობის გამოვლინებად გერმანულ სისხლის სამართალში განიხილება ისეთი საწარმოს დაუფლება და ხელმძღვანელობა, რომელიც თაღლითური, მაცდური საქმიანობითაა დაკავებული. ამ ფარგლებში

---

<sup>520</sup> Perron W., in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Aufl., 2014, §263 Rn. 180.

უკანა კაცი დაზარალებულს ატყუებს თავისი თანამშრომლის მეშვეობით, რომელზეც გასცემს გენერალურ (ზოგად) მითითებებს. საკითხის ასეთი გადაწყვეტის პრაქტიკულ უპირატესობად მიიჩნევა ის, რომ საერთო დანაშაულებრივი გეგმის არსებობა ან დანაშაულში საკუთარი წვლილის შეტანა, საკუთარი ხელით ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დადგენა არ არის საჭირო. საკმარისად მიიჩნევა შესაბამისი ორგანიზატორული სტრუქტურის შექმნა. თანამშრომელთა მიერ კონკრეტულად განხორციელებულ ქმედებათა ცალცალკე დადგენაც არ არის საჭირო. განზრახვაც თაღლითობის ჩასადენად ორგანიზატორული სტრუქტურის შექმნის განზრახვის სახით არის დასადგენი<sup>521</sup>. შუალობითი ამსრულებლობის აღნიშნული კონსტრუქცია ცნობილია ორგანიზაციული ბატონობის სახელწოდებით. ორგანიზაციული ბატონობის ფორმით შუალობითი ამსრულებლობის დასაბუთება ლიტერატურაში იწვევს აზრთა არაერთგვაროვნებას. თაღლითობაში ორგანიზაციული ბატონობის ფორმით შუალობითი ამსრულებლობის დასაბუთებას მხარს უჭერს ავტორთა ერთი ნაწილი<sup>522</sup>.

ლიტერატურაში შუალობითი ამსრულებლობის ასეთი დასაბუთების სასარგებლოდ მიუთითებენ, რომ ამგვარად წარმართული მოვლენების დროს უკანა კაცი მოვლენებზე ისე ბატონობს, რომ მისი მიჩნევა მხოლოდ ნამქმებელად ან დამხმარედ უსამართლო იქნებოდა. თუმცა, კრიტიკული თვალსაზრისით უთითებენ იმას, რომ ორგანიზაციული ბატონობის კრიტერიუმები კედლის მცველთა გადაწყვეტილებიდან განვითარდა, რომელიც დაუყოვნებლივ (უყოყმანოდ) არ უნდა გავრცელდეს ეკონომიკურ დანაშაულებზე, ვინაიდან ისინი არ არიან მკაცრად იერარქიული სტრუქტურის მქონენი, რაც იმას

<sup>521</sup> Perron W., in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Aufl., 2014, §263 Rn. 180.

<sup>522</sup> Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 203.

ნიშნავს, რომ კვაზი სამხედრო სტრუქტურის ორგანიზაციები არიან. ამიტომაც სამეწარმეო ორგანიზაციების მიერ ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით უფრო ადეკვატურად მიიჩნევა მმართველობითი ძალაუფლების ცნება ვიდრე ორგანიზაციული ბატონობა<sup>523</sup>.

თ. როჩის აზრით, ორგანიზაციული ბატონობის ფარგლებში ჩადენილი დანაშაულების დროს ამსრულებლის უკან მდგომი დამნაშავის სამართლებრივი ფიგურა გერმანიის უზენაესმა სასამართლომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კედლის მცველი ჯარისკაცებისგან გაქცეული პირების (დევენილების) განზრახ მკვლელობისთვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაციონალური თავდაცვის საბჭოს წევრთა დასჯადობისთვის მოიფიქრა. გერმანიის უზენაესი სასამართლოს მიერ დიდ ეკონომიკურ ორგანიზაციებში პასუხისმგებელი მუშების უკან შუალობითი ამსრულებლის სახით მოქმედი ხელმძღვანელობითი ორგანოების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება უკავშირდება სოციალფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ და ორგანიზაციის სოციოლოგიურ თავისებურებებს. თუ გავითვალისწინებთ ამ თავისებურებებს, დიდ ეკონომიკურ ორგანიზაციებში წინა ამსრულებლის უკან მოქმედი ამსრულებლის (Täter hinter dem Täter) სამართლებრივმა ფიგურამ თავისი კრიმინალპოლიტიკური გამართლება დაკარგა<sup>524</sup>.

ორგანიზატორული ძალაუფლების აპარატის ფარგლებში შუალობითი ამსრულებლობის სამართლებრივი ფიგურა პირველად კ. როქსინმა განავითარა, რომელმაც იურიდიულ ლიტერატურაში მხარდაჭერა ჰპოვა. ამსრულებლობის ამ-

---

<sup>523</sup> Schramm E., S. 208-209, §7 Rn. 188.

<sup>524</sup> Rotsch Th., Die Rechtsfertigung des Täters hinter dem Täter bei der Begehung von Straftaten im Rahmen organisatorischer Machtapparate und ihre Übertragbarkeit auf wirtschaftliche Organisationsstrukturen, NSTz 1998, 495.



გვარი ფორმის სამართლებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობაზე მიუთითებენ ე. წ. „სანერი მაგიდის დამნაშავესთან“ („Schreibtischtäter“) მიმართებით. დოგმატური დასაბუთება იმ ამსრულებლის დასჯადობისა, რომელიც მოქმედებს შეუზღუდავი პასუხისმგებლობის დანაშაულის იარაღის უკან, *კ. როქსინის* მიხედვით, მდგომარეობს შემდეგში: უსამართლო სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურის მეშვეობით აღმოცენებულ განსაზღვრულ ჩარჩო პირობებს უკანა კაცი (რომელიც კულისებში მოქმედებს) დანაშაულის ჩასადენად იყენებს. ეს პირობები ეფუძნება იმას, რომ ნებისმიერი უშუალოდ მოქმედი პირი არის ჩანაცვლებადი, აღნიშნული პირობები მათ ინდივიდუალობაზე არ არის დამოკიდებული. აღნიშნული პირობებიდან გამომდინარე უკანა კაცის მონაწილეობა დანაშაულში შემდეგნაირად მიმდინარეობს: ორგანიზაციის ფუნქციონერი დარწმუნებულია, რომ მისი ნება განხორციელდება. ორგანიზაცია, რომელიც მისი წევრებისგან დამოუკიდებელია, ფუნქციონირებს ავტომატურად. სწორედ აღნიშნული ავტომატიზმის წყალობით ხედავს განსხვავებას *კ. როქსინი* დანაშაულის დასახელებული ფორმით განხორციელებასა და ნაქვებებს (თანამონაწილეობას) შორის<sup>525</sup>.

ლიტერატურაში შუალობით ამსრულებლობასთან დაკავშირებით *კ. როქსინის* მიერ შემუშავებული სამართლებრივი ფიგურის განხილვისას ამავე შეხედულების სასარგებლოდ მიუთითებენ იმას, რომ უკან მოქმედ ამსრულებელსა და წინა კაცს შორის არ არის თანაბრობის მომენტი, აგრეთვე არ არსებობს ერთიანი გადაწყვეტილება. გარდა ამისა, ორგანიზაციის სათავეში პასუხისმგებელ ხელმძღვანელსა და დაქირავებულ მუშას შორის დროითი, სივრცითი და იერარქიული დისტანციის არსებობის გამო არ არსებობს ისეთი სახის ქმედება, რო-

---

<sup>525</sup> *Rotsch Th.*, ebenda, S. 491-492.

მელსაც ქმედებაზე ბატონობის მოძღვრება გულისხმობს<sup>526</sup>.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიუთითებენ იმ არგუმენტებზე, რომელთა გამოც კ. როქსინის მიერ შემუშავებული „ამსრულებლის უკან მდგომი ამსრულებლის“ (უკანა კაცის) სამართლებრივი ფიგურის გამოყენება დიდ ეკონომიკურ სანარმოში ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით გაუმართლებლად მიიჩნევა. კერძოდ, კ. როქსინი საუბრობს ორგანიზებული ბატონობის ქვეშ განხორციელებულ ავტომატიზებულ მოქმედებაზე, მაგრამ ამის დასაბუთება შეუძლებელია იმ თეორიის მიხედვით, რომლის თანახმადაც დიდ ორგანიზაციებში მიმდინარეობს აუტოპოიეტური პროცესები<sup>527</sup>. ლუმანის თანახმად, ორგანიზაციები, მიუხედავად მათი ფუნქციონალური თუ ფორმალურ-სტრუქტურული თავისებურებებისა, წარმოადგენენ თვითრეგულირებად, აუტოპოიეტურ წარმონაქმნებს, რომლებიც თავად აყალიბებენ შინაგან სტრუქტურას, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმს, შინაგანი დინამიკის პროცესებს<sup>528</sup>.

როჩის თვალსაზრისით, გდრ-ის თავდაცვის საბჭოს წევრთა პასუხისმგებლობისთვის შემუშავებული ამსრულებლის უკან მოქმედი ამსრულებლის კონსტელაცია სანარმო ორგანიზაციული სტრუქტურის მიმართ მნიშვნელობას კარგავს, ვინაიდან უშუალოდ მოქმედი დაქირავებული პირების სამართლებრივი გამართლების შესაძლებლობა დღის წესრიგიდანაა მოხსნილი<sup>529</sup>.

როქსინის მიერ შემუშავებული ორგანიზებული სახელმწიფო აპარატის მეშვეობით შუალობითი ამსრულებლობის, ამს-

---

<sup>526</sup> Rotsch Th., ebenda, S. 492.

<sup>527</sup> Rotsch Th., ebenda, S. 494.

<sup>528</sup> ბრეგვაძე ლ., ორგანიზაციის თეორიის საფუძვლები: სოციოლოგიური მოძღვრება კორპორაციული სისტემების შესახებ, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბ., 2009, გვ. 43-44.

<sup>529</sup> Rotsch Th., ebenda, S. 491.

რულებლის უკან მდგომი ამსრულების, ფიგურის სამენარმეო ორგანიზაციების მიმართ გამოყენებას თვით როქსინიც ეწინააღმდეგება და აღნიშნავს, რომ თუ სამენარმეო ორგანიზაციებშიც პასუხისმგებლობის საკითხს ანალოგიურად გადავწყვეტდით, ეს შორს წაგვიყვანდა<sup>530</sup>.

როქსინი ასახელებს იმ არგუმენტს თუ რატომ არ შეიძლება გავრცელდეს სამენარმეო ორგანიზაციაზე მის მიერ მკვლელობის საქმეებზე გდრ-ის თავდაცვის საბჭოს წევრების მიმართ შემუშავებული შუალობითი ამსრულებლობის ფიგურა. როქსინი როგორც მიუთითებს, სამენარმეო ორგანიზაციებთან მიმართებით სახეზე არ არის ხელმძღვანელთა ჩანაცვლებადობა (*Austauschbarkeit der Ausführenden*). ასეთი სამართლებრივი მდგომარეობა მოცემულია სახელმწიფო დანაშაულებთან, ტერორისტულ დანაშაულებთან და ორგანიზებული დანაშაულის დროს<sup>531</sup>. თაღლითობა შეიძლება ორგანიზებული ჯგუფის მიერაც განხორციელდეს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ავტორი, როგორც ჩანს, ორგანიზებული დანაშაულის ცნების ქვეშ მოიაზრებს სხვა ტიპის დანაშაულებრივ ქმედებას.

გერმანიის უზენაესმა სასამართლომ სცადა, რომ სამენარმეო ორგანიზაციებში პასუხისმგებლობის პრობლემა ორგანიზატორული სახელმწიფო აპარატის მეშვეობით შუალობითი ამსრულებლობის კონსტრუქციით გადაენწყიტა, თუმცა მოცემულმა იდეამ ლიტერატურაში ვერ ჰპოვა მხარდაჭერა<sup>532</sup>.

აქვე უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ ცალკეული ავტორები საწარმოში ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით შუალობითი ამსრულებლობის უარყოფით მხარს უჭერენ დასჯადობას თანაამსრულებლობის ფორმით. შუნემანი მიუთითებს გარან-

---

<sup>530</sup> Roxin C., *Strafrecht, AT, Band II, Besondere Erscheinungsformen der Straftat, München, 2003, S. 55, Rn. 129.*

<sup>531</sup> Roxin C., *ebenda, S. 55, 58, Rn. 130, 138.*

<sup>532</sup> Roxin C., *ebenda, S. 57, Rn. 136.*

ტის ორმაგ მონაწილეობაზე – როგორც უმოქმედობით მონაწილის, ისე აქტიური თანამონაწილის სახით.

რაც შეეხება თაღლითობის თანამონაწილეს, ის ამსრულებელთან ერთად უნდა იღებდეს მონაწილეობას თაღლითობის უმართლობის განხორციელებაში, რაც არ გულისხმობს თაღლითობის ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში მონაწილეობას, ვინაიდან ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში მონაწილეობა მხოლოდ თანამსრულებელს მოეთხოვება (თანამონაწილეობა ფართო გაგებით) და არა ვინრო გაგებით თანამონაწილეს. თაღლითობის თანამონაწილეს არა მხოლოდ ობიექტური მონაწილეობა მოეთხოვება თაღლითობის უმართლობაში, არამედ ასევე იმის გაცნობიერებაც, რომ ამსრულებელთან ერთად თაღლითობაში იღებს მონაწილეობას. თაღლითობაში თანამონაწილეობა ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით შეიძლება გამოიხატოს ორგანიზების, წაქეზების ან დახმარების სახით.

თაღლითობაში თანამონაწილეობასა და თანამსრულებლობაზე საყურადღებოა შემდეგი შემთხვევა:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი „ნ“ დაუკავშირდა იმავე საკრებულოს წევრს და ახლო მეგობარს – „ლ“-ს და სთხოვა დახმარებოდა სამასალე და საშეშე მერქანის დაუფლებაში. „ლ“-მ ნონიკაშვილის მატერიალური სარგებლის მისაღებად, დაგეგმა და ორგანიზება გაუკეთა როგორც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და ყალბი დოკუმენტებით სამასალე და საშეშე მერქანის გაფლანგვას, ასევე „ნ“-ს დასახმარებლად გემოქმედება მოახდინა ხის გადამამუშავებელი საამქროს მესაკუთრე „ვ“-ზე და დაიყოლია იგი, რომ „ნ“-ს შეესყიდა მერქანი გაყალბებული დოკუმენტების საფუძველზე. „ლ“-ს მიერ ორგანიზებულ დანაშაულებრივ სქემაში ჩაერთნენ ხარაგაულის

მუნიციპალიტეტის გამგებელი და გამგებლის მოადგილე, რომლებმაც მათ მართლზომიერ გამგებლობაში არსებული მერქანი, ნაცვლად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული გაჭირვებული მოსახლეობისა, უსასყიდლოდ უნდა გადაეცათ „ნ“-თვის, რომელიც შემდეგ მერქანს ცალკეული მოქალაქეების სახელზე შედგენილი ყალბი დოკუმენტების გამოყენებით ჩააბარებდა ამავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ხის გადამამუშავებელ საამქროებს. თავისი მხრივ, ხის გადამამუშავებელი საამქროების ხელმძღვანელები, „ლ“-ის დავალების შესაბამისად, მიღებული მერქანის საბაზრო ღირებულებების თანხას გადასცემდნენ „ნ“-ს, რომელიც აღებული თანხით შეძლებდა როგორც მისი, ასევე „ლ“-ს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. „ლ“ მოქმედებდა რა როგორც დანაშაულის ორგანიზატორი, პირველად უკავშირდებოდა მუნიციპალიტეტის გამგებელს და „ნ“-ს და მათგან იღებდა ინფორმაციას მის მიერვე ორგანიზებული დანაშაულის შესახებ. ერთ დღეს „ლ“ მობილური ტელეფონით დაუკავშირდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს – „ზ“-ს და დაავალა „ნ“-თვის გადასაცემი სამასალე და საშემე მერქანის განკარგვასთან დაკავშირებით შესაბამისი კომისიის დაუყოვნებლივ მოწვევა და გადანყვეტილების დროულად მიღება, ასევე შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება. შემდგომ „ნ“ მობილური ტელეფონით დაუკავშირდა „ლ“-ს და აცნობა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო და დანაშაულებრივი სქემით განსაზღვრულ საქმიანობას მეორე დღიდან დაიწყებდა. „ლ“-გან მიღებული დავალების შესაბამისად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებამ მიიღო გადანყვეტილება ეკონომიკურად შეჭირვებულ 40 მოქალაქეზე სამასალე და საშემე მერქანის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, რომელთაგან წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად 29 პირს ხარაგაულის

მუნიციპალიტეტის გამგეობიდან არც საშეშე და არც სამასალე მერქანი არ მიუღიათ. „ლ“-ს ორგანიზებით „ნ“ თაღლითურად დაეუფლა უკიდურესად შეჭირვებული მოქალაქეებისათვის განკუთვნილ სამასალე და საშეშე მერქანს, რითაც გაიფლანგა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დიდი ოდენობით 149.299 მ<sup>3</sup>, 20420, 69 ლარად ღირებული ქონება. „ლ“-მ „ნ“-ს დასახმარებლად და დაუფლებული სამასალე და საშეშე მერქნის დაუბრკოლებლად რეალიზაციისთვის, დაიბარა ხარაგაულის რაიონის ხის გადამამუშავებელი საამქროს მესაკუთრე „ვ“ და დაიყოლია, რათა მას ყალბი დოკუმენტებით შეესყიდა სამასალე და საშეშე მერქანი, რომლის საბაზრო ღირებულების თანხა, ნაცვლად გაყალბებულ დოკუმენტებში მითითებული მოქალაქეებისა პირადად გადაეცა „ნ“-ს. თავის მხრივ, „ვ“-მ „ნ“-ს ყალბი დოკუმენტებით ხის გადამამუშავებელ საამქროში მერქნის ჩაბარების გასაადვილებლად გამოუყო ამავე საამქროს თანამშრომელი „ბ“. აღნიშნულის შემდეგ „ნ“ და „ბ“ მობილური ტელეფონის მეშვეობით სისტემატურად უკავშირდებოდნენ ერთმანეთს და ათანხმებდნენ მერქნის მიღებისთვის ფიქტიურად შერჩეულ მოქალაქეებს, განცხადების ტექსტს და სამართალდამცავ ორგანოთა მხრიდან კითხვების გაჩენის შემთხვევაში, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებისთვის სასურველი პასუხების გასაცემად მოქალაქეთა წინასწარი გაფრთხილების მექანიზმს. „ნ“-მ „ლ“-ს დახმარებით, „ვ“-ს თანხმობის მიღების შემდეგ, უკანონოდ დაუფლებული მერქანი მიიტანა ხარაგაულის რაიონში მდებარე ხის სახერხ საამქროში, რის სანაცვლოდ „ნ“-მ მიიღო მერქნის საბაზრო ღირებულების თანხა. აღნიშნული ქმედებით არსებითად შეილახა სახელმწიფოსა და მოქალაქეთა კანონიერი ინტერესები<sup>533</sup>.

მოცემულ შემთხვევაში „ლ“ ქვედა ინსტანციის სასამართ-

<sup>533</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 18 დეკემბრის განაჩენი, #332აპ-15, სუსგ, 2015, #9-12, გვ. 51-167,

ლოებმა მიიჩნიეს თაღლითობაში თანამონაწილედ, კერძოდ კი, ორგანიზატორად, რაც გამოიხატა დანაშაულის ორგანიზებაში (სსკ-ის 24-ე მუხლი და სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტები, – თაღლითობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და დიდი ოდენობით). სასამართლოს გადაწყვეტილებაში საუბარია იმაზე, რომ სასამართლომ აღნიშნული პირი ასევე სცნო ჯგუფური დანაშაულის თანაამსრულებლად<sup>534</sup>, „ლ“ განხილულ შემთხვევაში დამხმარის და წამქეზებლის როლსაც ასრულებდა<sup>535</sup>. უზენაესი სასამართლოს პოზიციით, სახეზეა არა ორგანიზებული ჯგუფის, არამედ წინასწარი შეთანხმებით მოქმედი ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული, ვინაიდან მოქმედი ჯგუფი არ იყო იმ სტრუქტურული ნიშნების მატარებელი, რაც ორგანიზებული ჯგუფისთვის არის დამახასიათებელი. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ჯგუფის მიზანი არ იყო სხვა დანაშაულების განხორციელება<sup>536</sup>.

უზენაესი სასამართლო „ლ“-ს ქმედებას სსკ-ის 24-ე, 180-ე მუხლით (მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით) აკვალიფიცირებს<sup>537</sup>.

„ნ“ განხილულ შემთხვევაში გვევლინება თაღლითობის ამსრულებლად, რომლის ქმედებაც სასამართლოს მიერ დაკვალიფიცირდა 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით. „ნ“-მ და „ლ“-მ თაღლითობის გარდა სხვა დანაშაულებს განახორციელეს, რომლის განხილვა აქ არ არის რელევანტური.

თაღლითობაში თანამონაწილეობა შესაძლებელია სუქცესიური მონაწილეობის სახით, როდესაც თანამონაწილე

<sup>534</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 18 დეკემბრის განაჩენი, #332აპ-15, სუსგ, 2015, #9-12, გვ. 51-167, (142).

<sup>535</sup> სუსგ, 2015, #9-12, გვ. 152.

<sup>536</sup> სუსგ, 2015, #9-12, გვ. 150.

<sup>537</sup> სუსგ, 2015, #9-12, გვ. 162, 163, 164.

დანაშაულის განხორციელებას უერთდება იმ სტადიზე, როცა ქმედების შემადგენლობა განხორციელებულია, მაგრამ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. ამ მხრივ საგულისხმოა დამხმარის ფიგურა<sup>538</sup>.

თაღლითობაში თანამონაწილე დამხმარის სახით შეიძლება იყოს ის პირი, ვინც მონაწილეობს იმ ქმედების განხორციელებაში, რომელიც თაღლითობას საფუძვლად უდევს და ხელს უწყობს მის განხორციელებას<sup>539</sup>. ასეთია მაგალითად, ხელშეწყობა ყალბი დოკუმენტის დამზადებაში, იმ მიზნით, რომ შემდგომ იგი გამოყენებულ იქნას შესაკუთრის მოსატყუებლად და ქონების დასაუფლებლად.

როდესაც საუბარია თაღლითობაში თანამონაწილეობაზე, მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს უმოქმედობით თაღლითობა, თაღლითობაში დახმარება უმოქმედობით და დანაშაულის შეუტყობინებლობა (დანაშაულთან შემხებლობა). ამ თვალსაზრისით საყურადღებოა შემთხვევა, როცა გარანტორი თავისი უმოქმედობით ხელს არ უშლის დამნაშავეს დანაშაულის ჩადენაში. ვინაიდან თაღლითობის განხორციელება უმოქმედობითაც არის შესაძლებელი, ხოლო უმოქმედობა მოითხოვს უმოქმედობას გარანტის მხრიდან, ჩნდება კითხვა, სად გადის ზღვარი უმოქმედობით თაღლითობასა და უმოქმედობით თაღლითობაში დახმარებას შორის, რომელიც ასევე გარანტის უმოქმედობას უკავშირდება?

უმოქმედობით თაღლითობისას ადგილი აქვს უმოქმედობას მსხვერპლისთვის ინფორმაციის მიწოდებისგან თავის შეკავების თვალსაზრისით, რაც იწვევს მის შეცდომაში შეყვანას. უმოქმედობის დახმარების დროს ასევე ადგილი აქვს უმოქმე-

---

<sup>538</sup> Rengier R., *Strafrecht, BT I*, 22. Aufl., 2020, §263 Rn. 275; Perron W., in: *Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar*, 29. Aufl., 2014, §263 Rn. 180.

<sup>539</sup> Perron W., in: *Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, Kommentar*, 29. Aufl., 2014, §263 Rn. 180.



დობას, მსხვერპლისთვის იმ ინფორმაციის მიუწოდებლობას, რომელიც მას დანაშაულის მსხვერპლად გახდომისგან დააბ-  
ღვევდა. სწორედ ეს წარმოშობს პრობლემას უმოქმედობით  
თაღლითობის ამსრულებლობის და უმოქმედობით თაღლი-  
თობაში თანამონაწილეობის გამიჯვნის თვალსაზრისით. გა-  
მიჯვნის პრობლემა უკავშირდება არა იმას, რომ ორივე შემთ-  
ხვევაში სახეზეა უმოქმედობა გარანტორის მხრიდან, არამედ  
თვითონ თაღლითობის შემადგენლობას და დანაშაულის ბუ-  
ნებას, რომ თაღლითობის უმოქმედობით ჩადენა მსხვერპლის  
არაინფორმირებულობასთან და მის შედეგად მსხვერპლის  
შეცდენასთან არის დაკავშირებული. მსხვერპლის არაინფორ-  
მირებულობა სხვა დანაშაულის უმოქმედობით განხორციელე-  
ბისთვის არ არის საკმარისი. მაგალითად, მკვლელობის ან  
ყაჩაღობის შემთხვევაში. გარანტორი, რომელიც მსხვერპლს  
არ აწვდის ინფორმაციას მოსალოდნელ დანაშაულთან და-  
კავშირებით, არ მიიჩნევა მკვლელობის ან ყაჩაღობის ამს-  
რულებლად, არამედ განიხილება დამხმარედ. თუმცა, თაღ-  
ლითობის დროს ასეთი პირი შეიძლება ვცნოთ თაღლითობის  
ამსრულებლად თუ არ უარვყოფთ უმოქმედობით თაღლითო-  
ბის შესაძლებლობას, ვინაიდან შეცდომაში შეყვანა თაღლი-  
თობის შემადგენლობის ნიშანია, ხოლო შეცდომაში შეყვანა  
შეიძლება გარანტის არა მხოლოდ აქტიურმა მოქმედებამ,  
არამედ უმოქმედობამაც განაპირობოს. აღნიშნულის გათვა-  
ლისწინებით, უმოქმედობით თაღლითობის ამსრულებლობის  
და უმოქმედობით თანამონაწილეობის გასამიჯვნად ობიექ-  
ტურთან ერთად შეიძლება გამოყენებული იქნას სუბიექტური  
კრიტერიუმიც, მაგრამ სუბიექტურ კრიტერიუმში იგულისხმება  
არა ის, რაც განზრახი ქმედების ნიშანია და რაც როგორც თა-  
ნამონაწილეობას, ისე განზრახი დელიქტის ამსრულებლობას  
ახასიათებს ცოდნის და სურვილის თვალსაზრისით, არამედ  
მხედველობაშია სუბიექტური კრიტერიუმი იმ თვალსაზრისით,

თუ ამ უმოქმედობას გარანტორი როგორ აღიქვამს და არის თუ არა უმოქმედობაში უფრო მეტად პირადი დაინტერესება დანაშაულის განხორციელებასთან დაკავშირებით. ამსრულებელი უნდა მოქმედებდეს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ხოლო დამხმარეს მისაკუთრების მიზანი არ მოეთხოვება<sup>540</sup>, რაც ასევე მიუთითებს გამიზვნით დელიქტებში და მით უფრო თაღლითობის შემთხვევაში სუბიექტური მომენტის მნიშვნელობაზე. მიუხედავად იმისა, რომ საკითხის ასეთი გადაწყვეტა უფრო მეტად ინტერესთა (სუბიექტურ) თეორიას ახასიათებს, რომელიც დანუნებული იქნა იმის გამო, რომ სათანადოდ ვერ მიჯნავდა ამსრულებლობას და თანამონაწილეობას, დანუნებული თეორიის მიერ შემუშავებული კრიტერიუმი შეიძლება გამოსადეგი აღმოჩნდეს თაღლითობასთან დაკავშირებით, დანაშაულის ბუნების გათვალისწინებით.

დამხმარის, როგორც თანამონაწილის განზრახვასთან დაკავშირებით საკმარისად მიიჩნევა, ის მისი ქმედების დროს იქიდან ამოდიოდეს, რომ ამსრულებელი მის ქმედებას გამოიყენებს მართლსაწინააღმდეგოდ ქონებრივი სიკეთის მიღებისკენ მიმართული მანიპულაციებისთვის<sup>541</sup>.

როგორც უკვე ითქვა, სუბიექტური მომენტი შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ამსრულებლობის და თანამონაწილეობის გამიჯვნის დროს, მაგრამ საკითხავია, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი თანაამსრულებელთან და თანამონაწილესთან მიმართებით. თუ თანამონაწილის მსგავსად თანაამსრულებელთან მიმართებით მხედველობაში არ მივიღეთ მიზნის საკითხი და არ მოვიტოვოთ ის, რომ თანაამსრულებელიც სხვა ამსრულებელთან ერთად იმავე მიზნით მოქმე-

<sup>540</sup> ქურდობასთან დაკავშირებით ამსრულებლობის და დახმარების სახით თანამონაწილეობის გამიჯვნაზე იხ. *Heinrich B., Heinrich B., in: Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, BT, Lehrbuch, 4. Aufl., 2021, S. 368, §13 Rn. 137.*

<sup>541</sup> *Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 205.*

დებდეს, შეიძლება რთული გასამიჯნი გახდეს თაღლითობაში თანაამსრულებლობა და თანამონაწილეობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, მიზანი შეიძლება გათვალისწინებულ იქნას თანაამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციის დროსაც, ხოლო თანამონაწილეს არ მოეთხოვება ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული მიზნით მოქმედება. გარდა ამისა, თუ თანაამსრულებელი ქმედებაზე თანაბატონობას ახორციელებს, თანამონაწილე ასეთ სუბიექტად არ გვევლინება.

## VIII. ნორმათა კონკურენცია და დანაშაულთა ერთობლიობა

### **ა) სისხლისსამართლებრივი სფერო.**

სსკ-ის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ზოგად ნორმას წარმოადგენს, ითვალისწინებს თაღლითობის ძირითად შემადგენლობას, ხოლო შემდგომი ნაწილების ქვეპუნქტები სპეციალურ ნორმებად განიხილება, რომლებიც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს ითვალისწინებენ. შესაბამისად, თუ სახეზეა თაღლითობისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი რომელიმე გარემოება, ქმედება შესაბამისი სპეციალური ნორმით უნდა დაკვალიფიცირდეს და გაუმართლებელი იქნება ქმედების კვალიფიკაცია ამავე მუხლის 1-ლი ნაწილითაც.

თაღლითობა თუ განხორციელდა ყალბი დოკუმენტის გამოყენებით, ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობის წესით, სსკ-ის 180-ე მუხლთან ერთად სსკ-ის 362-ე მუხლითაც, საჭირო არ არის. მართალია, სსკ-ის 362-ე მუხლი გულისხმობს ყალბი დოკუმენტის გამოყენებასაც, მაგრამ თაღლითობის დროს მას სრულად მოიცავს სსკ-ის 180-ე მუხლის შემადგენლობა. მაგრამ, როცა საქმე ეხება ყალბი დოკუმენტის არა მხოლოდ გამოყენებას, არამედ დამზადებასაც, ქმედება დანაშაულთა ერთობლიობის წესით უნდა დაკვალიფიცირდეს

სსკ-ის 180-ე და 362-ე მუხლებით<sup>542</sup>. თაღლითობის შემადგენლობა მოიცავს მხოლოდ ყალბი დოკუმენტის გამოყენებას და არა მის დამზადებას. ყალბი დოკუმენტის დამზადება თაღლითობის შემადგენლობის მიღმაა.

თაღლითობა შეიძლება განხორციელდეს სსკ-ის 363-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან ერთად. კერძოდ, დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებასთან ერთად, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას პირადობის დამადასტურებელი მონუმობის ან სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცებისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით საგულისხმოა შემდეგი შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში:

„ქ“ ფარულად დაეუფლა თავისი ძმის პირადობის დამადასტურებელ მონუმობას და „რ“-თან ერთად მივიდა მეტრო სადგურ „ახმეტელის თეატრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ „მ“-ს სანოტარო ბიუროში, სადაც დახვდათ თანხის გამსესხებელი პირი „ზ“. „რ“ ნოტარიუს „მ“-ს წინაშე წარსდგა, როგორც „ქ“-ის ძმა, ამ უკანასკნელის სახელზე გაცემული პირადობის დამადასტურებელი მონუმობა წარუდგინა და გამოხატა თანხმობა „ქ“-ს ძმის ბინის იპოთეკით დატვირთვაზე. ნოტარიუსი ფიზიკური მსგავსების გამო ვერ მიხვდა, რომ მის წინაშე „ქ“-ის ძმის სახელით ნებას გამოხატავდა „რ“, შესაბამისად, გააფორმა ხელშეკრულება „რ“-სა და „ზ“-ს შორის, რომელზეც ხელი „ქ“-ს ძმის სახელით მოაწერა „რ“-მ, ხოლო ხელშეკრულების თანახმად, იპოთეკით დატვირთა „ქ“-ს ძმის კუთვნილი ბინა, რომლის სანაცვლოდ „ზ“-მ „ქ“-ს გადასცა

---

<sup>542</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2019, გვ. 500; წულაია გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, მეორე ტომი, თბ., 2001, გვ. 74.

თანხა 10 000 აშშ დოლარი (24075 ლარი). ერთი თვის შემდეგ „რ“-მ, „ქ“-მ და „ნ“-მ კვლავ განიზრახეს „ქ“-ს ძმის ნებართვის გარეშე და მისგან ფარულად დაეტვირთათ ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული ბინა იპოთეკით და მიღებული თანხა გამოეყენებინათ პირადი საჭიროებისათვის. „ქ“ კვლავ ფარულად დაეუფლა მისი ძმის პირადობის დამადასტურებელ მონწილობას და „რ“-თან ერთად მივიდა ნოტარიუს „მ“-ს სანოტარო ბიუროში, სადაც „რ“-მ „ქ“-ს ძმის სახელით გასცა მინდობილობა „ქ“-ს სახელზე, „ქ“-ს ძმის საკუთრებაში არსებული ზემოხსენებული ბინის განკარგვის უფლებით. „რ“-მ წარადგინა „ქ“-ს ძმის პირადობის მონწილობა და კვლავ მის ნაცვლად მოაწერა ხელი მინდობილობას. იმავე დღეს ხსენებული ყალბი მინდობილობის საფუძველზე „მ“-ს სანოტარო ბიუროში „ქ“-მ იპოთეკით მეორედ დატვირთა მისი ძმის საცხოვრებელი ბინა, რის შემდეგაც იპოთეკარებისგან – „მ“-გან, „ლ“-გან და „ზ“-გან სესხად აიღო თანხა ჯამურად 20 500 აშშ დოლარის (48863 ლარი) ოდენობით, საიდანაც „ქ“-მ გაისტუმრა წინა იპოთეკარი – „ზ“. ასევე „რ“-ს გადასცა 1500 აშშ დოლარი (3575 ლარი), „ნ“-ს 500 აშშ დოლარი (1191 ლარი), ხოლო დარჩენილი თანხა დაიტოვა თვითონ<sup>543</sup>.

მოცემულ შემთხვევაში ქვეხიშილმა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა ორჯერ, ახლად აღმოცენებული განზრახვით, დანაშაულთა რეალური ერთობლიობის სახით. მისი ქმედება ასევე შეიცავს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობის ნიშნებს (პირადობის დამადასტურებელი მონწილობის ან სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცება). ხოლო „რ“-მ ასევე ორჯერ განახორციელა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“

<sup>543</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება, #112აპ-17, სუსგ, 2017, #7-9, გვ. 87-105.

და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული, მაგრამ ამასთან ერთად ასევე სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილით დასჯადი ქმედება (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება)<sup>544</sup>.

ყალბ დოკუმენტში მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება ყალბი მინდობილობა. განსახილველი შემთხვევა საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ მოტყუებას, შეცდენას ადგილი ჰქონდა არა თაღლითობის უშუალო მსხვერპლის, ბინის მესაკუთრის, არამედ მესამე პირის, ნოტარიუსის მიმართ. ბინის მესაკუთრემ არც იცოდა მისი ბინის იპოთეკით დატვირთვის შესახებ. სხვისი პირადობის მოწმობის წარდგენით შეცდენილია ნოტარიუსი, რომელმაც არ იცოდა, იმის შესახებ, რომ სხვისი ბინის იპოთეკით დატვირთვა ხდებოდა. ნოტარიუსი კი ვერ ჩაითვლება თაღლითობის მსხვერპლად, ვინაიდან თაღლითობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია. მაშასადამე, მოცემული მსჯელობა იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ მოტყუება, რომელიც თაღლითობის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია, ყოველთვის არ გულისხმობს მესაკუთრის მოტყუებას. თაღლითობის დროს მოტყუების ადრესატი ზოგჯერ შეიძლება იყოს მესამე პირი, რომელიც არ არის მესაკუთრე, მაგრამ გარკვეული ფორმით მონაწილეობს სხვისი საკუთრების განკარგვაში. თუმცა, ეს არ ეხება ყველა შემთხვევას. მაგალითად, როცა ქურდობის დროს რომ ხდება ცოცხალი იარაღის მოტყუება და მისი გამოყენება სხვისი ნივთის დაუფლებისთვის.

ყალბი საბანკო ბილეთის, ლითონის მონეტის, ფასიანი ქაღალდის ან ვალუტის დამზადება, შექმნა, შენახვა გასაღების მიზნით ან გასაღება კვალიფიცირდება სსკ-ის 212-ე მუხლით, ვინაიდან წარმოადგენს სპეციალურ ნორმას და გამოირიცხება ქმედების კვალიფიკაცია სსკ-ის 180-ე მუხლით.

<sup>544</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება, #112აპ-17, სუსგ, 2017, #7-9, გვ. 102.

ყალბი კრედიტის მიღებისას ქმედება სსკ-ის 208-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს, ვინაიდან აღნიშნული ნორმა ასევე წარმოადგენს სპეციალურ ნორმას. სსკ-ის 180-ე და სსკ-ის 208-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობებს შორის არსებობს როგორც არაერთი მსგავსება, ისე განსხვავება. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ უკანონო კრედიტის მიღების შემადგენლობას გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი თაღლითობის ნაირსახეობად განიხილავს (Kreditbetrug) და ცალკე შემადგენლობად გამოყოფს (265b-ე პარაგრაფი)<sup>545</sup>.

რაც შეეხება თაღლითობის და უკანონო კრედიტის გამიჯვნას: თუ სსკ-ის 180-ე მუხლი იცავს საკუთრებას, სსკ-ის 208-ე მუხლი იცავს ფულად-საკრედიტო სისტემას. თაღლითობის დროს ბოროტმოქმედი მოქმედებს სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სსკ-ის 208-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას მიზანი შეიძლება იყოს კრედიტის მიღება ან მისი ოდენობის გაზრდა ანდა შეღავათიანი კრედიტის მიღება. თაღლითობის დროს ყოველთვის ადგილი აქვს არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან გარკვეული ფაქტების დაფარვას, მაგრამ კრედიტის უკანონოდ მიღებისას (სსკ-ის 208-ე ), აუცილებელი არ არის ასეთი ქმედების განხორციელება. ეს განსაკუთრებით ეხება მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევას. მაშინ, როდესაც თაღლითობის დროს ბოროტმოქმედს წინასწარ აქვს გადანყვეტილი დაზარალებულის მოტყუება, კრედიტის უკანონოდ მიღებისას აუცილებელი არ არის, რომ დამნაშავეს ასეთი გადანყვეტილება ჰქონდეს მიღებული წინასწარ. თუ

<sup>545</sup> მაგალითად, როდესაც სახეზეა მოტყუება კრედიტის გამოყენების მიზანთან დაკავშირებით, რაც კრედიტის უკან დაბრუნების საფრთხეს ზრდის, ქმედება გერმანული სსკ-ის 265b პარაგრაფით კვალიფიცირდება, როგორც საკრედიტო თაღლითობა. იხ. *Fischer Th., Strafgesetzbuch*, 68. Aufl., 2021, §263 Rn. 165.

თაღლითობა სხვისი ნივთის დაუფლების ან ქონებრივი უფლების მიღების მომენტშია დამთავრებული, კრედიტის უკანონოდ მიღება ბანკისთვის ან სხვა კრედიტორისთვის სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობის მიწოდებისას დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს.

ასევე ერთმანეთთან არ უნდა აგვერიოს თაღლითობა და 219-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც პასუხისმგებლობას აწესებს მომხმარებლის მოტყუებისთვის. ორივე შემთხვევაში დანაშაულის ხერხად გამოიყენება მოტყუება, მაგრამ განსხვავება არსებობს სამართლებრივ სიკეთეში. ზოგჯერ თაღლითობასთან დაკავშირებით მოყავთ ისეთი მაგალითი, რომლის მიხედვით ქმედების კვალიფიკაცია თაღლითობის მუხლით საკამათოა და მეტი საფუძველი შეიძლება არსებობდეს 219-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაციისთვის. მაგალითად, როცა მალაბიის გამყიდველი მყიდველს ატყუებს და იაფფასიან ჭალს ყიდის როგორც ანტიკვარულს<sup>546</sup>. თაღლითობად ქმედება მაშინ უნდა დაკვალიფიცირდეს, როდესაც ნივთს, რომლის გასაღებაც ხდება არანაირი ღირებულება არ გააჩნია. უმოქმედობით მოტყუების შედეგად თაღლითობის მაგალითად ლიტერატურაში ასევე სახელდება შემთხვევა, როცა გამყიდველი მყიდველს საქონელს გადასცემს ნაკლები რაოდენობით, ვიდრე მას ეკუთვნის<sup>547</sup>. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს არა თაღლითობას, არამედ 219-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს (მომხმარებლის მოტყუება).

თაღლითობისგან სხვა დანაშაულების გამიჯვნის კუთხით საყურადღებოა სსკ-ის 180-ე, 192-ე და 192<sup>1</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებები. სასამართლო პრაქტიკაში

<sup>546</sup> თოდუა ნ., ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის საკითხები, ნიგნში: ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრისი, საიუბილეო კრებული 60, თბ., 2021, გვ. 25.

<sup>547</sup> ნულაია გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, მეორე ტომი, თბ., 2001, გვ. 75.



ჰქონდა ადგილი შემთხვევას, როდესაც თაღლითობად დაკვალიფიცირდა ქმედება, რომლის სისწორემ მაშინ მოქმედი კანონმდებლობით აზრთა სხვაობა გამოიწვია და არც მოქმედი სსკ-ით შეიძლება ჩაითვალოს მართებულად. კერძოდ, საქმე ეხებოდა კ-ს მიერ ფიქტიური ბუღალტრული მოსამზადებელი ცენტრის გახსნას, რომელიც თითქოს ორთვიან კურსებზე მოამზადებდა მსმენელებს. კ-მ მიიღო ორი მსმენელი, დაიქირავა ორი პედაგოგი და მათთან გააფორმა ყალბი ხელშეკრულებები. ერთ-ერთმა მსმენელმა გაიარა სწავლების კურსი, მაგრამ სერტიფიკატი ვერ მიიღო, რომელსაც როგორც სწავლისთვის, ისე სერტიფიკატისთვის ჯამში 110 ლარი ჰქონდა გადახდილი. მეორე მსმენელმა სწავლის კურსი ბოლომდე არ გაიარა, რომელსაც მხოლოდ 50 ლარი ჰქონდა გადახდილი. თუმცა, კ-ს აღნიშნული თანხა მისთვის არ დაუბრუნებია. კ-მ ერთ პედაგოგს 60 ლარი გადაუხადა, ხოლო მეორეს მოტყუების შედეგად საერთოდ არ გადაუხადა ფული. სასამართლომ კ-ს ქმედება თაღლითობად დააკვალიფიცირა, რამაც იურიდიულ ლიტერატურაში კრიტიკა გამოიწვია და გამოითქვა აზრი, რომ კ-ს ქმედება სსკ-ის 192-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირებულიყო, როგორც უკანონო სამენარმეო საქმიანობა. ავტორი იმ თვალსაზრისით აკრიტიკებს სასამართლოს პოზიციას და მიზანშეწონილად მიიჩნევს ქმედების კვალიფიკაციას სსკ-ის 192-ე მუხლით, რომ კ. მოტყუებით სხვის ნივთს (ფულს) არ დაუფლებია, ვინაიდან მსმენელებმა მიიღეს გაცემული თანხის შესაბამისი ცოდნა. თუმცა, კ-ს საქმიანობა ხორციელდებოდა სპეციალური ნებართვის, ლიცენზიის გარეშე, რითაც იზარალებს მსმენელებმა, რაც გამოიხატა იმაში, რომ მათ ვერ მიიღეს სერტიფიკატი, რომელიც მათ შესაბამის ბუღალტრულ დანესებულებაში სწავლის შესაძლებლობას მისცემდა<sup>548</sup>.

<sup>548</sup> თოდუა ნ., ნიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 136-137.

სასამართლოს პოზიცია თაღლითობად ქმედების კვალიფიკაციაზე მართლაც შეიცავს კითხვის ნიშნებს, მაგრამ სსკ-ის დღეს მოქმედი რედაქციით ზემოთ მოყვანილი შემთხვევის მიხედვით ასევე საკამათოა ქმედების კვალიფიკაცია სსკ-ის 192-ე მუხლით, ვინაიდან სსკ-ში არსებობს სპეციალური ნორმა უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით (სსკ-ის 192<sup>1</sup>-ე მუხლი). მოქმედი კანონმდებლობით, ქმედება, მსგავს შემთხვევაში სწორედ ამ ნორმით უნდა დაკვალიფიცირდეს.

მაშასადამე, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს თაღლითობა, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც სამენარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია.

ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში ნ. თოდუა შესაძლებლად მიიჩნევს ქმედების სსკ-ის 180-ე მუხლით კვალიფიკაციას იმ ეპიზოდში, როცა კ-მ არ მისცა კუთვნილი ხელფასი მეორე პედაგოგს, თუმცა ამისთვის საჭირო პირობად მიაჩნია ის, რომ კ-ს თავიდანვე ჰქონოდა მოტყუების და ხელფასის არგადახდის განზრახვა<sup>549</sup>, მაგრამ ჩნდება კითხვა: თუნდაც ამ შემთხვევაში რამდენად იქნებოდა სახეზე თაღლითობა და ხომ არ უნდა დაკვალიფიცირებულიყო ქმედება სსკ-ის 185-ე მუხლით, ვინაიდან თაღლითობის დროს მესაკუთრე კარგავს საკუთრებას, რომელიც მის მფლობელობაში იყო, მცირდება ქონებრივი სიკეთე, რომელსაც ფლობდა, რასაც ადგილი არ აქვს ხელფასის გადაუხდელობისას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში პედაგოგმა ის კი არ დაკარგა, რასაც ფლობდა ან ქონებრივი უფლების დაკარგვას კი არ ჰქონდა ადგილი, არამედ ვერ მიიღო ის შემოსავალი, რომელიც უნდა მიეღო ხელფასის სახით. აღნიშნული ქმედება თაღლითობად შეიძლება დაკვალიფიცირდეს გერმანული სსკ-ის მიხედვით, სადაც მოტყუებით

<sup>549</sup> თოდუა ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 137.

ქონებრივი დაზიანების ცალკე შემადგენლობა არ არსებობს და იგი კვალიფიცირდება თაღლითობად.

თანამედროვე ციფრულ ეპოქაში თავი იჩინა სხვისი საკუთრების დაუფლების ახალმა საშუალებებმა, როგორცაა თაღლითობა კომპიუტერის გამოყენებით, საკრედიტო ბარათის გამოყენებით თუ საფინანსო პირამიდის ან ფიქტიური საინვესტიციო ფონდების შექმნის საშუალებით<sup>550</sup>. თაღლითობის ახალი ფორმების გამოვლენა ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან არის დაკავშირებული. არის შემთხვევები, როდესაც ადგილი აქვს სხვის კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევას და „ჰაკერული ოპერაციების გზით“ საბანკო ანგარიშიდან თანხის მოხსნას და დაუფლებას. ჩნდება კითხვა, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება მოცემულ შემთხვევაში?

სასამართლო პრაქტიკაში ქმედება განსახილველ შემთხვევაში კვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობის წესით, როგორც სსკ-ის 180-ე მუხლით (თაღლითობა), ისე სსკ-ის 284-ე მუხლით (კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა)<sup>551</sup>, ვინაიდან სახეზეა როგორც სხვისი საკუთრების დაუფლება, ისე კომპიუტერული სისტემის უსაფრთხოების, კონფიდენციალობის ხელყოფა<sup>552</sup>. თუმცა ასეთი კვალიფიკაცია სადავო შეიძლება იყოს იმ თვალსაზრისით, რომ თაღლითობისთვის დამახასიათებელი მოტყუება ადამიანის მიერ ადამიანის მოტყუებას გულისხმობს და არა მოტყუებას ნებისმიერი გზით. მო-

<sup>550</sup> Комментарий к уголовному кодексу Российской Федерации, Под ред. Радченко В.И., Михлина А.С., Санкт-Петербург, 2008, с. 285.

<sup>551</sup> მაქაშვილი უ., კიბერდანაშაულის სისხლისსამართლებრივი რეგულირების პრობლემები საქართველოში, თბ., 2013, გვ. 38-41.

<sup>552</sup> სსკ-ის 284-ე მუხლით გათვალისწინებულ სიკეთედ ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიჩნეულია კომპიუტერული სისტემის მთლიანობა და უსაფრთხოება, მონაცემის/ინფორმაციის მთლიანობა, ხელმისაწვდომობა და კონფიდენციალობა. იხ. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017, გვ. 161.

ცემულ შემთხვევაში ქმედება მოქმედი სსკ-ის მიხედვით შეიძლება დაკვალიფიცირდეს 286<sup>1</sup>-ე მუხლით.

აღნიშნული ტიპის ქმედება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით 263a-ე პარაგრაფით დაკვალიფიცირდება (კომპიუტერული თაღლითობა).

გერმანულ სისხლის სამართალში გამოთქმული მოსაზრებით ე. წ. ფიშინგის დროს, როცა ინტერნეტის მომხმარებელი მოტყუების გზით ეუფლება „ექაუნთის“ მონაცემებს, პაროლს, პინკოდს ან საკრედიტო ბარათის ნომერს, მისი აქტუალური მნიშვნელობა ბანკის უსაფრთხოების დონეზეა დამოკიდებული. ვინაიდან აღნიშნული მონაცემები ხშირად საკმარისია „ონლაინ“ ანგარიშის გამოსაყენებლად, ქონებრივი ზიანის კონკრეტული საფრთხიდან გამომდინარე თაღლითობას ნაწილობრივ განხორციელებულად მიიჩნევენ, თუმცა, უშუალო ქონებრივ ზიანს ნაწილობრივ გამორიცხავენ<sup>553</sup>.

თაღლითობის სხვა დანაშაულებთან მიმართების და მათი გამიჯვნის თვალსაზრისით გარკვეულ სირთულეს აწყდებიან პრაქტიკაში, რაც ზოგჯერ არასწორი გადაწყვეტილების საფუძველი ხდება. ამ მხრივ აღსანიშნავია თაღლითობის, მითვისება/გაფლანგვის და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შემადგენლობები. აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა შემდეგი შემთხვევა:

ქ. ფოთის საკრებულოსა და შპს „გ-ს“ შორის დაიდო სამი ხელშეკრულება: ქ. ფოთში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესახებ; ქ. ფოთში სამხატვრო სკოლის სახურავის კაპიტალური შეკეთების შესახებ; ქ. ფოთში საცხოვრებელი სახლების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესახებ. ხელშეკრულებით განისაზღვრა შესასრულებელი სამუშაოების დამკვეთისათვის ჩაბარებისა და ანგარიშსწორების პირობები. შესყიდვის ობიექ-

<sup>553</sup> Hefendel R., in: MüKo, 3. Aufl., §263 Rn. 772.

ტის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებული იყო წარედგინა შემსყიდველის უფლებამოსილ პირს შესაბამისი დოკუმენტაცია და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. ანგარიშსწორება უნდა განხორციელებულიყო ეტაპობრივად წარდგენილი სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების, სამუშაოს შესრულების ფორმების საფუძველზე, აღნიშნული ფორმების შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ დამოწმების შემდეგ 20 საბანკო დღის ვადაში, ხოლო საბოლოო გადახდა უნდა მომხდარიყო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 საბანკო დღეში. ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებასა და შესასრულებელი სამუშაოებისთვის გადახდილ თანხას შორის სხვაობამ სულ შეადგინა 33329,15 ლარი. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით შესაბამისი ექსპერტიზით დადგინდა, რომ შესაბამის ფორმაში გაზრდილი მოცულობით იქნა მითითებული შესრულებული სამუშაოები. შპს „გ-ს“ დირექტორმა „ფ“-მ აღნიშნულის შედეგად შეძლო იმაზე მეტი თანხის დაუფლება, ვიდრე მას უნდა მიეღო რეალურად შესრულებული სამუშაოებისთვის. „ფ“-ს ქმედება თავიდან დაკვალიფიცირდა სსკ-ის 182-ე მუხლით (მითვისება ან გაფლანგვა), მაგრამ უზენაესმა სასამართლომ გადააკვალიფიცირა სსკ-ის 180-ე მუხლით (თაღლითობა)<sup>554</sup>.

ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლო აღნიშნავს:

„საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას ქმედების კვალიფიკაციის თაობაზე და აღნიშნავს, რომ ქმედების მითვისებად დაკვალიფიცირებისთვის განმსაზღვრელია ის ფაქტი, რომ ქონება-ნივთი ან ქონებრივი უფლება, რომლის მისაკუთრების მიზანიც აქვს დანაშაულის სუბიექტს, უნდა იმყოფებოდეს მის მართლ-

<sup>554</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 დეკემბრის განაჩენი, #339აპ-15, სუსგ, 2015, #9-12, გვ. 41-51.

ზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში“<sup>555</sup>.

სსკ-ის 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად მიმთვისებელი ან გამფლანგველი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში იმყოფებოდა ნივთი ან ქონებრივი უფლება. როდესაც ხდება თანხის გადახდა გარკვეული სამუშაოების შესასრულებლად და თანხის გადახდის შემდეგ სრულდება ნაკლები ღირებულების სამუშაო, რომელიც არ შეესაბამება გადახდილ თანხას, ქმედება სწორედ მითვისება/გაფლანგვის (სსკ-ის 182-ე) მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ მოტყუების ფაქტორი შეიძლება ფიგურირებდეს მითვისება/გაფლანგვის შემთხვევაშიც, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, თუ როდის მოხდა მოტყუება, ბოროტმოქმედმა როდის განიზრახა მოტყუებინა პირი, მას შემდეგ, რაც თანხის გადახდა მოხდა, თუ მანამდე, სანამ მოხდებოდა თანხის გადახდა, ვინაიდან, როგორც ცნობილია, თაღლითობის დროს მოტყუება წინ უძღვის ნივთის დაუფლებას. ხოლო მითვისების დროს მოტყუება გამოიყენება მართლზომიერად დაუფლებული ნივთის ან ქონებრივი უფლების მისათვისებლად<sup>556</sup>. გათვალისწინებული უნდა იქნას თანხის გადახდის დრო და ასევე უნდა განისაზღვროს მოტყუება მოხდა გადარიცხული და იურიდიულად მართლზომიერად დაუფლებული თანხის მისასაკუთრებლად, თუ მოტყუება მოხდა იმისთვის, რომ თანხის გადმორიცხვა მომხდარიყო. თუ პირველ შემთხვევაში საქმე ეხება მითვისებას, მეორე შემთხვევაში ადგილი ექნება თაღლითობას.

<sup>555</sup> სუსგ, 2015, #9-12, გვ. 47. სსკ-ის 180-ე მუხლთან ერთად ქმედების 182-ე მუხლით კვალიფიკაციაზე ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 18 დეკემბრის განაჩენი, #332აპ-15, სუსგ, 2015, #9-12, გვ. 51-167.

<sup>556</sup> თოდუა ნ., ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის საკითხები, წიგნში: ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საიურიდიუო კრებული 60, თბ., 2021, გვ. 26-27, 59-61.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ზემოაღნიშნულ ქმედებას არასწორად აკვალიფიცირებენ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასა და თაღლითობას შორის არის ის განსხვავება, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია გულისხმობს უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემას. გარდა ამისა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისას, ხდება იმ უკანონო და დაუსაბუთებელი ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემა, რომელიც დამნაშავის მფლობელობაშია. მაშასადამე, განსხვავება არის დანაშაულის საგანში. გარდა ამისა, თუ თაღლითობით იზრდება დამნაშავის საკუთრებაში არსებული ქონება, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის დროს შეიძლება არ გაიზარდოს დამნაშავის ქონების მოცულობა ან პირიქით, შემცირდეს კიდევ, უკანონო შემოსავლისთვის კანონიერი სახის მიცემის სანაცვლოდ<sup>557</sup>.

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ქმედება თაღლითობის მუხლთან ერთად კვალიფიცირდება სსკ-ის 341-ე მუხლითაც (სამსახურებრივი სიყალბე). ამას ადგილი აქვს მაშინ, როცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების (მაგალითად, საშენი მერქანის) მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის მისაღწევად კონკრეტული პირისთვის დახმარების აღმოსაჩენად დახმარების გასაწევად თანამდებობის პირის, საჯარო მოხელის მიერ მზადდება ყალბი დოკუმენტი<sup>558</sup>. თუმცა, ლიტერატურაში ასეთი კვალიფიკაცია მართებულად არის გაკრიტიკებული. იგივე ეხება ქმედების კვალიფიკაციას 362-ე მუხლთან ერთად, როცა საქმე ეხე-

<sup>557</sup> თოდუა ნ., ფულის გათეთრება და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ცალკეული დანაშაულები, წიგნში: ჯიშკარიანი ბ., ვასმერი პ., (რედ.), ქართული ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაცია, თბ., 2017, გვ. 43-55.

<sup>558</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 18 დეკემბრის განაჩენი, #332აპ-15, სუსგ, 2015, #9-12, გვ. 51-167.

ბა მხოლოდ ყალბი დოკუმენტის გამოყენებას და არა მის დამზადებას. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ქმედება 362-ე მუხლთან ერთად უნდა მოხდეს ასევე მაშინ, როცა ყალბი დოკუმენტი გამოყენებულია არა თაღლითობის ჩასადენად, არამედ განხორციელებული თაღლითობის შესანიღბად<sup>559</sup>.

თაღლითობის განხორციელებისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს კერძო სექტორში დასაქმებული პირის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, ასეთ დროს ქმედება ხომ არ უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობის წესით როგორც სსკ-ის 180-ე, ისე 220-ე მუხლით (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება)? მართალია, პრაქტიკაში ადგილი აქვს დანაშაულთა ერთობლიობის წესით ქმედების კვალიფიკაციას, მაგრამ ლიტერატურაში გამოთქმული<sup>560</sup> და უზენაესი სასამართლოს მართებული პოზიციით ასეთი კვალიფიკაცია მცდარია, ვინაიდან სსკ-ის 180-ე მუხლი ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ გარემოებად ითვალისწინებს თაღლითობას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი), შესაბამისად, ქმედებაც აღნიშნული ნორმით უნდა დაკვალიფიცირდეს. უზენაესმა სასამართლომ ეს მოსაზრება გამოთქვა შემდეგ შემთხვევასთან დაკავშირებით:

საქართველოს მთავრობამ 2008 წლის განკარგულებით, შპს „ს.უ-ს“ ქვეყანაში არსებული საომარი მდგომარეობის გამო, სურსათის მოსალოდნელი დეფიციტის თავიდან ასაცილებლად და ხორბლის მარაგის შესაძენად 5 წლის ვადით გამოეყო სესხი 12 500 000 აშშ დოლარის ოდენობით. შპს

---

<sup>559</sup> თოდუა ნ., ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის საკითხები, წიგნში: ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საიუბილეო კრებული 60, თბ., 2021, გვ. 31.

<sup>560</sup> თოდუა ნ., ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის საკითხები, წიგნში: ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საიუბილეო კრებული 60, თბ., 2021, გვ. 28-29.



„ს.უ-მ“ აღნიშნული სესხით აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან განახორციელა პირველი ხარისხის ხორბლის ფქვილის იმპორტი. პროდუქციის შემოტანის შემდეგ ორგანიზაციამ დაიწყო იმპორტული ფქვილის რეალიზაცია საქართველოს შიდა ბაზარზე. საქართველოში ხორბლის ფქვილის ერთ-ერთ მსხვილ დისტრიბუტორს წარმოადგენდა შპს „ს-ა“, რომლის დირექტორმა „შ“-მ გადაწყვიტა ესარგებლა შექმნილი ვითარებით და ფიქტიური ხელშეკრულებების გაფორმებით, მართლსაწინააღმდეგოდ, მოტყუებით დაეუფლა შპს „ს.უ-ს“ ქონებას. „შ“-მ განზრახვის აღსასრულებლად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით შპს „ს.უ-სთან“ გააფორმა სამი ხელშეკრულება, რომელთა მიხედვითაც, შეისყიდა 1.060.480.1 ლარის ღირებულების 129,7 15 ტონა პირველი ხარისხის ხორბლის ფქვილი. იმავდროულად ფორმალურად იკისრა ვალდებულება, რომ თითქოს, იმავე წლის ბოლომდე დაფარავდა ფქვილის საფასურს. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების თანახმად, შპს „ს.უ-მ“ შპს „ს-ს“ ხორბლის ფქვილი სრულად მიანოდა, მაგრამ „შ“-ს განზრახული ჰქონდა რა სხვისი კუთვნილი ქონების მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრება, მიუხედავად იმისა, რომ სრულად მოახდინა ფქვილის რეალიზაცია, ამონაგები დიდი ოდენობით თანხები არ გადარიცხა მიმწოდებლის ანგარიშზე და მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა. განზრახვისა და ქმედების შენიღბვის მიზნით „შ“-მ შპს „ს.უ-ს“ ანგარიშზე ფორმალურად შეიტანა 30 000 ლარი, რითაც შეეცადა წარმოეჩინა, რომ აპირებდა დარჩენილი დებიტორული დავალიანების დაფარვასაც. „შ“-ს ამგვარი ქმედებით სახელმწიფოს მიადგა 1 030 480.1 ლარის ზიანი<sup>561</sup>.

---

<sup>561</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 22 ივლისის #65-აპ-11 განაჩენი, სუსგ, 2011, #7-9, გვ. 35-37.

## **ბ) თაღლითობის გამიჯვნა სამოქალაქოსამართლებრივი დარღვევისგან.**

თაღლითობასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს მისი გამიჯვნა სამოქალაქოსამართლებრივი დარღვევისგან. მოტყუებას ადგილი შეიძლება ჰქონდეს არა მხოლოდ თაღლითობის და ზოგიერთი სხვა სისხლისსამართალდარღვევის დროს, არამედ ასევე სამოქალაქოსამართალდარღვევის შემთხვევაში გარიგების დადებისას და პირობის შეუსრულებლობისას. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც სამოქალაქოსამართლებრივი ხასიათის დარღვევა თაღლითობად, სისხლისსამართალდარღვევად კვალიფიცირდება. შესაბამისად, ჩნდება კითხვა სად გადის ზღვარი თაღლითობასა და სამოქალაქოსამართალდარღვევას შორის?

დასმულ კითხვაზე მართებულად არის აღნიშნული ლიტერატურაში, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მოტყუების მომენტი, კერძოდ, ის თუ რა ეტაპზე მოხდა დაზარალებულის მოტყუება. თაღლითობის დროს ბოროტმოქმედს წინასწარ აქვს მიღებული დაზარალებულის მოტყუების გადაწყვეტილება, განსხვავებით სამოქალაქოსამართალდარღვევისგან, როდესაც მოტყუებას ადგილი აქვს სხვისი ნივთის დაუფლების შემდეგ, ვინაიდან სამართალდამრღვევი მიზნად არ ისახავდა სხვისი ქონების დაუფლებას და სურდა ვალდებულების შესრულება. შეიძლება პირმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ვერ შეასრულოს მატერიალური გასაჭირის გამო<sup>562</sup>. მაგრამ უნდა იქნას გათვალისწინებული, თუ რამდენად უშვებდა პირი იმის შესაძლებლობას, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას შეძლებდა. როდესაც პირს არა

<sup>562</sup> თოდუა ნ., სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები), სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ., 2015, გვ. 76.

აქვს იმის მატერიალური შესაძლებლობა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს და წინასწარვე იცის, რომ მესაკუთრე მოტყუებული დარჩება, გამოირიცხება სამოქალაქოსამართალდარღვევა და ქმედება თაღლითობის მუხლით დაკვალიფიცირდება. როდესაც ადგილი აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობას, ეს შეიძლება გამონვეული იყოს მატერიალური გარემოებებით ან სურვილის არქონით, მაგრამ როგორ უნდა დადგინდეს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა უკავშირდება სურვილის არქონას? დასმული საკითხის გასარკვევად უნდა იქნას გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

- ა) რამდენად რეალური იყო შესასრულებელი გარიგება, რომელიც დაიდო?
- ბ) რამდენად სცადა პირმა გარიგებით ნაკისრი პირობების შესრულება და კონკრეტულად რაში გამოიხატა ეს?

პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა შემთხვევას, როდესაც „ე“-მ მისი მეგობრის „ლ“-ს თხოვნით თავისი სახელით ტექნიკის მაღაზიიდან განვადებით გამოიტანა 1700 ლარად ღირებული სარეცხი მანქანა და გადასცა „ლ“-ს. მანვე თავისი სახელით აიღო კრედიტი ბანკში და „ე“-სა და ბანკს შორის დადო ხელშეკრულება, რითაც მას გრაფიკის მიხედვით უნდა გადაეხადა ეს ფული ყოველთვიურად, სანამ ვალს არ დაფარავდა. „ე“-მ ეს გააკეთა იმიტომ, რომ მისი მეგობარი „ლ“ დაჰპირდა მას ყოველთვიურად სარეცხი მანქანის საფასურის გადახდას შედგენილი გრაფიკის მიხედვით. „ე“-მ ეს ირწმუნა. სინამდვილეში „ლ“-მ არ შეასრულა დანაპირები და არ გადაიხადა არც ერთი თვის გადასახადი. ამის გამო ბანკსა და „ე“-ს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ „ე“-ს ბანკის სასარგებლოდ დაერიც-

ხა დავალიანება ჯარიმასთან ერთად 18150 ლარის ოდენობით. მოცემულ შემთხვევაში ნ. თოდუა გამორიცხავს ქმედების კვალიფიკაციას თაღლითობის მუხლით, თუ დადგინდება, რომ სარეცხი მანქანის შეძენის დროს არსებული მატერიალური მდგომარეობა შეძენს შესაძლებლობას აძლევდა, რომ გადაეხადა თანხა, რომელიც ბანკის გრაფიკით იყო გაწერილი, თუმცა, ეს ეკონომიკური მდგომარეობა მოულოდნელად ისე მკვეთრად შეიცვალა, რომ ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ვერ შეძლო ვალის გადახდა<sup>563</sup>.

განსახილველ საკითხზე ჩნდება კითხვა, ბანკთან დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით წინასწარ განზრახული მოტყუების ფაქტორის დასადგენად ხომ არ უნდა იქნას გათვალისწინებული ის, საერთოდ გადაიხადა თუ არა ვალი ნაწილობრივ მაინც?

გამოთქმული მოსაზრებით, თუ მოვალე ვალს გადაიხდიდა თუნდაც ნაწილობრივ, შეუძლებელი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა მისი მოტყუება. შესაბამისად, უნდა უარვყოთ თაღლითობის ჩადენა და ვცნოთ სამოქალაქო სამართალდარღვევის განხორციელება<sup>564</sup>.

ზემოაღნიშნული მოსაზრება საკამათოა, ვინაიდან, ერთი მხრივ, ვალის ნაწილობრივ გადახდა მიუთითებს იმის შესაძლებლობაზე, რომ მოვალეს შეიძლება თავიდან არ ჰქონოდა მოტყუების განზრახვა, მაგრამ ეს მაინც არ არის მყარი კრიტერიუმი მის გამოსარიცხად. არ არის გამორიცხული, რომ ვითარების შელამაზების და წინასწარ შემუშავებული განზრახვის დასაფარად მოვალემ ნაწილობრივ გადაიხადოს ვალი იმისთვის, რომ შემდგომ თავი იმართლოს, ვალის გადაუხდელობა არ ჰქონდა განზრახული, მაგრამ ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო ვერ შეძლო ხელშეკრულებით

<sup>563</sup> თოდუა ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 77.

<sup>564</sup> თოდუა ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 78.

ნაკისრი პირობების შესრულება. თაღლითობის დროს რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებას, თანხის ნაწილობრივ გადახდას, უკან დაბრუნებას რომ ადგილი შეიძლება ჰქონდეს დაზარალებულისთვის თვალის ახვევის მიზნით, ამას ავტორიც აღიარებს და მიუთითებს შესაბამის გადაწყვეტილებაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან<sup>565</sup>.

ზემოთ მოყვანილი მაგალითის მიხედვით, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, როცა „ლ“ სხვა პირზე გაყიდის ნივთს ისე, რომ თვითონ არ გამოუყენებია, აღებულ თანხას კი საჭიროებისამებრ დახარჯავს და როცა ბანკისთვის ფულის გადახდის დრო მოვა, უფულობის მომიზეზებით „ე“-ს თანხას არ მისცემს? გამოთქმული მოსაზრების თანახმად, მოცემულ შემთხვევაში ქმედება თაღლითობად უნდა დაკვალიფიცირდეს, ვინაიდან ის ფაქტი, რომ „ლ“-მ ნივთი მაშინვე გაყიდა სხვა პირზე და აღებული თანხა არ გადასცა „ე“-ს, იმის მაჩვენებელია, რომ მოტყუება „ლ“-ს წინასწარ ჰქონდა განზრახული. თაღლითობა შეიძლება გამოირიცხოს მაშინ, თუ დადგინდება რომ ნივთის გაყიდვა მოხდა ეკონომიკური მდგომარეობის მოულოდნელად გაუარესების გამო<sup>566</sup>.

ზემოთ განხილულია შემთხვევა, სადაც საქმე ეხება ნივთის შეძენას კრედიტით, მაგრამ საკითხავია, როგორ მოხდება საკითხის გადაწყვეტა ფულის სესხად აღების დროს, როდესაც მსესხებელი გამსესხებელს თანხას არ უბრუნებს და შემდგომ წყვეტს მასთან კავშირს? თუ დადგინდა, რომ მსესხებელს არ ჰქონდა შემოსავალი და არ ჰქონდა შესაძლებლობა ევარაუდა, რომ ვალს გადაიხდიდა, ქმედება თაღ-

---

<sup>565</sup> თოდუა ნ., ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის საკითხები, წიგნში: ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საიუბილეო კრებული 60, თბ., 2021, გვ. 53-55.

<sup>566</sup> თოდუა ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 78.

ლითობად დაკვალიფიცირდება<sup>567</sup>. ქმედება სამოქალაქოსამართალადარღვევად დაკვალიფიცირდება მაშინ, როდესაც მსესხებელს თანხის სესხად აღების დროს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ თანხა გადაიხადოს, მაგრამ შემდგომ უარესდება ეკონომიკური მდგომარეობა, რის გამოც კარგავს ვალის დაბრუნების შესაძლებლობას. მხედველობაში მიიღება ისიც, თუ რა მიზნით მოხდა თანხის სესხად გაცემა და რამდენად მოხდა მისი გამოყენება მიზნობრივად. თუმცა, არსებითი მაინც არის ის მატერიალური მდგომარეობა, რომელიც მსესხებელს მისცემდა ან პირიქით, არ მისცემდა ვალის დაბრუნების შესაძლებლობას<sup>568</sup>.

მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ფულის სესხად აღებას, თუ მსესხებელს მანამდე არაერთი პირისგან ჰქონდა თანხა სესხად აღებული და არცერთის ვალი ჰქონდა გასტუმრებული, სახეზეა თაღლითობა<sup>569</sup>, ვინაიდან მატერიალური მდგომარეობა არ აძლევდა თანხის დაბრუნების შესაძლებლობას, რაც მსესხებლის მიერ თანხის გამსესხებლის მოტყუებაზე მიუთითებს.

როდესაც ფულის სესხად აღება ხდება ბიზნესის გაფართოების მიზნით, მსესხებელი გარკვეულ რისკზე მიდის და ეს ვერ გაამართლებს, რის გამოც მოვალე თანხას უკან ვერ აბრუნებს, სახეზეა არა თაღლითობა, არამედ სამოქალაქო სამართალდარღვევა<sup>570</sup>.

თანხის სესხად აღების დროს შეიძლება მსესხებელს თავიდან გადაწყვეტილი ჰქონდეს ვალის დაბრუნება, მაგრამ სესხის აღების შემდეგ შეცვალოს გადაწყვეტილება და მიუხედავად იმისა, რომ თანხის უკან დაბრუნება შეუძლია, გამსესხებელს ვალი არ დაუბრუნოს. როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი

---

<sup>567</sup> *თოდუა ნ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 78-79.

<sup>568</sup> *თოდუა ნ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

<sup>569</sup> *თოდუა ნ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

<sup>570</sup> *თოდუა ნ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 80.

ასეთ დროს, როცა დგინდება, რომ მოტყუება მსესხებელს არ ჰქონდა განზრახული თანხის სესხად აღების დროს? სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით მოცემულ შემთხვევაშიც ქმედება სამოქალაქოსამართალდარღვევად უნდა დაკვალიფიცირდეს<sup>571</sup>.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა თაღლითობის და სამოქალაქოსამართალდარღვევის გასამიჯნად მხედველობაში მიიღება გამონკვეული ზიანის ოდენობა, რაც არ არის მართებული<sup>572</sup>. შეუძლებელია თაღლითობა და სამოქალაქოსამართალდარღვევა მხოლოდ ზიანის მოცულობის გათვალისწინებით გაიმიჯნოს. თუმცა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დებულება, რომლის მიხედვითაც, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოირიცხება, მიუხედავად დანაშაულის ფორმალური ნიშნების არსებობისა, თუ ქმედებას არ გამოუწვევია ისეთი ზიანი ან არ შეუქმნია ისეთი საფრთხე, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

თაღლითობის და სამოქალაქოსამართალდარღვევის ერთმანეთისგან გამიჯვნის საკითხი ხშირად დგება იპოთეკით დატვირთვის შემთხვევებში, რაც ხშირად სასამართლო პრაქტიკაში აზრთა სხვაობას იწვევს. აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა შემდეგი შემთხვევა:

„ა“-მ, „გ“-მ და „ს“-მ ერთობლივი საქმიანობის წარმართვის მიზნით ჩამოაყალიბეს შპს „...“, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა თბილისში, ციციშვი-

<sup>571</sup> თოდუა ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 81.

<sup>572</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., ნიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, თბ., 2019, გვ. 514-515; თოდუა ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 81.

ლის ქუჩაზე. შპს „...“ დირექტორ „ა“-სა და „მ“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, „მ“-მ 248000 აშშ დოლარად შეიძინა ციციშვილის №10-ში მდებარე კორპუსის პირველ სართულზე განთავსებული 248 კვ.მ. კომერციული ფართი. „ა“-მ და „ო“-მ, „მ“-გან მალულად, რამდენჯერმე იპოთეკით დატვირთეს ზემოხსენებული ფართი და ვინაიდან სესხი არ დაფარეს, ციციშვილის ქუჩაზე მდებარე კომერციული ფართი საკუთრებაში გადასცეს იპოთეკარებს, ხოლო „მ“-გან მოტყუებით დაუფლებული ფულადი თანხა 248000 აშშ დოლარი, „ო“-მ და „ა“-მ მას არ დაუბრუნეს, რითაც „მ“-ს მიადგა 248000 აშშ დოლარის დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი. სააპელაციო სასამართლომ „ო“ და „გ“ გაამართლა და მიუთითა, რომ შპს „...“ და „მ“-ს შორის არსებული ურთიერთობები წარმოიშვა სამოქალაქო ურთიერთობებიდან გამომდინარე ხელშეკრულების საფუძველზე, ამიტომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის წესით მოწესრიგებულ საკითხს და, შესაბამისად, ქმედება არ შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას<sup>573</sup>.

უზენაესმა სასამართლომ კი ქმედება სსკ-ის 180-ე მუხლით დააკვალიფიცირა (თაღლითობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად და დიდი ოდენობით), რომელსაც შემდეგი არგუმენტები დაუდო საფუძვლად: „ო“-მ და „ა“-მ შეგნებულად არ გაუშხილეს „მ“-ს შესაძენად შეთავაზებული უძრავი ქონების იპოთეკით არაერთგზის დატვირთვის ფაქტი, რითაც შეცდომაში შეიყვანეს იგი, ისარგებლეს მისი ნდობით და მოტყუებით დაეუფლნენ დაზარალებულის კუთვნილ დიდი ოდენობით ფუ-

---

<sup>573</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 26 ივლისის განაჩენი, #52აპ-13, სუსგ, #7-12, გვ. 78.



ლად თანხას. სადავო ფართის იპოთეკით დატვირთის ფაქტი ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა „მ“-თან ხელშეკრულების დადებას ფართის მიყიდვის თაობაზე. აღნიშნული ფართის იპოთეკით დატვირთვაზე „ა“-ს და „ო“-ს „მ“-თვის ინფორმაცია არ მიუწოდებიათ. დაზარალებულმა აღნიშნა, რომ სცოდნოდა ფართის იპოთეკით დატვირთვაზე უარს იტყოდა ფართის შექენაზე. „ა“-მ და „ო“-მ ისე გაყიდეს ფართი, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდა „ს“-მ. „ო“-მ და „ა“-მ „მ“-ს შეცდომაში შეყვანისა და მისი კუთვნილი ფულადი თანხის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, განზრახ დაფარეს კომერციულ ფართზე იპოთეკის ხელშეკრულების არსებობა, რითაც მოატყუეს იგი და მასთან გააფორმეს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის პირობების შეუსრულებლობა ორივე მათგანს გაცნობიერებული ჰქონდა, რითაც შეძლეს მართლსაწინააღმდეგოდ მიესაკუთრებინათ დაზარალებულის კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხა<sup>574</sup>.

უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ხელშეკრულების დადებისას მოქმედებს კეთილსინდისიერების პრინციპი, რაც გულისხმობს მხარეთა ვალდებულებას, ერთმანეთს მიაწოდონ ინფორმაცია არსებული დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა. როგორც უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, სადავო ფართი გასხვისების მომენტში არ იყო უფლებრივად უნაკლო, ანუ დატვირთული იყო იპოთეკით, რაც მათ არ გაუმხილეს მყიდველს, მოიპოვეს მისი ნდობა, დაარწმუნეს იმაში, რომ უძრავი ქონება უფლებრივად უნაკლო იყო, რითაც შეცდომაში შეიყვანეს, მოატყუეს და ხელშეკრულების გაფორ-

---

<sup>574</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 26 ივლისის განაჩენი, #52აპ-13, სუსგ, #7-12, გვ. 79.

მების გზით მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ მის კუთვნილ, დიდი ოდენობით ფულად თანხას<sup>575</sup>.

უზენაესი სასამართლო თავის პოზიციას ამყარებს იმ არგუმენტით, რომ როდესაც სადავო ფართის მყიდველმა ვერ შეძლო საჯარო რეესტრში თავის სახელზე აღერიცხა შეძენილი ქონება და გაირკვა, რომ ფართი იპოთეკით იყო დატვირთული, „ო“-მ 20000 აშშ დოლარად, სადავო ფართის მყიდველისთვის შეუტყობინებლად, იპოთეკით კიდევ ერთხელ დატვირთა იმ მომენტისთვის იპოთეკარებისგან გამოთავისუფლებული „მ“-ს მიერ შეძენილი ფართის ნაწილი, რომელიც „მ“-ს მოტყუების განზრახვის არარსებობის შემთხვევაში „ო“-ს და „ა“-ს შეეძლოთ, გადაეფორმებინათ „მ“-თვის, ან მისთვის გადაეცათ ახალი იპოთეკით აღებული ფულადი თანხა, რაც არ გაუკეთებიათ. უზენაესი სასამართლო საბოლოოდ მიდის დასკვნამდე, რომ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სახეზეა თაღლითობა<sup>576</sup>.

თაღლითობის და სამოქალაქო სასამართლებრივი დავის გამიჯვნის თვალსაზრისით საყურადღებოა ასევე შემდეგი შემთხვევა:

„ხ“ ენდობოდა „მ“-ს, რომელმაც ბოროტად ისარგებლა ამ ნდობით და „ხ“-ს მოტყუებით გამოართვა 16 000 აშშ დოლარი. „ხ“ რამდენიმე თვის განმავლობაში იღებდა ამ თანხის სარგებელს. „მ“-ს მიერ „ხ“-გან გამორთმეული თანხების, მისი ყოველთვიური შემოსავლის, ბანკის წინაშე არსებული ფულადი ვალდებულებების დაანგარიშებისა და ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ის ვერ დაფარავდა „ხ“-თვის გამორთმეულ თანხებს, ვინაიდან მას რაიმე სახის ბიზნესი არ

---

<sup>575</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 26 ივლისის განაჩენი, #52აპ-13, სუსგ, #7-12, გვ. 79.

<sup>576</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 26 ივლისის განაჩენი, #52აპ-13, სუსგ, #7-12, გვ. 80.

ჰქონია. ამდენად, „მ“-მ თანხის გამორთმევის დროს ზუსტად იცოდა, რომ მათ ველარ დააბრუნებდა. სანამ „ხ“-ს ფულს გამორთმევდა, „მ“-მ ფული სესხის სახით „ნ“-საც გამორთვა. „მ“ „ნ“-ს პროცენტების სახით თავიდან უხდიდა თანხას, მაგრამ ნაკისრი ვალდებულების ბოლომდე შესრულება ვერ შეძლო. „მ“-ს მიერ „ნ“-თვის თანხის გადახდის შეწყვეტის დრო შემთხვევა მისი ჯანმრთელობის გაუარესების და სამსახურის დაკარგვის პერიოდს, რაც ადასტურებს იმას, რომ ფინანსური ვალდებულებების ბოლომდე შეუსრულებლობისას „ნ“-თან მიმართებით ობიექტური მიზეზი ჰქონდა. ეს კი გამორიცხავს იმას, რომ „ნ“-თან მიმართებით „მ“-ს ჰქონდა მოტყუების განზრახვა. შესაბამისად, თუ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა „მ“ გაამართლეს ორივე ეპიზოდში და გამორიცხეს თაღლითობა, უზენაესმა სასამართლომ თაღლითობა მხოლოდ ერთ ეპიზოდში – „ნ“-თან მიმართებით გამორიცხა, ხოლო „ხ“-თან დაკავშირებით დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა თაღლითობას. მოცემულ შემთხვევასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ „მ“-ს დაკავება მოხდა იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო „ნ“-თვის ვალის გადახდის ვადა ამოწურული. აღნიშნული გარემოება სასამართლომ გასათვალისწინებლად მიიჩნია მხოლოდ „ნ“-ს ეპიზოდში ქმედების შესაფასებლად და არა მეორე დაზარალებულთან – „ხ“-თან მიმართებით, ვინაიდან თუ არსებული გარემოებები იძლევა „ნ“-თან მიმართებით „მ“-ს მიერ მოტყუების განზრახვის გამორიცხვის საფუძველს, ამის თქმა მეორე ეპიზოდში შეუძლებელია „ხ“-თვის ფულის გამორთმევის ეტაპზე „მ“-ს ფინანსური, აგრეთვე სამსახურებრივი მდგომარეობის და მანამდე ნაკისრი ვალდებულების გათვალისწინებით. ყოველივე აღნიშნული იმაზე შეტყვევებს, რომ „მ“ მოქმედებდა „ხ“-ს მოტყუების განზრახვით. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ „მ“-მ „ხ“ არარსებულ ბიზნესზე მითითებით

თანხის გამორთმევის დროსაც მოატყუა თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით<sup>577</sup>.

მართალია, მხოლოდ ეს ვერ ჩაითვლება იმის დასასაბუთებლად, რომ თაღლითობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამის თქმის საშუალებას იძლევა გარემოებათა ერთობლიობაში შეფასება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სახეზეა თაღლითობა დიდი ოდენობით (სსკ-ის 180-ე მუხლი მე-3 ნ. ბ. ქვეპუნქტი) ნანობაშვილის ეპიზოდში.

კიდევ ერთ შემთხვევას განვიხილავთ სასამართლო პრაქტიკიდან, სადაც განხილვის საგანს წარმოადგენდა თაღლითობის და სამოქალაქო სასამართლოდარღვევის გამიჯვნის საკითხი:

„გ“-მ განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა ლანჩხუთის რაიონში მცხოვრები „კ“-ს კუთვნილ ავტომანქანის ძარას. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იმავე თვის შუა რიცხვებში მან სოფელში მდებარე საბურავების შემკეთებელ სააქროში მიაკითხა „კ“-ს და მოატყუა, რომ მისგან 200 კგ. თხილის სანაცვლოდ შეიძენდა მის კუთვნილ ავტომანქანის ძარას, რაზეც „კ“-მ თანხმობა უთხრა და შეუთანხმდა, რომ ძარა წაეღო თანასოფელელ „თ“-ს საცხოვრებელი სახლის ეზოდან მას შემდეგ, როცა იგი მოხსნიდა მასზე არსებულ დეტალებს. „გ“-ს განზრახული ჰქონდა რა ძარას დაუფლება, იგი იმავე დღეს მივიდა „თ“-ს საცხოვრებელ სახლში და მოატყუა ეს უკანასკნელი, რომ ძარა შეძენილი ჰქონდა „კ“-გან და შეთანხმებული იყო მის წაღებაზე. რადგან „გ“-მ მოტყუებით შეცდომაში შეიყვანა და თავისი ნათქვამის სისწორეში დაარწმუნა „თ“, იგი დაეთანხმა და „გ“-მ ძარა დადო „ა“-ს მართვის ქვეშ მყოფ ტრაქტორზე და შემდგომ რეალიზაცია გაუკეთა გამოძიებით დაუდგენელ პირზე, აღებული თანხა კი მოიხმარა პირადი სა-

<sup>577</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 31 ოქტომბრის განაჩენი #83აპ-13, სუსგ, 2013, #7-12, გვ. 81-85.

ჭიროებისამებრ, რითაც „კ“-ს მიაყენა 400 ლარის ზიანი. „გ“ ლანჩხუთის რაიონულმა სასამართლომ დამნაშავედ სცნო თაღლითობაში. გიორგაძის ადვოკატმა განაჩენი გაასაჩივრა და ითხოვა მსჯავრდებულის გამართლება, რასაც იმით ასაბუთებდა, რომ ზემოაღნიშნული ავტომანქანის ძარასთან დაკავშირებით „კ“-სა და „გ“-ს შორის დამყარდა სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობა, ხოლო ამ სახის ურთიერთობა წესრიგდება სამოქალაქო კოდექსით. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მსჯავრდებულის ადვოკატის პოზიცია არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ სახეზე იყო თაღლითობა, მოტყუებით სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება<sup>578</sup>.

საკასაციო პალატის პოზიცია ქმედების კვალიფიკაციაზე გასაზიარებელია, ვინაიდან როდესაც „გ“ „თ“-ს სახლში მივიდა ძარას წამოსაღებად, მან „თ“ მოატყუა, რომ ძარა შეძენილი ჰქონდა, მაშინ როცა მისი საფასური არ ჰქონდა გადაცემული მესაკუთრისთვის. ნივთის დაუფლებას წინ უძღოდა როგორც მესაკუთრის, ისე დროებითი მფლობელის მოტყუება და რაც მთავარია, ნივთის დაუფლებამდე ჰქონდა „გ“-ს განზრახული, რომ მას მოტყუების შედეგად დაუფლებოდა, ხოლო მესაკუთრისთვის ნივთის საფასური არ გადაეხადა. შესაბამისად, აქ საუბარი შეუძლებელია სამოქალაქოსამართლებრივ დავაზე.

როდესაც საუბარია თაღლითობის და სამოქალაქო სამართალდარღვევის გამიჯვნაზე, იმაზე, რომელ შემთხვევაში ქმედება როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს, უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ არ არის გამორიცხული ერთდროულად სახეზე იყოს როგორც თაღლითობის, ისე სამოქალაქო სამართალდარღვევის ნიშნები.

---

<sup>578</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 10 იანვრის #736აპ-10 განაჩენი, სუსგ, 2011, 1-3, გვ. 22-27.

**გ) ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზი ცალკეული ქმედების დასჯადობაზე და მისი დაძლევისთვის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების პერსპექტივა (გერმანული სისხლის სამართლის გათვალისწინებით)**

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ქართულ კანონმდებლობაში არსებობს ხარვეზი ქმედების დასჯადობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. ის, რაც ქართული კანონმდებლობით სამოქალაქო სამართალდარღვევად კვალიფიცირდება, გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობით იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. კერძოდ, მხედველობაშია შემთხვევა, როცა ხდება სხვა პირისთვის ნივთის გადაცემა დროებით, გამოყენების მიზნით და აღნიშნული პირი მისთვის გადაცემულ ნივთს უკან არ აბრუნებს<sup>579</sup>. აღნიშნული ქმედება კვალიფიცირდება გერმანული სსკ-ის 246-ე პარაგრაფით (Unterschlagung). აღნიშნული პარაგრაფის პირველი აბზაცის მიხედვით ქმედება შემდეგი შინაარსით არის ჩამოყალიბებული: „ვინც სხვის მოძრავ ნივთს მართლსაწინააღმდეგოდ მისსაკუთრებს, ისჯება.....“ დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს აღნიშნული ქმედების ჩადენა იმ პირის მიერ, ვისაც იგი მინდობილი ჰქონდა.

გერმანულ სისხლის სამართალში აღნიშნული შემთხვევა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულებისგან იმით იმიჯნება, რომ ადგილი არ აქვს მფლობელობის დარღვევას, ვინაიდან ნივთი დანაშაულის ჩადენამდე დამნაშავის მფლობელობაშია<sup>580</sup>, შესაბამისად, ადგილი არ აქვს მფლო-

<sup>579</sup> Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Aufl., 2018, §246 Rn. 13.

<sup>580</sup> Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Aufl., 2018, §246 Rn. 12. თუმცა, ლიტერატურაში გვხვდება ასევე მოსაზრება, რომ არა აქვს მნიშვნელობა იმას, უკვე აქვს თუ არა დამნაშავეს ნივთი მფლობელობაში ან განკარგვაში. Fischer Th., Strafgesetzbuch, 68. Aufl., 2021, §246 Rn. 3.

ბელობის დარღვევას, არ მიეკუთვნება იმ ქმედებებს, სადაც ხდება ნივთის დაუფლება. ქმედების შემადგენლობაში კანონმდებელი ამიტომაც უთითებს არა ნივთის დაუფლებასთან, არამედ მისაკუთრებასთან დაკავშირებით.

გერმანული სსკ-ის 246-ე მუხლის გაგებით მისაკუთრება შეიძლება განხორციელდეს გადაცემული ნივთის მოხმარებით (მაგალითად, როცა საკვებს შეჭამს, რომელიც უკან უნდა დაებრუნებინა), გადამუშავებით, როდესაც გადამუშავების პროცესში მასთან ერთად სხვა ნივთიც იქნება გამოყენებული, აგრეთვე ნივთის სხვა ნივთებში იქნება შერეული. აღნიშნული ეხება ფულსაც<sup>581</sup>, როდესაც მოქმედი პირი მისთვის გადაცემულ ფულს უკან არ აბრუნებს და არც აპირებს რომ დააბრუნოს. მოცემული მსჯელობა იმაზე მიუთითებს, რომ 246-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ქმედება არა მხოლოდ უმოქმედობით, არამედ მოქმედებითაც შეიძლება განხორციელდეს.

აღნიშნული ქმედება არ გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა პირი ნივთს თავიდან იშორებს, როგორც საშიშს, ვინაიდან იგი გამორიცხავს მისაკუთრების მიზანს<sup>582</sup>.

ქმედების დასჯადობასთან დაკავშირებით არსებული ხარვეზის შესავსებად მიზანშეწონილია ქართულ სსკ-შიც იქნას შემოტანილი გერმანული სსკ-ის 246-ე პარაგრაფის მსგავსი ნორმა. ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში გერმანული სსკ-ის 246-ე პარაგრაფის მსგავსი ნორმის შემოტანის მართებულობასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ როცა დასჯადია ნივთის დაზიანება, უნდა იყოს დასჯადი ნივთის უკან დაუბრუნებლობაც. თუ მოხდა დროებით სარგებლობისთვის გადაცემული ნივთის განადგურება ქმედება 187-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს, მაგრამ თუ აღნიშნულ ნივთს არ დააზიანებს, თუმცა მესაკუთრეს არ დაუბრუნებს, ქართული კა-

<sup>581</sup> *Lackner/Kühl*, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Aufl., 2018, §246 Rn. 5.

<sup>582</sup> *Lackner/Kühl*, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Aufl., 2018, §246 Rn. 8.

ნონმდებლობით პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება, ვინაიდან ნივთის გადაცემის დროს არ ჰქონდა ნივთის მისაკუთრების, მესაკუთრის მოტყუების განზრახვა (რაც თაღლითობა იქნებოდა) ან ასეთი განზრახვა ვერ უდგინდება. ასეთი ქმედების სისხლის სამართლებრივი დაუსჯელობა სამართლებრივი თვალსაზრისით, ლოგიკას არის მოკლებული, ვინაიდან ორივე ქმედება (როგორც თაღლითობა ან ნივთის დაზიანება, ისე ნივთის უკან დაუბრუნებლობა) მესაკუთრისთვის ერთნაირ შედეგს იწვევს.

თუ ნივთის ღირებულება მცირეა ქმედება გერმანული სსკ-ის 248a პარაგრაფით ისჯება. თუმცა, ქართული სსკ-ით მცირე მნიშვნელობის ნივთებთან მიმართებით არ იწვევს პასუხისმგებლობას სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე. შესაბამისად, მცირე მნიშვნელობის მქონე საგნებთან დაკავშირებით ქმედების დასჯადობის საკითხი დღის წესრიგიდან იხსნება.

## IX. საპროცესოსამართლებრივი რეგულაცია

თუ გამოძიება დაწყებულია ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის გამო, შესაძლებელია პროკურორმა იშუამდგომლოს სასამართლოში ფარული-საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების თაობაზე. მაშასადამე, განსახილველი დანაშაული მიეკუთვნება იმ დანაშაულთა კატეგორიას, რომელთა შემთხვევაშიც დაშვებულია ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება (სსსკ-ის 143<sup>3</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილი).



ქონებრივი დაზიანება მოტყუებით  
(სსკ-ის 185-ე მუხ.)

**მუხლი 185. ქონებრივი დაზიანება მოტყუებით**

1. ქონების მესაკუთრის ან მფლობელის ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, თუ არ არის ამ კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, –

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა **თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.**

2. იგივე ქმედება:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) არაერთგზის;

გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –

**ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.**

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) დიდი ოდენობით;

გ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევნი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, –

**ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.**

## 1. ქმედების ძირითადი შემადგენლობა.

### 1. ობიექტური შემადგენლობა.

ქონებრივი დაზიანება მოტყუებით საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი დანაშაულია, რომელიც დანაშაულის განხორციელების ხერხით ახლოს დგას თაღლითობის შემადგენლობასთან, მაგრამ მათ შორის არსებობს სხვაობა და იმისთვის, რომ ქმედება 185-ე მუხლით დაკვალიფიცირდეს, კანონმდებელი როგორც მიუთითებს, უნდა გამოირიცხოს თაღლითობის შემადგენლობით გათვალისწინებული ნიშნები. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საქმე ეხება მითითებით დისპოზიციას.

#### **1.1. სუბიექტი**

განსახილველი დანაშაულის ამსრულებელია ნებისმიერი ფიზიკური პირი. იგი არ მიეკუთვნება სპეციალური ამსრულებლობით ჩასადენ დანაშაულებს.

#### **1.2. სამართლებრივი სიკეთე**

სსკ-ის 185-ე მუხლით დაცულია საკუთრება, ქონებრივი სიკეთე, რაზეც მიუთითებს არა მხოლოდ ნორმის ადგილი სსკ-ის კერძო ნაწილში, არამედ ასევე ქმედების შემადგენლობის სახელწოდება და ნორმის დისპოზიციაც.

როდესაც ვსაუბრობთ 185-ე მუხლით ქონებრივი სიკეთის დაცვაზე, ჩნდება კითხვა აქვს თუ არა მნიშვნელობა ქონებრივი სიკეთის წარმომავლობას და იცავს თუ არა 185-ე მუხლი ყველა სახის ქონებრივ სიკეთეს? მაგალითად, შეიძლება თუ არა დაცულად ჩაითვალოს ისეთი ქონებრივი სიკეთე, რომელიც პირს უნდა მიეღო აკრძალული და არალეგალური ქმედების შედეგად? როგორ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ქმედება მაშინ, როცა სექსმუშაკს, რომელიც სქესობრივი მომსახურე-

ბისტვის არაოფიციალურად ანაზღაურებას იღებს, არ გადაუხდიან სქესობრივი მომსახურების საფასურს ან გადაუხდიან იმაზე ნაკლებს, რაზეც იყოს შეთანხმება მასსა და შეცდომაში შემყვან პირს შორის?

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. შეიძლება ითქვას, რომ საკითხის ირგვლივ არსებობს აზრთა არაერთგვაროვნება. ერთ-ერთი მოსაზრებით, რომელიც ადრინდელ შეხედულებად ითვლება, ანაზღაურებადი სქესობრივი მომსახურება ითვლებოდა ამორალურ ქმედებად, სქესობრივი კავშირი არ მიიჩნეოდა ქონებრივი ღირებულების მქონე სიკეთედ. აღნიშნული მოსაზრება დღეს მოძველებულად განიხილება, ვინაიდან ერთ-ერთი კანონით შეთანხმება სქესობრივ მომსახურებაზე სამართლებრივი მნიშვნელობის მქონედ იქნა აღიარებული<sup>583</sup>. დასახელებული კანონის მიღების შემდეგ სასამართლოს ერთ-ერთ გადანყვეტილებაში სექსუალურ მომსახურებასთან დაკავშირებული ქონებრივი სიკეთე მიჩნეულ იქნა თაღლითობის შემადგენლობით დაცულ სიკეთედ. თუმცა საკითხის ასეთი გადანყვეტა ლიტერატურაში საკამათოდ მიიჩნევა კანონმდებლის მიზანთან შესაბამისობის თვალსაზრისით<sup>584</sup>.

ქართული სისხლის სამართლის კანონით შეიძლება თუ არა დაცულად ჩაითვალოს სქესობრივი მომსახურებისთვის გადასახდელი ქონებრივი სიკეთე, საკამათოა, ვინაიდან სსკ-ით ისჯება პროსტიტუციისთვის ადგილის დათმობა. საქართველოში პროსტიტუცია არ არის ლეგალიზებული. შესაბამისად, სქესობრივ მომსახურებასთან დაკავშირებული ქონებრივი სი-

---

<sup>583</sup> *Fischer Th., Strafgesetzbuch mit Nebengesetzen, 67. Aufl., 2020, §253 Rn. 107.*

<sup>584</sup> *Fischer Th., Strafgesetzbuch mit Nebengesetzen, 67. Aufl., 2020, §253 Rn. 107a.*

კეთე, მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე არალეგალურად ითვლება.

ბემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განსახილველ შემთხვევაში ქმედება არ უნდა დაკვალიფიცირდეს 185-ე მუხლით. თუ ადგილი აქვს მოტყუებით ადამიანის გაყვანას საზღვარგარეთ ან 143<sup>1</sup>-ე მუხლის დისპოზიციაში ჩამოთვლილი ქმედებებიდან ერთ-ერთის განხორციელებას და სქესობრივი მომსახურებისთვის ანაზღაურების გადაუხდელობას, ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ადამიანით ვაჭრობა, ვინაიდან ადამიანით ვაჭრობის ერთ-ერთი ხერხი არის მოტყუება, ხოლო სქესობრივი ექსპლოატაცია ადამიანით ვაჭრობის შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედება. თუ 185-ე მუხლით დაცულ სიკეთედ მივიჩნევდით არალეგალური ქმედებისთვის გადახდილ თანხას, ქმედება აღნიშნულ შემთხვევაშიც შეიძლება დაკვალიფიცირებულიყო 185-ე მუხლით, ვინაიდან მსხვერპლმა ვერ მიიღო ის ქონებრივი სიკეთე, რომლის მისაღებად (არალეგალური) მომსახურება გასწია.

საკითხავია, როგორ უნდა გადაწყდეს ექიმის მომსახურების საფასურის გადაუხდელობის საკითხი? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მომსახურების გადასახადის გადაუხდელობა მოტყუების შედეგად კვალიფიცირდება 185-ე მუხლით, ამავე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს ექიმისთვის მომსახურების საფასურის გადაუხდელობაც.

### **1.3. საგანი**

ვინაიდან 185-ე მუხლის დისპოზიციაში ქმედების შემადგენლობის ნიშნად არ არის მითითებული სხვისი ნივთის დაუფლებაზე, ლიტერატურაში კეთდება დასკვნა, რომ განსახილველი დანაშაული არ მიეკუთვნება დაუფლებით დანაშაულთა რიცხვს, საიდანაც გამომდინარეობს, რომ აღნიშნული დანა-

შაულის საგანი არ შეიძლება იყოს მოძრავი ნივთი, ვინაიდან აქ საქმე ეხება არა დაუფლებას, არამედ მსხვერპლის მიერ იმ სარგებლის მიუღებლობას, რომელიც უნდა მიეღო, დანაშაული რომ არ განხორციელებულიყო. აღნიშნულის გათვალისწინებით, ავტორები იმასაც მიუთითებენ, რომ თითქოს, 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას მესაკუთრის საკუთრება არ მცირდება<sup>585</sup>. თუმცა, თუ საქმის არსს უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, მივალთ დასკვნამდე, რომ 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული არ გამორიცხავს მოტყუებით სხვისი ნივთის დაუფლებას, მაგრამ ეს ხორციელდება არა იმ სახით, როგორც ქურდობის შემთხვევაში, არამედ სხვა ფორმით. მაგალითად, მოტყუების შედეგად იმ მომსახურებით სარგებლობის გზით, რომლისთვის ბოროტმოქმედს შესაბამისი ანაზღაურება უნდა გადაეხადა, მაგრამ არ გადაიხადა. კერძოდ, როცა კლიენტი რესტორანში მომსახურებისთვის ფულს არ იხდის, მიმტანს ატყუებს, ადგილი აქვს საკვების დაუფლებას. თუ ქურდობის დროს სხვის სახლში ფარულად საკვების და სასმელის მიღება არის ნივთის დაუფლება, საკითხავია, რატომ არ შეიძლება ნივთის დაუფლებად ჩაითვალოს რესტორანში, კვების ობიექტში მოტყუებით მომსახურების მიღების შედეგად საკვების და სასმელის საფასურის გადახდის გარეშე დაუფლება? მაშასადამე, მოტყუებით ქონებრივი დაზიანება ნივთის დაუფლებას არ გამორიცხავს. მაგრამ აქვე უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ ქონებრივი მოტყუება ყოველთვის არ გულისხმობს სხვისი ნივთის დაუფლებას. შეიძლება ბოროტმოქმედმა მომსახურებით ისე ისარგებლოს მოტყუებით, რომ ის არ უკავშირდებოდეს ნივთის დაუფლებას. ასეთ შემთხვევას

---

<sup>585</sup> *ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ.*, პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი), თბ., 1999, გვ. 60; *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, წიგნში: *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2019, გვ. 539.

შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, როცა ბოროტმოქმედი ატყუებს ტაქსის მოძღვლს და მისი მომსახურებით სარგებლობის შემდეგ მას არ უხდის მომსახურების თანხას. არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოები დასახელებულ შემთხვევაში ქმედებას თაღლითობად აკვალიფიცირებენ, მაგრამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, დასახელებულ შემთხვევაში, მართებულად უნდა ჩაითვალოს ქმედების კვალიფიკაცია 185-ე მუხლით<sup>586</sup>. არ არის გასაზიარებელი ის მოსაზრებაც, რომ მოტყუებით ქონებრივი დაზიანება არ იწვევს მესაკუთრის საკუთრების შემცირებას. ორივე ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში, როგორც რესტორნის, ისე ტაქსის მძღვლის მომსახურებით სარგებლობისას ადგილი აქვს მესაკუთრის საკუთრების შემცირებას. ერთ შემთხვევაში საკვები პროდუქტის, ხოლო მეორე შემთხვევაში საწვავის სახით.

#### **1.4. ქმედება**

ქმედება გულისხმობს ისეთ მოქმედებას ან უმოქმედობას, რომელიც იწვევს მესაკუთრის ან მფლობელის ქონებრივ დაზიანებას. დაზარალებული, გარდა მესაკუთრისა, შეიძლება იყოს ქონების მფლობელიც, რომელიც მესაკუთრე არ არის<sup>587</sup>. დანაშაულებრივი შედეგის დადგომა ყოველთვის გულისხმობს მსხვერპლს, იმას, ვინც არის ხელყოფილი სიკეთის მატარებელი. ჩნდება კითხვა, დაზარალებულს ხომ არ წარმოადგენს

---

<sup>586</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2009, #1, გვ. 22-24. 2008 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება #173-აბ.

<sup>587</sup> *ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ.*, პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი), თბ., 1999, გვ. 59; მოსამართლე ნინო გვენეტაძის განსხვავებული აზრი ვ. ა-ის მსჯავრდების საქმეზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სუსგ, 2018, #7-9, გვ. 173-174.

მხოლოდ ქონების მესაკუთრე ან მფლობელი, თუ დაზარალებული შეიძლება იყოს სხვაც?

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ:

„საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლის მიზნებისთვის დაზარალებული აუცილებლად ქონების მესაკუთრე ან მესაკუთრესთან გაიგივებული ქონების მფლობელი უნდა იყოს. პალატა აღნიშნავს, რომ დაზარალებული შესაძლოა იყოს პირი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ქონების მესაკუთრე ან მფლობელი და დამნაშავის ქმედების შედეგად ვერ ღებულობს იმ ქონებას, რომელიც მას სახელშეკრულებო ან კანონიერი ურთიერთობის საფუძველზე უნდა მიეღო<sup>588</sup>.

დანაშაული სრულად არის განხორციელებული არა ქმედების ჩადენისას, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა სახეზე იქნება ქონებრივი დაზიანება აცდენილი სიკეთის სახით. მოტყუებით ქონებრივი დაზიანების შემდეგი შემთხვევა შეიძლება მოვიხმოთ სასამართლო პრაქტიკიდან:

თბილისში, ნურნუმიას ქუჩის №5-ში საჯარო სკოლაში ჩატარდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა (იბა) „დ-ის“ (ს/ნ...) საერთო კრება, სადაც ამხანაგობის წევრთა საერთო წილობრივ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან განისაზღვრა საგნები საკუთრების სამომავლო უფლებით, მათ შორის გ. რაფავას (პ/ნ...) პირად საკუთრებაში განისაზღვრა: თბილისში, დიდუბის ქუჩის №10, ბინა №20 (ს/კ...) საცხოვრებელი ფართი 36, 7 კვ. მ. და ბინა №30 საცხოვრებელი ფართი 82.8 კვ.მ. აღნიშნული

<sup>588</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება, #511აპ-17; სუსგ, 2018, #7-9, გვ. 168.

კრების ოქმს არ დაეთანხმა რაფავა, რის გამოც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენის შემდგომ არ მოხდა აღნიშნული კრების ოქმის რეგისტრაცია, ვინაიდან კრებაში მონაწილე ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობა არ არსებობდა. იბა დ-ის ამხანაგობის თავმჯდომარე ვ. აზარაშვილმა განიზრახა ყალბი კრების ოქმის დამზადება, რომლის მეშვეობითაც იგი მოქალაქე რაფავას ამორიყხავდა კრების ოქმიდან, რომელსაც თავის მხრივ, საკუთრების სამომავლო უფლებით ჰქონდა განსაზღვრული ბინა №20, საცხოვრებელი ფართი 36, 7 კვ. მ. და ბინა №30 საცხოვრებელი ფართი 82.8 კვ.მ, საერთო ღირებულებით, 122 560 ლარი და მოახდენდა აღნიშნული უძრავი ქონების იბა დ-ის ბალანსზე ასახვას. იბა დ-ის (ს/კ...) თავმჯდომარე აზარაშვილმა შეადგინა იბა დ-ის საერთო კრების №8 ყალბი ოქმი, საიდანაც ამოიღო მოქალაქე რუსეიშვილის სამომავლო საკუთრების უფლებით განსაზღვრული გემოსენებული უძრავი ქონება, მდებარე თბილისში, დიდუბის ქუჩის №10-ში, რის შემდეგაც აღნიშნული ყალბი კრების ოქმი საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა. აღნიშნული ქმედებით აზარაშვილმა რაფავას მიაყენა 122 560 ლარის ქონებრივი დაზიანება, ხოლო ქმედების განხორციელების ხერხად გამოყენებული იქნა მოტყუება<sup>589</sup>.

მოცემულ შემთხვევაში ზიანი გამოიხატა არა პირდაპირი, არამედ ანაცდენი სარგებლის სახით, ვინაიდან რაფავამ ვერ მიიღო ის სარგებელი (ქონება), რომელიც უნდა მიეღო<sup>590</sup>. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა პოზიცია, რომ აღნიშნულ საქმეში სამართლებრივი დავა არ სცდება სამოქალაქო სამარ-

---

<sup>589</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება, #511აპ-17; სუსგ, 2018, #7-9, გვ. 161-162.

<sup>590</sup> იქვე, გვ. 167.



თლით დადგენილ ფარგლებს<sup>591</sup>. საკასაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო წესით არ გამოორიცხავს ქმედების სსკ-ი 185-ე მუხლით დაკვალიფიცირებას<sup>592</sup>. ქმედების დანაშაულობრიობა განისაზღვრება ქმედების განხორციელების დროს არსებული გარემოებებით და არა პოსტკრიმინალური ქმედებით, რაც მხოლოდ სასჯელის დანიშვნის დროს შეიძლება იქნას გათვალისწინებული.

უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ გემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი გამოთქვა მოსამართლე ნ. გვენეტაძემ, რომელმაც არ გაიზიარა საკასაციო პალატის მიერ გამოთქმული მოსაზრება ქმედების სსკ-ის 185-ე მუხლით კვალიფიკაციაზე და მიიჩნია, რომ ჩადენილი ქმედების ფაქტობრივ გარემოებებსა და მსჯავრდებულისთვის ბრალად შერაცხულ სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობის ნიშნებს შორის არ არსებობს ზუსტი შესაბამისობა და მსჯავრდებულსა და დაზარალებულს შორის ურთიერთობა არ გასულა სამოქალაქო სამართლის ჩარჩოებიდან<sup>593</sup>. განსხვავებული აზრის თანახმად, სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩასადენად აუცილებელია დაზარალებულს შეუქცევადად ჰქონდეს დაკარგული იმ ქონების მიღების შესაძლებლობა, რომელიც უნდა მიეღო, ხოლო განსახილველ შემთხვევაში დაზარალებულს არ დაუკარგავს მოთხოვნის უფლება ბინაზე. მსჯავრდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე დაზარა-

<sup>591</sup> იქვე, გვ. 164.

<sup>592</sup> იქვე, გვ. 170.

<sup>593</sup> მოსამართლე ნინო გვენეტაძის განსხვავებული აზრი ვ. ა-ის მსჯავრდების საქმეზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სუსგ, 2018, #7-9, გვ. 171.

ლებულმა ბინები სამოქალაქო დავის წესით დაიბრუნა და და-  
ირეგისტრირა საკუთრებაში<sup>594</sup>. განსხვავებული აზრის მიხედ-  
ვით, განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის ქონებრივი  
ზიანის მიყენების განზრახვა, რის გამოც უნდა გამოირიცხოს  
პასუხისმგებლობა სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებული  
დანაშაულის მცდელობისთვისაც<sup>595</sup>. მსჯავრდებულის მიზანი  
იყო პრობლემების მოგვარება და არა ვინმესთვის ქონებრი-  
ვი ზიანის მიყენება. თუმცა, განსხვავებული აზრის ავტორი არ  
გამორიცხავს სსკ-ის 362-ე მუხლით გათვალისწინებული და-  
ნაშაულის (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის  
დამზადება, გასაღება ან გამოყენება) ჩადენის შემთხვევას<sup>596</sup>.  
განსხვავებული აზრის შემაჯამებელი დასკვნის მიხედვით,  
მსჯავრდებულის ქმედება არ გასცდენია სამოქალაქოსამართ-  
ლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლებს, რის გამოც მსჯავრ-  
დებული უდანაშაულოდ უნდა ყოფილიყო ცნობილი იმ ეპი-  
ზოდში, რომლის მიხედვითაც მას ბრალად შეერაცხა სსკ-ის  
185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა<sup>597</sup>.

განსხვავებული აზრის არგუმენტაცია განსახილველ შემ-  
თხვევაში ქმედების სსკ-ის 185-ე მუხლით კვალიფიკაციის  
გამორიცხვაზე საკამათოა, ვინაიდან თავად ის ფაქტი, რომ  
ადგილი ჰქონდა სსკ-ის 362-ე მუხლით გათვალისწინებული  
დანაშაულის ჩადენას, დოკუმენტის გაყალბებას და სწორედ  
აღნიშნულ ქმედებასთან იყო გადაჯაჭვული მსჯავრდებულის  
ქონებრივი დაზიანება, მიუთითებს იმაზე, რომ დაზარალებუ-  
ლისთვის მიყენებული ქონებრივი ზიანი სცდება სამოქალაქო-  
სამართლებრივი დავის ფარგლებს.

განსხვავებული აზრის ავტორი ცდილობს ერთმანეთისგან

---

<sup>594</sup> იქვე, გვ. 175.

<sup>595</sup> იქვე, გვ. 177-178.

<sup>596</sup> იქვე, გვ. 178.

<sup>597</sup> იქვე, გვ. 178-179.

გამიჯნოს სამოქალაქო სამართლებრივი და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის სფეროები, მსჯავრდებულის მიერ განხორციელებული ქმედება მოაქციოს სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, რომლის წარმოშობა ეფუძნება პირთა თავისუფალი ნების გამოვლენას, კერძო ავტონომიას<sup>598</sup>.

კერძო ავტონომიის პრინციპი გულისხმობს კონკრეტულ პირთათვის სამართლით მინიჭებულ და უზრუნველყოფილ შესაძლებლობას ერთმანეთს შორის ურთიერთობა განსაზღვრულ ფარგლებში მოაწესრიგონ გარიგებების, განსაკუთრებით ხელშეკრულებების მეშვეობით<sup>599</sup>. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ კერძო ავტონომიის პრინციპი, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილშია ასახული, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს ანიჭებს მხოლოდ კანონით აუკრძალავი მოქმედების უფლებას<sup>600</sup>. კერძო ავტონომია არ არის შეუზღუდავი. მაგალითად, ადამიანებს თავისუფლად შეუძლიათ სახლის ყიდვა-გაყიდვა, მაგრამ შემძენი ვალდებულია სახლი საჯარო რეესტრში დაარეგისტრიროს<sup>601</sup>. კერძო ავტონომიის პრინციპის მოქმედების ფარგლების შეზღუდვის გამოხატულება არის ის, რომ, მაგალითად, ნასყიდობა, ერთი მხრივ, ეფუძნება კერძო ავტონომიის პრინციპს, მაგრამ მეორე მხრივ, ნასყიდობის ფარგლები არ არის შეუზღუდავი და არ შეიძლება ნასყიდობა განხორციელდეს ისეთ საგანზე, რომელიც არ არის თავისუფალ ბრუნვაში (იარაღი) სახელმწიფო უსაფრთხოებიდან გამომდინარე.

კერძო ავტონომიის შეზღუდვის მიზანი სხვათა უფლებე-

<sup>598</sup> იქვე, გვ. 171.

<sup>599</sup> *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2011, გვ. 90.

<sup>600</sup> *ჭანტურია ლ.*, დასახ. ნაშრ., გვ. 90; *ჭანტურია ლ.*, წიგნში: სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017, გვ. 53, 57-58.

<sup>601</sup> *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2011, გვ. 94.

ბის დაცვაა<sup>602</sup>. კერძო ავტონომიის პრინციპი არ გამოორიცხავს ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა კეთილსინდისიერი მოქმედების ვალდებულებას<sup>603</sup>. ვინაიდან ადგილი ჰქონდა დოკუმენტის გაყალბებას და დაზარალებულის ქონებრივი დაზიანება აღნიშნულ ქმედებას უკავშირდება, შეუძლებელია იმის თქმა, რომ ხელშეკრულების მონაწილე პირი არ გასცდა იმ სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს, რომელსაც საფუძვლად კერძო ავტონომიის პრინციპი უდევს და რაც მნიშვნელოვანია, აღნიშნულის შედეგად მოხდა სხვისი უფლების დარღვევა.

### **1.5. შედეგი**

სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული შედეგიანი დანაშაულია, რაზეც პირდაპირ მიუთითებს ნორმის დისპოზიცია, ვინაიდან საქმე ეხება ქონებრივ დაზიანებას. თუ თაღლითობის დროს საკამათოა, არის თუ არა ქონებრივი დაზიანების გამოწვევა ქმედების შემადგენლობის ნიშანი, 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში ეს საკამათოდ არ შეიძლება მივიჩნიოთ აღნიშნული ნორმის დისპოზიციის გათვალისწინებით.

### **1.6. ხერხი**

დანაშაულის ერთადერთი ხერხი არის მოტყუება, ისევე როგორც თაღლითობის დროს, თუმცა თაღლითობისას მოტყუების განზრახვა ქმედების განხორციელებამდე აღმოცენდება, მოტყუებით ქონებრივი დაზიანებისთვის მნიშვნელობა არ

---

<sup>602</sup> ქანტურია ლ., წიგნში: სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017, გვ. 59.

<sup>603</sup> ქანტურია ლ., წიგნში: სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017, გვ. 58.

აქვს იმას, თუ როდის წარმოიშვა იგი. ამის მაგალითად სახელდება შემთხვევა, როცა ბინის დაქირავების შემდეგ დამქირავებელს წარმოეშობა განზრახვა, რომ გამქირავებელს ბინის ქირა არ გადაუხადოს. ბინის დაქირავების დროს არ ჰქონდა ასეთი განზრახვა, არამედ ის წარმოიშვა დაქირავების შემდეგ, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ქმედების კვალიფიკაციას 185-ე მუხლით<sup>604</sup>.

## 2. სუბიექტური შემადგენლობა

ქონებრივი დაზიანება მოტყუებით **განზრახი** დანაშაულია, რაზეც მიუთითებს დანაშაულის ხერხიც. იქ, სადაც დანაშაულის ხერხი მოტყუებაა, დანაშაული ყოველთვის განზრახ ხორციელდება, ვინაიდან მოტყუება გულისხმობს დაზარალებულის შეცდენას. ხოლო შეცდენა განზრახი ქმედებაა და გაუფრთხილებლობას გამორიცხავს. გამოთქმული მოსაზრებით, განსახილველი დანაშაული მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ხორციელდება<sup>605</sup>.

ქურდობისგან, ძარცვისგან და თაღლითობისგან განსხვავებით, სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული არ მიეკუთვნება მიზნით დაფუძნებულ დელიქტებს.

მართალია, ლიტერატურაში სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების სუბიექტურ ნიშნებზე მიუთითებენ, რომ განსახილველი დანაშაული გულისხმობს ანგარების მოტივს და სხვის ხარჯზე გამორჩენის მიღების მიზანს<sup>606</sup>, მაგრამ აღნიშნული დანაშაულის ჩადენა დასახელებული სუბიექტური ნიშნების გარეშეც არის შესაძლებელი. მართალია, ანგარების მოტივი და გამორჩენის მიღების მიზანი მოტყუებით ქონებრი-

<sup>604</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., ნიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, თბ., 2019, გვ. 540.

<sup>605</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., დასახ. ნაშრ. გვ. 542.

<sup>606</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., დასახ. ნაშრ. გვ. 542.

ვი დაზიანებისთვის ტიპურია, მაგრამ მისი ჩადენა შესაძლებელია შურისძიების მიზნით და მოტივითაც. რაც მთავარია, კანონმდებელი 185-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დისპოზიციაში არ მიუთითებს რაიმე სახის მოტივსა და მიზანზე.

## II. მართლწინააღმდეგობა და ბრალი

მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომრიცხველ გარემოებებთან დაკავშირებით განსახილველი დელიქტი სპეციფიკურობით არ ხასიათდება. აქვე უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებებიდან უკიდურესი აუცილებლობა შეიძლება განვიხილოთ იმ გარემოებად, რომელიც სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებულ დელიქტთან მიმართებით არის განსაკუთრებით რელევანტური. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს შემთხვევა, როცა ავადმყოფ პირს არ აქვს ტაქსისთვის გადასახდელი ფული და იმისთვის, რომ დროულად მივიდეს საავადმყოფოში სამედიცინო დახმარების მისაღებად, უწევს ტაქსის მძღოლის მოტყუება, რომელსაც მომსახურების განწევის შემდეგ არ უხდის მომსახურების საფასურს. იმისთვის, რომ ქმედება მართლზომიერად ჩაითვალოს, სახეზე უნდა იყოს შესაბამისი გამამართლებელი ობიექტური და სუბიექტური ნიშნები.

## III. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი

ვინაიდან სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ განსხვავდება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულთა მაკვალიფიცირებელი გარემოებებისგან, რომელთა განხილვაც უკვე მოხდა, მათ ხელახლა განხილვას აქ არ შევუდგებით.

#### IV. დაუმთავრებელი დანაშაული. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს აქვს მომზადების და მცდელობის სტადია, შესაბამისად, ნებაყოფლობით ხელის აღებასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს დასახელებულ სტადიებზე.

სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მომზადებასთან საქმე შეიძლება გვექონდეს მაშინ, როცა პირი შეარჩევს ტაქსის მძღოლს და მოელაპარაკება იმ მიზნით, რომ მოტყუებით, ანაზღაურების გარეშე წააყვანინოს თავი სადმე. მომზადება იქნება აგრეთვე ჯგუფის წევრთა გამოძებნა და შეთანხმება აღნიშნული ქმედების განსახორციელებლად. უნდა მივუთითოთ, რომ სსკ-ის 185-ე მუხლის 1-ლი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულების მომზადების დასჯადობა არ გამომდინარეობს სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილიდან.

განსახილველი დანაშაულის მცდელობა იქნება სახეზე, თუ რესტორანში მომსახურებით სარგებლობის შემდეგ, რესტორნის კლიენტები უცდებიან რესტორნის ტერიტორიის დატოვებას მომსახურების საფასურის გადახდის გარეშე. იმისთვის, რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს მცდელობად, უტყუარად უნდა დადგინდეს, რომ აღნიშნულ პირებს ჰქონდათ განზრახული მომსახურე პირთა მოტყუება. თუ რესტორნის კლიენტს უბრალოდ დაავიწყდა მომსახურების საფასურის გადახდა და წინასწარ არ ჰქონდა დაგეგმილი მომსახურე პირთა მოტყუება, ადგილი არ ექნება მცდელობას. მომსახურების საფასურის გადაუხდელობის განზრახვა შეიძლება ბოროტმოქმედს გაუჩნდეს მომსახურებით სარგებლობის პროცესშიც. არ არის აუცილებელი, რომ მომსახურების გადასახადის გადაუხდელობის განზრახვა ბოროტმოქმედს მომსახურების შეკვეთამდე ჰქონდეს.

## V. თანამონაწილეობა, თანაამსრულებლობა და შუალობითი ამსრულებლობა

ქონებრივი დაზიანება მოტყუებით შეიძლება განხორციელდეს როგორც თანამონაწილეობით, ისე თანაამსრულებლობით და შუალობითი ამსრულებლობით.

## VI. დანაშაულთა ერთობლიობა და ნორმათა კონკურენცია

სსკ-ის 185-ე და 180-ე მუხლების კონკურენციის საკითხი უნდა გადაწყდეს არა დანაშაულის ხერხის მიხედვით, ვინაიდან მოტყუება ორივე დელიქტისთვისაა დამახასიათებელი, არამედ იმის მიხედვით, თუ რა სახით იქნა ქონებრივი ზიანი გამოწვეული, ნივთის უშუალო დაუფლების ან ქონებრივი უფლების მიღების შედეგად, თუ მიუღებელი შემოსავლის და აცდენილი სიკეთის სახით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სწორედ სსკ-ის 185-ე მუხლით. თუ თაღლითობა დაუფლებითი დანაშაულია, ქონებრივი დაზიანების დროს ნივთის უშუალო დაუფლება არ ხდება, დაუფლება (მაგალითად, საკვების) ხდება მომსახურების მიღების გზით. თუ თაღლითობის დროს ბოროტმოქმედი მოტყუებით ეუფლება სხვის ნივთს და იღებს ქონებრივ უფლებას, მოტყუებით ქონებრივი დაზიანების დროს მოტყუების შედეგად მესაკუთრე ვერ იღებს იმ შემოსავალს, რომელიც უნდა მიეღო, ადგილი აქვს აცდენილ სიკეთეს, თუმცა ეს არ გამოორიცხავს მესაკუთრის მფლობელობიდან, საკუთრებიდან ნივთის თუ სხვა ქონებრივი სიკეთის გასვლას. თუ თაღლითობის დროს მესაკუთრის საკუთრება მცირდება, მოტყუებით ქონებრივი დაზიანების დროს, შეიძლება არ შემცირდეს, თუმცა, არ გამოორიცხავს საკუთრების შემცირებასაც. დანაშაულის ჩაუდენლობის შემთხვევაში, მესაკუთრის ან მფლობელის საკუთრება თუ მფლობელობა, გაიზრდებოდა ან არ შემცირდებოდა.



ქმედება რომ ერთდროულად ვერ დაკვალიფიცირდება სსკ-ის 185-ე და 180-ე მუხლებით და შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს მათ ერთობლიობას, ამაზე კანონმდებელი სსკ-ის 185-ე მუხლის დისპოზიციაში მიუთითებს.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ქმედებას აკვალიფიცირებენ 185-ე მუხლით, მაშინ, როცა ჩადენილია 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ერთი შემთხვევა, რომელშიც ბრალდების მხარე მოითხოვდა ქმედების კვალიფიკაციას 185-ე მუხლით, მაგრამ სასამართლომ ქმედება 180-ე მუხლით მართებულად დააკვალიფიცირა:

„მ. შ“-სა და „მ. შ“-ს შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. „მ. შ“-მ 20000 აშშ დოლარის სესხის სანაცვლოდ „მ. შ“-ს იპოთეკით დაუტვირთა თავისი უძრავი ქონება. ხელშეკრულება დაიდო 3 თვით, ხოლო ყოველთვიური პროცენტული სარგებელი იყო 1000 აშშ დოლარი. სესხის აღებისას მან წინასწარ გადაუხადა 3 თვის პროცენტული სარგებელი – 3000 აშშ დოლარი. „მ. შ“-ის მინდობილ პირს – „გ. შ“-სა და „მ. შ“-ის მამას – „თ. შ“-ს შორის შემდგარი ზეპირი შეთანხმების მიხედვით, ხელშეკრულების ვადა გაგრძელდა კიდევ 6 თვით, იმ პირობით, რომ ამ ვადაში „გ. შ“-ე არ მოითხოვდა იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე გატანას და იძულებით აღსრულებას, რაც ხელწერილით დაადასტურა. „გ. შ“-მ არ შეასრულა პირობა, მიმართა ნოტარიუსს, გამოითხოვა სააღსრულებო ფურცელი და მიმართა კერძო აღმასრულებელს, რითიც მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა „თ. შ“-ის ფულად თანხას – 3000 აშშ დოლარს<sup>607</sup>.

---

<sup>607</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება, #749აპ-20.

თაღლითობის და მოტყუებით ქონებრივი დაზიანების გამიჯვნის თვალსაზრისით საგულისხმოა შემდეგი შემთხვევაც, სადაც ქმედება ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა დააკვალიფიცირეს თაღლითობად, მაგრამ უზენაესმა სასამართლომ გადააკვალიფიცირა მოტყუებით ქონებრივ დაზიანებად:

„თ-მ“ გადაწყვიტა თავისი საცხოვრებელი სახლის გაყიდვა, რის შესახებაც მოელაპარაკა „ბ-ს“. შეთანხმდნენ, რომ „ბ“ „თ-ს“ საცხოვრებელ სახლს შეიძენდა 4000 აშშ დოლარად, საიდანაც ბეს სახით მან „თ-ს“ გადაუხადა 100 აშშ დოლარი. ვინაიდან „თ-ს“ კუთვნილი გემოხსენებული საცხოვრებელი სახლი ამ უკანასკნელის სახელზე არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში და მოსაწესრიგებელი იყო შესაბამისი საბუთები, ურომლისოდაც მხარეებს შორის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ვერ გაფორმდებოდა, „თ-მ“ „ბ-ზე“ გასცა ნოტარიულად დამონმებული მინდობილობა ერთი თვის ვადით, რომლის მიხედვით, „თ“ „ბ-ს“ უფლებამოსილებას ანიჭებდა „თ-ს“ კუთვნილი საცხოვრებელი სახლი დაერეგისტრირებინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურში, მიეღო ამონაწერი ხელზე საჯარო რეესტრიდან, შემდეგ გაეყიდა სახლი და ა.შ. იმავე დღეს, მინდობილობის გაფორმების შემდეგ, გადაუხადა საცხოვრებელი სახლის ღირებულების დანარჩენი თანხა - 3900 აშშ დოლარი. 8 დღის შემდეგ „ბ-მ“ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურში „თ-ს“ საკუთრების უფლებით დაარეგისტრირა სახლი, თუმცა პირადი და ოჯახური პრობლემების გამო, ვეღარ მოახერხა „თ-ს“ შეძენილი გემოხსენებული საცხოვრებელი სახლის გადმოფორმება. „თ-მ“ ისარგებლა აღნიშნული გარემოებით და განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა „ბ-ს“ მიღებულ 4000 აშშ დოლარს.

ამ მიზნით მოატყუა „ბ“, არ გააფორმა მასთან ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება საცხოვრებელ სახლზე და აღარ დააბრუნა ზემოხსენებული თანხა, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა დაზარალებულს და საცხოვრებელი სახლი, „ბ-გან“ მალულად, 2000 ლარად მიჰყიდა თავის ნათესავს<sup>608</sup>.

უზენაესი სასამართლო მოცემულ საქმეში გამორიცხავს მოტყუებით სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მიღებას, რაც თაღლითობისთვის არის დამახასიათებელი. „თ-მ“ „ბ-ს“ მინდობილობით არა მხოლოდ ბინის რეგისტრირების, არამედ მისი განკარგვის უფლებაც მისცა. გარდა ამისა, „თ-ს“ ბინა „ბ-ს“ ფაქტობრივ მფლობელობაშიც იმყოფებოდა, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ მან ბინა გაარემონტა, სანამ გამოჩნდებოდა ბინის ახალი მესაკუთრე და პოლიცია მოსთხოვდა ბინის დაცლას. აქედან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს განმარტებით, შეუძლებელი იყო „თ-ს“ სცოდნოდა, რომ „ბ“ არ მოახდენდა ბინის განკარგვას მინდობილობაში მითითებული 1 თვის ვადაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, უზენაესი სასამართლო თვლის, რომ სახეზეა სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. თუმცა, ქმედების სსკ-ის 185-ე მუხლით კვალიფიკაციასთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს არგუმენტაცია და მსჯელობა დასაბუთების თვალსაზრისით საკამათოა. უზენაესი სასამართლოს პოზიციით, მოტყუებით ქონებრივი დაზიანების დროს „მოტყუება გამორიცხავს მესაკუთრისთვის სათანადო ქონების მიღებას, რაც წესით მას უნდა მიეღო“, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში დაზარალებული „ბ“ ვერ ჩაითვლება იურიდიულ მესაკუთრედ, მიუხედავად მესაკუთრის მიერ მასზე მინდობი-

<sup>608</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 26 ნოემბრის განაჩენი, #328აპ-15, სუსგ, 2015, #9-12, გვ. 167-175.

ლობის გაცემისა. შესაბამისად, შეუძლებელია იმის თქმა, რომ დაზარალებული არის მესაკუთრე, რომელმაც დამნაშავის მოტყუებით ქონება ვერ მიიღო. უზენაესი სასამართლო სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულად მიიჩნევა ისეთ შემთხვევას, როცა „დამნაშავე ან უკანონოდ იყენებს მისთვის მინდობილ ქონებას, ითვისებს იმ შემოსავალს, რომელიც მესაკუთრისთვის უნდა გადაეცა, ან თავს არიდებს მის გადაცემას“<sup>609</sup>. აღნიშნული მოსაზრება ასევე საკამათოა, ვინაიდან იგი წარმოადგენს სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს (მითვისება ან გაფლანგვა). გასათვალისწინებელია, ჰქონდა თუ არა „თ-ს“ თავიდან მოტყუების განზრახვა, როცა მოხდა ბინის მიყიდვაზე შეთანხმება მასსა და „ბ-ს“ შორის. თუ ბოროტმოქმედს თავიდანვე არ ჰქონდა მოტყუების განზრახვა და იგი წარმოეშვა დაზარალებულისგან თანხის მიღების შემდეგ, სახეზეა მითვისება, რამეთუ ადგილი აქვს მართლზომიერ მფლობელობაში არსებული თანხის მითვისებას. თანხის გადაცემა და დაუფლება მართლზომიერად შეიძლება ჩაითვალოს მაშინ, თუ თანხის აღების დროს, „თ-ს“ მოტყუების განზრახვა არ ჰქონდა. მართლზომიერი დაუფლება შეიძლება მოხდეს სახელშეკრულებო შეთანხმების შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოცემულ შემთხვევაში. მხედველობაშია ხელშეკრულება ზეპირი შეთანხმების ფორმით.

უზენაესი სასამართლო ადასტურებს, რომ ბოროტმოქმედს მოტყუების განზრახვა არ ჰქონდა მასსა და დაზარალებულს შორის ბინის ყიდვასთან დაკავშირებით შეთანხმების და თანხის დაუფლების დროს და ის მას წარმოეშვა თანხის გადაცემის შემდეგ. ამის საბუთად უზენაესი სასამართლო იმ ფაქტს იშველიებს, რომ ბოროტმოქმედმა დაზარალებულზე მინდობილობა გასცა, რომელიც მას ბინის განკარგვის უფლებასაც ანიჭებდა. შესაბამისად, ბოროტმოქმედს არ შეიძლება

<sup>609</sup> სუსგ, 2015, #9-12, გვ. 173.

იმის მოლოდინი ჰქონოდა, რომ დაზარალებული ბინას არ გადაიფორმებდა<sup>610</sup>, რაც ბოროტმოქმედის მხრიდან აღნიშნულ ეტაპზე მოტყუების განზრახვას გამორიცხავს.

მოტყუებით ქონებრივ დაზიანებას გარკვეული მსგავსება აქვს მითვისებასთან, მაგრამ მათ შორის არსებობს არსებითი სხვაობა.

მითვისების დროს ადგილი აქვს მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ნივთის ან ქონებრივი უფლების მითვისებას, მაშინ როცა მოტყუებით ქონებრივი დაზიანების დროს ადგილი აქვს იმ ნივთის დაუფლებას, რომელიც პირის მფლობელობაში არც იყო გადასული. ამის მაგალითად ლიტერატურაში სახელდება შემთხვევა, როცა თეატრის მოლარე ბილეთის გაყიდვით მიღებულ თანხებს კი არ მიითვისებს, არამედ ბილეთების გარკვეულ ნაწილს არ გაყიდის და მაყურებელს თეატრის შენობაში ბილეთების გარეშე შეუშვებს, სანაცვლოდ კი ფულს აიღებს ბილეთის მიყიდვის გარეშე<sup>611</sup>. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში საკამათო შეიძლება იყოს ქმედების კვალიფიკაცია სსკ-ის 185-ე მუხლით. ჩნდება კითხვა, ეს ხომ არ არის მითვისება, ქონებრივი უფლების გამოყენებით? რაც შეეხება ბილეთების ნაწილის არგაყიდვას, ეს არის ფორმალური მომენტი. ბილეთი ამ შემთხვევაში ფორმალურად ადასტურებს მისი შემძენისთვის იმას, რომ თეატრში ადგილის დაკავების უფლება მოიპოვა. მას არ გააჩნია ისეთი მატერიალური ღირებულება, როგორც ფულს. რაც შეეხება მოლარეს, ის არის უფლებამოსილი პირი, რომელსაც გადაცემული აქვს სპეციალური უფლებამოსილება. მოლარემ დანაშაული ჩაიდინა არა იმით, რომ მაყურებელთა გარკვეული ნაწილი შეუშვა ბილეთის გარეშე, არამედ იმით, რომ მათგან აღებული თანხა

<sup>610</sup> სუსგ, 2015, #9-12, გვ. 173.

<sup>611</sup> *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ.*, ნიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, თბ., 2019, გვ. 541.

არ გადასცა შესაბამის პირს, ვისთვისაც უნდა გადაეცა. მართალია, ბილეთების გარეშე აიღო ფული მაყურებელთა გარკვეული ნაწილისგან, მაგრამ ამის მიუხედავად, საკითხავია, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს მიღებული თანხები არამართლზომიერად. თანხები, მაინც მართლზომიერად არის მიღებული მოლარის მიერ და სწორედ მის მითვისებას აქვს ადგილი.

გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, მოლარე მაშინ იქნება არა სსკ-ის 185-ე, არამედ სსკ-ის 182-ე მუხლით (მითვისება ან გაფლანგვა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი (მიმთვისებელი), თუ ბილეთების გაყიდვის შედეგად მიღებულ თანხებს მიითვისებს<sup>612</sup>. თუმცა, ეს არის ხელოვნური და მეტად ფორმალისტური მიდგომა, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით არ ეფუძნება მყარ კრიტერიუმებს.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქმედება სსკ-ის 185-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს, ელექტროენერჯის, გაზის, გათბობისა და სხვა კომუნალური გადასახადის სრული ან ნაწილობრივი გადაუხდელობისას, რაც დაკავშირებული იყო მრიცხველის მონაცემის გაყალბებასთან<sup>613</sup>, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup>-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ელექტროენერჯისა და გაზის დატაცებისთვის.

სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული შეიძლება განხორციელდეს ყაჩაღობასთან ერთობლიობით. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, როცა ბოროტმოქმედი ტაქსის მძღოლს არ უხდის მომსახურების საფასურს, რაც

<sup>612</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 541.

<sup>613</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 541; ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი), თბ., 1999, გვ. 61; გამყრელიძე ო., შეცდენა და მისი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა, „ცხოვრება და კანონი“, 2011, #2-3, გვ. 5.

წინასწარ ჰქონდა განზრახული და ნაცვლად იმისა, რომ მომსახურების საფასური გადაუხადოს, იარაღის გამოყენების მუქარით აიძულებს აქეთ გადმოსცეს ფულადი თანხა, რომელსაც ფლობს. თუ მომსახურების საფასურის გადაუხდელობა ქონებრივი დაზიანებაა მოტყუებით, იარაღის გამოყენების მუქარით თანხის მოთხოვნა ყაჩაღობის შემადგენლობას ქმნის, რის გამოც პრაქტიკაში, მსგავს შემთხვევებში ქმედება სწორად კვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობის წესით, როგორც სსკ-ის 179-ე, ისე სსკ-ის 185-ე მუხლით<sup>614</sup>.

## VII. საპროცესოსამართლებრივი რეგულაცია

თუ გამოძიება დაწყებულია ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება სსკ-ის 185-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის გამო, შესაძლებელია პროკურორმა იშუამდგომლოს სასამართლოში ფარული-საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების თაობაზე, ვინაიდან აღნიშნული დანაშაული მისთვის გათვალისწინებული სასჯელის სიმკაცრის გათვალისწინებით, მიეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. მაშასადამე, განსახილველი დანაშაული მიეკუთვნება იმ დანაშაულთა რიცხვს, რომელთა შემთხვევაშიც დაშვებულია ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება (სსსკ-ის 143<sup>3</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

---

<sup>614</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება #173-აპ; სუსგ, 2009, #1, გვ. 22-24; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 20 მარტის #2104-აპ განაჩენი, სუსგ, 2009, #1, გვ. 22-24.

თეზურ ცხიტიშვილი

საკუთრების წინააღმდეგ  
მიმართული  
გოგნიერთი დანაშაული

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2023